

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰარუნ ჩიმქე

ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო
ქართულში

10.02.01 _ ქართული ენა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მაია მაჭავარიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსუდან საღინაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფ.

ქუთაისი

2010

სარჩევი

შესავალი.....	4
I თავი. შე- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ	21
სალიტერატურო ქართულში	21
1.1. შე- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები.....	22
1.2. შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები.	61
1.3. შე- ზმნისწინიანი ომონიმური ზმნები.	64
1.4. შე- ზმნისწინიანი სინონიმები.....	70
II თავი. წა- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ	72
სალიტერატურო ქართულში	72
2.1. წა- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები.....	74
2.2. წა- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები	91
2.3. წა- ზმნისწინიანი სინონიმები.....	93
III თავი. ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები მაქცევრებთან	94
მიმართებით.....	94
IV თავი. ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა შეპირისპირებითი	130
ანალიზი ქართულსა და სხვა ენებში.....	130
4.1. შე- და წა- ზმნისწინიან ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზი.....	130
4.2. სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები	134
4.3. ქართულის ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის საშუალებანი სხვა ენებში.....	153
დასკვნითი დებულებები	175
ლიტერატურა	178
დანართი 1. შე- ზმნისწინის სემანტიკური ველები.....	185
დანართი 2. წა- ზმნისწინის სემანტიკური ველები.....	198

დანართი 3. ზმნისწინთა დართვა-დაურთველობა ფუძეთა მიხედვით	205
--	-----

შესავალი

ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ზმნისწინი. ამ თვალსაზრისით მსოფლიო ენები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: ზმნისწინის მქონე (ქართული, რუსული....) და ზმნისწინის არმქონე ენებად (ინგლისური, თურქული...).

ზმნისწინი ქართულში წარმოადგენს ფუნქციურად მრავალფეროვან მორფემას. როგორც წესი, ქართული ზმნისწინი ფორმამაწარმოებელი პრეფიქსია, თუმცა იგი შეიძლება გამოვლინდეს სიტყვამაწარმოებელი ფუნქციითაც.

ჩვენი დისერტაცია ეხება ზმნისწინის სემანტიკური ნიუანსების გარკვევა-დაზუსტებას ახალ სალიტერატურო ქართულში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მასალის ბაზაზე) ზმნისწინის არმქონე ენების, განსაკუთრებით თურქულის, მონაცემებთან შეპირისპირების საფუძველზე. ზედმიწევნით დაწვრილებით განსახილველად აღებული გვაქვს მხოლოდ შე- და წა- ზმნისწინები, რომელთაც დანარჩენებთან შედარებით უფრო მეტი საერთო სემანტიკური ნიუანსი (ოდნაობა, დაწყებითობა, საზედაო) აქვთ.

რა არის ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია? ქართულსა და რუსულში, აგრეთვე ყველა იმ ენაში, სადაც ზმნისწინი დასტურდება, როგორც წესი, ზმნისწინი დაერთვის ზმნას. ეს ხდება სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ძველ ქართულში გარკვეულ პერიოდში ზმნისწინი განსაზღვრავდა ზმნის მნიშვნელობას: ძველად იყო სიტყვა **ჯდა** (*“იყო ერთი მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა”* – “ვეფხისტყ.”). ჩნდება კითხვა: რატომ არის ფორმა **ჯდა** და რას აღნიშნავს იგი? ძველად ეს ნიშნავდა არა ერთჯერად მოქმედებას, არამედ უწყვეტ ფორმას იმ გმირის მოქმედებისა, რომელზედაც იყო ლაპარაკი. ახალ ქართულში ფორმა **ჯდა** აღარ არსებობს. ქართული ენისთვის ამას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა. ამ მხრივ ახალმა ქართულმა შემოიტანა სრულიად ახალი კატეგორია, რომელსაც ჰქვია ასპექტი. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დისერტაციის თემისათვის, რადგან ახალ ქართულში, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ძველი ქართულის განვითარების შედეგად, გაჩნდა ახალი კატეგორია – ასპექტის კატეგორია,

რომელმაც დააზუსტა ზმნის მოქმედების სხვადასხვა ასპექტები. მაგალითად, უწყვეტელი – მიმდინარეა ეს მოქმედება თუ ერთჯერადი? იგივე აზრი შეიძლება გამოვხატოთ სხვა ტერმინებით: მოქმედება უსრულად მიმდინარეობს თუ ეს მოქმედება უკვე დასრულებულია. ძველი ქართულის **ჯდა** ახალ ქართულში შეიძლება ნიშნავდეს ორ რამეს: 1. მოქმედება ჯერ არ დამთავრებულა და ის გრძელდება; 2. მოქმედება დასრულდა. არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არის ის, რომ ამ მხრივ **ჯდა** ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს სრულიცა და არასრულიც. ქართულში უსრული ასპექტის გამოსახატავად გაჩნდა ფორმა **იჯდა**. მაგალითად: *მოყმე ვინმე იჯდა წყლის პირას*. ეს ნიშნავს, რომ მოყმე განაგრძობდა ჯდომას ანუ ფორმა **ჯდა** მარკირებულია მხოლოდ უსრული ასპექტით. ახალ ქართულში იგივე ფორმა **ჯდა** შეიძლება სხვაგვარად იყოს გაფორმებული: **დაჯდა**. რა განსხვავებაა **იჯდასა** და **დაჯდას** შორის ახალ ქართულში? ფორმა **დაჯდა** აღნიშნავს მხოლოდ დასრულებულ ერთჯერად მოქმედებას, მეტს არაფერს. ამის შედეგად ქართულმა ზმნამ გაიმდიდრა თავი იმით, რომ სწორედ ზმნისწინის წყალობით დაზუსტდა, როგორი სახე აქვს ამა თუ იმ მოქმედებას: ის ერთჯერადია, კონკრეტული და უკვე დასრულებული თუ ის შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც უსრული – ჯერ დაუმთავრებელი. ძველ ქართულს ეს კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია, გარკვეული ფორმით გამოხატული, არ ჰქონდა. მთელი კონტექსტი იყო საჭირო იმის გასარკვევად, ტარიელი დაჯდა და ადგა და მერე წავიდა, თუ განაგრძობდა იქ ჯდომასა და ტირილს. ზმნისწინს სწორედ ეს ფუნქცია აკისრია ახალ ქართულში. კონტექსტის გარეშე, მხოლოდ ზმნის ფორმით არის შესაძლებელი იმის გაგება ზუსტად, ტარიელი რას აკეთებს. თუ ჩვენ ვიტყვით, “*იჯდა ტარიელი და ტიროდა*” ან “*ტარიელი მხოლოდ ჩამოჯდა და ცოტა ხნის შემდეგ წავიდა*”, აქ კონტექსტს ცვლის ზმნისწინის სრულიად ახალი მნიშვნელობა და მისი გრამატიკული ფუნქცია – აღნიშნოს სრული მოქმედება და ამით გამორიცხოს სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

დღეს ზმნისწინის კატეგორიის კვლევა ძველ ქართულთან შედარებით მეტად გართულებულია როგორც გრამატიკული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ამ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას ზმნისწინისა და ზმნური ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელი, რომელიც ეკონომიურად, მარტივად და შესაძლებელი სიზუსტით ასახავს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულ ყველა ზმნისწინიან ზმნას ერთდროულად მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე, და იმავედროულად გამოიყოს ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციები (საურთიერთო, სხვის მიმართ მოქმედება, ახლომყოფობა-მიახლოება, შეღწევადობა, მოქმედების, პროცესის შეცვლა, მიჯნა, მასთან მიჯრა-დამთხვევა, ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღნიშვნა, ზერელობა...).

როგორც ა. შანიძე მიუთითებდა, იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნიუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, აღინუსხოს, თუნდაც მიახლოებითი, ძირითადი ხაზები ამ საკითხზე (შანიძე 1980: 253). ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანსაც წარმოადგენს სწორედ ქართული ენის გრამატიკის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო, ნიუანსებით აღსავსე და ურთულესი მორფემის – ზმნისწინის სემანტიკური ფუნქციებისა და განაწილების სიღრმისეულად შესწავლა, იმ თავისებურებათა წარმოჩენა, რასაც ქმნის ზმნური ფუძისა და ზმნისწინის, ზმნისწინისა და მაქცევრების მიმართება, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მონაცემების ბაზაზე).

ქართული ზმნის თავისებურებასა და მრავალფეროვნებას მის პოლიპერსონალიზმთან ერთად, ვფიქრობთ, განაპირობებს ზმნისწინთა არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ფუნქციური სიმდიდრეც (ასე არ არის სხვა ენებში). შესაბამისად, ჩვენ გაგვიჩნდა კითხვა: როგორ ხდება ქართული ზმნისწინების მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსების გადმოცემა სხვა ენებში, მათ შორის, თურქულში? ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ამ ეტაპზე ჩვენი მეცნიერული კვლევის საგანი ყოფილიყო ქართული მასალის შეპირისპირება სხვა ენათა (განსაკუთრებით კი თურქულის) მონაცემებთან.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ზმნისწინის დამატებითი სემანტიკური ნიუანსებისა და განაწილების კვლევა ახალ სალიტერატურო ქართულში, ზმნისწინისა და ზმნის ფუძეების ისეთი დინამიკური მოდელის შექმნის ცდა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო ეკონომიურად და მარტივად მოხდეს სინთეზური ზმნური ფორმებისა და მათი შესატყვისი გაუვრცობელი მარტივი წინადადებების წარმოქმნა, აგრეთვე უცხო ენათა მონაცემებთან შეპირისპირება ქართულში ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსების უკეთ წარმოსაჩენად.

მეცნიერთა მიერ ზმნისწინის საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების გარდა, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნისწინი ავლენს მეტად საინტერესო და მდიდარ ნიუანსობრივ მხარეებს, განსაკუთრებით მაქცევრებთან მიმართებით, რაც ამ ეტაპზე საგანგებოდ და სიღრმისეულად შესწავლილი არ არის (ტერმინ “მაქცევარში” ვგულისხმობთ ზმნის ხმოვანპრეფიქსებს). ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს, აგრეთვე, ისიც, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულისა და გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანის, დ. შენგელიას “ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის” ბაზაზე დამუშავებული მასალის მიხედვით შეიქმნება ზმნისწინიან ზმნათა ყალიბების ნუსხა და მოხდება უცხო ენათა, კერძოდ, თურქული ენის მონაცემებთან შედარება-შეპირისპირება.

ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ზმნისწინისა და მაქცევრების ძირითადი ფუნქციების გარდა დამატებითი, სრულიად ახალი სემანტიკური ნიუანსები და, შესაბამისად, ახლებური შეხედულებები, თეორიულად გაამდიდრებს ქართული ზმნის კვლევის საფუძვლებს. მას ინტერესით გაეცნობიან აგრეთვე ის უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის თურქი მკვლევრებიც, რომლებიც ცდილობენ ქართული ენის სიღრმისეულ შინაარსში ჩაწვდომას. პრაქტიკული თვალსაზრისით საკვალიფიკაციო ნაშრომი შესაძლებელს გახდის ზმნისწინისა და ზმნური ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელის შექმნას, რომელიც ეკონომიურად და მარტივად ასახავს ქველ-ში განმარტებულ ყველა ზმნისწინიან ზმნას ერთდროულად

მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე. დამუშავებული ზმნური ყალიბების გათვალისწინება საინტერესო იქნება ქართული ენის ფორმალიზაციის მიზნითაც.

ზმნისწინის შესწავლის ისტორია. ქართული ზმნისწინის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს (ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართული ენის გრამატიკაში ზმნისწინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია). მიუხედავად ამისა, ამ ასპექტით კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და დასაზუსტებელი, კერძოდ, სისტემურადაა შესასწავლი ზმნისწინთა განაწილება და სემანტიკური ნიუანსები.

ზმნისწინს ბევრმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა უძღვნა ნაშრომები. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზმნისწინები, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარია შინაარსობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გახსნილი გრამატიკული მორფემა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი დღესაც ბევრი სპეციალისტის ყურადღების ცენტრში დგას.

ზმნისწინით ძველი გრამატიკოსებიც იყვნენ დაინტერესებულნი. რა თქმა უნდა, ძველ გრამატიკებში ზმნისწინი გამოწვლილვით ვერ იქნებოდა გამოკვლეული, მაგრამ მისი შესწავლის პირველი ცდები საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. ზმნისწინის შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვთ სულხან-საბა ორბელიანს, ანტონ I-ს, გაიოზ რექტორს, ს. დოდაშვილს, პლ. იოსელიანს, დ. ყიფიანს, პ. კვიცარიძეს, არ. ქუთათელაძეს, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილს, ს. ხუნდაძეს, დ. ჩუბინაშვილს, ი. ნიკოლაიშვილს, აგრეთვე მოგვიანო პერიოდში ნ. მარს... (ვეშაპიძე 1960: 412-436).

ზმნისწინის განსაზღვრება პირველად ი. ქართველიშვილის “ქართულ გრამატიკაში” არის მოცემული: “მარცვალნი რომელნიცა დაესხმიან ზმნათა და შეჰსცვლიან მნიშვნელობასა მათთა, იწოდებიან ზედდადებულად, ანუ თანდებულად, ვითარნიცა არიან: **აღ-, შთა-, წარ-, მი-, მო-, შე-, გან-, გამო-** და სხუანიცა ესევითარნი”.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინის აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი: მარცვალი, ზედდადებული, განმავითარებელი, განუყოფელი თანდებული, შეერთებულად ხმარებული თანდებული, მარცვალი განმავითარი, მოზავებული, მიმძღოლი თანდებული, საზმნებო თანდებული, თავსართი,

მიმართულების აღმნიშვნელი თავსართი, სრულმყოფელი ზესართი, წინსართი, პრევერბი, წინდებული... ტერმინი **ზმნისწინი ა.** შანიძემ დაამკვიდრა.

საინტერესოდ და სრულიად განსხვავებულად არის დანახული და წარმოდგენილი ზმნისწინი ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში, სადაც განხილულია მოცემული ენისათვის არატიპური ფორმა- და სიტყვაწარმოების ისეთი მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ენის ბუნებას განვითარების გარკვეულ, კონკრეტულ საფეხურზე. ასეთ მოვლენებს ის ფაკულტატიურს უწოდებს, თუმცა არ გულისხმობს, რომ ისინი ენის შინაგანი ბუნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან. ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში მოცემულია ცდა ფაკულტატიური მოვლენის სისტემატიზაციისა და შესაბამისი კვლევისა. მეცნიერი, ჩვეულებრივ, გამოყოფს ზმნისწინის ოთხ ძირითად ფუნქციას, მაგრამ მიაჩნია, რომ ზმნისწინის დართვა არ ნიშნავს მაინცდამაინც მიმართულების გამოხატვას. უფრო ხშირია ზმნისწინის გამოყენება მყოფადისა და ასპექტის საწარმოებლად. მიმართულება ხშირად თანამდევ ფუნქციად გვევლინება. ზოგჯერ ამ თვალსაზრისით ზმნა საერთოდ ნეიტრალურია (**გააკეთებს – გააკეთა, დაწერს – დაწერა...**) (ჯორბენაძე 1995: 72).

ზმნისწინის გენეზისი. ზმნისწინს ისტორიულად კავშირი აქვს თანდებულებთან და ზმნისართებთან. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მორფოლოგიური აღნაგობითა და ფუნქციითაც ზმნიზედა, თანდებული და ზმნისწინი ურთიერთკავშირშია (შდრ.: *შინ, სახლსა შინა, შევიდა*). ისინი თავიანთი ძირითადი ფუნქციებით სივრცის გაგებასთან არიან დაკავშირებული, სამივესთვის ამოსავალია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა – ზმნიზედა, რომელიც ძველ ქართულში ძირითადად მიმართულებას გამოხატავდა, შემდგომში (თანდებულად და ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში) მაწარმოებელი ელემენტების თანდათან ჩამოცილების გზით დაკარგა დამოუკიდებლობა, ზმნისწინისა და თანდებულის სახით მოგვევლინა. ზმნისწინის ძირითად ფუნქციად ასპექტის გამოხატვა იქცა და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობაც. ამგვარად, ზმნისწინი და თანდებული მაშინ მოშორდნენ ერთმანეთს, როცა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ. სახელისთვის აუცილებელი გახდა

თანდებულის დართვა, რადგან ზმნისწინმა გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი (პ. ჯაჯანიძე, *არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპიძე*).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღება იქნა გამახვილებული ზმნისართთა, თანდებულთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხზე.

კვ. გაბუნias აზრით, კვლევის საფუძველს წარმოადგენს ძირეული მასალის იგივეობა და გენეტური კავშირი. ქართულ ენაში ზმნისართთა ერთ ჯგუფში ძირეულ ელემენტებად გამოიყოფა -**ზე** და **ქუე**- ზმნისართები, რომლებიც ძველ ქართულში ადგილობითი ზმნისწინის ფუნქციით იხმარებოდა; **და**- ზმნისწინიც მომდინარეობს **დაბ**- ძირისაგან (შდრ.: არსებითი სახელი **დაბა**, ზედსართავი **დაბალი** // **დაბლა**), რომელიც მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ძველად; ზმნისართები **წინ**, **წინაშე**, **უკან** წარმოდგენილია ზმნისწინებით **წა[რ]-**, **უკუ-**; **შინა**, **შიდა**, **შიგნით** და სხვ. გამოიყოფა საერთო ელემენტი – თანდებული **ში-** (სახლში, წყალში...), აგრეთვე ზმნისწინი **შე-** // **შა-** (გაბუნია 1993: 73-76). როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისთვის აუცილებელი გახდა თანდებულის დართვა (ჯაჯანიძე 1952-53: 116).

ზმნისწინის ფუნქციები. ისტორიულად ზმნისწინი ყველაზე ახალი მორფემაა ზმნური ფუძისა, მაგრამ მისი ფუნქციები განსაზღვრულია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინს აქვს ოთხი ძირითადი ფუნქცია: გეზისა და ორიენტაციის, მიმართულების ჩვენება, მომავალი დროისა და სრული ასპექტის გამოხატვა, ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ი. ვეშაპიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, პ. ჯაჯანიძე, ზ. ჭუმბურიძე...). ზმნისწინი ზოგჯერ ერთდროულად გამოხატავს ყველა ამ ფუნქციას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ზმნისწინი თანამედროვე ქართულში პოლისემანტიკური მონაცემია; ზმნაში ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის გადმოცემა (ზ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული).

როგორც აღინიშნა, ზმნისწინებს ძველ ქართულში არ ჰქონდა ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელ ენაში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად, სრული ასპექტის წარმოება, ამიტომ წერს და და-ს-წერს, ჭამს და შე-ხ-/ჰ-/ს-ჭამს ასპექტის მიხედვით გარჩეული არ იყო, ყველა უსრულ ასპექტს გამოხატავდა; ზმნისწინს არ შეეძლო მომავალი დროის წარმოებაც. ძველ ქართულში იყო ყველა ის ზმნისწინი, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის (გამარტივებული სახით) და დამატებით კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი, რომლებიც დღეს იშვიათია. ესენია: უკუნ-, უკმო- და წიაღ- და წიაღმო- (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996: 5).

მომავალი დროის გამოხატვასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოგვიანებით, ძველ ქართულშივე ასრულებს ზმნისწინი ამ ფუნქციას. ამიტომ დროის გამოხატვა ზმნისწინის ახალ ფუნქციად არ უნდა ჩაითვალოს (სადინაძე 2008: 138).

ზმნისწინს შეიძლება დაეკისროს ისეთი გრამატიკული ფუნქციის გამოხატვაც, რომელიც მისთვის დამახასიათებელი არ არის. ასეთია, მაგალითად, გვარის კატეგორია, უფრო ზედმიწევნით: აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია. მაგალითად: აქვს და ჰყავს ზმნების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ზმნისწინთა დართვის შედეგად გვარის გრამატიკულ ფუნქციას იცვლის, სემანტიკურად აქტიური ხდება, გარდამავალ ზმნას უთანაბრდება, რაც თავს იმაშიც იჩენს, რომ უღვლილებისას უკვე საკუთრივ მოქმედების ზმნა შეენაცვლება: მი-აქვს, წა-იღებს, მო-ჰყავს, მო-იყვანს. ყოველივე ამის წყალობით შესაძლებელი ხდება ერთი ფუძისაგან უამრავი ზმნური ფორმის წარმოება (ჯორბენაძე 1985: 91-92). სემანტიკური დანიშნულებით გამოყენებულმა ზმნისწინებმა შესაძლოა:

ა) გამოხატონ ერთი და იმავე მოქმედების ორი ან მეტი ნაირსახეობა, ანუ: სემანტიკური ელფერით (ნიუანსით) დაუპირისპირონ ერთმანეთს ერთი მოქმედების ნაირსახეობანი: მო-კლა – და-კლა (უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ დანით, ხანჯლით... მოკვლაზე ითქმის);

ბ) წარმოქმნან ავტონიმები, ანუ: მნიშვნელობის თვალსაზრისით საპირისპირო ფორმები: წა-ართმევს – მი-ართმევს...

გ) წარმოქმნან ლექსიკურად სრულიად განსხვავებული ერთმანეთთან დაუკავშირებელი, სხვადასხვა სემანტიკური სისტემის ფორმები: **ა-აგო, წა-აგო, და-აგო, ჩა-აგო, მი-აგო...** (ჯორბენაძე 1985: 48). ზმნისწინი მიჩნეულია მწკრივთა მაწარმოებლად (ჭუმბურიძე 1986: 85-86, ფუტყარაძე 2006: 92).

სემანტიკური ფუნქცია ა. შანიძეს ზმნისწინის მეორეულ მნიშვნელობად მიაჩნია. მისი აზრით, ზმნისწინი, რა თქმა უნდა, წარმოქმნის ელემენტია, მაგრამ მისი საშუალებით ზმნა ძალიან არ არის დაშორებული ძირეული ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას: წარმოქნილი ზმნა, გეზისა და ორიენტაციის გარდა, იგივეა, რაც ძირეული. ამასთანავე ზმნისწინმა შეიძლება დაკარგოს ამ ორი ფუნქციის აღნიშვნის უნარი და გადაიქცეს სრულიად ახალი ზმნის მაწარმოებელ ელემენტად. მკვლევარს დასახელებული აქვს **კალ** ფუძე: **მო-კლა** და **და-კლა**. ორივე გულისხმობს სიცოცხლის წართმევას, მაგრამ სხვადასხვაგვარად, **მო-კლა-ო** თუ თქვეს, ვგულისხმობთ სიცოცხლის წართმევას საზოგადოდ, არ ვიცით, თუ როგორ და რა საშუალებით; მაგრამ, თუ თქვეს, **და-კლა-ო**, ვგულისხმობთ, რომ სიცოცხლე წაურთმევიათ წაქცეულისთვის რაღაც მჭრელი იარაღით. **მო-კლა** და **და-კლა** ზმნები, თუმცა ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არ არის გეზობრივი ხასიათისა, არამედ სხვაგვარი. აღნიშნულ ზმნისწინებს აღარაფერი კავშირი აქვს გეზის აღნიშვნასთან (შანიძე 1980: 253).

ზმნისწინის მიერ ზმნაში მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის შესახებ საუბრობს ბ. ჯორბენაძე. ჯერ კიდევ ძველ ქართულში შეინიშნება ზმნისწინის ეს მნიშვნელობა. დაწყებითობის (ინხოატივის) აღწერითი გამოხატვა არც ახალი ქართულისათვისაა უცხო: *“ტირილი დაიწყო”, “ბრუნვა დაიწყო”, “სიმღერა დაიწყო”...* *“ტირილი დააწყებინა”, “ბრუნვა დააწყებინა”...* ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივი ტიპის შემასმენლისა და უშუალო (პირდაპირი) ობიექტის ურთიერთობასთან – ერთი თავისებურებით: უშუალო ობიექტად გამოყენებულია მასდარი (ტირილი, ბრუნვა, სიმღერა...) ან მასდართან გატოლებული არსებითი სახელი (თამაში, ვარჯიში, ჩხუბი...).

ეს კი შესაძლებლობას იძლევა ზმნა (დაიწყო – დააწყებინა) ნებისმიერი ნაკვთის ფორმით იქნეს წარმოდგენილი (ჯორბენაძე 1987: 106-107).

ზმნის ფუძის გაგების არაერთგვაროვნება ხშირად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ზ. ჭუმბურიძე, ა. არაბული... მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინი დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება. ის აუცილებლად ერთვის ზმნას, შედის ზმნის ფუძეში და ზმნისაგან ცალკე, დამოუკიდებლად ერთდროულად არასოდეს მოიაზრება. ასეთი იყო ზმნისწინი ძველ ქართულში, რაზეც მეტყველებს ტმესი: ზმნისწინი და ზმნა ერთმანეთისაგან გათიშული იყო ან ნაწილაკით, ანდა ნაცვალსახელით. ტმესი ზმნისწინიან და რთული შედგენილობის ზმნებში გვხვდება V-XI საუკუნეების როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ტექსტებში (ცეციტიშვილი 1966: 130-131).

დღევანდელ ქართულში ზმნისწინი არის დერივაციული მორფემა, რომელიც ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის, მაგრამ ზმნისწინის ფუნქცია მხოლოდ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით არ შემოიფარგლება. იგი ზმნის ფორმაწარმოებაშიც მონაწილეობს.

ზმნისწინის ფუნქციებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფუძეთა გავლენას, რაც უცვლის ამა თუ იმ ზმნისწინიან ფორმას სემანტიკას. ა. არაბული ზმნის ფუძეს უკავშირებს ახალი სემანტიკის განვითარებას და მიაჩნია, რომ ამ პროცესში ზმნისწინის როლის მითითება რაიმე განსაკუთრებულს არ შეიცავს, ვინაიდან კარგად არის ცნობილი პრევერბთა სიტყვაწარმოებითი ფუნქცია. ეს ფუნქცია კი, ბუნებრივია, ზმნურ ფუძეთა ფორმირების არქაულ ეტაპზე იჩენს თავს, მაგრამ პრევერბი ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო “ანალიზური” ელემენტია, ვინაიდან იგი უფრო ზმნური ძირის სემანტიკური პოტენციის რეალიზაციის ხელშემწყობად გვევლინება, ვიდრე თავისთავად მაწარმოებლად. ზოგჯერ განსხვავებულ, საპირისპირო მნიშვნელობებს ზმნისწინებთანაც არა აქვს თითქოს კავშირი. წარმოდგენილი კავშირი, წარმოდგენილი ძირი ერთი და იმავე პრევერბითაც ავლენს საპირისპირო სემანტიკას. მაგალითად, “წართმევა” – “მიცემა”. შდრ., მოიღო/მოართუა (არაბული 1997: 220; 226); ქ.

დათუკიშვილის აზრით, ზმნისწინი არის ერთადერთი ზმნური მორფემა, რომელსაც ლექსიკური დერივაციის უნარი აქვს. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც არის გამართლებული ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ერთ პარადიგმაში გაერთიანება (ქ. დათუკიშვილი 1998: 57).

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა გ. გოგოლაშვილმა. მისი აზრით, ზმნისწინი არ შედის ნაკვთის ფუძეში. ამის საფუძველზე მან უღვლილების სისტემა II და III სერიების პრინციპით გამართა და ახალ ქართულში ზმნური ფორმები სამ სერიად და რვა ნაკვთად დააჯგუფა.

ა. შანიძემ ზმნისწინის უკეთ დახასიათებისათვის შემოიტანა ორიენტაციის კატეგორია და ამის მიხედვით ზმნები დაყო ორ რიგად: საიქეთო და სააქეთო.

ა) საიქეთო ორიენტაციის გამომხატველი ზმნისწინებია: მი-, ა-, და-, შე-, გადა-, წა-, უკუ-.

ბ) სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს: მო-, ამო-, (დამო-), ჩამო-, გადმო-, წამო-, უკმო-.

აღ. ფოცხიშვილი ორგვარ ორიენტაციას განარჩევს. ესაა: მოუბართკენული და სხვათამიმართი.

მ. მაჭავარიანის აზრით, ზმნისწინის ერთ-ერთ გრამატიკულ დანიშნულებად შესაძლებელია, აგრეთვე, დავსახოთ სუბიექტის ფუნქციურ-აქტანტური სპეციფიკაცია. კერძოდ, თუ სუბიექტს აქვს უნარი, აკონტროლოს ზმნისწინის დართვა-დაურთველობა (ანუ აკონტროლოს ასპექტის სახე), მაშინ ის იძენს აგენტურ როლს, ერგატიული ბრუნვით მარკირებულს. სხვა შემთხვევაში სუბიექტი ნომინატივშია და მისი აგენტურობა-არააგენტურობა დამატებით გრამატიკულ დასაბუთებას მოითხოვს (მაჭავარიანი 1987: 63-64).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ოთხი ძირითადი ფუნქციის გარდა, ზმნისწინს უნარი აქვს დამატებით გამოხატოს სხვაგვარი ნიუანსები. მას შეუძლია ცვალოს პირთაშორის მიმართებები, საუბარია სამპირიან ზმნაზე, სადაც პირდაპირი

ობიექტი პირცვალებადია, ხოლო ირიბი – უცვლელი. მაგალითად: **მიმაყენა მან მე მას/ მიმაყენა მან მე ის.**

მნიშვნელოვანია ც. კვანტალიანის მოსაზრებები ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომებში წამოდგენილია ამ მიმართულებით კვლევის პირველი ცდა. ზმნისწინი შესწავლილია ზმნურ ფუძეებთან კავშირში და ძირითადი დასკვნები მათი ანალიზის შედეგად არის გაკეთებული. ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა ზმნისწინიანი ფორმიდან ამოსვლით არის განხილული. აქედან გამომდინარე, მიღებულია დასკვნა, რომ ახალ ქართულში ზმნისწინისათვის უმთავრესი სიტყვაწარმოებითი დანიშნულებაა, ხოლო ზმნისწინიან ფორმას ყოველთვის არა აქვს შესაბამისი მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო აწმყო. თითქმის ყველა ზმნისწინს ზმნაში შეაქვს თავისი კონკრეტული მნიშვნელობა, ე.ი. ზმნისწინი ყოველთვის უცვლის ზმნას მნიშვნელობას, თუმცა ზოგი ზმნისწინი დაცლილია ყოველგვარი ნიუანსობრივი დატვირთვისაგან, ე.ი. ნეიტრალურია (კვანტალიანი 2001: 27).

ა. შანიძემ პირველმა ახსენა ტერმინი “ნეიტრალური”, მაშინ როდესაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ზოგჯერ ზმნისწინი არ აღნიშნავს მიმართულებას. მეცნიერის აზრით, მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობა დაკარგული აქვს **გა-** და **და-** ზმნისწინებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გ. გოგოლაშვილმაც გამოიყენა ტერმინი “ნეიტრალური ზმნისწინები”. მკვლევარს ზმნისწინი ზმნის ფუძეში არ შეაქვს. მისი განმარტებით: “ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები”. მეცნიერს მიაჩნია, რომ სხვადასხვა ზმნისწინიანი ზმნები სხვადასხვა საუღლებელი ერთეულები არ არის: “თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენი ფუძე გვექნება ერთი და იმავე ზმნური ფუძისაგან წარმოებული, რამდენიც ზმნისწინიანი ვარიანტი გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგალითად: დაწერს, ჩაწერს, მიწერს, მოწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს...” (გოგოლაშვილი 1988: 97).

ა. შანიძის დებულების საფუძველზე ც. კვანტალიანი აღნიშნავს, რომ ყველა ზმნას აქვს ერთი ისეთი ზმნისწინი, რომელიც ზმნის ძირითად შინაარსს ანუ ზოგად სემანტიკას ხსნის. მაგალითად: **წერს – დაწერს, ხატავს – დახატავს, რგავს – დარგავს, ადგენს – დაადგენს, ამოწმებს – დაამოწმებს**. ამ ზმნებში და- ზმნისწინი მხოლოდ მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით არ არის ნეიტრალური. მისი აზრით, მას საერთოდ აქვს ნეიტრალური გაგება. და- ზმნისწინი ნამდვილად არ მიუთითებს რაიმე გარკვეულ მიმართულებას, მაგრამ მიანიშნებს სწორედ ზმნის ძირითად მნიშვნელობაზე.

მკვლევარს მიაჩნია, რომ ნეიტრალურ ზმნისწინიან ზმნას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უზმნისწინო ზმნას აწმყოში: **წერს – დაწერს, ხატავს – დახატავს**. მაგრამ ზმნისწინიანი ზმნა მაინც განსხვავებულია. ასეთი ზმნისწინი ზმნის მოქმედებას ზოგჯერ აზუსტებს, განსაზღვრავს და ამასთანავე მკვეთრად აქვს გამოხატული ასპექტისა და დროის აღნიშვნის უნარი (კვანტალიანი 2001: 28).

ზ. ჭუმბურიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: “ზმნისწინი, შეიძლება ითქვას, აკონკრეტებს, განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესს” (ჭუმბურიძე 1986: 18).

ც. კვანტალიანი ხაზგასმით მიუთითებს, რომ: “ზმნისწინს ყოველთვის აქვს თავისი დანიშნულება. ის უფუნქციოდ არ გაჩენილა და რისთვისაც გაჩნდა, ის დანიშნულება დღესაც აქვს შემორჩენილი. დღეს თუ ზმნისწინი აშკარად ვერ ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას, ან ვერ აჩვენებს მიმართულებას, ასპექტისა და დროის ჩვენების გარდა მას ზმნაში სხვა გაგება მაინც შეაქვს. ეს სწორედ ზმნის მოქმედების, ზმნის ძირითადი მნიშვნელობის დაკონკრეტება, დაზუსტებაა. ფაქტობრივად ეს ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულებაა, ზმნაში მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩენილი” (კვანტალიანი 2001: 29).

ასეთი სიტუაცია ვლინდება **შე-** ზმნისწინიან ფორმებთანაც. მაგალითად:

შე-აქებს (დადებით მხარეს მოწონებით მოიხსენებს, ქებას, ხოტბას შეასხამს. “*ვაჟად გიცნობდი და არც მოვტყუვდი!*” – *შეაქო [კობა] იაგომ – ა. ყაზბგ.*);

შე-აღვეს (მთლიანად მოახმარს, მოანდომებს, შესწირავს (მაღლონეს, ჯანს... ქონებას. [ოთარაანთ ქვრივმა] შვილის მოვლას ხომ ზედ შეაღია თავისი ყმაწვილქალობა _ ილია);

შე-იგულებს (რისამე (ვისიმე) ადგილსამყოფელს დაიმახსოვრებს, დაისწავლის, გუმანით მოინიშნავს, _ დაიგულებს. *არწივს მხოლოდ დასვენება უყვარს ჩემს კალთაზე და აქედან თვალის ჭერა, რომ სადმე მიდამოებში მსხვერპლი შეიგულოს და დაუქროლოს _ ვაჟა*)... მართალია, ამ შემთხვევაში ზმნისწინი აშკარად ვერ ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას და ვერ აჩვენებს მიმართულებას, მაგრამ ასპექტისა და დროის ჩვენების გაგება მაინც შეაქვს ზმნაში.

აზმნისწინთა დამატებითი ახალი ფუნქციების გამოყოფის ცდა ასევე მოცემულია მ. მონასელიძის ნაშრომებში, რომლებშიც იგი ეხება ზმნისწინის საშუალებით ოდნაობითობის კატეგორიის გამოხატვას. მაქცევრების შესახებ მასთან არაფერია ნათქვამი. საინტერესოა მ. მონასელიძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზმნისწინებით ოდნაობის გამოხატვა გარკვეულ, შეზღუდული რაოდენობის ზმნებს შეუძლიათ. მათგან ზოგიერთი თვითონ შეიცავს სიმცირის, ოდნაობის ელფერს. ზმნისწინებით ოდნაობის გამოხატვა ხდება ძირითადად მყოფადისა და ნამყოს მწკრივებში (მონასელიძე 2001: 24). **G**

ზმნისწინი საშუალ ქართულში შესწავლილი აქვს ნ. ფარტენაძეს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე იგი ზმნისწინის ძირითადი ფუნქციების (გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა ანუ დერივაციული ფუნქცია) გარდა გამოყოფს სხვა დამატებით ნიუანსებს, მაგალითად, მოქმედების დაწყებითობას, ზღვრულობას, ოდნაობას, ინტენსიობას, მოჩვენებითობას, უნებლიობასა და სხვ., აღნიშნავს იმასაც, რომ დამატებითი ნიუანსი ყველა ზმნისწინს არ მოეპოვება, შეიძლება მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან-თვისება იყოს (ფარტენაძე 2009: 75).

ზმნისწინის პოლიფუნქციურობა და ზმნის მოდელირების პრობლემა. ზმნისწინის პოლიფუნქციურობა სვამს ამ ფუნქციათა ურთიერთმიმართების საკითხს. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, ზმნისწინის მესამე ფუნქცია – სრული ასპექტის წარმოება – არ გამოირიცხავს პირველ ორს – გეზისა და ორიენტაციის მიუთითებას, არამედ ჩვეულებისამებრ, მასთან ერთად იხმარება, ე.ი. იმავდროულად გამოხატავს როგორც ასპექტს, ისე – მიმართულებას. ახალი ფუნქციის გამოხატვა, მათ შორის, ასპექტისაც, ნ. ლოლაძის აზრით, გარკვეულწილად ამოსავალი ფუნქციის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა. ამავე დროს, თავს იჩენს ზმნისწინთა დიფერენცირების ტენდენცია (მაგალითად, **გა-** და **და-** ზმნისწინთა გადააზრება). ამ ტენდენციების გათვალისწინება აუცილებელია ზმნის მოდელირების პრობლემის გადასაჭრელად (ლოლაძე 1999: 107-108).

ზმნისწინთა განაწილებისათვის ქართულში. როგორც ცნობილია, მორფემათა ერთი ნაწილი მხოლოდ ერთ მნიშვნელობას გამოხატავს, ხოლო მეორე ნაწილი ერთზე მეტ სემანტიკას ითავსებს. ამასთან, გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მორფემების სესხება ერთი ენიდან მეორეში იშვიათად ხდება. იმისთვის, რომ შევძლოთ ამა თუ იმ მორფემის სტრუქტურის აღწერა და მათი მოდელის დადგენა, უნდა მოვახდინოთ ლინგვისტური ანალიზი. მორფემა გამოხატულების ერთეულია, მაგრამ იგი უშუალოდ უკავშირდება მნიშვნელობის პლანს (მანჯგალაძე 1999: 116-117). სხვადასხვა მკვლევარი ზმნისწინთა მიხედვით ზმნათა სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას ახდენს:

ა) ზმნები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ზმნები ან ზმნათა ფორმები, რომელთაც ზმნისწინი სრულებით არ დაერთვის. ასეთებია: **სწამს, უყვარს, სძულს** და სხვა. 2. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაერთონ ან არ დაერთონ. მაგალითად: **ხატვა და და-ხატვა, გრეხა და და-გრეხა**. 3. იშვიათად ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება. მაგალითად: **მი-ვიდა, მო-ვიდა**, მაგრამ ცალკე არა გვაქვს **ვიდა** (შანიძე 1973: 239) და ზმნები, რომელთაც უზმნისწინო პარალელური ფორმები არ ეწარმოება ამა თუ იმ დროში (**მი-ფრინდა, გა-გორდა, გა-ბრაზდა**), ვნებითი გვარის ფორმები მეორე სერიაში (კვაჭაძე 1981: 239).

ბ) ზმნები იყოფა სამ ჯგუფად. კვალიფიკაცია სემანტიკურია: 1. ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ: Aარსებობის, ფიზიკური და ემოციური მდგომარეობისა და ზოგიერთი სხვა სემანტიკის ზმნები; 2. ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება – მოძრაობის ზმნები; 3. ზმნები, რომლებმაც ზმნისწინი შეიძლება დაირთონ ან არ დაირთონ. მესამე ჯგუფში გაერთიანებული ზმნებისა და მათი ზმნისწინიანი ფორმების ქცევა დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე. ზმნები განხვავდებიან ზმნისწინთა შერჩევის თვალსაზრისით. ამასთან, ზმნისწინებს სხვადასხვა ზმნასთან შეიძლება განსხვავებული ფუნქცია ჰქონდეს (ლოლაძე 1999: 161).

ელემენტთა ჯამი არასოდეს არ უდრის ელემენტთა ცალკეულ მნიშვნელობას. სიმრავლის ფარგლებში ელემენტთა შეერთება ხდება, მაგრამ ახალი ერთეული არ არის ტოლი იმ ფუნქციებისა, რაც მათ ცალკე აღებულს ჰქონდა. მაგალითად, მი-, მო- // მიმო-. საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ზმნისწინიანი ფორმა არ უნდა აღნიშნავდეს უძრაობას. როდესაც სტატიკური ზმნა დაირთავს ზმნისწინს, იგი არ ხდება დინამიკური, მაგრამ მოხდება წარმოქმნა. მაგალითად, აკრავს – მი- // მო- // და- // ჩა- (მანჯგალაძე 1999: 116-117).

მ. მანჯგალაძის მიერ მოპოვებული კომპიუტერული მონაცემებით ქეგლ-ში 5056 მოქმედებითი გვარის ზმნური ფორმა დასტურდება. მათგან ზოგი ან საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს, ან მნიშვნელობის გადმოცემა ხდება როგორც ზმნისწინით, ისე მის გარეშეც. ყველაზე აქტიური და პასიური ზმნისწინების ნუსხა ასეთია:

და-	3363	მი-	764
გა-	2496	ამო-	645
მო-	1591	შემო-	597
შე-	1559	წა-	539
ჩა-	1209	ჩამო-	509
ა-	999	გადმო-	285
გადა-	847	წამო-	281
გამო-	845	გან-	149

ად-	73	მიმო-	19
წარ-	32	აღმო-	8
გარდა-	24	უკუ-	8
წარმო-	22	შთა-	8

მაშასადამე, ქეგლ-ის მონაცემებით ქართულში სულ **15313** ზმნა დაირთავს ზმნისწინს (მანჯგალაძე 1999: 7).

როგორც ჩანს, ყველაზე აქტიური ახალი ქართულის ზმნისწინთა შორის არის **და-**, **გა-**. ამავე აზრისაა დი ენ ჰოლისკი (ჰოლისკი 2000: 113); ყველაზე პასიური ზმნისწინია **წამო-**.

მ. მანჯგალაძის აზრით, ზმნისწინთა განაწილებისას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ზმნურ ფუძეს. თუ იგი სახელური წარმომავლობისაა (მაგალითად: **დაასაბუთებს, დაამდაბლებს, დაიზამთრებს, დაიამხანაგებს...**), ზმნისწინთა სრულ ნუსხას არ დაირთავს და არც სემანტიკური ცვლილებები მოხდება (მანჯგალაძე 1996: 115).

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ნასახელარი ზმნები, მართალია, არ დაირთავს ყველა ზმნისწინს, მაგრამ ზოგიერთი ზმნისწინის დართვის შესაძლებლობის დონეზე არ უნდა გამოირიცხოს მოსალოდნელი სემანტიკური ცვლილებები. ამას მოწმობს მაგალითები:

და-იზამთრებს (ზამთარს გაატარებს (სადმე). *ნინო... მივიდა სომხეთის ჩრდილოეთ საზღვარზე და იქ დაიზამთრა* – ი. გოგებ.) (ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. 1988: 79);

გამო-იზამთრებს (ზამთარს გაატარებს, ზამთარს გამოივლის (პირუტყვი, მცენარე). *პირუტყვმა ზამთარი გამოიზამთრა*) (იქვე, 79);

შე-ზამთარდება (ზამთარი მოახლოვდება, ზამთრის პირი დადგება) (იქვე).

როგორც მ. მანჯგალაძე მიიჩნევს, ზმნისწინების არჩევანი ნებისმიერი არ არის. ზმნა მას გარკვეული ნიუანსის ხაზგასასმელად იყენებს ან არ იყენებს, ანდა მისი საშუალებით აწარმოებს ლექსიკურად სრულიად განსხვავებულ, ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს (მანჯგალაძე 1999: 18).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანია ზმნისწინის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზმნისწინები, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარია შინაარსობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ ბოლომდე “გახსნილი” გრამატიკული მორფემა არ არის. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი დღესაც ბევრი სპეციალისტის ყურადღების ცენტრშია.

I თავი. შე- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ სალიტერატურო ქართულში

სხვა ზმნისწინთა შორის ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია შე- ზმნისწინი. იგი ცნობილი ფუნქციების გარდა გამოხატავს ქვევიდან ზევით მიმართულ მოქმედებას, აგრეთვე, მოქმედების ოდნაობას, სიცოტავს...

ჩვენ შევეხებით დამატებით სემანტიკურ ნიუანსებს, რაც ზმნურ ფორმაში შეაქვს არა მარტო შე- ზმნისწინს, არამედ სხვა მორფემასაც, მათ შორის: პირის ნიშნებსა (ჰ-/ს-) და განსაკუთრებით მაქცევრებს.

ზმნისწინის ერთ-ერთ დანიშნულებად სუბიექტის ფუნქციურ-აქტანტური სპეციფიკაციის დასახვა ვრცელდება შე- ზმნისწინზედაც, ერთი გამონაკლისით: მედიაოპტიკებთან და პოტენციალისთან შე- მყოფად ვერ აწარმოებს (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 428).

როგორც აღინიშნა, დღეს აუცილებელია შეიქმნას ზმნისწინისა და ზმნის ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელი, რომელიც ეკონომიურად და შესაძლებელი სიზუსტით ასახავს ქველ-ში განმარტებულ ყველა ზმნისწინიან ზმნას მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე. დინამიკური მოდელირება გულისხმობს ზმნისა და მისი მატრიცული გარემოცვის წარმოქმნის მექანიზმის აღმოჩენასაც. რამდენადაც ზმნის წარმომქმნელი მოდელირება მოქმედებს არა მარტო მორფოლოგიის ფარგლებში, არამედ იმავდროულად გულისხმობს სინტაქსური მატრიცული გარემოცვის გენერირებასაც, შემოგვაქვს ენის მორფოსინტაქსური დონე. მოცემული სქემების კომპონენტები წარმოდგენილია შემდეგი სიმბოლოებით: ძირი – **R**; ძირის სავრცობი – **y**; მაქცევრები – **x**; თემის ნიშნები – **z**; ზმნისწინები – **u**; სუფიქსი – **d**, პირველადი მოდელირების საფეხურზე წარმოქმნის ნაბიჯები ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით: **u+x+R+y+z**.

სემანტიკური ველის თეორიის ფარგლებში (მ. მაჭავარიანი) ჩატარებული შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ნაშრომში შემოტანილია ველის კოორდინატები როგორც შე- ზმნისწინისათვის, ისე შე-სთან სინთეზირებული ზმნების ყველა ფუძისათვის.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ზმნისწინისა და ზმნის ფუძის სინთეზური მორფოსინტაქსური წარმოქმნა, საჭიროა, გამოიყოს სემანტიკური ველები ზმნისწინებთან შერწყმულ ზმნათა ფუძეებისთვისაც.

1.1. შე- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები

შევეხებით ზმნათა ფუძეების შემცველ 11 სემანტიკურ ველს, რომლებიც მოიცავს ქველ-ში ამ ფორმანტით წარმოდგენილ თითქმის ყველა ზმნას. ფუძეთა ყოველ **ველს**

მიეწერება ერთი ზოგადი წყარო, მნიშვნელობა და შემდეგ მისი განფენა – კონკრეტული ლექსიკური დონის მნიშვნელობები საქცევების მიხედვით. შინაარსობრივი ლექსიკური საქცევების საყრდენ სიტყვებად გამოყენებულია ქეგლ-ის კონკრეტული საყრდენი სიტყვები და თანდართული სტანდარტული გამონათქვამები. არც ერთი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია არ არის სუბიექტური, არ ეყრდნობა საკუთარ ინტუიციას, ყოველი მათგანი ამოღებულია ქეგლ-ის სტანდარტული განმარტებებიდან და შემოწმებულია შესაბამისი ილუსტრაციებით.

ჯერ განვიხილოთ ჩვენ მიერ დადგენილი თვითონ შე-ს პარადიგმატული ორი დიფერენციალური მნიშვნელობა, რომელიც, ჩვენი აზრით, განარჩევს მას სხვა ზმნისწინებისაგან: ა) პროქსიმალობის სპეციფიკაცია: მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის მიჯნასთან სიახლოვე, ახლომყოფობა, მიჯრა; ბ) შინაარსობრივი სპეციფიკაცია: ნაწილის მთელთან მიმართება, პარტიტიულობა (ოდნაობა). ეს ორი ნიშანი ამა თუ იმ სახით იგულისხმება სინთეზირებულ ზმნათა ყველა მნიშვნელობაში, რამაც განაპირობა ჩვენი არჩევანი.

პირველი სემანტიკური ველი: საყრდენი ზოგადი მნიშვნელობა: პარტიტიულობისადმი (ოდნაობისადმი) დაქვემდებარება.

როგორც ზმნისწინთა ამ სემანტიკური ნიუანსის შესახებ აღნიშნავს მ. მონასელიძე, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ ზმნის ესა თუ ის ფორმა გადმოსცემს ოდნაობას, რომელთა განმარტება გაფორმებულია ზმნიზედებით: ოდნავ; ცოტა; ცოტათი; ცოტაოდენი; მცირე; ოდნავ, მცირედ; ოდნავ, ცოტა; ოდნავ, ცოტათი; მცირედ, ოდნავ; ნელ-ნელა; რამდენადმე; სახელდახელოდ; აქა-იქ, ზოგან; ზერელედ; ზედაპირულად; ნაწილობრივ; თხლად; თანდათანობით; ძლივ-ძლივობით; ძლივს... ცალკე აღებულ სიტყვას უმეტესად მკვეთრად გამოკვეთილი, სტილისტიკურად ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ სამეტყველო სიტუაციაში ვლინდება მისი ფაკულტატიური ფუნქცია. ამიტომაცაა, რომ ლექსიკონში იშვიათად არის მითითებული ოდნაობა, როგორც ცალკე არსებული ფუნქცია (მონასელიძე 2001: 11-12).

აღნიშნული სემანტიკური ველის ფარგლებში გამოიყოფა შვიდი საქცევი:

I ლექსიკური საყრდენი საქცევი “ოდნავ”:

შე-აღელვებს (ღელვით შეარხევს; ოდნავ ააღელვებს, _ შეატოკებს. *დდილის ნიავმა დაჰქროლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა* _ ა. ყაზბ.);

შე-ბინდდება (ოდნავ დაბინდდება, _ მოსაღამოვდება. *როცა კარგად შებინდდა... ნაბდოსანი წამოდგა* _ ს. მგალობ);

შე-თენდება (ოდნავ გათენდება, _ ინათებს, ირიჟრაჟებს. *შეთენდა.., თბილისს კაშკაშით შეეფრქვა ოქროს დიელო* _ გ. ლეონ.);

შე-ტკბება (1. ოდნავ დატკბება. 2. გადატ. იგივეა, რაც მოღბება. *ცოტა შეტკბა ბატონი, თუმცა გული მისი ბოროტებისაგან გაწმენდილი არ იყო* _ ს. მგალობ.);

შე-ღვინიანდება (შეაღვინიანებს ზმნისა; ოდნავ დაათრობს, შეათრობს, შეაზარხოშებს. *სტუმრები შეღვინიანდნენ; დიდი ჯიხვის ყანწები ჩამოატარეს* _ გ. წერეთ.)...

საქცევთან “ოდნავ” არის დაკავშირებული სიცოტავე-სიმცირის სემანტიკა, ამიტომ ქეგლ-ის განმარტებებში ეს სინონიმური ცალები ზოჯერ ერთდროულად არის მოცემული. მაგალითები:

ოდნავ, მცირედ:

შე-ითბობს (შეათბობს თავისას ან თავისთვის, _ ოდნავ, მცირედ გაითბობს. *საჭმელი შეითბო*);

შე-იხრება (ოდნავ, მცირედ მოიღუნება, მოიხრება. *არც ერთი კუნთი არ შეხრილა [მორდსტონის] სახეზე* _ ქ. ბაგრ. თარგმ.);

შე-მოკლდება (1. მცირედ, ოდნავ დამოკლდება. 2. გადატ. შემცირდება, შეიკვეცება; დაცოტავდება. *მომესმა ტუსალების ნაღვლიანი... სიმღერა: “იტირე, გულო, დღენი შენი შემოკლებულა”* _ ჭ. ლომთ.)...

ოდნავ, ცოტათი, ცოტა:

შე-ამღვრევს (ოდნავ მღვრიეს გახდის, ცოტათი აამღვრევს. *ბაქტერიებმა ღვინო შეამღვრიეს*);

შე-ამცივნებს (ოდნავ, ცოტათი შეაცივებს. *ისევ ხომ არ შეგამცივნა ერისთავთ-ერისთავო* – ვ. გამს.);

შე-აჭკნობს (ცოტა, ოდნავ დააჭკნობს. *მზემ შეაჭკნო ფოთოლი*);

შე-ძველდება (ოდნავ, ცოტათი დაძველდება, _ მოძველდება)... (36 ერთეული).

ი. ვეშაპიძეს მიაჩნია, რომ მოქმედების სიმცირის, _ სიცოტავის ანუ ოდნაობის ჩვენება *შე-* ზმნისწინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ახალ ქართულში. ისეთი ზმნების სიუხვე, რომლებშიც *შე-* ზმნისწინს ოდნაობის გაგება შეაქვს, იმაზე მეტყველებს, რომ ძველ ქართულში *შე-* ზმნისწინიან ფორმებს ეს მნიშვნელობა საკმაოდ განვითარებული ჰქონდა (ვეშაპიძე 1967: 214).

შე- ზმნისწინი აღნიშნავს აგრეთვე მოქმედების ოდნაობას, სიცოტავეს: *შე-ანელებს, შე-აჩერებს, შე-არბილებს, შე-ათეთრებს...* (შანიძე 1980: 258; მარტიროსოვი 1953: 88; ვეშაპიძე 1967: 213);

II საქცევი “ცოტა, ცოტათი”: მ. მონასელიძე სხვადასხვა ზმნისართების განმარტებებით გაფორმებულ ზმნისწინიან ფორმებზე მსჯელობისას ეხება ამ საქცევსაც. ჩვენ დავასახელებთ ამ საქცევთან დაკავშირებულ მაგალითებს:

შე-თბება (ცოტათი გათბება. *მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი* – ა. ყაზბ.);

შე-მწვანდება (ცოტათი გამწვანდება. *გატყდა ზამთარი.., შემწვანდა ტყე, მინდორი* – ვ. ბარნ.);

შე-მწიფდება (ცოტათი დამწიფდება, სიმწიფეში შევა; შეთვალდება. *ლეღვი შემწიფდა*);

შე-წითლდება (ცოტათი გაწითლდება, აწითლდება, შეფაკლდება // აიტკრიცება, დაიბრაწება. *ფქვილი მოაყარეთ, რომ... შეწითლდეს – ეყოფა შეწვა* – ბ. ჯორჯ.)... (39 ერთ.);

III საქცევი “მცირედ, აქა-იქ, ალაგ-ალაგ, ზოგან”:

მ მ ც ი რ ე დ:

შე-აყვითლებს (მცირედ გააყვითლებს, მოყვითალო ფერს დასდებს. *გათეთრებული წვერი ხანსა და დროს რაოდენადმე შეეყვითლებინა* – ა. ყაზბ.);

შე-სივდება (მცირედ გასივდება. *აბა ის (=ავადმყოფი) ხომ არას იტყოდა, მეტადრე იმ დროს, როცა [უჭმელობით] შესივდებოდა* – ა. ხახუტ.);

შე-თელავს (მცირედ მოთელავს)...

მოცემული საქცევის ფარგლებში სხვადასხვა ზმნისართის საშუალებით არის გამოხატული ლოკალური სიმცირე: ა) *აქა-იქ: შებანდავს* (სახელდახელოდ შეკრავს, შეახვევს, შეკოჭავს || *აქა-იქ ბანდს გაუყრის*, – გახლართავს); *შეაჭრელებს* (*აქა-იქ, ოდნავ ააჭრელებს*); *შემეჩხრდება* (*აქა-იქ გამეჩხრდება*)... ბ) *ალაგ-ალაგ: შეჭროლდება* (კუთხ. (ფშ.) *ალაგ-ალაგ დადნება* (თოვლი)); გ) *ზოგან: შეატყავებს* (*ზოგან ტყავს შეაცლის*)... (15 ერთ.);

IV საქცევი “მცირე, ცოტა/რალაც ხნით”:

შე-იგვიანებს (ცოტა დაიგვიანებს, შეყოვნდება. *ოქროპირმა ცოტა შეიგვიანა და მატარებელმა გამოასწრო* – რ. გვეტ.);

შე-ყოვნდება (მცირე ხნით დაყოვნდება, – შეჩერდება, შედგება); შეწყვეტს (აღარ განაგრძობს, – შეაჩერებს; გაათავებს, დაასრულებს, გაწყვეტს. *ქალი შინ რამდენიმე წუთი შეყოვნდა. ტანთსაცმელი გადაიცვა* – ბ. ჩხ.);

შე-ჩერდება (ცოტა ხნით გაჩერდება, მოძრაობას შეწყვეტს, – შედგება, შეყოვნდება. || გადატ. ბარბარ. დაწვრილებით, გამოწვლილვით იტყვის (ვინმეზე, რამეზე). *ნავთლულის სადგურზე კახეთის მატარებელი შეჩერდა* – ს. შანშ.);

შეითამაშებს (ცოტახანს ითამაშებს, გაითამაშებს, წაითამაშებს)... (10 ერთ.);

V საქცევი “ნელა, ნელ-ნელა, თანდათანობით”: ეს საქცევი შემჩნეული აქვს ც. კვანტალიანს. იგი შე- ზმნისწინის ერთ-ერთ დამატებით ფუნქციაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მისთვის დამახასიათებელია ნელ-ნელა, თანდათანობით მოქმედების ჩვენებაც. ამის მაგალითია *შეასრულებს, შეათავებს* ზმნები, რომლებშიც ჩანს, რომ მოქმედება იწყება, ნელ-ნელა ვითარდება, ფართოვდება და ისე მიდის ბოლოსკენ, ისე იშლება სივრცეში (კვანტალიანი 2001: 93). დავასახელებთ ჩვენს მაგალითებს:

შე-არხევს (ნელა, რხევით აამოძრავებს, შეანძრევს. *რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს* – ნ. ბარათ.);

შე-ჟონავს (ნელ-ნელა შევა, შეეძინება (სითხე). *ვოლგამ შეჟონა ქვაბულში* – «ახალგ. კომუნ.»)...

შე-მუშავდება (შეიმუშავებენ; თანდათანობით ჩამოყალიბდება, შეიქმნება, დამუშავდება. *თანდათან შემუშავდა მტრის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანიც* – საქ. ისტ.)... (4 ერთ.).

VI საქცევი “ნაწილობრივ”: როგორც ზემოთ აღინიშნა, ზმნისწინის ამ დამატებითი სემანტიკური ნიუანსის შესახებ მოსაზრებები რამდენიმე მაგალითით მოცემულია მ. მონასელიძის ნაშრომებში. ჩვენ წარმოვადგენთ შედარებით სრულყოფილ საილუსტრაციო მასალას:

შე-არღვევს (1. ოდნავ, ნაწილობრივ გაარღვევს (ნაკერს...). 2. შეანგრევს, შეამტვრევს, შეამსხვრევს, გაარღვევს. 3. გადატ. რამეში (ჰაერში, წყალში, ხალხში...). *ფიგურ. კარგმა თაობამ შეარღვია ზღუდე უმეცრებისა* – ილია);

შე-ასველებს (ნაწილობრივ, ოდნავ დაასველებს. *ჭირის ოფლმა [მახარე] მთლად შეასველა* – შ. არგვ.)... – აქ ქველ-ის განმარტების შესაბამისი მაგალითი არ არის დასახელებული (5 ერთ.).

VII საქცევი “სახელდახელოდ, ზერელებდ, ძლივს, თითქმის”:

ს ა ხ ე ლ დ ა ხ ე ლ ო დ: *შელესავს* (1. ბათქაშსა და მისთ. წაუსვამს, – გალესავს (კედელს, ჭერს...). 2. სახელდახელოდ გალესავს, პირს აუწყობს. *გაგრილდებიან ჩრდილში (ბიჭები), ნამგლებს შელესავენ და ახალ სვეს გაჭრიან* – მიხ. მმრევლ.).

ზ ე რ ე ლ ე დ: *შეზარავს* (ზერელებდ დაზარავს, ბარით აოშავს. *ჩაის 149 ჰექტარი პლანტაცია შევზარეთ*).

ძ ლ ი ვ ს, ძ ლ ი ვ-ძ ლ ი ვ ო ბ ი თ: *შეპოტინდება* (ძლივს ავა; აბობლდება, აცოცდება. *საათი მაღლა იყო ჩამოკიდებული, სკამი სკამზე დავდგი და ასე ვაპირებდი მიპარვას, შევპოტინდი* – აკაკი); *შეატევს* (ძლივ-ძლივობით შედებს, შეიტანს, მოათავსებს რამეში, – დაატევს).

თ ი თ ქ მ ი ს: *შეანახევრებს* (თითქმის გაანახევრებს; ნახევრამდე დაიყვანს); *შემთავრდება* (შეთავდება, დამთავრდება. *რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა* – ილია)... (8 ერთ.).

ამ ველისთვის დამახასიათებელია *შე-* ზმნისწინის პარადიგმატული მნიშვნელობებისა და ზმნის ფუძეების შინაარსობრივი შესაძლებლობების სრული დამთხვევა. ამიტომ თვითონ ველის ზოგადი მნიშვნელობა, როგორც ზმნისწინში, ისე ფუძეთა ველში დაემთხვა ერთმანეთს. ამდენად, ეს ველი ყველაზე მრავალრიცხოვანი და უპრობლემა (სულ 117 ერთ.).

მეორე სემანტიკური ველი: “სიმძლავრე-სიძლიერის გამოხატვა”. ამ სემანტიკური ველის ფარგლებში გამოიყოფა ორი საქცევი:

I საქცევი “ძალიან, ძლიერ, მძლავრად, მაგრად, სწრაფად”:

შე-აძაგდაგებს (ძლიერ ააკანკალებს, – ააცახცახებს, ააძაგდაგებს. *იუდა შეაძაგდაგა ამ ხმამ, ყური წაეგდო* – ს. მგალობ.);

შე-აძრწუნებს (ძლიერ შეაშინებს, თავზარს დასცემს; შეაშფოთებს, ააფორიაქებს. *ყველა შეუშინებია და შეუძრწუნებია ზამთრის სუსხსა* – თ. რაზიკ.);

შე-აჯანჯღარებს (მძლავრად შეანძრევს, შეანჯღრევს, – შეაჭანჭყარებს. *გამწარებულმა დედაკაცმა შეანძრია... [მძინარე კაცი], შეაჯანჯღარა* – ვ. ბარნ.)... (10 ერთ.).

II საქცევი “უფრო”:

შე-ამსუბუქებს (1. უფრო მსუბუქს გახდის, სიმძიმეს მოაკლებს, – გაამსუბუქებს, გაამჩატებს. 2. გადატ. შვებას მისცემს, – მოუფონებს. || იოლს გახდის, – გააადვილებს); *შეამოკლებს* (უფრო მოკლეს გახდის, სიგრძეს მოუკლებს, – დაამოკლებს. || შეკვეცავს, შეამცირებს (ამზავს, თხრობას...)). *ყოველგვარ მწუხარებას ცრემლები უფრო შეამსუბუქებს ხოლმე* – ა. ყაზბ.);

შე-მცირდება (უფრო მცირე გახდება, – დაცოტავდება, შეცოტავდება. || შემოკლდება, შეიკვეცება. *ფრინველები შეცოტავდნენ, სანადირო შემცირდა* – ვაჟა);

შე-მძიმდება (1. სიმძიმე მოემატება, – უფრო დამძიმდება. 2. გადატ. მძიმედ გახდება (ავად), – შეწუხდება. 3. შენელება. *კატას ცნობა მოუვიდა, თავკთა მეფე შემძიმდაო* – რ. ერისთ.)... (4 ერთ.).

მ. მონასელიძის დაკვირვებით, **შე-** ზმნისწინის თავისებურება შეინიშნება რამდენიმე ზმნის (**შეამძიმებს, შეამცირებს...**) განმარტებაში: თავდაპირველად ლაპარაკია მოქმედების გაძლიერებაზე, პარალელურად – შემცირებაზე. მას მიაჩნია, რომ აქ ინტენსიობა-ოდნაობითობა ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული (მონასელიძე 2001: 24).

მესამე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “ზედაპირის მიმართ განხორციელებული მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა”.მაქ გამოიყოფა სამი საქცევი:

I საქცევი “ზედ/ზედაპირზე”:

შე-აფრინდება (ფრენით შევა (რაიმეზე), ზედ დააფრინდება. *მამალი... ლელენდერას მხარზე შეაფრინდებოდა* – რ. გვეტ.);

შე-აცლის (ზედაპირზე (მცირე) ნაწილს მოაშორებს, მოაგლეჯს, შეათლის, მოაცლის. *გოგონამ... [ბალახს] ფოთლები, უხეში ძირი და წვეროვინა შეაცილა, ქორფა ღერი გემრიელად შეახრამუნა* – საქ. ლიტ.) ამ შემთხვევაში, ალბათ, **შე-** გამოხატავს სიმცირეს, ხოლო ა- მაქცევარი – ზედაპირზე განხორციელებულ მოქმედებას;

შე-აჭრის (მოსჭრის რამეზე, – შესჭრის. *[ბავშვებმა] ბარტყს ფრთები და ბოლო შეაჭრეს* – თ. რაზიკ.)... (37 ერთ.).

როგორც ი. ვეშაპიძე მიუთითებს, ქართულ ენაში მოიპოვება ისეთი **შე-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც სულაც არ გვაგრძნობინებენ რისამე შიგნით მოქცევას, ხოლო კარგად გვაგრძნობინებენ ზედაპირზე შეხებას. ასეთია, მაგალითად, **შეხება** ზმნა, რომელიც თავისი ძირეული შინაარსითაც შეხებას, მიხებას გამოხატავს. გარედან შიგნით მიმართულება გარკვეულ მომენტში ზედაპირზე შეხებასაც გულისხმობს. მეცნიერი ამ აზრის დასადასტურებლად იყენებს **შეანგრია** ფორმას, რომელზედაც ამბობს, რომ სუბიექტი სამოქმედო საგანს ჯერ ზედაპირზე შეეხო და შემდეგ იგი შიგნითა მიმართულებით დაანგრია ანუ შეანგრია (ვეშაპიძე 1967: 210).

II საქცევი “ზედ – ქვემოდან ზემოთ”:

შე-ებჯინება (ქვემოდან, საბჯენად, საყრდენად შეედგმება. *მომეხმარე, კენჭებზე ვერ დავდივარ... დაფინო [მაიას] შეებჯინა* – ლ. ქიაჩ.);

შე-მწკრივდება (მწკრივად განლაგდება (ქვევიდან ზევით); მწკრივად შეეფინება. *შემწკრივდა მთაზე ლაშქარი* – ვაჟა);

შე-უშვერს (ქვემოდან მიუშვერს, გაუწვდის, მიუწვდის, – მიუქცევს. *ქვა ააგდო (შეაგდო) და თავი შეუშვირა, თავისი გადაწყვეტილება, ნათქვამი არ დათმო, აღარ გადათქვა, დაიჟინა, გაკერპდა, გაჯიუტდა. *წამოვვარდი ზეზე, შევუშვირე თავი ღარს და წვიმის წყლით დავიბანე თავ-პირი* – აკაკი)... (12 ერთ.).

ძველ ქართულში და შემდეგაც შე- ზმნისწინი ძირითადად გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს ჰორიზონტული მოძრაობის პირობებში. ეს არის მისი მთავარი ფუნქცია ძველ ქართულში და ახალშიც. ქვევიდან ზევით მიმართულების აღნიშვნა მიჩნეულია მის მეორეულ, შენაძენ და არა ძირითად ფუნქციად: *შე-ტყორცნის, შე-აგდებს, შე-ასხამს* (მარტიროსოვი 1953: 89; ვეშაპიძე 1967: 209; შანიძე 1980: 258).

ც. კვანტალიანის აზრით, ზოგჯერ სივრცეში მოქმედება გარკვეულ სიმაღლესაც გულისხმობს, მაგალითად: *შეუდგა აღმართს, შედგა სკამზე*, მაგრამ *შედგა ბერად*. ეს კი ნიშნავს, რომ ბერად გახდომის პროცესი, მართალია, შედგა, შესრულდა, მაგრამ არ დასრულებულა. აქ ერთჯერადი მოქმედება კი არ იგულისხმება, არამედ ისეთი, რომელიც ისევ გაგრძელდება (რაც ბუნებრივია, რადგან ბერი გახდა და ბერობის პროცესი გაგრძელდება). შე- ზმნისწინს ზმნაში მოქმედების დაწყებისა და გრძლივობის, ხანგრძლივობის მნიშვნელობა შეაქვს (კვანტალიანი 2003: 41).

III საქცევი “გარშემო, ირგვლივ, მთლიანად”:

შე- ზმნისწინის მეშვეობით გარშემო მოქმედების შინაარსის გადმოცემასთან დაკავშირებით მიუთითებენ დ. ჩუბინაშვილი, არ. მარტიროსოვი, რომელთაც დასახელებული აქვთ ზმნები: *შე-ახვევს, შე-გოზავს, შე-ფუთნის, შე-ირტყამს...* (ჩუბინაშვილი 1855: 74; მარტიროსოვი 1953: 88-89); ამ ფუნქციის შესახებ საუბრობს ი. ვეშაპიძეც. იგი ასახელებს ისეთ ფორმებს, როგორიცაა: *შერთყმა, შეგოზება, შებრატნა...* (ვეშაპიძე 1967: 197, 212-213). დავასახელებთ ჩვენს მაგალითებს:

შეიმოსება (1. სამოსელს, ტანსაცმელს ჩაიცვამს. 2. გადატ. დაიფარება (ფოთლით, ფიფქით...)). *[მახარე] ჩქარა შეიმოსა... ჩაიცვა თუ არა ტანისამოსი, მაშინვე გვირახის ბილიკის ძეხნას შეუდგა* – შ. არაგვ.);

შე-იფოთლება (ფოთლებს გამოიღებს, გამოისხამს; ფოთლით შეიმოსება, – გაიფოთლება. *კუნძები მწვანედ შეფოთლილიყვნენ* – ს. კლდ.);

შე-ნისლავს (ნისლით შებურავს, – დანისლავს. *მთაწმინდა ბინდმა შენისლა* – გ. ლეონ.)... (34 ერთ.).

მოცემულ ველში ხდება სინთეზი შე-ს მნიშვნელობებისა და ზედაპირის მიმართ სამი ლექსიკური საქცევისა, ე.ი. შინაარსობრივი ფორმულა შეიცავს სამ დიფერენციალურ ნიშანს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (სულ 83 ერთ.).

შე- ზმნისწინით ყველა ამ ზმნაში სივრცეში განფენილი მოქმედება გადმოიცემა. ოდნაობა, ნელ-ნელა, თანდათანობით მიმდინარე პროცესი, სიმაღლეზე მოქმედება, ირგვლივ გარშემო მიმართული მოქმედება თუ სივრცეში განფენილობა ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთის მონათესავე, ერთმანეთში გადახლართული მნიშვნელობებია. საბოლოოდ, ყველა ერთია – სივრცეში განფენილობა და ამ განფენილობაში მოქმედების პროცესის დაწყებაც ივარაუდება (კვანტალიანი 2003: 42)

მეოთხე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “შემთხვევითობა და მოულოდნელობა”.

შე- ზმნისწინის ამ სემანტიკურ ნიუანსზე ყურადღება გამახვილებული აქვს ც. კვანტალიანს. მისი შეხედულებით, **შეასწრებს, შეისწრებს, შეამთხვევს** ზმნებში იგულისხმება გაუთვალისწინებელი შემთხვევა, ფათერაკი. ამ ტიპის ზმნებთან დაკავშირებით მკვლევარი ასკვნის, რომ ეს არის სივრცეში მოქმედება, სივრცეში მოქმედების განფენილობა (კვანტალიანი 2001: 91). დავასახელებთ შემთხვევითობა-მოულოდნელობის სემანტიკის გამომხატველ სხვა ზმნებს:

შე-ამთხვევს (რასმე (უსიამოვნოს) დამართებს, გადაჰკიდებს, შეჰყრის. *მოშორდი, ნუ შემამთხვევ ცოდვას* – ილია);

შე-ემთხვევა (1. დაემართება (მარცხი, ხიფათი...), თავს დაატყდება, _ შეეყრება, შეხვდება. 2. მოუხდება, მოუწევს. *რაც ის ხიფათი შეემთხვა [პეტრეს], ხელი აიღო მეურმეობაზე _ ილია*);

შე-ისწრებს (მოულოდნელად მიუსწრებს, წააწყდება, თავს წაადგება (დამნაშავეს). *მეპატრონეები... მუდამ მთაში ყრიან; ვისაც შეისწრებენ, ყველას გლეჯენ, ჩვენ კაცებსაც აწიოკებენ _ გ. წერეთ.*)... (სულ 4 ერთ.).

მეხუთე სემანტიკური ველი: “დაწყებითობა (ინხოატივი) ანუ მოქმედება-პროცესის ფაზის პარტიტიულობა”. მოქმედების საწყისობას ინხოატივს უწოდებს ბ. ჯორბენაძე და მას მოქმედების სრული სახის ერთ-ერთ სემანტიკურ მახასიათებლად მიიჩნევს (ჯორბენაძე 1987: 106-117). დავასახელებთ მაგალითებს:

შე-აწრიალებს (წრიალს დააწყებინებს, _ შეაშფოთებს, ააფორიაქებს, ააწრიალებს. *შეაწრიალეს მტრის ბანაკები _ ი. იბაშ.*);

შე-აკაშკაშებს (კაშკაშს დააწყებინებს, _ ააპრიალებს, გააბრწყინებს, გააკაშკაშებს);

შე-აჟრიალებს (იგივეა, რაც შეაჟრუოლებს _ ჟრუოლას დააწყებინებს, ჟრუოლას მოჰგვრის, _ გააჟრუოლებს, აათრთოლებს);

შე-აჟღერებს (ჟღერას დააწყებინებს, _ ააჟღერებს);

შე-აღრჭიალებს (ღრჭიალს დააწყებინებს, _ დააღრჭიალებს (კბილებს));

შე-აჩოჩოლებს (ჩოჩოლს გამოიწვევს, _ შეაშფოთებს, აახმაურებს, ააჩოჩოლებს);

შე-აძაგებს (სიძულვილს, ზიზღს აღუძრავს, _ შეაჯავრებს, შეაზიზღებს, შეაძულებს) (სულ 36 ერთ.);

შე- ზმნისწინი ამ შემთხვევაში აგრეთვე აღნიშნავს მოქმედების დაწყებისა და გრძლივობის, ხანგრძლივობის სემანტიკას. შესიტყვებებში: *შეუდგა აღმართს, შეუდგა მუშაობას, შედგა ბერად* _ იგულისხმება როგორც შეუდგა ბერობას, დაიწყო ბერობა, ისე რაღაც დონით სიმაღლეც, სიმაღლისკენ სწრაფვაც, რადგან ბერული მოღვაწეობა სულიერ მოღვაწეობას, სულიერ სიმაღლესაც გულისხმობს (კვანტალიანი 2001: 95).

ქეგლ-ის საფუძველზე ზმნებში დაწყებითობის მნიშვნელობა დანახული აქვს აგრეთვე მ. მონასელიძესაც, რომელიც აღნიშნავს, რომ განმარტებებში მოშველიებულია დაიწყებს ზმნაც, გახაზულია პროცესის დაწყების ელფერი (მონასელიძე 2001: 12).

მეექვსე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “საურთიერთო (რესიპროკი)”. Lლექსიკური საქცევი: “ურთიერთ”. M

შე- ზმნისწინი ხშირად მიუთითებს ერთმანეთისაკენ მიმართულ მოქმედებაზე: შეაერთებს, შეურევს, შეატაკებს, შეაჯიბრებს, შეაბრძოლებს, შეაყვარებს... ც. კვანტალიანის აზრით, აქ ყველა შემთხვევაში ივარაუდება ერთმანეთში მოქმედების გარევა, მათ შუა, მათ შიგნით სივრცეში მიმდინარე მოქმედებები. ზმნური ფუძის სემანტიკის მიხედვით თითქოს ზმნისწინი სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. აქ ყველგან ზმნისწინი ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ ზმნური ფუძეების სემანტიკა ხან ერთმანეთისაკენ არის მიმართული, ხან კი – ერთმანეთს დაპირისპირებული, რაც ასახულია უზმნისწინო ფორმებში: აერთებს, ურევს, ატაკებს, აჯიბრებს, აბრძოლებს. აქ კარგად ჩანს შე- ზმნისწინის კავშირი -ში თანდებულთან. თითქმის ყველა ზმნასთან სახელი -ში თანდებულიან ბრუნვაში ივარაუდება: შეურია ერთმანეთში, ერთმანეთში მოახდინა შეჯახება და ა. შ.

საინტერესოა, აგრეთვე, შე- ზმნისწინიანი სხვა ზმნები: შეთხზავს, შეკერავს, შეაყვარებს, შეარიგებს, შეაწებებს, შეადუღებს და ა. შ. ისინი ისეთ მოქმედებას გულისხმობენ, როდესაც საგნის, ობიექტის ირგვლივ გარკვეული სივრცე მოიაზრება და მოქმედება ამ სივრცეში, შიგნით მიმდინარეობს. ეს ფაქტობრივად ერთი მნიშვნელობაა, მაგრამ განსხვავებულ ზმნურ ფუძეში არის რეალიზებული. ამიტომ გადმოიცემა ამ ზმნების მნიშვნელობები ერთი და იმავე შე- ზმნისწინით (კვანტალიანი 2003: 38-39).

ი. ვეშაპიძე შე- ზმნისწინის ერთ-ერთ დამატებით ფუნქციად მიიჩნევს ურთიერთდაპირისპირების, მოძრაობის მიმართულების აღნიშვნას. მეცნიერის აზრით, ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ობიექტი ერთმანეთს უახლოვდება ურთიერთშეხებამდე (ვეშაპიძე 1967: 213).

შ. აფრიდონიძე მიუთითებს, რომ ურთიერთობის შინაარსი ქართულში სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა: ზმნებში – ობიექტური პირის ნიშნებით, ვნებითი ე-პრეფიქსით, სასხვისო ქცევის ი-/უ- და საზედაოს ა-პრეფიქსით... მაგრამ გრამატიკული საშუალების გარდა ან მათთან ერთად, სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ზმნებში ურთიერთობის სემანტიკასაც (აფრიდონიძე 1985: 5).

მოცემულ სემანტიკურ ველს ასახავს მაგალითები:

შე-აბერებს (ვინმესთან ერთად სიბერეს მიაღწევინებს, დააბერებს (ღმერთი). *შეგაბეროთ, შეგაბეროთ!* – დაიგრილა ხალხმა – ეკ. გაბ.);

შე-ამეგობრებს (იგივეა, რაც დაამეგობრებს – ერთმანეთის მეგობრად გახდის);

შე-ამხანაგდება (ჩვეულებრივ მრავლობითში: შეამხანაგდებიან, ამხანაგები გახდებიან; საერთო საქმეს მოეციდებიან. *ან მაღამ საღისთან შევამხანაგდე, ან თავს მოვიკლავ* – გ. წერეთ.);

შე-უპირისპირებს (ერთმანეთს შეუდარებს, რომ განსხვავებული ნიშან-თვისებანი გამოავლინოს, – დაუპირისპირებს)... (სულ 25 ერთ.).

ააქ მოცემულია მხოლოდ ის ფუძეები, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ რესიპროკს, თორემ ყველა მრავალპირიანი ზმნა მრავლობით რიცხვში “ურთიერთ” ზმნიზედის დამატებით ამ კლასში შემოვიდოდა და წაშლიდა ველის საზღვრებს. ამ შემთხვევაშიც სინთეზირებული ზმნები შეიცავენ შე-ს პარადიგმატულ მნიშვნელობებსა და დამატებით “ურთიერთ” საქცევს.

მეშვიდე სემანტიკური ველი (ძალიან ახლოს არის საურთიერთოსთან): საქცევები “**შემჭიდროება, გამთლიანება**”:

ი. ვეშაპიძე შე- ზმნისწინიანი ფორმების დამატებით ფუნქციებთან დაკავშირებით წერს, რომ ურთიერთდაპირისპირებული მოძრაობის შინაარსთან ახლოსაა შეერთების შინაარსი, რომელიც აგრეთვე **შემო-** ზმნისწინიანი ზმნებით გადმოიცემა (ვეშაპიძე 1967: 214). დავასახელებთ ჩვენს მაგალითებს:

შე-აორწვერებს (ძაფს ორწვერად შეართებს (შეგრებით ან შეუგრებლად). *ფეხის ცერს ამოსდო დაორმაგებული ძაფი, შეაორწვერა... და შეგრიბა* – ა. ჭუმბ.);

შე-ახორცებს (1. პირს შეუკრავს, გაამთელებს (ჭრილობას, წყლულს), 2. გადატ. მჭიდროდ დააკავშირებს. *რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?* – აკაკი);

შე-აჯგუფებს (1. ჯგუფად თავს მოუყრის, – დააჯგუფებს, მოაგროვებს. 2. გადატ. შეკრებს, შეაერთებს, შეაკავშირებს);

შე-ზელს (ზელით შეართებს, შეურევს; მოზელს // გამოძერწავს. *ბებრუცუნებმა და პატარძლებმა... შეზილეს ტალახისაგან «ლაზარე» – ვაჟა*);

შე-კრებს (1. ერთად თავს მოუყრის, – შეაგროვებს. 2. იგივეა, რაც შეკრევს. *დავით მეფემ... შეკრიბა ჯარი და გაემართა სამცხისაკენ – ვ. ბარნ.*)... (45 ერთ.).

მიმართება ზმნისწინსა და ველის მნიშვნელობებს შორის იგივეა, რაც მეექვსე ველში.

მერვე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”.

ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ფუნქცია – გარედან შიგნით მიმართული მოქმედების გამოხატვა შე- ზმნისწინს შენარჩუნებული აქვს დღესაც. მაგალითად: **შევიდა, შეიყვანა, შეანათებს, შეაღებს, შეაბნევს** და ა. შ. შესაბამისად, ეს სემანტიკური ველიც ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია. გამოიყოფა 8 საქცევი:

I საქცევი “შესვლა”:

შე-ალაჯებს (დიდი ნაბიჯებით შევა, – შეაბოტებს. *[არჩილმა] მოურიდებლად შეალაჯა ჯარგვალში – ლ. ქიარ.*);

შე-ბაკუნდება (ბაკიბუკით, ბაკუნით შევა);

შე-ბაჯბაჯდება (ბაჯბაჯით შევა. *დაპირებულ საათს შებაჯბაჯდა ნოტარიუსი, გაუხარდათ დამხდურებს – ბ. ჩხ.*);

შე-ბრახუნდება (ბრახუნით შევა. *[ქანდარმი] პირდაპირ ოთახში შებრახუნდა – კ. ლორთქ.*);

შე-გრიადდება (გრიალით შევა. სამცხენიანი “ლინიკა” ექვნების ქლარუნით შეგრიადდა სოფელში _ ბ. ჩხ.)... (30 ერთ.). დასახელებულ სხვადასხვა ზმნაში შესვლის განსხვავებული ვითარებაც ჩანს. ანალოგიურად ხდება მომდევნო საქცევშიც.

II საქცევი “შესვლისა და შეყვანის (შეტანის) სხვადასხვა საშუალება”:

შე-აგორებს (გორებით შეიტანს (შეიყვანს). გორგალი გაგორდა, გაჰყვა ციცაც, გააქვს და გამოაქვს, ხან ტახტქვეშ შეაგორა, ხან გოდრის ქვეშ _ თ. რაზიკ.);

შე-აქროლებს (ქროლვით, სწრაფად შეიყვანს. სამსონ ჯიბიაშვილმა თავისი ლურჯა შეაქროლა საწიოკეს ხეობაში _ გ. წერეთ.);

შე-აჩოჩებს (ჩოჩვით, თრევით შეიტანს, _ შეახოხებს, შეათრევს)... (29 ერთ.).

III საქცევი “სითხეში შეღწევა”:

შე-ედინება (დინებით, დენით შევა, შეუერთდება, _ შეერთვება);

შე-ტოპავს ((ღრმა) წყალში (ფეხით, ცურვით) შევა, შეაბიჯებს. || გადატ. ზომიერებას გადასცილდება, ზომას გადავა, _ გადაამეტებს, გადააჭარბებს. მუშებმა, საცა მოხვდათ, წყალში შეტოპეს და ერთი კიჟინით და ხმაურობით გაემართნენ _ უიარ.);

შე-ცურდება (შეაცურებს ზმნისა, ცურვით შევა წყალში. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო _ საბა)... (6 ერთ.).

IV საქცევი “ადამიანის, ცხოველის ორგანიზმში შიგნით მიღება”:

შესმა (დალევა):

შე-ასმევს (სითხეს (წყალს, ღვინოს...) გადააყლაპებს, _ დააღვინებს. [მეველეებს] ღვინო შევასვი თასითა _ ვაჟა);

შე-ისრუტავს (შეიწოვს, შეისვამს);

შე-წოვს (წოვით შესვამს, _ შესრუტავს, შეწოწნის. ფიგურ. შეწოვდა რომელიმე შენობა ბუმბერაზი ამგვარი ბუნავის სისხლს _ ვ. ბარნ.)...

შეჭმა:

შე-ახრამუნებს (ხრამუნით, ხრამა-ხრუმით შეჭამს. მოვიდა [ზღარბი] და დანარჩენი მსხლებიც შეახრამუნა _ ი. გოგებ.);

შე-სვლეპს (სვლეპით შეჭამს);

შე-ყლაპავს (მთლიანად შეჭამს, _ გადაყლაპავს, შესანსლავს, შესვლევს. *დღეს ლეშს შეყლაპავენ, ხვალ ძვლებს დაესევიან* _ ვაჟა)...

შესუნთქვა:

შე-ისუნთქავს (ჰაერს შეუშვებს (თავის) ფილტვებში, _ ჩაისუნთქავს. *მოდით, ქალებო, ჰაერი შევისუნთქოთ, სისხლი ავამოძრაოთ* _ ვაჟა)... (17 ერთ.).

V საქცევი “რამეში მოთავსება”:

შე-აწვენს (რამეში /ლოგინში...) დააწვენს, მიაწვენს);

შე-მაღავს (სხვისათვის შეუმჩნეველ, ფარულ ადგილას შეინახავს, _ დამალავს, შეაფარებს. *ფეხსაცმელი ლოგინქვეშ შემალა* _ ი. გოგებ.)... (10 ერთ.).

VI საქცევი “მალით, მალულად შეღწევა”:

შე-ამსხვრევს (შეამტვრევს, შელეწავს);

შე-ლეწავს (შეამტვრევს, შეანგრევს, შეამსხვრევს. *დაიჟრიალა გიორგის ფარმა, ხმლის წვერმა შელეწა იგი* _ ვ. გამს);

შე-ტეხს (ტეხით შევა, _ შეამტვრევს, შეამსხვრევს. *შეტეხეს თუ არა ციხის კარები, დაზავება ითხოვა ციხისთავმა მყისვე, მძევლების მოცემა დაჰპირდა ზვიადს* _ ვ. გამს.);

შე-აპარებს (1. სხვის შეუმჩნეველად, პარვით, მალულად შეიყვანს, 2. ღმრთაობით მისცემს, მიაღებინებს არასასურველ რასმე, შეაჩეჩებს. *თვალს შეაპარებს _ მალულად თვალს შეავლებს, შეხედავს, _ *ხელს შეაპარებს: ფრთხილად ხელს შეავლებს. //გადატ. ხელს გაურევს რაიმე საქმეში, _ ჩაერევა. *ნინომ დიდი სიფრთხილითა და ქურდულად შეაპარა გიორგის ხელში პაწია წერილი* _ ჭ. ლომთ.)... (13 ერთ.).

VII საქცევი “არამატერიალურ, მენტალურ სფეროში შეღწევა”:

შე-აგონებს (ჩააგონებს, შეაგნებინებს, დაარწმუნებს. *შენ კარგად აუხსენი და შეაგონე* _ აკაკი);

შე-იგნებს (რისამე შინაარსში, არსში ჩაწვდება, _ შეიცნობს, შეითვისებს, მიხვდება. || იგივეა, რაც გაიგებს. *სწავლის მნიშვნელობა შეიგნო ხალხმა. _ ერაზმის აზრით... იმაზე უარესი არ არის-რა, რომ ბავშვმა მოიძულოს სწავლა-ცოდნა, ვიდრე შეიგნებდეს ერთისა და მეორის სიკეთესაო* _ ილია);

შე-ისწავლის (სწავლით, მეცადინეობით შეითვისებს, _ ცოდნას შეიძენს, ისწავლის. *მიტო უმაღლეს სასწავლებელში წავა, იქ... ექიმობას შეისწავლის* _ ეკ. გაბ.)... (7 ერთ.).

VIII საქცევი “მიღების სხვადასხვა საშუალებები”:

შე-ივრდომებს (მფარველობას გაუწევს, _ მიიღებს, შეიფარებს. *კოდალაც ზნეობრივ კმაყოფილებას გრძნობდა, რომ უთვისტომო, ობლად შთენილი მამალი შეივრდომა და ძმად გაიფიცა* _ ილია);

შე-ითვისტომებს (თავისად, თვისტომად მიიღებს, შეითვისებს. *თუნდ რომ ეგრეც იყოს, რა ცუდი უქნია ქართველს, რომ სომხის კარგი შეუთვისტომებია, საკუთარ შვილად მიუჩნევია?..* _ ილია);

შე-იკედლებს (თავის ბინაში დროებით (ან მუდმივად) მისცემს თავშესაფარს, _ შეისახლებს. *ერთმა გლეხ-კაცმა შემიკედლა* _ ილია)...

შე- ზმნისწინიანი მოძრაობის აღმნიშვნელი *შესვლა* ძალიან გავრცელებულია გამოთქმებში. მაგალითად:

აზარტში შედის (საუბ. თავდავიწყებით, გატაცებით ეძლევა (რამე გრძნობას, საქმეს...), აზარტული ხდება _ *გუნდური შეჯიბრებით თამაშის დროს, ბავშვები აზარტში შედიან* _ “ლელო”);

ანგარიშში შედის (ზარზარ. მხედველობაში მიღებულია, ანგარიშგაწეულია. *ეს ავტორის ანგარიშში არ შედის* _ ილია);

არჩევანში შედის (იხ. არჩევანი _ არჩევს, ცდილობს აარჩიოს);

აღტაცებაში, მხიარულებაში, გაკვირვებაში... შედის (წიგნ. უაღრესი აღტაცების, მხიარულების, გაკვირვების... გრძნობით ივსება. *ზალიკას სტუმრები თანდათან მხიარულობაში შედიოდნენ* _ ე. ნინოშ.);

განცხადება, თხოვნა შედის (საუბ. განცხადება, თხოვნა... შეაქვთ, განცხადებით, თხოვნით... მიმართავენ. *აგრონომმა ისე კარგად წაიყვანა კოლმეურნეობის საქმე, რომ აუარებელი თხოვნა შედიოდა: წევრად მიმიღეთო* _ ს. შანშ.);

ზედსიძედ შევა (ცოლის მშობლების ოჯახში მივა საცხოვრებლად, ზედსიძე გახდება. ვინც [დალაქის] ქალს შეირთავს, ზედსიძედ შევა იმ გაკეთებულ ოჯახში – ლ. არდაზ.);

ისტორიაში შევა (ჩაიწერება) ისტორიაში, ადამიანების მეხსიერებაში (წარუშლელად) დარჩება, დავიწყებას არ მიეცემა. *სამუდამოდ შევიდა ისტორიაში ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის დამცველთა სახელოვანი საქმეები – “კომუნ.”*);

სიკეთეში, უკეთესობაში... შედის (უკეთესი ხდება, უმჯობესდება. დღითიდღე პატარა გლახუკი სიკეთეში შედიოდა და თექვსმეტი წლისას ახლო-მახლო ვერავინ სჯობდა – აკაკი);

შესვლა-ს ჩვეულებრივი ფუნქციის (მიმართულების გამოხატვის) გარდა გამოთქმებში დაწყებითობის სემანტიკაც შეაქვს:

ეშხში შედის (იხ. ეშხი – რისამე სიყვარული, სურვილი უჩნდება; რაიმე იტაცებს, მხიარულდება);

ექვში შედის (იხ. ექვი – ექვი უჩნდება, ექვდება – *ექვში შევდივარ მაგ სიტყვების სიმართლეში – შ. არაგვ.*);

სიმწიფეში შედის (სიმწიფეს იწყებს, – მწიფდება. *სიმწიფეში შედის... ყანებიც*);

ექსპლოატაციაში შევიდა (ბარბარ. საექსპლოატაციოდ გადაეცა, ექსპლოატაცია დაუწყეს. *სუკვე მესამე წელია, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ჩაის ფაბრიკა – “ლელო”*);

ფიქრში შედის (საფიქრებელი უჩნდება, ფიქრებს ეძლევა, – ფიქრობს. *ნინოს, რომელიც... ფიქრში შედიოდა, ალექსანდრეს სიყვარული განუძლიერდებოდა – რ. ერისთ.*);

ძალაში შედის (ბარბარ. მოქმედებას იწყებს (კანონი, ხელშეკრულება...). *ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე – “კომუნ.”*);

ხანში (მოხუცებულობაში) შედის (ხანი ემატება, მოხუცებულობის ასაკში შედის, სიბერე ეწყება. *რამდენადაც იზრდება და ხანში შედის [ადამიანი], იმდენად ჭკვიანდება და გონება ემატება – ი. გოგებ.*);

ხარშვაში შვეა (ხარშვას დაიწყებს. [ვარდი] ნელ ცეცხლზე ხარშეთ, შუა ხარშვაში რომ შვეა, მაშინ ის გაწურეთ, წვენი ზედვე დაასხით – ბ. ჯორჯ.)... (22 ერთ.).

ამ ველის ზოგადი სადიაგნოსტიკო ნიშანია: $\text{შე-} + \mathbf{R} >$ ადგილის გარემოება თანდებულით “-ში” (სულ 134 ერთ.).

მეცხრე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა” ($\text{შე-}+\mathbf{ჰ-}/\mathbf{ს-}+\mathbf{R}$).

მ. მაჭავარიანის აზრით, მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის ცნებები მიეწერება ზმნას. ზმნის ძირითადი ფუნქციაა მოვლენის დახასიათება გარკვეული თვალსაზრისით, კერძოდ, იმის გამოხატვა, თუ რა მოსდის მოვლენას, რა ვითარებაშია იგი. ზმნის ზოგადი მნიშვნელობის შესაბამისად მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ცვლილებების გამოხატვა არა დასახელებისა და სიგნიფიკაციის, არამედ მათი მიმდინარეობის აზრით. ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ეს არ ძალუძს. ზმნის ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად მას უნდა ჰქონდეს ორი გრამატიკული კატეგორია მაინც: პირისა და ასპექტისა. ზმნას ორი კატეგორიის გარდა აქვს ბევრი სხვა: დრო, კილო, რიცხვი, კონტაქტი, ქცევა და ა. შ.

ყველა ეს კატეგორია რაღაც ნიშნით ახდენს ზმნის ძირითადი მნიშვნელობის მოდიფიკაციას და საბოლოოდ ვიღებთ ზმნათა სემანტიკურ-გრამატიკულ კლასებს. მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა არის სწორედ ზმნის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობის მოდიფიკაციით მიღებული სემანტიკურ-გრამატიკული კლასების მნიშვნელობები (მაჭავარიანი 1981: 30).

$\text{შე-}+\mathbf{ჰ-}/\mathbf{ს-}+\mathbf{R}$ ყალიბი წარმოადგენს ერთ-ერთ სინთეზირებულ სემანტიკურ ველს, რომლის ზოგადი შინაარსობრივი მახასიათებელია: სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა. განსახილველ საკითხს ახლავს ერთი დამატებითი ნიუანსი: მოცემული მოდელი, გარდა ლექსიკურ-სემანტიკური ნიშნებისა, მოიცავს ოდენ თანხმობით წარმოდგენილ მესამე პირის ნიშანს $\mathbf{H}\mathbf{ჰ-}/\mathbf{ს-}$. ამდენად, გასარკვევია, რა შინაარსობრივ-ფუნქციური როლი ეკისრება მას ამ სემანტიკურ ველში. A

განვიხილავთ მოცემული ზოგადი ველის (“სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი მდგომარეობა”) შინაარსობრივ განფენას, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული ლექსიკური დონის საქცევი მნიშვნელობების სახით. ამისათვის საჭიროა გავანალიზოთ მოდელში შემავალი ზმნათა ფუძეების მნიშვნელობები და **შე-+ჰ-/ს-** -ს ფუნქციები თითოეული საქცევის მიმართ.

I საქცევი “ზმის გამოცემა სხვის მიმართ”: ამ შემთხვევაში ერთპირიანი აქტიური ზმნის ამოსავალ ფუძეზეE(ძირზე) **შე-+ჰ-/ს-**-ის დართვით იწარმოება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი დამატებით. საინტერესოა, რა შინაარსის ფუძეები (ძირები) შედის ამ საქცევში. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

შე-+ჰ-+R:

ბლავის > შე-ჰ-ბლავის (ბლავილით შესძახის, Bბლავილით მიმართავს მას (ჩვეულებრივ პირუტყვი; ზოგჯერ ითქმის ადამიანზეც));

კვნესის > შე-ჰ-კვნესის (კვნესით ეუბნება, კვნესით მიმართავს, _ შევალალებს) (ანუ მიმართავს, ორიენტირებულია, თუმცა შიგ ხმით ვერ შევა);

კნავის > შე-ჰ-კნავის (კნავილით შესძახის);

ყვირის > შე-ჰ-ყვირის (ყვირილით შესძახის, _ უყვირის);

ყმუის > შე-ჰ-ყმუის (ყმუილით შეჰყვირის, ყმუილით შესძახის)...

შე-+ს-+R:

ჩხავის ის > შე-ს-ჩხავის ის მას (ჩხავილით შეჰყვირებს, ეხმაურება);

წკმუის > შე-ს-წკმუის (წკმუილით შესძახის);

წკმუტუნებს > შე-ს-წკმუტუნებს (1. წკმუტუნით შესძახის, _ შესწკმუის. 2. წკმუტუნის ხმას გამოსცემს, წკმუტუნს დაიწყებს)...

ჩამოთვლილი ზმნები ძირითადად ხმიანობის გამომხატველი ზმნებია. ამ ტიპის ზმნებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ა) აქვთ **ი-** თემის ნიშანი, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოხატავს ხმის პერმანსივობას, მის გაბმულ ხასიათს; ბ) ქეგლ-ის მიხედვით, ისინი დასტურდება ოდენ აწმყოს წრეში;Gგ) მათი ზოგადი ასპექტური მახასიათებელია – სტატიკურობა. ამდენად, ისინი ვერ აწარმოებენ ასპექტურ კონკრეტულ ოპოზიციებს

და პირობითად შეიძლება დახასიათდნენ, როგორც უასპექტო ზმნები. ამ ტიპის ყველა ზმნა გარდაუვალია.

აქვე გამოიყოფა ზმნები, რომლებიც იმავე ფუძეებს შეიცავენ, ოღონდ განსხვავებულად იწარმოებიან ამოსავალი გარდამავალი ორპირიანი ზმნებისაგან, ამიტომ მათი Fფუძე გავრცობილია. შდრ: *ა-ბზუვლ-ებ-ს ის მას* (სახ. ბრ.) < *შე-ჰ-ბზუვლებს ის მას* (მიც. ბრ.). ასევე იწარმოება სხვა მსგავსი ზმნები: *ა-კნავლებს>შეჰკნავლებს; ა-კივლებს>შეჰკივლებს*. ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად გარდაუვალი ზმნა ხდება გარდამავალი ანუ ველის საზრისის შესაბამისად, პირდაპირი ობიექტი გარდაიქმნება ირიბად. ამავე ქვესაქცევში შემოდის წარმოების მიხედვით განსხვავებული, რედუპლიცირებულ ფუძეებიანი ზმნებიც. მათი ამოსავალია აგრეთვე ორპირიანი გარდამავალი ზმნები *ა-გუგუნ-ებ-ს* ტიპისა (კაუზატივი ვერც იქნება ამოსავალი).

შე-+ჰ-+R:

შე-ჰ-გუგუნებს ის მას (გუგუნით მიმართავს, გუგუნით შესძახის. *ცას სამაისო სიმღერები შეჰგუგუნებდეს, გვინდა ზეიმი და დროშების აღში ჩაძირვა* – კ. კალ.);

შე-ჰ-ყაყანებს ის მას (ყაყანით მიმართავს, _ ეყაყანება);

შე-ჰ-ყაშყაშებს ის მას (ყაშყაშით ეხმიანება. _ *არწივი... შეჰყაშყაშებდა კლდე*სა _ ვაჟა).....

შე-+ს-+R:

შე-ს-ტიკტიკებს ის მას (ტიკტიკით ელაპარაკება, _ შესტიტინებს. *“პაპა სათაგური არ მოიტანე?”* _ ჰკითხავდნენ ესტატეს... სონა და კოლა. _ *“ჩუსტები, წაღები, საკაბე?”* _ შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბაღლები პაპას _ ვაჟა);

შე-ს-ტიტინებს ის მას (ტიტინით ელაპარაკება (ბავშვი))... (41 ზმნა)

შე-ჰ-ბზუვლებს ტიპის ზმნებთან ერთად ასპექტური თვალსაზრისით მათ ახასიათებს ზოგი საინტერესო თავისებურება: კონტექსტის მიხედვით ეს ფორმები შეიძლება გამოხატავდნენ სხვადასხვა ტიპის ასპექტს: ა) მოქმედების ან პროცესის დინამიკურობას და ნამყო-მყოფადში სრულ ასპექტს: *შეჰფრუტუნებს* (სრული მყოფადი)

– *შეჭფრუტუნა* (სრული წყვეტილი) – *შეუფრუტუნებია* (სრული თურმეობითი). ზმნა ტრანსფორმირდება გარდაუვლად და პირდაპირის ნაცვლად წარმოქმნის ირიბ დამატებას; ბ) იგივე ფორმა სხვა კონტექსტში შეიძლება გავიგოთ როგორც სტატიკური, უასპექტო, ოდენ აწმყოს მწკრივში (პირველი საქცევის საზრისის მიხედვით); *შეჭფრუტუნებს ის მას* = ფრუტუნით ეხმიანება ის მას; გ) თუ კონტექსტის მიხედვით იმავე ტიპის ზმნას მოსცილდება ირიბი დამატება და ის ერთპირიანი გახდება, მაშინ ის ავტომატურად შეიცვლის როგორც სემანტიკურ ველს (და არა მხოლოდ საქცევს), ისე ასპექტურ მახასიათებელს: *შეჭფრუტუნებს ის* + *ფრუტუნს დაიწყებს*: ერთპირიანი, დინამიკური, პროცესის საწყისი მდგომარეობის გამომხატველი ფორმა (ინხოატივი), სემანტიკური ველი: მოქმედება, პროცესის, მდგომარეობის პარტიტიულობა.

შე- ზმნისწინიც ველის საზრისის შესაბამისად აქტუალიზებულია მეორე დიფერენციალური მნიშვნელობით: არა მიჯნასთან მიახლოება-დამთხვევა, არამედ მოქმედება, პროცესის, მდგომარეობის პარტიტიულობა. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ზმნა სხვაგვარად აწარმოებს თურმეობითს: *შეუფრუტუნია* (*შეუფრუტუნებია*-ს ნაცვლად).

მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან ერთად ხმიანობის სემანტიკის ზმნებს გამოყოფს მ. მონასელიძე და აღნიშნავს, რომ გარკვეულ ზმნისწინიან ფორმებთან ბგერადობის გამოხატვა მოძრაობისკენ იხრება. აქ ის გულისხმობს შე- ზმნისწინიან ფორმებსაც, რომლებშიც ზმნისწინები ერთგვარად “მეორადი ხმარების” მორფემებია და უფრო ამხსნელი სიტყვით გამოხატულ მიმართულებაზე მიუთითებს. მაგალითად: *შეზუზუნებს* (ზუზუნით შედის); *შესისინებს* (სისინით შედის) და ა.შ. (მონასელიძე 2001: 10).

II საქცევი “სხვის მიმართ ცქერა (ანუ მიმართული მზერა-ხედვა)”. ასეთია სტატიკური, უასპექტო, მხოლოდ აწმყოს წრის მქონე ზმნები:

შე-+ჰ-+R:

შე-ჰ-ფოფინებს ის მას (სიყვარულით და ალერსით შეჰყურებს, ფოფინით Y შესცქერის, შესციცინებს; შეხარის. გუგული კალთაში ჩაუჯდებოდა, შესჭიკჭიკებდა, შეჰფოფინებდა პაპას – ვაჟა);

შე-ჰ-ყურებს ის მას (1. უცქერის, უყურებს, შეცქერის. 2. გადატ. თვალყურს ადევნებს. კოდალას ცელქობას მე სიამოვნებით შევყურებდი – ვაჟა);

შე-+ს-+R:

შე-ს-ცაცანებს ის მას (იხ. შესციცინებს. იუდა... შესცაცანებდა ოქროს სათვალეებიანს პირში – ს. მგალობ.);

შე-ს-ციცინებს ის მას (სიყვარულით, ალერსით შეჰყურებს, – შეხარის, შეჰფოფინებს. ტყუილად შესციცინებდა ჯერო მეგობარს თვალებში – ა. ერ.-ხოშტ.);

შე-ს-ციცქინებს ის მას (იგივეა, რაც შესციცინებს)...

შე-ს-ცაცანებს, შე-ს-ციცინებს, შე-ს-ციცქინებს... სინონიმებია.

როგორც მ. მონასელიძე აღნიშნავს, ოდნობის გამოხატვა ხდება ძირითადად მყოფადისა და ნამყოს მწკრივებში; აწმყო ჩვეულებრივ არ იწარმოება გასაგები მიზეზების გამო: ზმნისწინი დროს ცვლის; შე- ზმნისწინიანი რამდენიმე მედიუმში გვაქვს: შესციცინებს, შეჰლიმის და ა. შ., რომლებშიც ზმნისწინი დროს ვერ ცვლის (მონასელიძე 2001: 24).

შე-+0+R:

შე-ლიმის (ლიმილით უცქერის, უყურებს, – ულიმის, უცინის, შესცინის. თუშნი ჯიხვის რქებს აჯახუნებენ და შელიმიან ახალწლის დილას – «ლიტ. და ხელოვნ.»);

შე-ხარის ის მას (სიხარულით შესცქერის, შეჰყურებს; ხარობს მისი არსებით, – შეჰფოფინებს. დედაც შეხაროდა თავმოწონებით შვილსა – ილია)... (სულ 10 ზმნა).

ამოსავალია მედიოსტატიკური ერთპირიანი ზმნები. დადასტურდა მხოლოდ ერთი სტატიკური ზმნა განსხვავებული წარმოებისა: **შესჩერებია ის მას** (იმიტომ, რომ სჩ-დასაშვებია, ხოლო ჰდ-, ჰხ-... – არა). თავისებურია ამ მხრივ ხედვა. საკუთარ სემანტიკურ ველში ის მიმართულების მიხედვით არამარკირებულია და ველის არამარკირებულ საწყის წყაროს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, სწორედ ამის გამო კონტექსტის მიხედვით ის სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს და სხვადასხვა ველში შეიძლება აღმოჩნდეს. შდრ., ერთი მხრივ: *ხედავს ის მას, ნახავს ის მას* (სახ. ბრ.), *ნახა მან ის, უნახავს მას ის*. ეს არის მიუმართავი, გარდამავალი, სუბლექტური ზმნა, სრული/უსრული ასპექტისა (ჯორბენაძე 1985: 124), შე-ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავს; მეორე მხრივ: *ხედავს ის მას, შე[ჰ]ხედავს ის მას, შე[ხ]ედა მან მას* – გარდაუვალი (სხვის მიმართ ხედვა), ოდენ სრული ასპექტისა. აქ სრულიად აშკარაა სხვისკენ მიმართული მოქმედების ველის საზრისისეული დაწოლა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია იმის შესახებ, რომ მედიალურ ზმნებში ზმნისწინის საშუალებით მყოფადის წარმოება იშვიათია. ზმნისწინის გამოყენების თვალსაზრისით მედიალური ზმნები არ მიჰყვება ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზმნებს. ფუძემონაცვლე ზმნებში ზმნისწინის გამოყენება განსხვავებული ფუნქციით ხდება. უმთავრესია სრული ასპექტის წარმოება ან შესაძლებელია მიმართულების გამოხატვა როგორც აწმყოში, ისე მყოფადში: ყვირის – დაიყვირებს; ტირის – წაიტირებს; ქრის – ჩამოიქროლებს; ბზუის – წაიზმუვლებს (შავთვალაძე 1999: 43).

III საქცევი “სხვის მიმართ მოძრაობა ან რომელიმე სახის სხვა აქტივობა”: ფუნქციურად ეს ტიპი ჰგავს ზემოგანხილულ საქცევებს:

შე-+ჰ-+R:

შე-ჰ-ხედავს ის მას (1. გაუხედავს, აკადრებს, შეჰკადრებს. || ხელს მოჰკიდებს, – შეეხება. || გაუხედავს მიკარებას, მიახლოებას. 2. გახედავს (შესვლას). [*ოთარაანთ ქვრივს*] ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ვეღარ შევხედავ, ვეღარ – ილია);

შე-ჰ-ბერავს ის მას (იგივეა, რაც შეუბერავს. *არიქაო, გიგაურის ცოლი მოიყვანეთ, მარქიტა... გულს უფრიალებს, შეჰბერე თვალებს* – გ. ერისთ.);

შე-ჰ-ყურყუტებს ის მას (მომაბეზრებლად, დიდხანს უცდის, ელოდება. *რას შეჰყურყუტებ იქ?* – აკაკი)... (აქაც დასაშვებია: ჰბ-, ჰკ- ჰყ-...).

შე-+ს-+R:

შე-ს-თამაშებს ის მას (თამაშით ევლება, – ელაციცება. *მზის სხივი მთის წვერებს* *შესთამაშებდა* – ა. ყაზბ.);

შე-ს-ძღვნის ის მას მას (ძღვნად მიართმევს, – უბოძებს, მიუძღვნის, უძღვნის. || *შესძენს, შეჰმატებს. || შესწირავს. || შეახვედრებს, შეჰყრის. ბოლოს შესძღვნეს [ტიმოთეს]* *ოქროს ჯვარი* – ვ. ბარნ.)...

ამოსავალი ზმნები შეიცავს დამატებით ნიშანს “გარშემო”: *შე-ს-დევს* (აღმართს), *შე-ჰ-ფართხალებს ის მას...* ისინი გარდაუვალი, სტატიკური, უასპექტო ზმნებია (სულ 11 ზმნა).

რა შეიძლება ითქვას ამ სამი საქცევის მიხედვით ზოგადად შე-+ჰ-ს-+R ყალიბის საზრისისეული ფუნქციის შესახებ? აშკარაა, რომ მოცემულ მოდელში სემანტიკური დომინანტი არის შე- ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური სემანტიკური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის მიჯნის მარკირება, ობიექტთან მიახლოება-მიჯრა/დამთხვევა. შე- ზმნისწინი უზრუნველყოფს ამ ტიპის ზმნების სპეციფიკურ, მიზნისკენ მიმართულ ხასიათს და ახდენს ჰ/ს-ს შესაძლებელ ფუნქციათა შორის სწორედ ამ კონკრეტული მნიშვნელობის აქტუალიზაციას, განაპირობებს კიდეც ჰ-ს-ს წარმოქმნას ირიბი ობიექტის მარკირების ფუნქციით, ამოსავალი ფუძის მნიშვნელობით გაუთვალისწინებელი ზოგადი როლით.

IV საქცევი “გრძნობა-აღქმის საზრისის განმცდელ პირთან მიმართების მარკირება”. როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, სტატიკურ ზმნათა მორფოლოგიური სუბიექტი რეალურად პასიურია; ობიექტი სინტაქსური თვალსაზრისით მასთან თანასწორუფლებიანია (ისიც მმართავია, მასაც საკუთარი ნიშანი აქვს ზმნაში), ამავე დროს, ეს ობიექტი ყოველთვის აღმქმელია, მქონებელია, მგრძნობელია, განმცდელია, მოლაპარაკეა და ამიტომ ხშირად სულიერ, კერძოდ კი პერსონალურ პირს (ადამიანს), გამოხატავს, მაშინ როდესაც მასთან კომბინაციაში მყოფი გრამატიკული სუბიექტი, ჩვეულებრივ, აღქმის, ქონების, გრძნობის, განცდის საგანია (რეალური ობიექტი), ამიტომ ხშირად უსულოა (ცხადია, რომ ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია ზმნის სემანტიკა). სწორედ ამის გამო მორფოლოგიური ობიექტი, როგორც რეალურად აქტიური პირი

(მდგომარეობის ან მოქმედების განმცდელი), მეტყველის ცნობიერებაში წინ იწვევს და თავისი აქტიურობით აჭარბებს მორფოლოგიურ სუბიექტს (მელიქიშვილი 2001: 20-21).

აღნიშნული საქცევის სტატიკური ვარიანტებია:

შე-+ს-+R:

*შე-ს-ტკივა მას ის (*გული შესტკივა – მზრუნველობას იჩენს, ებრალება, – გული ეწვის, გული სტკივა. გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა... მოძმისათვის – ილია)* (სტ- _ დასაშვებია. ს- მარკირებულია, ამიტომ ვერ ამოვარდება);

შე-ს-ძულდება მას ის (სიძულვილი აღეძვრის, – შესჯავრდება, შესმაგდება, შეეზარება, შეეზიზღება. *მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა – ილია*);

შე-ს-წევს მას ის (1. აქვს, მოეპოვება (უნარი, ძალა, ღონე, შესაძლებლობა...); შეუძლია, ძალუმს. 2. ძვ. ხელს უწყობს, უმართავს; სწყალობს, ეწევა. *ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა – ილია*)...

გამონაკლისის სახით დასტურდება ენაში ერთპირიანი **შე-+ს-+R** ყალიბის ზმნები: Y

შე-ს-ცივა მას (იცივება, რაც შესცივდება. *ჩაიცივი შვილო, ჩაიცივი, გენაცვალე, შეგცივა, ავად გახდები – ვაჟა*);

შე-ს-ცივდება მას (სიცივე აიტანს, სიცივეს იგრძნობს).

აროგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, გრძნობა-აღქმის ე.წ. ინვერსიული ზმნები ძირითადად გადმოცემულია ს- პრეფიქსით.

შე-+ჰ-+R ყალიბის გრძნობა-აღქმის ზმნები ქველ-ში არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გამონაკლისს. ესაა, მაგალითად, **შე-ჰ-ბრალდება** (**შეჰბრალდა, შეჰბრალდება**) მას ის (იგივეა, რაც შეებრალება – სიბრალულის გრძნობა გაუჩნდება, სიბრალული აღეძვრის (ვისიმე) მიმართ, – შეეცოდება. *ორი თუ სამი ბაღლი ეჭდა გუდაში ბერდიხას: შემბრალდნენ საწყლები – ვაჟა*). (სულ 6 ზმნა).

როგორც ვხედავთ, ნიშანი “სხვის მიმართ” აქაც არ არის უგულებელყოფილი. ადამიანის გულისტკივილი, ძალა, ჭირი და სხვა განცდა სხვის მიმართ განიცდება, ოღონდ ამ ტიპის ზმნებში ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. სტატიკური ზმნები პირველსა და მეორე პირში ოდენ მანის რიგს ჰგუობენ: **შემტკივა** (შეუძლებელია

შეცდომა), **შეშვება** (შეუძლებელია **შეშვა**). რით შეიძლება ამის ახსნა? ჩვეულებრივ ამ ზმნებს ინვერსიულს უწოდებენ, მაგრამ ეს არის ფორმალური სუბიექტ-ობიექტის პოზიციის შენაცვლების დაფიქსირება და არა ახსნა. ზმნა კი ამ შემთხვევაში სრულიად სხვა საზრისს გამოხატავს. საქმე ეხება არა სუბიექტს ან ობიექტს, არამედ გრძნობის ან აღქმის განმცდელს, პირს, რომელიც ჩადირულია ამ პროცესში, და სწორედ ამ მხრივ არის მარკირებული, ამიტომ ამის დასაფიქსირებლად აგრეთვე გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარკირებული პირის ნიშანი, ისეთი პირის ნიშანი, რომელიც ინტროვენტულ-ინაგენტურ პროცესს გამოხატავს და არა ნებელობით, აგენტურ, მის მიერ კონტროლირებად საგანს. ასეთი პირი კი მხოლოდ მანის რიგით შეიძლება იყოს გამოხატული (მ. მაჭავარიანი). ეს კარგად ჩანს ამ ტიპის დინამიკური ზმნების მაგალითზე: **შესცივდება (შესცივდა, შესცივდება)** მას **ის** (სიცივე აიტანს, სიცივეს იგრძნობს. [ცეროდენას] ცოტათი კიდევ შესცივდა – ზღაპ.)....

აღსანიშნავია, რომ თუ **ჰ-ს-ს** არ გამოვიყენებთ, ზმნა სრულებით სხვა შინაარსს გამოხატავს: **შეცივდება, შეცივდა, შეცივდება** ნიშნავს ოდნავ შეცივებას და ავტომატურად პარტიტივის ველს მიეკუთვნება. აგრეთვე, თუ ამ ზმნათაგან რომელიმე ვინის რიგს შეეგუება, ისევ ავტომატურად სრულიად სხვა მნიშვნელობას მიიღებს, სხვა ველში აღმოჩნდება: **შეშვა** = “რადაცაა შიგ გადავაადგილებ”. საინტერესოა, რომ ამ ტიპის დინამიკური ზმნები ზოგჯერ ეგუებიან ვინის რიგს, მაგალითად: **შეგზავნა, შეგზავნა, შეგზავნა** მე მას და მისთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ნეიტრალური, მიუმართავი ვინის რიგი გამოხატავს არა სემანტიკურად მარკირებულ განმცდელს, არამედ განცდის საგანს, რაც აგრეთვე ადასტურებს ჩვენს ვარაუდს. მაგრამ მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა, რა მიმართებაშია თქმული სხვის მიმართ მოქმედების ან პროცესის ძირითად საზრისთან? მანის რიგი ხომ არ შეიძლება იყოს სხვა? საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში პროცესის მიჯნა, ტელიკური წერტილი სწორედ **განმცდელია**, მანის რიგითა და ირიბი, მიცემითი ბრუნვით მარკირებული აქტანტით, ამიტომ მისკენ არის მიმართული **შე-ჰ-ს-ს+R** მოდელით ნაგულისხმევი პროცესი. თუკი ინვერსიის ცნებას

რაიმე მნიშვნელობა ენიჭება, ის სწორედ ამას გულისხმობს. მიჯნა შემოტრიალებულია განმცდელისკენ და არა განცდის საგნისკენ.

V საქცევი “სხვადასხვა სახის მოქმედება სხვის მიმართ”. ამ ტიპის ზმნათა ამოსავალი ფორმა გამოხატავს სხვადასხვა სახის გარდამავალ მოქმედებას, რომელიც ბუნებითად შეიცავს როგორც პაციენსს, ისე იმ პირს, რომლისკენაც არის მიმართული მოქმედება, ანუ ვინის რიგის მიმართ სხვა პირს, ამიტომ **შე-** ზმნისწინის გარეშეც ხორციელდება სემანტიკური ველით ნაგულისხმევი შინაარსი:

შე-+ჰ-+R:

ჰ-გვრის ის მას მას (1. მოჰყავს ვინმესთან ან ვინმესთვის. 2. იწვევს (რაიმე გრძნობას. რისამე განცდას), _ აგრძნობინებს, განაცდევინებს; მოუვლენს (რასმე), გაუჩენს. *ბავშვს ჰგვრის შინ*);

ჰ-კიდებს ის მას მას (1. საზიაროა აწმყო ზმნური ერთეულებისათვის: აჰკიდებს, მოჰკიდებს, ჩამოჰკიდებს, დაჰკიდებს, გაჰკიდებს. *ცეცხლს ხელს კკიდებდი და გულს მწვავდაო _ ანდაზა*);

ჰ-პირდება ის მას მას (პირობას სიტყვას აძლევს, არწმუნებს, რომ შეასრულებს რასმე. *ნუ მპირდება ცაში წეროს, ხელში მომეც ბელურაო _ ანდაზა*);

შე-+ს-+R:

ს-დევს ის მას (1. უკან მიჰყვება (დასაწევად), _ მისდევს, დასდევს. 2. (და)ჰყვება, თან ახლავს, მასთან ერთადაა. *მტყუანს ტყუილის კარამდე სდიეო _ ანდაზა*);

ს-თავაზობს ის მას მას (1. მიართმევს, მიაწოდებს, უმასპინძლდება; აძლევს. 2. წინადადებას აძლევს, მოუწოდებს. *მზიას აკიდოს სთავაზობს ომგადახდილი ძმობილი _ გ. კაჭახ.*);

ს-ძღვნის ის მას მას (ძღვნად მიართმევს, _ მიძღვნის. ფიგურ. *[შვილები] პურის მაგივრად ქვას მძღვნიან _ ვაჟა*)... (სულ 59 ზმნა).

ეს ზმნები თავისუფლად აწარმოებენ ასპექტს და განარჩევენ სრულ/უსრულ სახეობებს. აქ ერთი თავისებურება შეინიშნება: **ჰ-/ს-** ყოველთვის წარმოქმნის ოდენ ირიბ დამატებას, მაგრამ მას ზოგადი როლის გარდა ზმნის შინაარსის მიხედვით დამატებით

აქვს სხვადასხვა კონკრეტული აქტანტური როლიც: ადრესატის (ჰგერის), მიზნის (სტყორცნის), ლოკატივის (ჰკიდებს) ფუნქციით. მაშინ რა ფუნქცია აკისრია ამ შემთხვევაში შე- ზმნისწინს?

ცხადია, რომ მას დომინანტური სემანტიკური ფუნქცია აღარ ეკისრება, ამას იტვირთებს ზმნის ფუძე. თუმცა ამ შემთხვევაშიც აქტუალიზებულია ზმნისწინის პირველი დიფერენციალური ნიშანი – მიჯნასთან მიახლოება. სამაგიეროდ, ამ საქცევში მჟღავნდება ზმნისწინის ძალა – დაუპირისპიროს ერთმანეთს სრული და უსრული ასპექტური ფორმები და ამაშია მისი დომინანტური როლიც. ენამ თითქოს დაიცვა ეკონომიის პრინციპი და სემანტიკური ფუნქციები პროპორციულად გაანაწილა. სადაც სემანტიკურად დომინანტურია ზმნის ფუძე, იქ განთავისუფლდა ზმნისწინის ასპექტის მაწარმოებელი ძალა.

იშვიათად გვხვდება ველების გადაკვეთის შემთხვევებიც. მაგალითად, **შეჰბერდება** (იგივეა, რაც **შეაბერდება**) მიეკუთვნება როგორც სხვის მიმართ მოქმედების ველს, ისე – ურთიერთმოქმედების ველსაც: *ერთმანეთს შეჰბერდნენ*.

ხშირად ცალკე აღებული ზმნა ვერ ითავსებს ჰ-ს-ს და მაშინ შე- ზმნისწინი თვითონ წარმოქმნის მას ირიბი ობიექტის შესაბამისი როლებით. მაგალითად: **შეჰბერავს, შესთამაშებს, შესციცინებს** და სხვა მრავალი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ იმავე ფუნქციას ზოგჯერ შე- ასრულებს ჰ-ს-ს გარეშეც. მაგალითად: **შევედრებს, შეხოცავს, შედიდინებს...**

ამრიგად, შე-+ჰ-ს-+R ყალიბში სემანტიკური დომინანტი არის შე- ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის პროქსიმალური მიჯნა, მიჯრა-დამთხვევა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, მეცხრე სემანტიკური ველის ზოგად მნიშვნელობას (“სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა”) ახორციელებენ შე- ზმნისწინი და ჰ-ს- პირის ნიშნები.

ჰ-/ს-თი ნაწარმოებ ორპირინ ან სამპირიან ზმნებში ირიბი დამატება ფუნქციურად ყოველთვის ადრესატია: შე-ს-ტიკტიკებს, შე-ს-ჩურჩულებს ის მას მას (ადრესატი) (ა. შანიძის ტერმინოლოგიით, “სათანაო”).

შე-+ს-+R:

შე-ს-თხოვს (თხოვნით მიმართავს, _ გამოსთხოვს, შეევედრება, შეეხვეწება, შეემუდარება. ქალი, კაცი... სულ ერთიანად შეღალადებდა ღმერთსა და შესთხოვდა წვიმას _ ნ. ლომ.);

შე-ს-ჩივის (ეუბნება, უზიარებს, ანდობს (დარდს, მწუხარებას...)). დავით დროიძე დაღონებული დადიოდა და შესჩიოდა ქვეყანას _ ე. ნინოშ.);

შე-ს-წმენდს (მოსწმენდს, მოუსუფთავებს; შეუმშრალებს, შეუხოცავს (პირსახოცით, ხელსახოცით...)). ნიკომ... ბუზი წყლიდან ამოიყვანა, ფარდის კალთით წყალი შესწმინდა _ ა. ხახუტ.)...

შე-+ჰ-+R:

შე-ჰ-კრუტუნებს (კრუტუნით მიმართავს, კრუტუნით ეხმიანება. ხვადი მიდის, შეჰკრუტუნებს: ჩემო კარგო ციცუნია! ვიზედა ხარ გაბუტული და ან ვინ გაწყენია? _ აკაკი);

შე-ჰ-ფართქალებს (ფართქალით ეტანება, _ შეჰფარფატებს, შეფრთხილებს. ფიგურ. ქობთან მისულა ხეც, მოკრძალებით, სარკმელს შტოებით რომ შეჰფართქალებს _ დ. გაჩეჩ.);

შე-ჰ-ყმუვლებს (1. ყმუილს დაიწყებს; ყმუილს ასტებს, დაიყმუვლებს. 2. ყმუილით შესძახებს. ძაღლი... შედგა, დასუნა თოვლს, შეჰყმუვლა და თავდავიწყებით ფეხებით თხრა დაუწყო _ ა. ყაზბ.)...

შე-+0+R:

ირიბი დამატების, როგორც ადრესატის, თვალსაზრისით მეტად საინტერესოა უპრეფიქსო, ნულოვანი სამპირიანი ზმნები შე- ზმნისწინით:

შე-ღიმ-ი-ს (ღიმილით უცქერის, უყურებს, _ უღიმის, უცინის, შესცინის. თუშნი ჯიხვის რქებს აჯახუნებენ და შეღიმიან ახალწლის დილას! _ «ლიტ. ხელოვნ.»);

შე-ხოც-ავ-ს (შესწმენდს, შეუმშრალებს)...

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ ზმნებში დიაქრონიულად იყო პირის ნიშანი, მაგრამ ამჟამად ქეგლ-ში დასტურდება უპირისპიშო ფორმები. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ირიბ დამატებას წარმოქმნის თვითონ **შე-** ზმნისწინი. ეს ჩანს იქიდან, რომ უზმნისწინო ფორმები ორპირიანი ხდება:

გვის ის მას > **შე-გვის** ის მას მას;

ჟიჟინებს ის მას > **შე-ჟიჟინებს** ის მას მას.

ღვრის ის მას > **შე-ღვრის** ის მას მას.

უზმნისწინო და **შე-** ზმნისწინიან ფორმათა დაპირისპირება კარგად ჩანს ქეგლ-ის განმარტებებში:

შე-ღალადებს (ღალადებს) ღალადით მიმართავს, ეუბნება; ღალადით ეტყვის, შესთხოვს);

შე-ღმუის (ღმუის) ღმუილით შეჰყვრებს. *შეღმუიან ღამეს მხეცები* – ი. მოსაშ.);

შე-ღულუნებს (ღულუნებს) ღულუნით შეეხმარება. || ტკბილად ელაპარაკება. [ცოლ-ქმარი] ერთმანეთს შეღულუნებდნენ – ს. კლდ.)...

ორპირიანი, **ჰ-/ს-**თი ნაწარმოები ზმნები ძირითადად გარდაუვალია და სათანაო. ორპირიან გარდაუვალ ზმნებში **ჰ-/ს-** აჩენს ირიბ დამატებას ლოკატივის, საზედაოს მნიშვნელობით. ასეთია **ახტება**, **აჯდება** ტიპის ზმნები. ორპირიან ზმნებთანაც ნულოვანი ვარიანტის შემთხვევაში, როცა არც **ა-** მაქცევარი გვაქვს და არც პირის ნიშნები, ირიბ ობიექტს ადრესატის როლით წარმოქმნის თვითონ **შე-** ზმნისწინი: **შეხარის** ის მას, **შეღალადებს** ის მას, **შეღივის** (**შე-ს-ტირის**) ის მას, **შეღმუის/შეღმუვლებს** ის მას, **შეღრენს** ის **Mმას** და მისთ. აქაც უზმნისწინო ფორმები ერთპირიანი ხდება: **ღმუის**, **ღრენს**, **ხარობს** და სხვა ერთპირიანი მედიოაქტივებია.

ანალოგიური დაპირისპირება იქმნება მომდევნო ყალიბებში:

შე-+0/ს-+R:

შე-დგება // შე-ს-დგება:

შე-დგება (1. რამეზე დადგება, ზედ ავა და დადგება. || აიმართება, დადგება. 2. მოძრაობას შეწყვეტს, _ გაჩერდება, შეჩერდება, დადგება. || გადატ. შეყოყმანდება. *ხიდზე რომ შევდექი, ხიდს მოუახლოვდა... გემი _ ა. ცაგარ.*).

შე-ს-დგება ((მას) დაადგება, შეადგება. *სპილო თავის მტერს... როცა ძირს დასცემს, თავისი ღონიერი ფეხებით შესდგება და სულ დაჟყლიტავს _ ი. გოგებ.*);

შე-დებს // შე-ს-დებს:

შე-დებს (1. შიგ შეიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს. || შეუყრის, შეაცურებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დაადებს. *ნათლია-ჩემმა... პარკი განჯინაში შედო _ ი. მაჭავ. თარგმ.*).

შე-ს-დებს (რამეს მას დაადებს ზევიდან);

შე-დის // შე-ს-დის:

შე-დის (1. სვლით (ნაბიჯის, ფეხის... შედგმით) გარედან შიგნით მიემართება, გარედან შიგნით მიდის. || ცურვით... იჭრება, მიემართება. || გადატ. რამეში იჭრება, ეფინება. || გადატ. მიიმართება, მიედინება. 2. გადატ. რომელიმე ორგანიზაციის წევრი ხდება; სამსახურს, სწავლას... იწყებს. 3. გადატ. რისამე ფარგლებშია, შემადგენლობაშია, _ მდებარეობს. *მაშ, შედი შენ ოთახში და არ გამოხვიდე, ვიდრე არ დაგიძახო _ შ. არაგვ.*).

შე-ს-დის (შედის მისთვის, შეუდის. *[მღვდელს] რაიც საწირი შესდის, თითონ ხომ ჭამენ, იყრიან ჯიბეში _ ა. ყაზბ.*);

შე-ცდება // შე-ს-ცდება:

შე-ცდება (შეცდომა მოუვა, _ მოტყუვდება. || დანებდება ქალი. *მეთვალყურე შეცდა, კარგად ვერ გაარჩია სიბნელეში, ჩემი ტყვე მტრად მიიღო _ აკაკი.*).

შე-ს-ცდება (იგივეა, რაც შეეშლება. *ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო _ ანდაზა*);

შე-წყდება // შე-ს-წყდება:

შე-წყდება (დენას შეწყვეტს (წყალი, სისხლი...)). || მიჩუმდება (ხმა...). *სისხლი შეწყდა და ელგუჯა ტკივილს ველარა გრძნობდა _ ა. ყაზბ.*).

შე-ს-წყდება (მოსწყდება, მოეგლიჯება, მოაწყდება, შეაწყდება. პალტოზე დილი შესწყდა);

შეჭრის // შე-ს-ჭრის:

შე-ჭრის (გარედან შიგნით სიღრმე გაჭრის. მიყვარს, როცა ხმას იძლევა მოგრიალე ხევის წყალი, გველივით რომ შეუჭრია მოლუშული დარიალი – გ. ტაბ.).

შე-ს-ჭრის (მოსჭრის რამეზე, ჭრით მოაცლის, – შეაჭრის. [ჩაის მცენარეს] ტოტებს შესჭრიან ხოლმე – ი. გოგებ.).

შე-+0//3-+R:

შე-კივლებს // შე-3-კივლებს:

შე-კივლებს (კივილით დაიძახებს, – დაიკივლებს. ქალი დაიკლაკნა ტკივილისაგან, მაგრამ არც შეკივლა და არც ცრემლები გადმოაგდო – ა. ყაზბ.).

შე-3-კივლებს (კივილით შესძახებს, – შეჰყვირებს; დასჰყვივლებს. უცბად დედა-ჩემმა შეჰკივლა მამაჩემს: “რას შვრები მაგას!” – აკაკი).

განსხვავება იმაშია, რომ **შე-+ს-//3-+R** ყალიბის ზმნებში პირიანობის ზრდას იწვევს 3-, ს- ნიშნები, ხოლო ზემოთ დასახელებულ ზმნებში (**ლაღადებს – შეღაღადებს...**) კი – **შე-** ზმნისწინი.

განხილული მაგალითების საფუძველზე იკვეთება ერთი საინტერესო კანონზომიერება: **შე-** ერთპირიან ზმნებში აქტუალურს ხდის სუბიექტის ან განმცდელის სემანტიკურ ფუნქციას, ორპირიან ზმნებში ხაზგასმა ეხება უკვე პირდაპირ ან ირიბ დამატებას, ხოლო სამპირიან ზმნებში **შე-** სემანტიკური ველის მნიშვნელობის თვალსაზრისით წარმოქმნის ან აქტუალურს ხდის მხოლოდ ირიბი დამატების ფუნქციურ როლს. მოკლედ რომ ითქვას, **შე-** ანგარიშს უწევს იერარქიულად წინადადების ყველაზე მარკირებულ წევრს, მისკენ წარმართავს სემანტიკური ველის ძირითად მნიშვნელობასა და მის საქცევებს. ეს გრამატიკულ-სემანტიკური ველი მოიცავს 103 ზმნას.

მეათე სემანტიკური ველი “მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის შეცვლა საპირისპირო მიმართულებით (გარდაქცევითობა)”. შინარსობრივად ის სხვა

ველებისაგან განსხვავდება იმით, რომ ზმნის ფუძის საყრდენი საქცევების მნიშვნელობები არ ეხამება **შე-** ზმნისწინის პარადიგმატულ ფუნქციებს, პირიქით, უპირისპირდება მათ: შედეგად ვიღებთ სინთეზირებული ზმნის ორიგინალურ საზრისს.

ც. კვანტალიანის აზრით, გარდაქცევითობის, სხვად ქცევის სემანტიკის მატარებელია **გა-**, **გადა-** ზმნისწინები. ზოგ ზმნაში იგივე მნიშვნელობა შეაქვს აგრეთვე **შე-** ზმნისწინსაც: **შე-ცვლის**, **შე-კუმშავს**, **შე-კვეცავს** და ა.შ. (კვანტალიანი 2001: 102). წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასაც:

შე-აბრუნებს (1. მიმართულებას, გეზს შეუცვლის, სხვა მხარეს გააბრუნებს. 2. უკანვე შეიტანს, სადაც იყო, იქ მიიტანს. 3. მხარს, გვერდს შეუცვლის, _ შეატრიალებს. 4. გადატ. შეცვლის, გადაასხვაფერებს. *სხვა ქართველებთან ერთად გურამიშვილმა ცხენი შეაბრუნა* _ ს. კლდ.);

შე-ატრიალებს (შეაბრუნებს, შეაქცევს; მიატრიალებს; დაატრიალებს. *მთრთოლვარე ხელში რამდენჯერმე შეატრიალა [ოქროპირმა] და ახლა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ჩაიკითხა* _ რ. გვეტ.);

შე-აქცევს (1. მიაბრუნებს მისკენ, _ მიაქცევს, მიაპყრობს. 2. შეაბრუნებს, დააბრუნებს. *[გოგიამ] ცოლს ზურგი შეაქცია და მოუხშირა თუთუნის წევას* _ ე. ნინოშ.);

შე-ცვლის (ერთს მეორეთი, სხვით შეანაცვლებს, _ გამოიცვლის. 2 სხვა სახეს მისცემს, _ გადაასხვაფერებს; გარდაქმნის. *შენიშნეს წეროებმა არწივი და მაშინვე გზა შეცვალეს* _ თ. რაზიკ.)... (სულ 11 ერთ.).

მეთერთმეტე სემანტიკური ველი: “ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები”.

სალექსიკონო მასალის დამუშავებისას გაირკვა, რომ ზმნისწინიან ფორმებში, კერძოდ, **შე-** ზმნისწინით ნაწარმოებ ზმნებში, ხანდახან შეიძლება ერთდროულად იგულისხმებოდეს ორი მოქმედება: პირველი არის მიმართულების გამოხატვა, რომელიც აღინიშნება **შე-** ზმნისწინით, მეორე კი ზმნის ფუძის შინაარსობრივი სემანტიკითაა გადმოცემული. გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

ა) ზოგჯერ **შე-** ზმნისწინის საშუალებით გამოიხატება შიგნით მიმართული მოქმედება, ხოლო ფუძის სემანტიკა არის სხვადასხვა. მაგალითად:

შე-ამწყვდევს (რამეში შესვამს და ჩაკეტავს (ცოცხალ არსებას), – დაამწყვდევს. || გადატ. გასვლის საშუალებას არ მისცემს. *[ბავშვებმა] ბარტყს ფრთები და ბოლო შეაჭრეს... და ჩხირების გალიაში შეამწყვდიეს* – თ. რაზიკ.);

შე-იკეტავს (შევა და მოიკეტავს, – მოიხურავს, ჩაიკეტავს (კარს); ჩაიმწყვდევს (თავს). *ესმა ადგა და თავის ოთახში შეიკეტა კარები* – გ. წერეთ.);

შე-იხურავს (შევა და მიიხურავს კარს. *[ესმა] შევიდა ოთახში და კარები შეიხურა* – გ. წერეთ.)...

დასახელებულ ზმნებში ფუძეთა სემანტიკაა **შესვლა + დამწყვდევა, ბრახუნით კარის მიხურვა, ჩაკეტვა, დახურვა;**

სხვა ზმნებში ფუძე **შესვლა + დადგმა** გამოიხატავს **დადება-დაფვლას:**

შე-დგამს (1. შიგ შეიტანს (შეყოფს) და დადგამს. 2. ზედ რამეზე დადგამს. *ფეხს შედგამს – შევა. *[ადამსკიმ] ვაგონში შესვლისთანავე კუპეში შედგა თავისი ჩემოდანი* – ა. ბელ.);

შე-დებს (1. შიგ შეიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს // შეუყრის, შეაცურებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დადებს. *ის წიგნი, სადაც შედეს, დავიხსომე* – თ. რაზიკ.);

შე-ფლავს (შედებს და დაფლავს, – რამეში ჩამარხავს, დამარხავს. *ჩარექამ... კვერცხები ცეცხლში შეფლა* – ზღაპ.);

ბბ) როგორც აღვნიშნეთ, იმ ფორმებში, რომლებშიც დასტურდება ორმაგი მოქმედება, **შე-** ზმნისწინი უმეტესწილად აღნიშნავს შიგნით მიმართულ მოქმედებას, ხოლო ფუძის შინაარსობრივი სემანტიკა გამოიხატება მეორე მოქმედებით, მაგრამ საქმე ყოველთვის ასე არ არის. იშვიათად გვხვდება ისეთი **შე-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებშიც არ დასტურდება არც შიგნით მიმართული მოქმედება, არც ფუძის შესატყვისი სემანტიკა. ასეთია, მაგალითად, **შეიბეზლებს** (დაბეზლებას მოუსმენს და დაუჯერებს. *მეფეო, პატრონსა თუმცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზლოს* – საბა); მართალია, აქ გამოხატულია ორმაგი მოქმედება, მაგრამ არსად არ ჩანს **შე-** ზმნისწინის

ზემოთ ხსენებული ფუნქცია (შიგნით მიმართული მოქმედება). ჩვენი აზრით, შე-ს აქ ნეიტრალური პოზიცია უკავია.

გ) ზოგჯერ დასტურდება ისეთი შე- ზმნისწინიანი ფორმები, რომელთა განმარტებაში საერთოდ არ ჩანს შიგნით მიმართული მოქმედება. მაგალითად:

შე-აცოცდება (ცოცვით აჰყვება და ავა. *რწყილმა გაღმით გაცურა, როცა ჭიანჭველა ბაწარს შეაცოცდა* – შ. მღვიმ.).

შე-ახოხდება (რამეზე შეხოხდება, ხოხვით შეჯდება).

შე- ზმნისწინი ამ ზმნებში ქვევიდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას გამოხატავს. ქვემოდან ზემოთ მიმართული მოქმედება შე- ზმნისწინის დამატებით ფუნქციათა შორის განიხილება (არა მარტო ქვემოდან ზემოთ, არამედ მჭიდროდ. შიგ ვერ შემოვა, რადგანაც შეღწევა შიგნით შეუძლებელია).

დ) ხანდახან ისეთი ფორმებიც შეინიშნება, რომლებიც ქველ-ის ერთი განმარტების მიხედვით ზემოთ მიმართულ მოქმედებას გამოხატავს, მეორეთი კი – შიგნით მიმართულ მოქმედებას. ასეთია:

შე-ჯდება (ავა და დაჯდება (ცხენზე, ხეზე...)). [*ჯანდიერი*] გამოვიდა კარში, შეჯდა ცხენზე, გაუდგა გზას – აკაკი), 2. შევა და შიგ მჭიდროდ მოთავსდება, – ჩაჯდება, გაჯდება. *ქვა თვით შემჯდარა იმ ფესვების კანსა და ხორცში* – ნ. ლომ.);

ორმაგი მოქმედებაა გადმოცემული მზერა-ხედვა, ცქერის გამომხატველ ზმნებშიც:

შე-ს-ცინებს ის მას (შეხედავს და გაიცინებს; გაუცინებს. [*ბავშვებმა*] სიხარულით შესცინეს ერთმანეთს – ნ. ლომ.);

შე-ს-ცინის ის მას (შეჰყურებს და იცინის, – უცინის. *დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და [ლუარსაბს] შესცინოდა* – ილია). აქაც იგივე ნიუანსია. მიმართულება იქითკენაა (სულ 16 ზმნა).

ორმაგი (თანამდევი) მოქმედების გამომხატველ ზმნებთან დაკავშირებით მ. მონასელიძე ვარაუდობს, რომ ერთი და იმავე ზმნური ფორმით გადმოცემის ფაქტში არეკლილი უნდა იყოს ოდინდელი აქტიურობა-ინაქტიურობის კვალი (მონასელიძე

2001: 11). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ზმნებში აქტიურობა დღესაც კარგად არის გამოხატული.

განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ **შე-** ზმნისწინისა და ზმნის ფუძის შინაარსეული საქცევები სხვადასხვა სემანტიკურ ველში სამგვარ ურთიერთმიმართებას წარმოაჩენენ:

1. **შე-**სა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს ემთხვევა:

I სემანტიკური ველი “**პარტიტივი (ოდნაობა)**”:

შე-კრთება (მცირედ შემინდება, _ შეთრთოლდება, შეფრთხება. *იმანაც მე თვალი მომკრა: შეკრთა, როგორც შველი მონადირისაგან _ ილია*);

შე-მწარდება (ცოტათი გამწარდება, _ სიმწარე შეეპარება);

შე-რბილდება (ოდნავ დარბილდება, სირბილე შეემატება);

VI სემანტიკური ველი: “**საურთიერთო (რესიპროკი)**”:

შე-ატაკებს (1. დააჯახებს, დაატაკებს, შეახლის, 2. გადატ. შეაბრძოლებს ერთმანეთს, წააჩხუბებს, წაჰკიდებს. *თქვენ სულ იმას ცდილობთ, რომ ჯარი და ხალხი ერთმანეთს შეატაკოთ და ხელმეორედ კისერზე დაგვასხათ _ ი. მაჭავ. თარგმ.*);

შე-აუღლებს (შერთავს ერთმანეთს, _ დააქორწინებს. *ურიგო არ იქნება, ეგ გოგო-ბიჭი შევაუღლოთ _ ევ. გაბ.*)...

VII სემანტიკური ველი: “**შემჭიდროება, გამთლიანება**”:

შე-აკავშირებს (კავშირს, ახლო ურთიერთობას დაამყარებს, _ შეამჭიდროებს, დააკავშირებს. *ანიკეტმა შეაკავშირა... ძველ კოლხეთში მცხოვრები ტომები _ საქ. ისტ.*);

VIII სემანტიკური ველი: “**რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა**”:

შე-ანგრევს (ნგრევით (გარედან) გახსნის, გაარღვევს (ნაგებს ან რაიმე მყარს), შეარღვევს, შეამტვრევს; გამოანგრევს. || გადატ. გაარღვევს, დაძლევს. *[შეომრები] ქვისსატეხებისაკენ გაეშურნენ. კედლები შეანგრევს. შევიდნენ შიგ _ ე. ზედგ.*);

შე-აცოცებს (ცოცვით შეიტანს, შეიყვანს, ააცოცებს, შეაპარებს. *წუხელის ხომ ჭკუით გიწინამძღვრეთ, შეგაცოცეთ იქ, ზევით, და თათრებს უცებ ისრები დავუშინეთ* – პ. კაკაბ.);

შე-კოტრიალდება (კოტრიალ-კოტრიალით შევა; შეგორდება);

შე-ხვრეპს (ხვრეპით დალევს (წვნიანს, თხიერს...), – შეხვრეტს);

აღტაცებაში, მხიარულებაში, გაკვირვებაში... შედის (წიგნ. უაღრესი აღტაცების, მხიარულების, გაკვირვების... გრძნობით ივსება. *ფიქრობს ამას ფშატაძე და თან-თან აღტაცებაში შედის – ვაჟა; ზალიკას სტუმრები თანდათან მხიარულობაში შედიოდნენ* – ე. ნინოშ.; *ქალები გაკვირვებაში შედიოდნენ კვირიკეს... მჭევრმეტყველებით* – ე. ეკალ.);

2. შე-სა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ კარგად ეხამება, რის შედეგადაც სინთეზირებული ზმნის ფორმა სამ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანს მიიღებს: ორი ზმნისწინისაა, ერთი კი – საქცევისა. ამგვარი არის:

II სემანტიკური ველი: **“სიმძლავრე-სიძლიერის გამოხატვა”:**

შე-აშინებს (შიშს მოჰგვრის, შიშს განაცდევინებს, – ძლიერ შეაკრთობს, დააფრთხობს. || გადატ. მოდრეკს, გატეხს, დაიმორჩილებს);

შე-ალამაზებს (სილამაზეს, შნოს შემატებს, მისცემს, – გააკობტავებს. || უფრო უკეთესად, ლამაზად მოაჩვენებს, წარმოადგენს);

III სემანტიკური ველი: **“საზედაო”:**

შე-აყუდებს (ზედ მიაყუდებს, შეაბჯენს. *კიბე შეაყუდა*);

შე-უშვერს (ქვემოდან მიუშვერს, გაუწვდის, მიუწვდის, – მიუქცევს. *ქვა ააგდო (შეაგდო) და თავი შეუშვირა, თავისი გადაწყვეტილება, ნათქვამი არ დათმო, აღარ გადათქვა, დაიჟინა, გაკერპდა, გაჯიუტდა. *წამოვვარდი ზეზე. შევუშვირე თავი ღარს და წვიმის წყლით დავიბანე თავი-პირი* – აკაკი);

IV სემანტიკური ველი: **“შემთხვევითობა და მოულოდნელობა”:**

შე-ამთხვევს (რასმე (უსიამოვნოს) დამართებს, გადაჰკიდებს, შეჰყრის. *მოშორდი, ნუ შემამთხვევ ცოდვას* – ილია);

V სემანტიკური ველი: “**დაწყებითობა (ინხოატივი)**”:

შე-კანკალდება (კანკალი აუტყდება, კანკალს დაიწყებს, – ათრთოლდება, შეცახცახდება, შემაგმაგდება);

XI სემანტიკური ველი: “**ორმაგი (თანამდევნი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები**”:

შე-აღებს (გარედან შიგნით გააღებს; ოდნავ გააღებს. *შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში – ილია*);

IX სემანტიკური ველი: “**სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა**”:

შე-ს-თხოვს (თხოვნით მიმართავს, – გამოსთხოვს, შეევედრება, შეეხვეწება, შეემუდარება. *ჩემო დედა, მითხარით, რად მიმაღავ? – შესთხოვა... შალვამ – ვაჟა*);

შე-ს-ჩივლებს (ეტყვის, გაუზიარებს, გაანდობს (დარდს, მწუხარებას...). *ანუკამ მწუხარებით შესჩივლა ეს ამბავი ერთადერთს თავის იმედს დარეჯანს – ვაჟა*)...

3. ზმნისწინისა და საქცევების მახასიათებლები ერთმანეთს არ ეხამება, რის შედეგადაც მიიღება სინთეზური ზოგადი მნიშვნელობა: შეცვლა.

X სემანტიკური ველი: “**გარდაქცევითობა**”:

შე-ატრიალებს (შეაბრუნებს, შეაქცევს; მიატრიალებს; დაატრიალებს. *მთრთოლვარე ხელში რამდენჯერმე შეატრიალა [ოქროპირმა] და ახლა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ჩაიკითხა – რ. გვეტ.*)...

აქაც სამი დიფერენციალური ნიშანია: ორი ზმნისწინისა და ერთი რომელიმე ზმნის ფუძისა.

1.2. შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები

საინტერესოა შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნებიც. ირკვევა, რომ უმეტესი მათგანის განსხვავებული მნიშვნელობები შედის სხვადასხვა სემანტიკურ ველში. მაგალითად:

1) ორმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

შე-აწყობს: ა) რაიმეში აწყობს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *[არჩილმა და ნიკამ] წიგნები... თაროებზე შეაწყვეს _ ს. კლდ.,* ბ) ელემენტების გაერთიანება: შეაწყობს ბანს, გულს (ველი “საურთიერთო”). *სესია... ხომ უქმური ადამიანი იყო, ეჭვიანი, მიუკარებელი, მაგრამ ბაქარ-ბეგს კი გული შეაწყო _ ვ. ბარნ.);*

შე-ახანხლავს: ა) ნაჩქარევად, უხეიროდ შეწვავს (ველი “პარტიტივი”) *ფიცხელა... ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენ ტყუილს შეხანხლავდა! _ ვაჟა,* ბ) შეჭამს (შესანსლავს ტიპისა) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”);

შე-აბრძანებს ა) პატივისც. შეიყვანს. ||უპატივც. შეათრევს, შეაგდებს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ორივე შევაბრძანეთ ბნელ ბედელში _ ნ. ლომ.,* ბ) პატივისც. შესვამს (ცხენზე...) (ველი “საზედაო”) *უფროსი [ძმა] ცხენზე შეაბრძანეს დიდის პატივით, შუათანა ქვეითად წაიყვანეს _ აკაკი);*

შე-ჟღარუნდება (ჟღარუნს დაიწყებს, ჟღარუნით ახმაურდება. ||ჟღარუნით შევა);

შე-ფრთქილდება (იგივეა, რაც შეფრთხილდება. ფრთხილს დაიწყებს, ფრთხილით შეფრინდება, _ აფრთხილდება);

შე-ფრიალდება (ფრიალს დაიწყებს, ფრიალით შეირხევა, აფრიალდება. || რისამე ფრიალით შევა)...

2) სამმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

შე-არღვევს ა) ოდნავ, ნაწილობრივ გაარღვევს (ნაკერს...) (ველი “პარტიტივი”), ბ) შეანგრევს, შეამტვრევს, გაარღვევს, შეამსხვრევს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ფიგურ. კარგმა თაობამ შეარღვია ზღუდე*

მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველია *მო-* ზმნისწინიანი ფორმების გარეკვეული ნაწილი. მაგალითად: *მო-იგიჟიანებს*, *მო-იავადმყოფებს (თავს)*... აღ.

ფოცხიშვილი მიუთითებს, რომ ქართული ზმნის სისტემაში გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი სახელზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოები ფორმებისა, რომელთაც მოქმედება-მდგომარეობის გადმომცემი მეტად თავისებური შინაარსი ახლავთ. ასეთ ფორმებს მიაკუთვნებენ მოჩვენებითობის კატეგორიას. იგი გამოიხატება **მო-** ზმნისწინიანი ფორმებით. მხედველობაში გვაქვს: **მო-იავადმოფებს თავს** (1. თავს ავადმყოფად აჩვენებს; ავადმყოფობას მოიგონებს. 2. ოდნავ ავად არის; ზოგჯერ ავადმყოფობს); **მო-ისულელებს თავს** (1. თავს სულელად მოაჩვენებს. 2. ცოტა სულელია, _ მოსულელია); **მო-ი-მძინარებს თავს** (თავს მძინარედ მოაჩვენებს)... **მო-ვ-ი-მძინარე თავი** ნიშნავს, რომ სინამდვილეში არ მეძინა, ასეთ მდგომარეობაში მყოფად თავი სხვებს ვაჩვენე, რაღაც მიზეზისა თუ მიზნის გამო (ფოცხიშვილი 2000: 128).

ჩვენ მიერ მოპოვებულ სალექსიკონო მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ისიც ითქვას, რომ პირველი ორი შემთხვევა ოდნაობის ნიუანსსაც ატარებს (ოდნავ ავად არის, ცოტა სულელია, _ მოსულელია)...

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **მო-** ზმნისწინი გამოხატავს აგრეთვე **მოზრუნების** სემანტიკას, კერძოდ, ზოგჯერ აღნიშნავს, რომ მოქმედება სრულდება განსაზღვრულ ფართობზე ან რკალზე და უზრუნდება საწყის ადგილს. მაგალითად: **მო-ილოცავს** (მოივლის სალოცავ ადგილებს); **მო-ითარეშებს** (თარეშით მოივლის, _ აიკლებს, დაარბევს; გათელავს)...

ირგვლივ, გარშემო მოქმედების გამომხატველი ზმნისწინია **შემო-** **ზომავს** (ირგვლივ გაზომავს); **შემო-თღის** (გარშემო მოთლის, ირგვლივ თხლად შემოჭრის, _ შემოასწორებს)...

ლექსიკონებზე მუშაობამ გვაჩვენა, რომ ამ სემანტიკას გადმოსცემს არა მარტო **შემო-** ზმნისწინი, არამედ **და-**, **მო-**, **შე-**ც. მაგალითად: **და-ურბენს** (რისამე ან ვისიმე გარშემო დაირბენს, _ სირბილით დაუვლის. || სწრაფად დაუვლის, გავრცელდება); **მო-ფენს** (ირგვლივ, გარშემო დაფენს); **შე-იღობება** (ირგვლივ, გარშემო მოიღობება)...

უნებლიობის სემანტიკის გამომხატველად მიჩნეულია **შემო-** ზმნისწინი: **შემო-აკვდება** (უცაბედად, უნებურად ემსხვერპლება (ვინმე); თავისი სურვილის გარეშე,

შემთხვევით მოკლავს); *შემო-ელახება* (უნებურად გაელახვინება)... ამის შესახებ მიუთითებს ალ. ფოცხიშვილი. მას დასახელებული აქვს 22-მდე უნებლიობის სემანტიკის გამომხატველი ფორმა: *შემო-მაკვდა, შემო-მეჭამა, შემო-მეხარჯა, შემო-მელახა, შემო-მესვა*... (ფოცხიშვილი 2000: 120-122).

აღნიშნულ საკითხს ეხება ზ. ჭუმბურიძე. იგი გამოყოფს ერთ წყებას უნებლიე მოქმედების გამომხატველი *შემო-* ზმნისწინიანი ზმნებისა, რომლებიც, მისი აზრით, საერთოდ არ გვხვდება აწმყოს წრეში: *შემო-ადნება, შემო-აკვდება, შემო-ატყდება, შემო-ეჭმება, შემო-ელევა* და სხვა (ჭუმბურიძე 1986: 104).

როგორც ცნობილია, მიწევნიუბის სემანტიკა გამოიხატება ჩა- და ჩამო- ზმნისწინებით: ჩა- აღნიშნავს ერთი პუნქტიდან მეორეში მისვლას, მიღწევას (III პირისაკენ): *ჩა-ვა* (თბილისში), *ჩა-იყვანს* (მიიყვანს (გარკვეულ პუნქტამდე), *ჩა-ჰყვება* (ქალაქამდე)... ჩამო- აღნიშნავს მიწევნიუბას (I ან II პირისაკენ): *ჩამო-იყვანს* (გარკვეულ პუნქტამდე მოიყვანს (სოფლიდან თბილისში)); *ჩამო-ჰყვება* (სოფლიდან თბილისში)...

დაცილების, დაშორების, უკან მოტოვების სემანტიკური ნიუანსის მატარებელია ჩამო- ზმნისწინი: *ჩამო-იტოვებს* (გაასწრებს ვისმე, უკან მოიტოვებს), *ჩამო-აშორებს* (მოაცილებს რასმე ან ვისმე) (შდრ.: და-აშორა)... ჩამო- აღნიშნავს, აგრეთვე: რიგრიგობითობას, კერძოდ, მოქმედებას, რომელიც სრულდება რიგ-რიგობით: *ჩამო-ატარებს* (ყველასთან მიიტანს რიგ-რიგობით; ჩამოატარებს); *ჩამო-არიგებს* (1. რისამე გასწვრივ ჩამოაყალიბებს და დადგამს, – ჩამოამწკრივებს); *ჩამო-ამწკრივებს, ჩამო-ილოცავს*... ჩამო- გამოხატავს გვერდით, გასწვრივ მიმდინარე მოქმედებების სემანტიკურ ნიუანსსაც: *ჩამო-უვლის, ჩამო-ურბენს, ჩამო-უქროლებს*...

სალექსიკონო მასალაზე მუშაობისას გაირკვა, რომ ამ უკანასკნელ ფუნქციას გადმოსცემს არა მარტო ჩამო- ზმნისწინი, არამედ გადმო- და მი-ც. მაგალითები: *გადმო-აწვეს* (გვერდზე (აქეთ) დააწვენს); *მი-დებს* (იქით ან გვერდზე დადებს, იქით რამესთან ახლოს, დადებს)...

მოულოდნელობა, შეუმჩნევლობა საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიეწერება წამო- ზმნისწინიან ფორმებს. საანალიზო მასალაში ჩვენ წავაწყდით ისეთ შემთხვევებს,

როცა მი- და წა-ც გადმოსცემს ამავე სემანტიკას. მაგალითები: *მი-ავიწყებს* (შეუმჩნევლად დაავიწყებს); *წა-ადგება* (უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე); *წამო-* აღნიშნავს მოქმედების უცებ, მყისიერად, მოულოდნელად დაწყებასა და შეწყვეტას...

ჩვენ სალექსიკონო მასალაზე დაყრდნობით წა- ზმნისწინიან ფორმებთან გამოყოფილი გვქონდა ხმის დადაბლება-დაწვეის სემანტიკა: *წა-ილაპარაკებს* (ხმადაბლა, ჩუმად, თავისთვის იტყვის (რასმე), – ჩაილაპარაკებს); *წა-იტყვინებს* (ტიტინით იტყვის. *ხმამალა წაიტყვინა*); *წა-ილიღინებს* (ხმადაბლა, ღიღინით წაიმღერებს). იგივე სემანტიკა შეიმჩნევა წამო- ზმნისწინიან ფორმებთანაც: *წამო-ილიღინებს* (ხმადაბლა, ღიღინით წამოიმღერებს). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩა- ზმნისწინთან დადასტურებულია საპირისპირო შემთხვევები, სადაც იგულისხმება ხმის ამაღლება, მაგალითად, *ჩა-იხარხარებს* (ხმამალა გაიცინებს, – გადაიხარხარებს)...

სხვადასხვა ზმნისწინთან ხანდახან ისეთი შემთხვევებია, როცა აღნიშნულია:

1. **სივრცეში განფენილი მოქმედება.** იგი გადმოიცემა გა- ზმნისწინით: *გა-აფენს* (1. გაშლის და რამეზე გადააფარებს (ქსოვილს, ქაღალდს და მისთ.) – გააგებს)...

2. **უკან მობრუნების სემანტიკა,** რომელიც გადმოიცემა გამო-, შემო-, ჩამო- ზმნისწინებით, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკან მობრუნების გაგება რთული ზმნისწინის კონსტრუქციაში შემოაქვს მო- ზმნისწინს: *გამო-აბრუნებს* (უკან დააბრუნებს, უკანვე გამოგზავნის); *შემო-ბრუნდება* (უკანვე (შიგ) მობრუნდება, მობრუნდება აქეთ, საიდანაც გავიდა); *ჩამო-ბრუნდება* (უკანვე ჩამოვა)...

3. **რაღაცაში ან რაღაცაზე შესრულებული მოქმედება,** რასაც აღნიშნავს ამო-. ასეთ დროს მოქმედება შიგნიდან გარეთ და ზევით, იმავდროულად მოქმედი (და არა მოსაუბრე) პირისკენ არის მიმართული (თვით სუბიექტი გარედან მოქმედებს): *ქვაში ამო-კვეთს, ხეზე ამო-ჭრის, ამო-თხრის, ამო-სწვავს*...

4. **ფინალობა (დასრულება).** საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ სემანტიკურ ნიუანსს გადმოსცემს მი- და მო-: *მი-ვხვდები* (ბოლომდე გავიგებ); *მო-იტყვინებს* (ტირილს მოათავებს)...

სემანტიკა ჩა-საც აქვს: *ჩა-თავდება* (ბოლომდე იქნება ჩავლილი. || დამთავრდება, დასრულდება)...

ახალ ქართულში *მი-* და *მო-* ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციის _ მოქმედების სასრულობის, დასრულების, უფრო ზუსტად _ მოქმედების საბოლოობის, მთლიანობის, ფინალობის შესახებ მიუთითებს ც. კვანტალიანი. ეს არის სხვადასხვა ფუნქცია, მაგრამ იმავდროულად საერთოც, რადგან სასრულობა უფრო ფართო ცნებაა და ზოგჯერ შეიცავს ფინალობასაც. მაგალითად: *მო-კვდა* _ ე.ი. მომთავრდა, დასრულდა, დაბოლოვდა, მორჩა, დამთავრდა მისი არსებობა, ასევე: *მო-რჩა, მო-ათავა, მო-შალა, მო-მართა...* ეს ფუნქცია ახასიათებს *მი-* ზმნისწინსაც, მაგრამ არა ისე ფართოდ გამოხატული: *მი-ვითვისებ* _ ბოლომდე, სულ, მთლიანად დავისაკუთრებ, ბოლო ადრესატი მე ვარ და ა.შ.

გამოვყოფთ *გადა-* და *გადმო-* ზმნისწინების საერთო სემანტიკურ ნიუანსებს:

1. გადამეტებული, გადაჭარბებული მოქმედება: *გადა-ხარჯავს* (დაწესებულზე მეტს დახარჯავს); *გამო-ათრობს* (ძალიან დაათრობს, გამოათაყვანებს)...

2. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: *გადა-იფიქრებს* (განზრახვას, გადაწყვეტილებას შეიცვლის; მოფიქრებულზე ან დაპირებულზე უარს იტყვის; აღარ შეასრულებს, _ გადათქვამს); *გადმო-წერს* (ნაწერს ან ნაბეჭდს წერით გადმოიღებს. || თავის სახელზე დაიწერს, თავისთან დააწერინებს)...

3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზევიდან ქვევით მიმართული მოქმედების გამომხატველია *და-*, *ჩა-* და *ჩამო-* ზმნისწინები. სალექსიკონო მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ფუნქციას ზოგიერთ შემთხვევაში ასრულებს აგრეთვე *გადა-* და *გადმო-* ზმნისწინები. ამის დასადასტურებლად დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მიმართულებას ზევიდან ქვევით (რამეზე, ვინმეზე გავლით) გამოხატავს *გადა-*: *გადა-დგება (ფანჯრიდან)...* მიმართულებას ზევიდან ქვევით (ვინმეზე ან რამეზე გავლით ან უამისოდ) და აქეთ გამოხატავს *გადმო-*: *გადმო-წვა, გადმო-გვიდა, გადმო-სწია (ტოტი), გადმო-დგა (ვინმე აივანზე)...*

მხოლოდ **გადა-** ზმნისწინი გამოხატავს სხვა ზმნისწინთაგან განსხვავებულ ისეთ სემანტიკურ ნიუანსებს, როგორიცაა: **ხელმეორედ შესრულება (განმეორება): გადა-ზელს** (ხელახლა აზელს); **გადა-ითამაშებს** (ხელახლა ითამაშებს); გადათვლის (ხელახლა დათვლის)...

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია **გადა-** ზმნისწინის კიდევ ერთი სემანტიკური ნიუანსი: **მოქმედების სრულად, ერთიანად, მთლიანად შესრულება: გადა-თხრის** (მთლიანად, ერთიანად მოთხრის, გათხრის; თხრით მიწას გადააბრუნებს). სალექსიკონო მასალის მიხედვით ჩვენ დავუმატებთ **გამო-, მო-** ზმნისწინებს. მაგალითები: **გამო-თავდება** (გამოათავებენ, _ გამოიცლება, მთლად გათავდება, მორჩება, გამოილევა); **მო-ჭამს** (შეჭამს მთლიანად)...

სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით ზმნისწინი ისეთ მრავალფეროვან მორფემას წარმოადგენს, რომ ყველაფრის ამომწურავად, ზედმიწევნით სიზუსტით აღწერა, ალბათ, ძალზე რთულია. ამაზე მიუთითებს ის მასალაც, რომელშიც წარმოდგენილია ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები. შევვხებით რამდენიმე ავტორის ძალზე საინტერესო მოსაზრებას:

ც. კვანტალიანი მიუთითებს, რომ **და-** ზმნისწინი, ცნობილი ფუნქციების გარდა, ზოგიერთ ზმნაში უფროსისადმი, ზემდგომისადმი დაქვემდებარება-დამოკიდებულებასაც მიანიშნებს. მოქმედება მიემართება ზემოდან ქვემოთ, მაგრამ ამ ზმნებს ნამდვილად არა აქვთ მიმართულების გაგება. ასეთია: **და-არიგა (ჭკუა), და-იქვემდებარა, და-იმორჩილა, და-იმონა, და-იმოწაფა...** (კვანტალიანი 2004: 48).

შ. აფრიდონიძე **და-** ზმნისწინიანი ფორმების დამატებით ნიუანსებზე საუბრისას ხაზს უსვამს შემდეგ თავისებურებებს: ა) საგნის მოცულობის ზრდის მიმართულებას. მაგალითად: **გადიდება, გაზრდა, გაფართოება, გასქელება...** გადიდება-ზრდის მეტონიმიური სახეებია: **განდიდება, გაზვიადება, გაღმერთება...** ბ) სიბნელიდან სინათლისკენ მიმართულებას: **გათენება, განათება, გაშუქება, გაბრწყინება, გასხივოსნება...** გ) მოქმედების აქტივობის, ინტენსივობის ზრდას: **გაღვიძება, გაშლა, გახალისება, გამხიარულება...** აგრეთვე, პირუკუ _ ცენტრისკენული მიმართულებით,

დამავალი ხაზით, რეგრესულად მიმდინარეობს და- ზმნისწინიანი ფორმებით გამოხატული მოქმედება: ა) საგნის მოცულობის კლების მიმართულებით: **დაპატარავება, დამცირება, დაკნინება, დანაწილება, დაქუცმაცება...** შდრ. გა(ნ)- ზმნისწინის ფუნქცია ორად, შუაზე გაყოფის აღსანიშნავად: **გათიშვა, გაყოფა, განახევრება, გაჭრა...** ბ) (სინათლიდან) სიბნელის მიმართულებით: **დაღამება, დაბნელება, დაბინდება...** გ) და- ხშირად გამოხატავს თავმოყრას, კონცენტრაციას, ერთ ადგილზე დაფუძნებას: **დამკვიდრება, დამყარება, დაარსება, დაფუძნება, დასახლება, დავანება... დაგროვება, დამძიმება, დამწიფება...** (აფრიდონიძე 1980: 88-89).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა სემანტიკურ ველებში გაერთიანებისას ჩვენ ვეყრდნობით ქეგლ-ის მონაცემებს, თუმცა ზოგიერთი ზმნის განმარტება იწვევს უკმარისობის განცდას: ზოგჯერ ქეგლ-ში მითითებულია ზმნის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა. მაგალითად: **შე-ბარბაცდება** განმარტებულია ასე: **ბარბაცს დაიწყებს, Eშექანდება, შეტოვდება, შეირხევა. წაბარბაცდება.** აქ არ არის აღნიშნული (**წა-ბარბაცდება** ზმნისაგან განსხვავებით) ამ ზმნის მეორე სემანტიკა – **ბარბაცით შევა;** იგივე შეიძლება ითქვას **შე-აჭრის** ზმნის შესახებ. იგი ლექსიკონის მიხედვით აღნიშნავს ზედაპირის მიმართ განხორციელებულ მოქმედებას. თანამედროვე სასაუბრო ენაში იგი შიგნით შეღწევის, უფრო ზუსტად, მოურიდებლად შესვლის მნიშვნელობითაც გამოიყენება (შდრ. **მიეჭრა/მიაჭრა**); დასაზუსტებელია **შე-არხევს** ზმნის სემანტიკაც. ქეგლ-ის მიხედვით იგი მხოლოდ ოდნობას გამოხატავს... ამგვარ წინააღმდეგობათა არსებობა ცხადყოფს, რომ აუცილებელია ამ ასპექტით კვლევის გაღრმავება.

4.3. ქართულის ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის

საშუალებანი სხვა ენებში

ზმნისწინი ყველა ენისათვის არ არის დამახასიათებელი. ქართულ ენას ძალიან უხვად აქვს ზმნისწინები, მაგრამ ზოგ ენას ერთი მწკრივი აქვს ზმნისწინებისა (და არა ორი), ზოგს იმ ერთ მწკრივშიც ცოტა აქვს, ზოგს კი სულაც არ მოეპოვება არავითარი

ზმნისწინი. მაგალითად, სომხურში ძალიან იშვიათია, არაბულში კი საერთოდ არ არის (ა. შანიძე 1980: 251).

როგორც არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, ზოგიერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში ბრუნვათა მრავალფუნქციანობისა და თანდებულის ბრუნვათა ხშირი გამოყენების გამო ზმნისწინი ჩვეულებრივ არ იხმარება; ძველი სომხური, რომელსაც ფაქტობრივად ზმნისწინი არ გააჩნდა, ზმნისწინის ფუნქციას სხვა საშუალებით გამოხატავდა; მაგალითად, მიმართულების აღსანიშნავად იგი იყენებდა სრულიად სხვადასხვა ფუძის ზმნებს ანდა კიდევ ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელურ წინდებულებს (მარტიროსოვი 1953: 74-75).

საინტერესოა ქართულის შედარება ისეთ ენასთან, რომელსაც აქვს ზმნისწინი. ასეთია, მაგალითად, რუსული. ქართულის მსგავსად რუსულიც საკმაოდ მდიდარია ზმნისწინებით, რომელთაც შეუძლია გადმოცემა ყველა იმ მიმართულებისა, რასაც ქართული ზმნისწინები აღნიშნავენ. ჟ. ფეიქრიშვილის აზრით, ქართულსა და რუსულში ზმნისწინები ერთი ტიპის მორფემებია. ისინი ასრულებენ ორ ფუნქციას: ლექსიკურსა და გრამატიკულს (ფეიქრიშვილი 2002: 146), მაგრამ ამ ორ ენას შორის არსებითი განსხვავება მაინც ჩანს; რუსულის ზმნისწინებს მხოლოდ ერთი რიგი მოეპოვება, ქართულს კი – ორი. ის, რაც ქართულში რთული ზმნისწინებით გამოიხატება, რუსულში ვერც ერთი ზმნისწინით ვერ გადმოიცემა. მაშასადამე, ქართულთან შედარებით რუსული ენის ზმნისწინები ფუნქციურად არც ისე მრავალფეროვანია. ქართულს ახასიათებს კონკრეტულობა მოქმედების სივრცესთან დამოკიდებულების საკითხში: ქართულს შეუძლია გეზიც აღნიშნოს და ორიენტაციაც, რუსულს კი გეზის აღნიშვნა შეუძლია, მაგრამ გრამატიკული კატეგორია ორიენტაციისა მისთვის უცხოა (ა. შანიძე 1980: 253).

ა. შანიძეს შესადარებლად დასახელებული აქვს მაგალითები: *“პეტრე მივიდა და წერილი მიუტანა პავლეს”*. ამ წინადადების რუსული თარგმანი ასეთია: *Петр пришел и принес письмо Павлу*. მეორე წინადადება: *“პეტრე მოვიდა და წერილი მოუტანა პავლეს”* იგივე გამოვა რუსულად. ის განსხვავება, რაც ქართულში არის *მი-ვიდა* და *მი-უტანა*-სა და *მოვიდა* და *მო-უტანა*-ს შორის, რუსულმა ენამ ვერ გამოხატა. *пришел მი-ვიდა-საც*

ნიშნავს და მო-ვიდა-საც. გამოდის, რომ ერთი რუსული ზმნისწინი **при-** გამოყენებულია ორი ზმნისწინის – **მი-** და **მო-**ს მაგივრად. ასეა მიმართულების გამომხატველ სხვა ზმნისწინებშიც. ზედმიწევნობის დასაცავად რუსული ენა ასეთ შემთხვევაში იშველიებს სხვა სიტყვებს: **მივიდა** – *пришел туда*, **მოვიდა** – *пришел сюда*, მაგრამ თვითონ ზმნა მოკლებულია საშუალებას, აღნიშნოს, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, მოქმედების მიმართულება აქეთ და იქით, რადგან რუსულს აქვს ერთი მწკრივი ზმნისწინებისა და არა ორი, როგორც ეს ქართულშია (იქვე).

მ. მონასელიძის დაკვირვებით, ის, რაც ქართულში ზმნისწინის წყალობით პარადიგმატულად გამოიხატება (**შეზარხოშდა, წათვლემს, ჩაილაპარაკებს, წაკრეფს, წაეხმარება**), რუსულში არ წარმოგვიდგება ერთი ფორმის მეშვეობით, საჭიროა დამატებითი საშუალებანი. მკვლევარს მის მიერ მოპოვებულ მასალაში ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ზოგჯერ ქართულ-რუსული ლექსიკონი ამ ელფერს, ნიუანსს იქ ავლენს, სადაც ქეგლ-ში ამაზე არ არის გამახვილებული ყურადღება. საქმე ისაა, რომ ოდნაობა შეფასებით მომენტს შეიცავს და ინდივიდის ნებაზე ჰკიდია, მიმართავს თუ არა მას. ამიტომაც შეიძლება ლექსიკონს გარეთ დარჩეს მრავალი ფორმა, რომელთაც აქვს მოქმედების სიმცირის, ოდნაობის გაგება (მონასელიძე 2001: 35).

ქართულსა და რუსულ ენებში ზმნისწინის შესახებ საინტერესო გამოკვლევები აქვს გ. წიბახაშვილს, რომელიც განიხილავს ზმნისწინის ორ ფუნქციას: ლექსიკურსა და გრამატიკულს. იგი ლექსიკურ მნიშვნელობას სამ ჯგუფად ყოფს: 1. მოქმედების მიმართულების აღნიშვნა, 2. მოქმედების შინაარსში სხვადასხვა აზრობრივი ელფერის შეტანა და 3. ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა; მეცნიერი გრამატიკულ ფუნქციასაც სამ ჯგუფად ყოფს: 1. სრული ასპექტის გამოხატვა, 2. აწმყოდან მომავალ დროში მოქმედების გადატანა და 3. ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის გარდამავლად გადაქცევა.

რუსულ **по-** პრევერბს (ზმნისწინს) ეძღვნება ნ. ვაჩნაძის ნაშრომი. სხვა პრევერბებისაგან განხვავებით **по-** არ გამოხატავს მიმართულებას. მისი ძირითადი

დანიშნულებაა ზმნების დეტერმინება....აქედან გამომდინარეობს **по-** პრევერბის სხვა სემანტიკური ნიუანსები. **по-** არსებითად ვერ ცვლის ზმნის მოქმედების ხასიათს. მასთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის ექვსი სხვადასხვა მოქმედების წესის ანუ სახეობის გამოხატვა. ესენია: დაწყებითი, შემზღუდავი, შემარბილებელი, წყვეტილ-შემარბილებელი, განაწილებითი და ზოგად-შედეგობრივი მოქმედების სახეობანი.

по- პრევერბს ძირითადად სამი ქართული პრევერბი შეესატყვისება: **გა-, შე-, და-**. ცალკეულ შემთხვევებში კი: **მო-, ჩა-, ჩამო-, ა-, მი-, წა-, გამო-** და სხვა პრევერბებით ითარგმნება.

ნ. ვაჩნაძე **по-** პრევერბიანი ფორმების ქართულად გადმოცემის საშუალებების შედარებისას მიმართავს რუსულ-ქართულ ლექსიკონებს და აღნიშნავს: 1. **по-**, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს დაწყებითობას და ეს ნიუანსი ყველაზე მეტად გადმოიცემა ძირითადად **გა-** ზმნისწინის საშუალებით, მაგალითად: **побегать** – გაქცევა: дети побежали вперед (ბავშვები წინ გაიქცნენ)... ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **გა-** ზმნისწინი ძირითადად გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს და გამოხატავს მოცილებას, მოშორებას მიმართულების გარეშე, მაგრამ **გა-** მარტო მოშორებასა და მოცილებას კი არ აღნიშნავს, არამედ სივრცეში გადაადგილების გამომხატველ ზმნებთან მოქმედების დაწყების გამოხატვასაც ახერხებს. ეს ხდება ზოგჯერ **წა-** ზმნისწინით: **побрести** – წაჩანჩალება, წაყიალება; **поплестись, потащиться** – წაჩანჩალება, წათრევა, რამდენიმე შემთხვევაში კი – **და-** ზმნისწინით: **повеять** – სიოს დაბერვა; 2. **по-** პრევერბიან ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი შემზღუდავი მოქმედების სახეობას გამოხატავს და ამ ტიპის ზმნების თარგმნისას ლექსიკონებში მოშველიებულია კონკრეტული შინაარსის სიტყვები: **ცოტა ხანს, ცოტა ხნით, რამდენჯერმე** და მისთ. მაგალითად: **поворчать** – ცოტა ხანს ბუზღუნნი; **поиграть** – ცოტა ხანს დაკვრა... ე.წ. შემზღუდავი მნიშვნელობის მქონე ზმნები აღნიშნულ ლექსიკონებში თარგმნილია **წა-** პრევერბიანი ზმნებით. მაგალითად: **поработать** – წამუშავება; **поспать** – წაძინება; **посудачить** – წაჭორავება... 3. გაცილებით მცირერიცხოვანია ისეთ **по-** პრევერბიან ზმნათა ჯგუფი, რომელიც შემარბილებელი მოქმედების სახეობას გამოხატავს. ამ ტიპის

ზმნების თარგმნისას ლექსიკონებში მოშველიებულია სიტყვები: **ცოტა, ოდნავ, ცოტაოდენ** და მისთ. მაგალითად: **покачнуть** – ოდნავ, ცოტა შერყევა, შერხევა; 4. რუსული **по-** და **-ыва, -ва** სუფიქსიანი უსრულასპექტიანი ზმნები გამოხატავენ მოქმედების წყვეტილობას, მოქმედების არარეგულარულ ჯერადობას (ზოგჯერ, დროდადრო) და მოქმედების არასრულ გამოვლინებას (ცოტა, ოდნავ). მაგალითად: **побалтывать** – დროდადრო გაქნევა; 5. **по-** პრევერბთან არის აგრეთვე დაკავშირებული რუსული ზმნის განაწილებითი მოქმედების სახეობის გამოხატვა, მაგალითად: **побить** – დახოცვა... (ვაჩნაძე 1979: 276-288).

როგორც აღინიშნა, ბევრ ენას საერთოდ არ მოეპოვება ზმნისწინი. ასეთია, მაგალითად, არაბული. ა. შანიძეს არაბულთან შესადარებლად აღებული აქვს ვიდა-ფორმა, რომელსაც ქართულში ყველა ზმნისწინი დაერთვის: **შემო-ვიდა, გა-ვიდა, ჩამო-ვიდა...** სამაგიეროდ, არაბული აღნიშნული ფორმების შესაბამისად იყენებს სულ სხვადასხვა ფუძეებს: **დახალა** (შემოვიდა, შევიდა), **ხარაჯა** (გამოვიდა, გავიდა), **ნაზალა** (ჩამოვიდა, ჩავიდა)... ქართულს თავისუფლად შეუძლია ერთი ფუძისაგან აწარმოოს რამდენიმე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინის დართვით. არაბული კი იძულებულია, რომ სხვადასხვა მხარეს მიმართული ერთი და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, ზმნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომაც ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე – ქართულში. აქედან გამომდინარე, რომელიმე კაცისთვის, რომლისთვისაც ქართულიც უცხოა და არაბულიც, ქართული სალექსიკონო მასალის დამლევა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე – არაბულისა (ა. შანიძე 1980: 252-253);

ზმნისწინიან ფორმათა თარგმნისა და შეპირისპირების თვალსაზრისით საინტერესოა ინგლისური ენის მონაცემების გათვალისწინებაც. ზმნისწინები არ გააჩნია არც ინგლისური ენას. მაგალითად:

ვწერ I am writing something

და-ვწერ I will write something

ვწერე I wrote something (but did not finish it)

და-ვწერე I wrote something (and finished it)

საინტერესოა ის, რომ ზმნათა ორი უდიდესი კლასისთვის (I და II უღლება) განსხვავება წარსულსა და მომავალ დროებს შორის, თუკი ასეთი არსებობს, აღნიშნულია ზმნისწინის არსებობით. ბევრ შემთხვევაში ზმნისწინი არ არის დაშორებული ფუძისგან ახლანდელ დროში, რაც იძლევა ერთნაირ ფორმებს როგორც წარსულში, ასევე მომავალშიც. მაგალითად:

აღ-ვწერ “I am describing“ ორ “I will describe it“ (ლიტ. “Write up“)

გადა-ვწერ “I am copying or I will copy“ (lit “write over“)

თვით ზმნისწინები ნაწარმოებია ადგილის ზმნიზედებისაგან (directional particles), რომლებიც ლექსიკურად შეეთავსნენ ზმნის სტრუქტურას. ზმნისწინის შერჩევა სემანტიკურად მოქნილია მოძრაობისა და გადაადგილების გამომხატავი ზმნებისთვის (**მო- toward here, Se-in, Ca-down**). უმეტესწილად ზმნათა ფუძეები და მათი შესაბამისი ზმნისწინები შესწავლილი უნდა იქნეს ინდივიდუალურად. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზმნისწინების სისტემა და მათი გამოყენება ქაოსურია. ქართული ზმნის სემანტიკური სტრუქტურა (**ზმნისწინი + ზმნათა კომბინაციები**) არის ინგლისური ზმნის სტრუქტურის მსგავსი (**ზმნა + ადგილის ზმნიზედები, particle syntagms: eat up, put of, tire out**). ყოველი ზმნიზედა სემანტიკურად გამყარებულია წმინდა სივრცული მნიშვნელობით, რომელიც გადადის არასივრცით მეტაფორულ ფორმებში. როგორც ჩანს, მეტაფორული გაგრძელების პრინციპები უნივერსალურია. შესამჩნევია მრავალი აშკარა ანალოგია ქართულ და ინგლისურ სემანტიკურ ველებში (**გა- out/off** – შიგნიდან გარეთ).

ქართულში ზმნისწინის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს აწმყოსა და მომავალ დროებს შორის დაპირისპირება. იმისთვის, რომ ზმნა გადავიდეს აწმყოდან მომავალ დროში, მას უნდა დაემატოს შესაბამისი ზმნისწინი. გვარდა ამ ფუნქციისა, ზმნისწინებს აქვს მიმართულების აღმნიშვნელი ფუნქციები. ისინი უშუალოდ წინ ერთვიან ზმნას:

აკეთებს (“he does it“) – **გა-აკეთებს** (“he will do it“)

ვწერ (“I am writing“) – **და-ვწერ** (“I will write“)

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მომავალი დროის მნიშვნელობა მიიღება მხოლოდ ზმნისწინის დართვით; არ აქვს ადგილი არანაირ გრამატიკულ ცვლილებას. მომდევნო მაგალითებში ჩანს ზმნისწინის მიმართულებითი ფუნქცია:

მო-დის (“he is coming“)

მი-დის (“he is going“)

ა-დის (“he is going up (the stairs) “he is getting on (a bus“))

შემო-დის (“he is arriving“) “coming down the stairs“

(Harris, Alice C. 2003: 71-78)

ზმნისწინიან ფორმათა თარგმნისა და შეპირისპირების თვალსაზრისით უფრო ვრცლად წარმოვადგენთ თურქული ენის მონაცემებს.

თურქული ზმნა მონოპერსონალურია. მის პირიან ფორმაში მხოლოდ სუბიექტის პირი და რიცხვი აღინიშნება (ჯანაშია 1998: 9).¹

ქართული ენისაგან განსხვავებით თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები. იმ ფუნქციებს, რაც ქართულში ზმნისწინებს ეკისრება, თურქულში ძირითადად ასრულებს ზმნიზედები. მაგალითად: **შე-თენდება** (Hava biraz aydınlanacak – ოდნავ გათენდება); **შე-დნება** (Biraz eriyecek – ოდნავ გადნება). ორივე შემთხვევაში, ზმნის განმარტებისას თურქულში გამოიყენება ზმნიზედები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველ მეცნიერთა ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულში ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიცა და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს, დაშორდნენ ერთმანეთს და, როგორც მორფემები, შეეზარდნენ სახელსა და ზმნას. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა სახელთან თანდებულად, ზმნასთან კი ზმნისწინად იქცა. ასეთია, მაგალითად: თანდებული -**ში** და ზმნისწინი **შე-**, თანდებული -**გან** და ზმნისწინი **გან-**.

მაშასადამე, თანამედროვე სალიტერატურო თურქულში შეიმჩნევა ძველი ქართული ენის ვითარება. ამის საჩვენებლად შეპირისპირებას მოვახდენთ **შე-**, **წა-** და სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ენისაგან განსხვავებით თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები, რაც ზმნისწინიან ფორმათა ქართულიდან თურქულზე გადატანის დროს ქმნის გარკვეულ პრობლემებს. წინააღმდეგობრივია სალექსიკონო მასალაც. მაგალითად, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით **შე-სველება** თურქულად ასეა თარგმნილი: ოდნავ დასველება. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ზუსტად სიტყვა **შესველებას** ვერ ვხვდებით. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში ოდნაობის გამოსახატავად იხმარება ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედები, ხოლო ზოგადი მოქმედება გადმოიცემა მასდარით. მაგალითად: **და-სველება** თურქულად ასეა განმარტებული: **Islatmak**: Islak hale getirmek, რომლის თარგმანია: სისველის მდგომარეობაში მოყვანა, გადაქცევა.

ქართულ-თურქულ ლექსიკონში დასტურდება ისეთი **შე-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც პირდაპირი გაგებითაა გამოყენებული. მაგალითად: **შეღებვა**, **შეჭმა**, **შესწავლა**... აღნიშნულ ლექსიკონში თითქმის შეუძლებელია ოდნაობის ნიუანსობრივი დატვირთვის მქონე ფორმების ნახვა. ამას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ ქვემოთ მოცემული **შე-** ზმნისწინიანი ფორმების 90%-ზე მეტი საერთოდ არ არის ლექსიკონში. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში არ მოიპოვება ზმნისწინები და იმ ფუნქციებს, რაც აკისრია ზმნისწინებს, თურქულში ასრულებს ძირითადად სხვადასხვა ზმნიზედა, აგრეთვე მასდარისაგან მიღებული სახელები ზმნის პირიან ფორმასთან (მაგალითად, **დაიწყებს**) ერთად. ქართული **შე-** ზმნისწინიანი ოდნაობის სემანტიკის გამომხატველი მხოლოდ რამდენიმე ფორმა დასტურდება ქართულ-თურქულ ლექსიკონში: **შე-გვიანება** (ცოტა დაგვიანება – Biraz geç kalmak), **შე-ბინდება** (ოდნავ დაბინდება – karanlığın çökmesi), **შე-გრილება** (ოდნავ გაგრილება – Biraz serinlemek), **შე-თბობა** (ოდნავ დათბობა – Biraz ısınmak), **შე-თრთოლება** (თრთოლის დაწყება – Titremeye başlamak), **შე-ჩერება** (მოძრაობის დროებით შეწყვეტა – Ara vermek). ასეთი ფორმა სულ 7 ერთეულია.

თურქულში ხუთი სახის ზმნიზედაა. ესენია: 1. ვითარების ზმნიზედა (კარგად, ნელა, სუფთად, მეგობრულად...), 2. დროის (გუშინ, ხვალ, ზეგ, უეცრად, ადრე...), 3.

ადგილისა და მიმართულების (ქვემოთ, ზემოთ, უკან, წინ, შორს...), 4. ზომა-ოდენობის (უფრო, ძალიან, ცოტა, ცოტაოდენი...) და 5. კითხვითი (რა? როდის? როგორ? რატომ?) (Banguoğlu Tahsin, 2000; KPSS Temel Kitap, 2008; Türkçe Dil Bilgisi, 1993).

ქართულის მსგავსად თურქულშიც ზმნიზედა მარტო არ გამოიყენება. იგი აუცილებლად ზმნასთან, თანდებულთან ან სხვა რომელიმე ზმნიზედასთან ერთად დასტურდება. სიტყვა მაშინაა ზმნიზედა, როდესაც ნებისმიერ მოქმედებას ახასიათებს.

როგორც აღინიშნა, **შე-** ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია არის ოდნაობის სემანტიკის გამოხატვა. ამისთვის თურქულში ზმნურ ფორმასთან ერთად გამოიყენება ზმნიზედები: **Az** (ოდნავ), **Biraz** (ცოტა, ცოტათი), **Kısa, az bir zaman** (მცირე/რადაც ხნით, ერთგზის), **orada-burada, yer-yer, az miktarda** (აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ), **Kısmen, belli bir kısmını** (ნაწილობრივ), **Çarçabuk, üstünkörü, zorla, aşağı-yukarı** (სახელდახელოდ, ზერელედ, ძლივს, თითქმის). მაგალითები: **Az** (ოდნავ): **შე-ასველებს** (*Az ıslatacak* – ნაწილობრივ, ოდნავ დაასველებს); **შე-ტენიანდება** (*Biraz nemlenecek* – ოდნავ ტენიანი გახდება, ოდნავ დანესტიანდება); **შე-რბილდება** (*Biraz yumuşayacak* – ოდნავ დარბილდება); **შე-აბრკოლებს** (*Biraz engelleyecek* – ოდნავ დააბრკოლებს); **შე-აწითლებს** (*Biraz kızaracak* – ოდნავ გააწითლებს); **შე-ძრავს** (*Biraz hareket edecek* – ოდნავ გაანძრევს); **შე-ღვინიანდება** (*Biraz sarhoşlaşacak* – ოდნავ დაათრობს); **შე-ქეიფიანდება** (*Biraz keyiflenecek* – ქეიფის გუნებაზე მოვა); **შე-ამცივებს** (*Biraz üşütecek* – ოდნავ, ცოტათი შეაცივებს); **შე-ითბობს** (*Biraz ısıtacak* – ოდნავ, მცირედ გაითბობს); **შე-შმაშურდება** (*Biraz yerinden hareket edecek* – ოდნავ შეინძრევა, შეიშმუშნება); **შე-ნიავედება/შე-ანიავეს** (*Biraz havalandıracak* – იგივეა, რაც ანიავეს); **შე-ბინდბუნდდება** (*Hava biraz kararacak* – ოდნავ დაბინდდება, მოსაღამოვდება)...

Biraz, birazcık (ცოტა, ცოტათი): **შე-აგრილებს** (*Biraz serinletecek* – ცოტათი გააგრილებს); **შე-მწარდება** (*Biraz acıyacak* – ცოტათი გამწარდება); **შე-ჰკნება** (*Biraz solacak* – ცოტათი დაჰკნება); **შე-ცოტავდება** (*Biraz azalacak* – ცოტა გახდება, შემცირდება); **შე-ავკიანდება** (*Biraz geç kalacak* – ცოტა დაუგვიანდება); **შეთქვევს** (*Biraz çırpacak* – მცირედ გათქვევს); **შე-ართმევს** (*Biraz, küçük parçasını alacak* – მცირე ნაწილს, ცოტას შეაცლის);

შე-სთლის (İnce bir şekilde, Biraz yontacak _ თხლად, ცოტას ასთლის); **შე-ქლიბავს** (Biraz eğeliyecek _ ცოტას გაქლიბავს), **შე-მხიარულდება** (Biraz neşelenecek _ ცოტათი გამხიარულდება). **შე-თვრება** (Biraz sarhoş olacak _ ცოტათი დათვრება); **შე-ათხელებს** (Biraz inceltecek _ ცოტათი გაათხელებს); **შე-იაფდება** (Biraz ucuzlayacak _ ცოტათი გაიაფდება); **შე-ცუცნის** (Sessizce, az az yiyecek _ სუსნით, ცოტ-ცოტას (ჩვეულებრივ ჩუმ-ჩუმად) შეჭამს); **შე-კოკნის** (Az-az yiyecek _ ცოტ-ცოტას შეჭამს); **შე-ათბობს** (Biraz ısıtacak _ ცოტათი გაათბობს); **შე-ნამავს** (Az nemlendirecek _ ოდნავ დანამავს)...

Kısa, az bir zaman (მცირე/რალაც ხნით, ერთგზის): **შე-ითამაშებს** (Kısa bir süre oynayacak _ ცოტა ხანს ითამაშებს); **შე-ასვენებს** (Kısa bir müddet dinlendirecek, kısa bir zaman dinlenme imkanı tanıyacak _ ცოტა ხნით დაასვენებს, მცირე ხნით დასვენების საშუალებას მისცემს); **შე-აჩერებს** (kısa bir süre durduracak _ ცოტა ხნით გააჩერებს); **შე-ყოვნდება** (kısa bir süre durduracak _ მცირე ხნით დაყოვნდება); **შე-წყვეტს** (kısa bir zaman için duracak _ შეაჩერებს); **შე-აყენებს** (Hareketini, yürümesini kısa bir süre için durduracak _ სვლას, სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს)...

Orada-burada, yer-yer, az miktarda (აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ): **შე-თელავს** (az miktarda ezecek _ მცირედ მოთელავს.); **შე-თქვევს** (az miktarda çırpacak _ მცირედ გათქვევს); **შე-ატყავებს** (yer yer derisini yüzüyor _ ზოგან ტყავს შეაცლის); **შე-თუთქავს** (az, biraz kızaracak _ ოდნავ, მცირედ მოთუთქავს); **შე-იხრება** (biraz, az bir oranda eğilecek _ ოდნავ, მცირედ მოილუნება)...

Kısmen, belli bir kısmını (ნაწილობრივ): **შე-ასწორებს** ((მცდარს) Belli bir kısmını düzeltecek _ გაასწორებს, გამართავს; შეაკეთებს); **შე-ზამთრდება** (Kısmen kış yaklaşacak _ ზამთარი მოახლოვდება); **შე-რემონტდება** (Belli bir kısmını onaracak _ რემონტი გაუკეთდება); **შე-თვლის** (Bilgilerin bir kısmını bildirecek _ ინფორმაციის ნაწილს); **შე-ანელებს** (1. Hızı kısmen azaltacak _ სიჩქარეს, სისწრაფეს მოუკლებს. 2. Sıcaklığı azaltacak _ სითბოს მოაკლებს)...

Çarçabuk, üstünkörü, zorla, aşağı-yukarı (სახელდახელოდ, ზერელედ, ძლივს, თითქმის): **შე-ბანდავს** (çarçabuk bağlayacak _ სახელდახელოდ შეკრავს); **შე-ბარავს**

(Üstünkörü belleyecek (çapalayacak) _ ზერელედ დაბარავს); **შე-პოტინდება** (Zor güç yukarı çıkacak _ ძლივს ავა); **შე-მთავრდება** (Hemen hemen bitecek _ შეთავდება, დამთავრდება); **შე-ანახვერებს** (Aşağı yukarı yarıya inecek _ თითქმის გაანახვერებს)...

ქართულში შე- ზმნისწინი არის აგრეთვე საზედაოს, ქვევიდან ზევით მიმართული, ზედაპირისადმი განხორციელებული მოქმედების, გარშემო მოძრაობის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება. მასთან ერთად დიდ როლს თამაშობს ა- მაქცევარი, რომელიც ძალზედ საინტერესოა ზოგადსემანტიკური თვალსაზრისითაც (იგი ირიბთან ერთად წარმოქმნის პირდაპირ ობიექტურ პირსაც). ა- მაქცევრით წარმოქმნილ ობიექტზე მოქმედება ხორციელდება უშუალოდ, ის მას პირდაპირ ეხება, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურადაც, ამიტომ ა- მაქცევარს უკავშირდება ლოკალური ე.წ. საზედაო მნიშვნელობებიც (მ. მაჭავარიანი, 1980: 57).

საზედაოს ფუნქციას, თურქულში გამოხატავს ადგილისა და მიმართულების (ქვემოთ, ზემოთ, უკან, წინ, შორს...) ზმნიზედები. თურქული ზმნის რეალობიდან თუ გამოვალთ, თვითონ მასდარის ფორმაში გამოიხატება დაწვრილებით ის ნიუანსები, რაც ქართულ ზმნისწინიან ფორმას ახასიათებს. მასდარის ფორმა შეიცავს ზოგად ცნებას. როდესაც გვინდა მოქმედების ადგილისა და მიმართულების ანდა რომელიმე სხვა სიტუაციის გამოხატვა, მაშინ დამატებით უნდა შემოვიტანოთ ზმნიზედები.

თურქულში ზმნისწინის უქონლობა, ბუნებრივია, გარკვეულ პრობლემებს ქმნის საზედაო მოქმედების სემანტიკის შე- ზმნისწინიან ფორმათა გადათარგმნის დროსაც. წინააღმდეგობრივია სალექსიკონო მასალაც. მაგალითად, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით **შეზეთავს** თურქულად ასეა თარგმნილი: რაღაცაზე ზეთის წასმა. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში კი პირდაპირ სიტყვა **შეზეთავს** ვერ ვხვდებით. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში საზედაო მოქმედების გამოსახატავად იხმარება ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედები, ხოლო ზოგადი მოქმედება გადმოიცემა მასდარით. მაგალითად: **ზეთვა** თურქულად ასეა განმარტებული: **Yağlamak**: Herhangi birşeyin yüzeyine yağ sürmek, რომლის თარგმანია: რაღაცაზე ზეთის წასმა.

საზედაო მოქმედების სემანტიკური ველის ფარგლებში გამოიყოფა რამდენიმე საქცევი: ზედ/ზედაპირზე, ქვემოდან ზემოთ, გარშემო, ირგვლივ, მთლიანად. წარმოვადგენთ თურქულთან შეპირისპირების მაგალითებს:

Yukarı, Yukarıya, Yukarıda, Yukarıdan (ზედ/ზედაპირზე): *შე-აფენს* (İçine veya üzerine örtecek _ შიგ ან ზედ დააფენს), *შე-ბურავს* (Bir şeyin üstünü örtecek _ დაფარავს); *შე-წამლავს* (Birşeyin üzerine ilaç sıkacak (Bitkinin) _ წამალს შეასხურებს (მცენარეს); *შე-ასხამს* (Sıvıyı herhangi bir yüzeye dökmek _ ზედ მიაღვრის); *შე-აცლის* (Yüzeyden küçük bir parçanın alınması, uzaklaştırılması _ ზედაპირზე, (მცირე) ნაწილს მოაშორებს); *შე-აწვება* (Bir şeyin üzerine yüklenmek _ ზედ დააწვება); *შე-აწყვეტს* (Birşeyin üzerine bağlanmış herhangi birşeyin koparılması _ რაზედმე დამაგრებულს ან დაკერებულს მოაგლეჯს)...

თურქული ენის როგორც განმარტებით, ასევე თარგმნით ლექსიკონებში, არ არის არც უმაქცევრო და არც მაქცევრიანი ფორმები, არის მხოლოდ მასდარი. მაგალითად, არ არის: *შეწყვეტს* _ *შეაწყვეტს*, *შეგლეხს* _ *შეაგლეხს*, *შეგოზავს* _ *შეაგოზავს*, *შეგლეჯს* _ *შეაგლეჯს*... ამ სახითაა მოცემული ზემოთ აღნიშნული ფორმებიც: *შეწყვეტა*, *შეგლეხვა*, *შეგოზავა*, *შეგლეჯვა*...

Yukarı-Aşağıdan yukarıya (ზედ-ქვემოდან ზემოთ): *შე-ცოცდება* (Sürünerek yukarı çıkacak – sürünerek girecek _ ცოცვით ავა. || ცოცვით შევა); *შე-ებჯინება* (Aşağıdan yukarı doğru dayanarak duracak _ ქვემოდან, საბჯენად, საყრდენად შეედგმება); *შე-სხებს* (Yukarıdan aşağı doğru yontacak _ შეაჭრის); *შე-ჯდება* (Yukarı çıkacak ve oturacak _ ავა და დაჯდება (Ata, ağaca... _ ცხენზე, ხეზე...); *შე-ხურავს* (Aşağıdan yukarı doğru kapatacak _ ქვევიდან ზემოთკენ დაახურავს); *შე-დგება* (Yukarı çıkacak ve duracak ზედ ავა და დადგება); *შე-უშვერს* (Aşağıdan yukarı doğru kaldıracak _ ქვემოდან მიუშვერს); *შეკვალავს* (Yukarı doğru iz sürecek _ აღმა გაკვალავს); *შე-ხტება* (1. Zıplayarak yukarı fırlayacak _ ხტომით ავარდება. 2. Zıplayarak bir şeyin üzerine çıkacak _ ხტომით ავა რამეზე)...

Etrafına, Çevresine, tamamına (გარშემო, ირგვლივ, მთლიანად): *შე-ბრუნავს* (Onun etrafında dönüyor _ მის გარშემო ტრიალებს, Başının üstünde dönüyor _ თავს დასტრიალებს); *შე-ფუთნის* (Bir şeyin içine saracak _ რაიმეში შეხვევს); *შეხვევს* (Bir şeyle tamamen üstünü

kapatacak, _ paketleyecek, bir şeyin içine saracak _ რითიმე მთლიანად დაფარავს); **შე-ს-ტრიალებს** (Etrafinda dönecek; etrafına bakacak; başının üstünde dönecek _ ირგვლივ უვლის; შესცქერის, შეჰყურებს; თავს დასტრიალებს); **შე-ჰ-ბზუის** (Böcek bir kişinin veya bir şeyin çevresinde, yakında vızıldıyor _ ვისიმე ან (რისამე) ირგვლივ, ახლოს ბზუის)...

თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონები ზმნურ ფორმათა გამოხატვის თვალსაზრისით განსხვავდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისაგან. კერძოდ, თურქულ ლექსიკონებში ზმნები მხოლოდ მასდარის სახით არის წარმოდგენილი და მარტო მისი განმარტება არის მოცემული, ქართულში კი საქმე სხვაგვარადაა. ვგულისხმობთ ფორმებს, რომლებიც დროისა და ქცევის ნიშნების მიხედვით არის განმარტებული, რაც თურქული ენისათვის უცხოა. ეს შეიძლება ასე აიხსნას: ქართულში სიტყვის მნიშვნელობაზე ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. გასათვალისწინებელია ზმნისწინები და მაქცევრები. ორივე გარკვეულ შემთხვევაში ცვლის სიტყვის მნიშვნელობას.

დანარჩენი ველებისაგან განსხვავებით **დაწყებითობის (ინხიატივის)** (Başlamak, Başlatmak) გამოსახატავად თურქულში გამოყენებულია მასდარისაგან მიღებული სახელები ზმნის პირიან ფორმასთან ერთად (ზმნის ფუძეზე **-maya-**, **-meye** ნიშნების დართვით). მაგალითად: **შე-ფრთხილდება** (Çırpınmaya başlayacak _ ფრთხილს დაიწყებს); **შე-როკდება** (Dans etmeye başlayacak _ როკვას დაიწყებს); **შე-კამათება** (Tartışmaya başlayacak _ კამათს დაუწყებს); **შე-ქანდება** (Sallanmaya başlayacak _ რხევას დაიწყებს); **შე-აზრიალებს** (Zıngırdamaya, cingırdamaya başlayacak _ ზრიალს დააწყებინებს); **შე-ბზრიალდება** (Dönmeye başlayacak _ ბზრიალს დაიწყებს); **შე-ზუზუნებს** (Vızıldamaya başlayacak _ ზუზუნს დაიწყებს); **შე-აკაშკაშებს** (İşıldamayı başlatacak _ კაშკაშს დააწყებინებს)...

ასევე საინტერესოა **საურთიერთო მოქმედების** გამოხატვა ქართულსა და თურქულში. ეს სემანტიკა თურქულში გადმოიცემა თანდებულებით: **ერთად** (Beraber) და **ურთიერთ** (birbiriyle). მაგალითად: **Gülecek** ნიშნავს “გაიცინებს”, **Gülüştük** კი _ “ერთად გაიცინებს”. საურთიერთო მოქმედებას გადმოსცემს აგრეთვე ნიშნები: **-ş, -ış, -iş, -**

uş, -üş. ამოსავალი გარდამავალი ზმნა სათანადო სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და მოქმედება საურთიერთო მოქმედების ხასიათს იღებს. გვარის თვალსაზრისით საშუალო გვარის ზმნად გადაიქცევა (ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია 1999: 72). მაგალითად: ზმნა **Görmek** ნიშნავს “ნახვას”, **Görüşmek** კი – “ერთმანეთის ნახვას”, რასაც ქართულში ზმნა “შეხვედრა” გამოხატავს. “შეხვედრა” თურქულად ასე ითარგმნება “Birbiriyle görüşmek” (ერთმანეთთან შეხვედრა). თურქულში არ არის აუცილებელი სიტყვის **Birbiriyle** გამოყენება. თვით **Görüşmek** აღნიშნავს საურთიერთო მოქმედებას, ორადგან მას დართული აქვს თურქულის საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ნიშანი **-ş**. გარდამავალი ამოსავალი ზმნა სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და საშუალო გვარის სახეობას ინარჩუნებს. ასეთივეა: **Ağlamak** – ტირილი, **Ağlaşmak** – ერთად ტირილი (იქვე, გვ. 73). ასეთ პირობებში მოქმედება ერთობლივი ქმედების ხასიათს იღებს. მაგალითად: **შე-ადარებს** (Benzerlik ve farklılıkları anlamak için birbiriyle karşılatıracak – ერთმანეთთან შეაპირისპირებს მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად); **შე-ათანასწორებს** (Birbiri ile karşılaştıracak – შეუდარებს ერთმანეთს); **შე-ატაკებს** (1. Birbiriyle çarpıştıracak – დააჯახებს); **შე-აუღლებს** (Birbiriyle birleştirecek, evlendirecek – შერთავს ერთმანეთს, – დააქორწინებს); **შე-აბერებს** (Biriyle birlikte ihtiyarlıyacak – ვინმესთან ერთად სიბერეს მიაღწევინებს); **შე-ათანხმებს** (Anlaştıracak – მოარიგებს)...

თურქულთან შეპირისპირების დროს ასევე საინტერესო სურათს იძლევა **ორმაგი (თანამდევი) მოქმედების** აღმნიშვნელი ზმნები. ასეთი რამ თურქულ ენაში ერთი ზმნის ფარგლებში არ გვხვდება, მაგრამ იმ მოქმედებაში, რომელიც აზრის გამოსახატავად გამოიყენება, ისედაც იგულისხმება პირველი მოქმედება. პირველის შესრულების გარეშე მეორე ვერ შესრულდება. მაგალითად, “Bunu buzdolabına koy!” ნიშნავს: “ეს მაცივარში შედევი!” რაღაცა მაცივარში რომ შევდოთ, იგი, ბუნებრივია, უნდა გავალოთ. გამოდის, რომ, მართალია, თურქულ ენაში პირველი მოქმედება სიტყვით არ გამოიხატება, მაგრამ იგულისხმება. ასეთი ფორმების თურქულად გადათარგმნის დროს მიმართავენ პირდაპირ თარგმანს. მაგალითად: **შე-ამწყდევს** (Bir şeyin içine koyacak ve kilitliyecek – (Canlı varlığı) რამეში შესვამს და ჩაკეტავს (ცოცხალ არსებას)); **შე-იბრაზუნებს** (İçeri girecek

ve kapıyı çarpacak _ შევა და ბრაზუნით მიიხურავს (კარს)); **შე-იკეტავს** (İçeri girecek ve kapıyı kilitleyecek _ შევა და მოიკეტავს); **შე-დგამს** (İçeri götürececek ve koyacak _ შიგ შიიტანს და დადგამს); **შე-დებს** (1. İçeri götürececek ve koyacak, bir şeyin içine yerleştirecek. 2. Yukarı çıkaracak ve koyacak, üzerine koyacak _ 1. შიგ შიიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დადებს); **შე-ჯდება** (1. Yukarı çıkacak ve oturacak (Ata, ağaca...). 2. İçeri girecek ve sıkı bir şekilde oturacak _ ავა და დაჯდება (ცხენზე, ხეზე...). 2. შევა და შიგ მჭიდროდ ჩაჯდება); **შე-ს-ცინის** (Bakacak ve gülecek _ შეჰყურებს და იცინის)...

ანალოგიური ვითარება იქმნება **წა-** ზმნისწინიან ფორმათა თურქულ მასალასთან შედარებისას. მაგალითად, **დაწყებითობის (ინხოატივის)** გამოსახატავად აქაც გამოყენებულია მასდარისაგან მიღებული სახელები (**-maya, -meye** ნიშნების დართვით) ზმნის პირიან ფორმასთან ერთად. მაგალითად, **Sendele _ Sendelemeye**: Sendelemeye başlayacak (წაბარბაცდება). მაშასადამე, თურქულში გარჩეული არ არის ქართულის **შე-** და **წა-** ზმნისწინიანი ფორმები. ორივე გამოიხატება ერთი და იმავე ზმნით. ამგვარად, ნიუანსობრივი სიზუსტე არ არის დაცული. ეს ვითარება ქართულ-თურქულ ლექსიკონში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მაგალითები: **წა-ბარბაცდება** (Sendelemeye başlayacak _ ბარბაცს დაიწყებს); **წა-ედინება** (Akmaya başlayacak (buradan oraya) _ დენას დაიწყებს (აქედან იქით))...

წა- ზმნისწინის ერთ-ერთი სემანტიკური ველის _ **შემთხვევითობა და მოულოდნელობა** _ ფარგლებში შეპირისპირებისას იქმნება ასეთი სურათი: **წა-ადგება** (Aniden birşeyin önünde duracak, beklenmedik bir şekilde karşısına çıkacak _ უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე)); **წა-ასწრო** (1. Başkasından önce gidecek, geride bırakacak, _ onu geçecek. 2. Aniden karşısına çıkacak (Önceden planlanmış hareket için _ 1. ვინმეზე წინ წავა, უკან მოიტოვებს, _ გაასწრებს. 2. თავს წაადგება (რაიმე საზრახ საქციელზე); **წა-აწყდება** (Beklenmedik bir şekilde karşılaşılabilecek _ Tesadüfen veya beklenmedik bir şekilde bulacak. მოულოდნელად შეხვდება || შემთხვევით (ან მოულოდნელად) მიაგნებს); **წა-სცდება** (İstemsiz olarak söyleyecek, ağzından kaçırarak _ თავისდაუნებურად იტყვის)...

ქართულ-თურქული მასალის ანალიზისას ირკვევა, რომ ქართული ზმნისწინიანი ფორმები სალიტერატურო თურქულ ენაში გადმოიცემა არა მარტო ზმნიზედების საშუალებით, არამედ ისეთი ზმნებით, რომლებიც **-arak**, **-erek** ნიშნების დართვის შედეგად ზმნიზედის ფუნქციას ასრულებენ. ასეთი სიტუაცია იქმნება **წასვლისა** და **წაყვანის** აღმნიშვნელ ზმნებთან:

წასვლა: **წა-ბარბაცდება** (Sendeleyerek gidecek – ბარბაცით წავა); **წა-გარდება** (İleri doğru koşarak gidecek || Hızla gidecek doğru – წინ გავარდება. || სწრაფად, ერთბაშად წავა); **წა-ირბენს** (Koşarak ileri gidecek – სირბილით წინ წავა); **წა-იმდინარებს** (Akarak gidecek – დინებით, მდინარებით წავა); **წა-სრიალდება** (Kayarak gidecek – სრიალით წავა); **წა-ტანტალდება** (Sallanarak gidecek – ტანტალით წავა); **წა-ხოხდება** (Sürünerek gidecek – ხოხვით წავა)...

წაყვანა: **წა-აგდება** (Önüne atacak, ileri doğru götürecek – წინ გააგდება, წინისკენ წაიყვანს); **წა-ათრევს** (1. Sürükleyerek götürecek. 2. Zorla götürecek – 1. თრევით წაიღებს. 2. ძალით წაიყვანს); **წა-ასვენებს** (Defnetmek için götürecek – წაიღებს დასაკრძალავად); **წა-აჩოჩებს** (Sürüyerek çekecek – ჩოჩვით წასწევს); **წა-ახოხებს** (Sürüyerek götürecek – ხოხვით წაიღებს); **წა-ახტუნებს** (İleri zıplatacak, zıplatarak götürecek – წინ გადაახტუნებს || ხტუნვით წაიყვანს); **წა-ზიდავს** (Taşıyarak götürecek – ზიდვით წაიღებს)...

საინტერესოა, აგრეთვე, როგორ გადადის ქართულის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები თურქულში. საყოველთაოდ ცნობილი ფუნქციებისა და სემანტიკური ველის თეორიის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ ყველა ზმნისწინს. ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზმნისწინებს აქვს როგორც საერთო ფუნქციები (მიმართულების, ასპექტის გამოხატვა, ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება...), ისე განსხვავებულიც. ზემოთ თქმულის თანახმად, ქართულის ზმნისწინიანი ფორმების თურქულად გადატანისას გამოიყენება სხვადასხვა გრამატიკული საშუალება. ამჯერად შეპირისპირებას მოვახდენთ შედარებით მოკლედ გრამატიკული ფუნქციების, ხოლო უფრო ვრცლად სემანტიკური ნიუანსების მიხედვით.

ა) გრამატიკული ფუნქციები:

1. გეზისა და ორიენტაციის ჩვენება. ქართულში მიმართულების აღნიშვნა ზმნისწინების ერთ-ერთი ძირითადი და ძველი ფუნქციაა, რომელიც თურქულში გამოიხატება სხვადასხვა ზმნიზედის (ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, შიგნით, გვერდით...) მეშვეობით. მაგალითად: **ქვევიდან ზევით (ა-, ამო-): ა-ვა** _ yukarı çıkacak (ზევით ავა); **შიგნიდან გარეთ (გა-, გამო-): გა-ვა** _ dışarı çıkacak (გარეთ გავა); **ზევიდან ქვევით (ჩა-, ჩამო-, და-): ჩა-ვა** _ aşağı inecek (ქვემოთ ჩავა); **გარედან შიგნით (შე-, შემო-): შე-ვა** _ içeri girecek (შიგნით შევა); **დაბრკოლებათა გადალახვა (გადა-, გადმო-): გადა-ვა** _ karşıya geçecek (მოპირდაპირე მხარეზე გადავა), **გადმო-ვა** _ Bu tarafa geçecek (აქეთ გადმოვა) და ა.შ.

2. მომავალი დროის წარმოება. მომავალი დროის გამოხატვა თურქულში ხდება სპეციალური ნიშნებით. ესენია: **acak-, ecek-**. თურქული ენისათვის სულ ერთია, რომელი ფუძე იქნება, ნებისმიერ ფუძესთან იხმარება ეს ნიშნები. მაგალითად: **Yapmak** ნიშნავს “გაკეთებას”. ფუძე არის **yap-**, ამას ერთვის მომავალი დროის ნიშანი და შედეგად მიღებულია მომავალი დროის ფორმა: **Yapacak** ნიშნავს “გაკეთებს” და ა.შ.

3. სრული ასპექტის გამოხატვა: როგორც გრამატიკული კატეგორია, ასპექტი თურქულ ენას არ ახასიათებს, მაგრამ წარსული დროის შინაარსი იგივეა თურქულშიც. ამ შემთხვევაშიც დასრულებული მოქმედება არის გამოხატული. ქართულის სრული ასპექტის გამოხატვა ხდება წარსული დროით. საერთოდ, თურქულში ყველა დროს აქვს თავისი ნიშნები და ნებისმიერი ზმნის ფუძეზე ნიშნების დართვით ვღებულობთ სასურველ დროს. შესაბამისად, წარსულ დროსაც აქვს თავისი ნიშნები. ესენია: **dı-, di, du-, dü-**. მაგალითად: **Hazırlamak** _ გამზადება და **Hazırladı** _ გაამზადა.

ბ) სემანტიკური ფუნქციები:

ქართულში ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა, რაც თურქულში შინაარსობრივად გამოიხატება. მაგალითები: **Kurmak** _ ა-გება; **Anlamak** _ გა-გება; **Sermek** _ და-გება; **Kazanmak** _ მო-გება; **Kaybetmek** _ წა-გება...

ზმნისწინიან ფორმათა დამატებითი სემანტიკური ნიუანსების ამსახველი მასალის თურქული ენის მონაცემებთან შეპირისპირება კიდევ უფრო საინტერესო სურათს ქმნის. დამატებითი ფუნქციები მეტ-ნაკლებად ყველა ზმნისწინს აქვს, მაგრამ ხანდახან ისეთი ნიუანსიც იჩენს თავს, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთს ახასიათებს და დანარჩენებს _ არა.

ზმნისწინიან ფორმათა სემანტიკური ნიუანსები თურქულად გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით: ზმნიზედებით (ადგილის, ოდენობის...), განუსაზღვრელი სახელზმნის მასდართ (-**ma**, -**me**), ვითარების აბსოლუტივებით -**ip** (-**ip**, -**up**, -**üp**), განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით (**Tamamen**, **hepsi**), რაოდენობითი რიცხვითი სახელებით (**İki**, **Üç**, **Dört...**), სივრცობრივი სახელებით (**Yanında**, **Etrafında**), თანდებულებით (-**e kadar**, -**a kadar**), საურთიერთო მოქმედების ნიშნებითა (-**ş**, -**ı**, -**iş**, -**uş**, -**üş**) და დამხმარე სიტყვებით. მაგალითები:

ოდნაობა _ Miktar თურქულში მიიღება ოდენობის ზმნიზედებით: **გადა-უკითხავს** (Hemen okuyacak _ სახელდახელოდ წაუკითხავს); **მო-ასველებს** (Biraz ıslatacak _ ცოტათი დაასველებს); **მო-წვავს** (Biraz kızartacak _ ცოტათი შეწვავს); **შე-იაფდება** (Biraz ucuzlayacak _ ცოტათი გაიაფდება); **წა-კნასავს** (Çarçabuk yiyecek _ სახელდახელოდ შეჭამს); **წამო-იზრდება** (Biraz büyüyecek _ ცოტათი გაიზრდება)....

ზედ/ზედაპირზე _ Üstünde, üzerinde თურქულში გამოიხატება ადგილის ზმნიზედებით: **ა-აცლის** (ზედაპირზე ააძრობს _ üstünden koparacak); **გა-თლის** (თლით ზედაპირს გაასწორებს _ yontarak üst yüzeyi düzeltecek); **გადა-ადგამს** (Yukarıdan üzerine koyacak, üstünü kapatacak _ ზევიდან დაადგამს, _ გადაახურავს); **მი-ამატებს** (Üstüne ilave edecek _ ზედ დაურთავს, _ დაამატებს); **მო-ასწორებს** (Herhangi bir şeyin yüzeyini düzeltecek _ რისამე ზედაპირს სწორს გახდის); **შე-აწვება** (Üzerine yatacak, ağırca üzerine koyacak _ ზედ დააწვება, მძიმედ დაედება); **წამო-ადგამს** (Üstüne koyacak _ ზედ დაადგამს);

გარშემო, ირგვლივ _ Çevre, Etraf თურქულში გამოიხატება ადგილის ზმნიზედებით: **მო-ფენს** (Çevresini, etrafını serecek _ ირგვლივ, გარშემო დაფენს); **შე-იღობება** (Etrafına, çevresini çevirecek _ ირგვლივ, გარშემო მოიღობება); **შემო-ზომავს** (Etrafını ölçecek _ ირგვლივ გაზომავს)...

გვერდით, გასწვრივ მიმდინარე მოქმედება – **Yanında, Etrafında: მი-დებს** (Oraya veya yan tarafa koyacak, o tarafa birşeyin yakınına koyacak – იქით ან გვერდზე დადებს, იქით რამესთან ახლოს, დადებს); **გადმო-აწვენს** (Yan tarafa (bu tarafa) yatıracak; გვერდზე (აქეთ) დააწვენს)...

დაწყებითობა – Başlama გამოიხატება **-maya, -meye** მასდარისა და ზმნური ფორმის **başlayacak** მეშვეობით: **ა-ცურდება** (Yüzmeye başlayacak – ცურვას დაიწყებს რისამე ზედაპირზე); **გა-ეტირება** (Birinin gitmesiyle ağlamaya başlayacak – ვინმეს წასვლისას ტირილს დაიწყებს); **და-ბარბაცდება** (Sendelemeye başlayacak – ბარბაცს დაიწყებს); **შე-კანკალდება** (Titremeye başlayacak – კანკალს დაიწყებს); **გამო-ელაპარაკება** (Konuşmaya başlayacak – ლაპარაკს დაუწყებს); **შემო-იხედავს** (İçeri (bu tarafa) bakmaya başlayacak – შიგნით (აქეთ) გამოიხედავს, ყურებას დაიწყებს); **წამო-ბერავს** (Esmeye başlayacak – ბერვას დაიწყებს)...

ორმაგი (თანამდევით) მოქმედება – Zarf Fiil მიიღება პირველი ზმნის ფუძეზე **-ip, -ip, -up, -üp** ნიშნების დართვით, რომლებიც თურქულში ვითარების აბსოლუტივების ერთ-ერთი სახეობაა: **ა-იშლება** (Bir çoğu kalkacak ve dağılacak – მრავალი ადგება და გაიფანტება); **გა-ამტვრევს** ((İçeriden dışarı) vurarak kırıp ve çıkacak – (შიგნიდან გარეთ) დარტყმით გატეხს და გავა); **გადა-ალაგებს** (Bir yerden alıp başka yere koyacak – ერთი ადგილიდან აიღებს და სხვაგან დაალაგებს); **ამო-წურავს** (Çıkarıp sıkacak – ამოიღებს და გაწურავს); **გადმო-ასვენებს** (Buraya taşıyıp defnedecek – გადმოიტანს და დაასვენებს)... ე. კვანტალიანი და ნ. ჯანაშია მიუთითებენ, რომ ვითარების აბსოლუტივიანი მეორეხარისხოვანი მოქმედება გადმოსცემს მთავარი მოქმედების ვითარების გარემოებას (ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია 2009: 201).

საურთიერთო მოქმედება – İsteş Fiiller, Birbiriyle ve Birlikte თურქულში გამოიხატება თანდებულებით: **Beraber** (ერთად), **birbiriyle** (ურთიერთ) და საურთიერთო მოქმედების გამოიხატველი სპეციალური ნიშნებით: **-ş, -ış, -iş, -uş, -üş**. მაგალითად: **შე-ამეგობრებს** (Birbiriyle arkadaş edecek – ერთმანეთის მეგობრად გახდის); **შე-არიგებს** (Barıştıracak – მთარეგებს)...

მოულოდნელობა, შეუმჩნევლობა – Ansızın, aniden, beklemeksizin თურქულში ვითარების ზმნიზედების გამოყენებით გამოიხატება: *მი-ასწრებს* (Aniden karşısına çıkacak – შეუმჩნევლად, მოულოდნელად თავს წაადგება); *წა-ადგება* (Aniden birşeyin karşısında kalakalacak – უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე); *ამო-ტყვრება* (Aniden, beklemeksizin yukarı çıkacak, ortaya çıkacak – უეცრად, მოულოდნელად ამოვა, ამოჩნდება)...

ინტენსიობა (თითოობითობა – ა. შანიძე) – Birden fazla გამოიხატება ან რიცხვით სახელზე **Fazla** (მეტი) სიტყვის დართვით, რომელიც თურქულში დაწყებითი ბრუნვის თანდებულია ან მრავლობითი რიცხვის ნიშნებით **-lar, -ler**. მაგალითად: *დაზრდის* (Birçok kişiyi büyütecek – გაზრდის ბევრს); *და-რეცხავს* (Birden fazlasını yıkayacak – გარეცხავს ბევრს)... *და-აუთოებს* (Birden fazlasını ütülecek – დააუთოებს ბევრს; Elbiseleri ütülecekler – ტანსაცმელებს დაუუთოებენ);

ჰაეროვან- (1 ფუძე).

ბ. ფუძეები, რომლებიც დაირთავს ერთ ზმნისწინს:

ა-:

ბანან-, ბობოქორ-, ბუზდუნ-, ბუნტ-, ბუტბუტ-, ბუყბუყ-, გაშგაშ-, გრუზ-, დრტვინ-,
ვარდისფერ-, ზავთ-, ზლუქუნ-, ზმუვლ-, ზოდ-, თვალთვალ-, თვალწუნ-, კანჭურ-,
კისკის-, კორკოტ-, კრუსუნ-, ლუფხ-, მდგვალ-, მდღვლ-, მოძრავ-, მრემ-, მრიზ-, მუსიკ-,
მღელვარ-, მძუვნ-, მხრალ-, ნაზდაურ-, პირთავ-, ჟრიამულ-, ჟრიკჟრიკ-, ჟრავჟღავ-,
რეკლ-, რიკრიკ-, სინათ-, ტატ-, ტკენ-, ტროვ-, ტროკ-, ფამფალ-, ფანტაზიორ-, ფსიორ-,
ფუთქ-, ფუტფუტ-, ქაფქაფ-, ქეშლ-, ქელვ-, ქლიავ-, ქოშინ-, ღანტალ-, ღალად-, ღნავლ-,
ღორძინ-, ყავყავ-, ყროლ-, შაბაშ-, შუშხუნ-, ჩოჩხ-, ჩქამ-, ციატ-, ცისკრ-, ცმუტ-, ცქმუტ-,
წიაქ-, წმაწურ-, წუწკუნ-, ჭიჭყნ-, ჭიხვინ-, ჭუჭყნ-, ჭყიპიან-, ხავერდ-, ხაწიწ-, ხაჭოვ-,
ხვიხვინ-, ხვრინ-, ხოხრ-, ჯაგნ-, ჯანყ-, ჯეჯლ- (79 ფუძე).

ამო-:

ბაგ-, გირგილ-, დინგ-, თათ-, თქლავ-, კოტ-, სლაპ-, ტურტლ-, ღრანტ-, ძუვ-, ხიმ-,
ხორ-, ხუჩხუჩ- (13 ფუძე).

გა-:

აბდალ-, ადამიან-, ადვილ-, ავგულ-, ავდარ-, ავზნიან-, ავკაც-, აზიზ-, აზნაურ-,
აზრიან-, ათას-, ათასფეროვან-, ათკეც-, ალმას-, ალქაჯ-, ამაყ-, ანალიზ-, ანჩხლ-, არმ-,
არჯლ-, ასკეც-, ასპიტ-, აქტიურ-, ახალგაზრდავ-, ბადრ-, ბათილ-, ბაიყუმ-, ბარ-, ბარჯდ-,
ბატონ-, ბახ-, ბდღვინ-, ბედნიერ-, ბელატ-, ბეყ-, ბიაბრუვ-, ბიუკრატ-, ბლანტ-,
ბოლშევიკ-, ბოროტ-, ბრაზ-, ბრინჯ-, ბრუვ-, ბრუნდ-, ბრუნჩ-, ბრჭ-, ბურდნ-, ბურდღნ-,
ბურთავ-, ბურტყლ-, ბუსუნ-, ბუტ-, ბუც-, ბდიერ-, ბდინძ-, გალ-, გარეულ-, გლისპ-,
გონიერ-, გოროზ-, გულად-, გულგრილ-, გულის-, გულკეთილ-, გულუხვ-, გულქართლ-,
, გულქვავ-, გულჩვილ-, გულცივ-, დედოფლ-, დიდგულ-, დიდკაც-, დუხჭირ-, დღლუვ-,
ელფერიან-, ერბოიან-, ერთიან-, ერთმნიშვნელიან-, ეშმაკ-, ეჭვნეულ-, ვარვარ-, ვასხ-,
ვერაგ-, ველურ-, ზანგ-, ზეთიან-, ზეგნ-, თავად-, თავნებ-, თავნ-, თანიერ-, თათრ-,
თანაბრ-, თანაზომიერ-, თანატოლ-, თანგ-, თარაზ-, თაროზნ-, თარხნ-, თაღლით-,

თებოიან-, თერძ-, თვალმაქც-, თვალწინ-, თვითცნობიერ-, თუვ-, თქერ-, თხაპ-, თხევად-,
თხიფ-, თხლაშ-, იგივ-, იდიოტ-, ინტენსიურ-, იოლ-, იშვიათ-, კადნიერ-, კაჟ-, კეთილ-,
კეთილშობილ-, კენწლ-, კერპ-, კვალად-, კინტოვ-, კირცხლ-, კლდევ-, კმარ-, კნაპ-,
კორაწ-, კრინტ-, კრინჩხ-, კრიჟანგ-, კრიტიკ-, კუშტ-, ლავლავ-, ლაზათიან-, ლაჟვარდ-,
ლასტ-, ლაფიან-, ლაღლაღ-, ლელეჩ-, ლემკ-, ლოგორითმ-, ლოთ-, ლომ-, ლომკაც-,
ლოღნ-, ლუბ-, ლუპმ-, ლუსკ-, ლღლ-, მათრახ-, მათხოვარ-, მაიმუნ-, მამახლის-, მარდ-,
მართლ-, მარტივ-, მასლაათ-, მასპინძლ-, მგელ-, მედგრ-, მედიდურ-, მელოტ-, მელუზნ-,
მემარცხენ-, მერქნიან-, მეფ-, მეცნიერ-, მეძავ-, მზითვ-, მინდვრ-, მკაცრ-, მკვეთრ-,
მოროდ-, მრავალგვარ-, მრავალკეც-, მრუდ-, მსუნაგ-, მტყუნ-, მუსლიმან-, მუტრუკ-,
მუყაით-, მუხანათ-, მუხთლ-, მქის-, მქრქალ-, მღილ-, მყვირტ-, მყიფ-, მშვენიერ-, მჩივნ-,
მძაფრ-, მძვინვარ-, მჭვალ-, მხელ-, მხეც-, მხნევ-, ნადგურ-, ნადირ-, ნავთიან-, ნათხოვარ-,
ნართხ-, ნაყოფიერ-, ნაცარმტვერ-, ნაცარქექიავ-, ნაცრისფერ-, ნადომ-, ნაწყენ-, ნაწყრომ-,
ნაჟყ-, ნებივრ-, ნედლ-, ნეიტრალ-, ნერვიულ-, ნიორწყალ-, ნოყიერ-, ორ-, ოგნ-, ონავრ-,
ორგულ-, ორმაგ-, ოქროსფერ-, პამპულ-, პამპულავ-, პანტურ-, პარტახ-, პატარძალ-,
პატიოსნ-, პაპინ-, პიროვნ-, პირუტყვ-, პოხიერ-, პრეწ-, პროლეტარ-, პროტესტ-, პუწკ-,
ჟივ-, ჟინიან-, ჟუვ-, რეგვნ-, რევოლუციონერ-, რევოლუციურ-, რინდ-, რიჩხინ-, სავათ-,
სათუთ-, სალახან-, სალახანავ-, სალკლდევ-, სამ-, სამართალ-, სამკეც-, სამხედროვ-,
სარჯ-, სასტიკ-, საცოდავ-, სახრ-, სახტ-, სილაქ, სტერილ-, სურნელოვან-, სუს-, სხივიან-,
ტარნ-, ტევრ-, ტვრენ-, ტილიან-, ტკიცინ-, ტნევ-, ტრიზავ-, ტრუნ ტურფ-, ტუსტუს-,
ტყლაპ-, უარეს-, უბადრუკ-, უბედურ-, უბრალოვ-, უგემურ-, უგუნრ-, უდაბურ-,
უკადრის-, უკაცრიელ-, უკეთეს-, უმადურ-, უმჯობეს-, უმეცრ-, უმჯობეს-, უპატიურ-,
უპიროვნ-, ურჩებ-, უტიფრ-, უფერულ-, უფროს-, უწმინდურ-, უხვ-, უჯიათ-,
ფანატიკოს-, ფარაღათ-, ფართოვ-, ფარფაშ- ფაქიზ-, ფაციც-, ფერადოვნ-, ფილტრ-,
ფლიდ-, ფორმ-, ფუქსავატ-, ფუჭ-, ფხაჭუნ-, ფხვიერ-, ფხლავნ-, ქადაგ-, ქალაქელ-,
ქარაფშუტ-, ქართველ-, ქარწყლ-, ქაჩქაჩ-, ქენჯნ-, ქერქ-, ქეჩ-, ქეციან-, ქიაქ-, ქილ-, ქირდ-,
ქიცინ-, ქონიან-, ქსუვ-, ქურდ-, ქურთონ-, ქუც-, ქცუნ-, ღავ-, ღვარძლიან-, ღვარცლ-,
ღვერ-, ღვრეჭ-, ღიზიან-, ღლაბუც-, ღმერთ-, ღრაჭუნ-, ყალაღნ-, ყაჩად-, ყირმიზ-, ყმაწლ-,

ყოყოჩ-, შაირ-, შანშალ-, შანშლ-, შარჟ-, შეშ-, შეშმიშ-, შვილ-, შმაგ-, შუალ-, შხვართ-, ჩავ-, ჩანავ-, ჩაჩხ-, ჩირაღდნ-, ჩიხრიხ-, ჩიჩრად-, ჩუქ-, ჩქურ-, ცალმაგ-, ცამტერ-, ცალცალკევ-, ცბიერ-, ცეტ-, ცინგლიან-, ცლანგ-, ცნობიერ-, ცოდვიან-, ცრიაგ-, ცულლუტ-, ცქნაფ-, ცხვიერ-, ცხროვ-, ძალიან-, ძეძვიან-, ძნელ-, წებოიან-, წესიერ-, წვართ-, წვალ-, წილიან-, წკლაპუნ-, წკლატუნ-, წკუმპლ-, წლაკუნ-, წრიოკ-, ჭვალ-, ჭვარტლიან-, ჭიანურ-, ჭინთ-, ჭინჭყლ-, ჭირვეულ-, ჭუჭყიან-, ხალვათ-, ხალიან-, ხალხურ-, ხანგრძლივ-, ხანიერ-, ხვისნ-, ხვლეპ-, ხიახ-, ხინჯ-, ხრაგუნ-, ხრიოკ-, ხსნილ-გ-, ჯაგ-, ჯაგჯაგ-, ჯანიან-, ჯანჯლ-, ჯეელ-, ჯიბგირ-, ჯუფთ- (420 ფუძე).

გამო-:

ამკარავ-, ბურხ-, თ-, მამანავ-, მსნ-, მწვად-, ტუტ-, ფლატ-, ქვაფ-, ქვეყნ-, ქრევ-, ქურჩლ-, ყვერ-, შიგნ-, ცოდვილ-, წახნავ-, წვლილ-, წკრინ-, ჭიატ-, ჭყერ-, ხიკნ-, ხმელ-, ხუთშაბათ-, ჯეკ- (24 ფუძე).

გადა-:

ადგილ-, დღლაშ-, მეტვირთ-, ნარინჯ-, ფუტკრ-, ქარაგმ-, ქაჯ-, ქმანჯ-, წკვერტ- (10 ფუძე).

გადმო-:

კუჭუჭ- (1 ფუძე).

და-:

ამლ-, არავ-, არს-, არტახ-, არხეინ-, აფრაკ-, ბაგ-, ბალანს-, ბალით-, ბალდამ-, ბანაკ-, ბანგ-, ბანდ-, ბასმ-, ბატ-, ბაყბაყ-, ბაყლ-, ბებერავ-, ბებკ-, ბებნ-, ბედ-, ბეკნ-, ბეგლ-, ბენძახ-, ბეც-, ბეწვნ-, ბინადრ-, ბიჟვინ-, ბლაგვ-, ბლატუნ-, ბობდინ-, ბოგინ-, ბოდიალ-, ბოლოვ-, ბომბ-, ბოტიალ-, ბჟუვ-, ბრიკეტ-, ბრმ-, ბრმავ-, ბრუტიან-, ბრძნ-, ბრჭყალ-, ბუბკოვ-, ბულულ-, ბუნაკ-, ბუნდ-, ბუნდოვ-, ბურჯგნ-, ბუწ-, ბუხ-, ბლაჯნ-, ბლუნ-, გაზ-, გალავ-, გალობ-, გან-, განძ-, გეგმარ-, გეზ-, გელავ-, გესლ-, გვემ-, გვერდ-, გვირგვინ-, გვრემ-, გვრიტნ-, გლასავ-, გლახავ-, გმან-, გონჯ-, გორგლ-, გრაფ-, გუდლ-, გულტყუვ-, გურგულ-, გურგურ-, დაბლ-, დაგ-, დაკვლ-, დამბლავ-, დანდლ-, დარბასიელ-, დაფნ-, დაღ-, დგერ-, დგომ-, დიდრონ-, დინჯ-, დლაღუნ-, დოლ-, დორბლ-, დრეს-, დურალ-,

დღლეზ-, ვაგლახ-, ვალდებულ-, ვარაუდ-, ვახშ-, ზანყ-, ზარალ-, ზაფრ-, ზეზ-, ზეზეურ-,
ზვინ-, ზვიპ-, ზიან-, ზმ-, ზუსტ-, ზღვ-, ზღვევ-, თავთიშ-, თავიან-, თავის-, თავხშირ-,
თაკილ-, თანადრ-, თარიღ-, თბილ-, თითოვ-, თირ-, თმ-, თოფ-, თრგუნ-, თქორ-, იარალ-,
იმედ-, იმედიან-, ინვალიდ-, ისრიმ-, კაბადონ-, კაბდოვ-, კალიბრ-, კალმ-, კამარავ-, კან-,
კაპან-, კბილ-, კევ-, კერატ-, კენჭ-, კვანჭ-, კვინტრიშ-, კვლანჭ-, კლარჯ-, კმაყოფილ-,
კმუნკ-, კნინ-, კოლტ-, კომლექტ-, კომპოსტერ-, კონკ-, კონკრეტ-, კონსერვ-, კონსპექტ-,
კონტრაქტ-, კოჟრ-, კორექტ-, კორძ-, კოტავ-, კოქს-, კომტ-, კოჩ-, კრედიტ-, კრილ-,
Kრისტალ-, კრიჭინ-, კრიჭილ-, კუზიან-, კუნთ-, კუნძ-, კუწმაწ-, ლაბავ-, ლამიან-, ლარ,
ლარტყ-, ლაქავ-, ლაქიან-, ლახვრ-, ლახტ-, ლიანდაგ-, ლორ-, ლორთხ-, ლორწიან-, ლუქ-,
მაგინ-, მაკ-, მარქაფ-, მარცხ-, მარხვ-, მატრიც-, მაწივრ-, მახსოვრ-, მგლოვარ-, მერ-,
მექექქ-, მიხდ-, მიწ-, მოკეთ-, მონ-, მონტაჟ-, მორჩილ-, მორცხვ-, მოძღვრ-, მუნათ-, მუნჯ-,
მურკლ-, მუერ-, მუსტ-, მუწუკ-, მუხრუჭ-, მქრევ-, მქუხარ-, მყენ-, მყოფ-, მჩნ-, მცრ-,
მძახლ-, მწყალობ-, მწყერავ-, მჭნარ-, ნაბდ-, ნათესავ-, ნათლიავ-, ნაკვერცხლ-, ნაკლულ-,
ნაკუწ-, ნალ-, ნამბულ-, ნამდვილ-, ნამიან-, ნამცევ-, ნანავ-, ნაოჭიან-, ნატრულ-, ნაფოტ-,
ნალვლ-, ნაცვალ-, ნაცრიან-, ნამღევ-, ნაწევრ-, ნახვ-, ნახშირ-, ნეკ-, ნერწყვ-, ნესტ-,
ნესტრ-, ნომრ-, ნუგემ-, ობლ-, ორსულ-, ორყურ-, ოს-, ოშ-, ოჯახ-, ოჯახიან-, პანპალ-,
პატენტ-, პატიმრ-, პლომბავ-, პრეს-, პროექტ-, ჟამ-, ჟვერ-, ჟღივლ-, ჟღლ-, რაიონ-,
რაცრაც-, რთვილ-, რიომ-, რიშხნ-, რიხრიხ-, რუკრუკ-, რუმბ-, რუხრუხ-, რჩოლ-, რჩუნ-,
საბლუჯ-, სადგურ-, სავან-, სათაურ-, სამხრეთ-, სანგლ-, სანსალ-, საპალნ-, სასწორ-,
საფლავ-, საქონლ-, სადამოხნ-, საჭიროვ-, სახიჩრ-, სახლკარიან-, სევდიან-, სეირ-, სენიან-,
სილოს-, სირმ-, სისტემ-, სიცხ-, სიძევ-, სკინტლ-, სნეულ-, სპირტ-, სტამბ-, სტენოგრამ-,
სულწუხ-, სურათ-, სუსუნ-, სწორდასწორ-, ტაშ-, ტვიფრ-, ტკრუც-, ტოტნ-, ტრამალ-,
ტრუხუნ-, ტუსალ-, ტყვევ-, ტყლეშ-, უბრ-, უკუნეთ-, უნჯ-, უფლ-, ფათფათ-, ფანჩხ-,
ფარჩ-, ფაფ-, ფაფხურ-, ფაცუნ-, ფახურ-, ფევ-, ფეთიან-, ფელიკ-, ფრეცხ-, ფეთქვ-,
ფესვიან-, ფეშხოვ-, ფოთილ-, ფოლ-, ფორ-, ფორილ-, ფორიან-, ფრანციცულ-, ფრთიან-,
ფრჩხილ-, ფუმნ-, ფჩენ-, ფხოტნ-, ქად-, ქალ-, ქარიან-, ქარქარ-, ქვემდებარ-, ქირსლ-,
ქვრივ-, ქმაშვილ-, ქმრიან-, ქოლწილ-, ქოსმენ-, ქსაქს-, ქსევ-, ქუცმაც-, ღადატ-, ღანღალ-,

ღალატთან-, ღეტ-, ღვინ-, ღვარჭნ-, ღორღ-, ღოდიალ-, ღრ-, ღრანჯ-, ღუდუდ-, ყათრ-,
ყანდ-, ყანთრ-, ყარყარ-, ყმიდ-, ყონალ-, ყორულ-, ყორღნ-, ყურს-, შაბ-, შამათ-, შაშხ-,
შოშმინ-, შპ-, შპონ-, შრევ-, შტამპ-, შტიალ-, შტრიხ-, შუბ-, შხეპლ-, ჩაგრ-, ჩალავ-, ჩამინ-,
ჩიოტ-, ჩირქ-, ჩილფოტ-, ჩრჩილ-, ჩურჩ-, ჩუთ-, ჩქლეთ-, ჩხარ-, ჩხაპ-, ცალფავ-, ცემენტ-,
ცემინ-, ცენტრ-, ნ-, ცოლიან-, ცოლშვილ-, ცოლშვილიან-, ცოცმან-, ცხიკვ-, ძალად-, ძალ-,
ძგნ-, ძეგ-, ძეწკ-, ძმოზილ-, ძონძ-, ძრწ-, წალიკ-, წამწამ-, წარბ-, წაწლ-, წდ-, წერნაგიან-,
წვნიკ-, წვრილშვილ-, წიგნ-, წიმწმ-, წინაურ-, წინდ-, წინდრ-, წირეხ-, წკურ-, წმდ-,
წმინდავ-, წრახნ-, წრუპუნ-, წუნ-, წყალობნ-, ჭაობ-, ჭაშნიკ-, ჭემმარიტ-, ჭიან-, ჭინჭრ-,
ჭირიან-, ჭლექ-, ჭლექიან-, ჭმევ-, ჭუჭ-, ჭუპრ-, ჭყავლ-, ხაბაკ-, ხავ-, ხავრ-, ხავსიან-,
ხარვეზ-, ხაშლ-, ხაშმ-, ხაც-, ხაციც-, ხელეურ-, ხელისავ-, ხელოვნ-, ხელოსნ-, ხეტიალ-,
ხვალვიკ-, ხვანჯ-, ხვაშნ-, ხიფ-, ხმალ-, ხორავიკ-, ხორკლ-, ხრიწ-, ხრჭენ-, ხსოვ-, ხსოვნ-,
ხსომ-, ხტუნავ-, ხულუზნ-, ხშირბანდ-, ჯაბნ-, ჯავრიან-, ჯალდ-, ჯანდავ-, ჯანდრ-,
ჯანჯალ-, ჯარიმ-, ჯაყუნ-, ჯაყჯაყ-, ჯაჯგურ-, ჯილდ-, ჯოგ-, ჯორგ-, ჯორჯლ- (525
ფუძე).

მი-:

თით-, კერძ-, ლუმ-, მკრთალ-, მსხვერპლ- მტკივნ-, მინაბრ-, ნამქრ-, საყვარლ-,
ფანიერ-, ქაქვ-, ჩუვლ-, ჩუმათ-, ცურავ-, ძუგძუგ-, ხორგ-, ჯიფთ- (17 ფუძე).

მო-:

ადრ-, არშივ-, ასპალტ-, ბლატუნ-, ბლიტ-, ბლუვ-, ბოდიშ-, ბრჭყვინ-, გერივ-,
გერის-, გიჟიან-, გიჟმაჟ-, გლუვ-, დღევ-, ვარაყ-, ზაყ-, ზღვლ-, თაროვ-, თვინიერ-,
თათლიბაზ-, თინთლ-, თოთხ-, თუთხნ-, კალათ-, კელავ-, კვანტ-, კვდინ-, კვერეულ-,
კიკნ-, კირიან-, კუნკრუხ-, კუფხლ-, ლიკლიკ-, ლოპრ-, ლხენ-, მამღვრ-, მზიან-,
მკვდარუნ-, მოახლ-, მომჭირნ-, მოშ-, მუქნ-, მდიმარ-, მშობიარ-, მცვრევ-, მძინარ-, მწყს-,
მხევ-, ნაგრ-, ნანივ-, ნარიკლ-, ნარნარ-, ნახულ-, ნახჭ-, ნდომ-, ნიკელ-, ნჯიხ-, ოქრ-,
ოქროვ-, პარკეთ-, პოვ-, რაჩხუნ-, რგინ-, რეწ-, რეჯგვ-, რთვლ-, სავ-, საკლის-, სალთავ-,
სარკ-, სთვლ-, სინათლ-, სპ-, სუნსლ-, სუნსულ-, სურ-, სურვ-, სურსუმალ-, ტაბაკ-,
ტუნტულ-, ფარდავ-, ფარისევლ-, ფეს-, ფიქლ-, ქეჟქევ-, ქვივნ-, ქმედ-, ქოს-, ქოხ-,

ქურუმ-, ქუმ-, ღაფლ-, ღვაწ-, ღვთისნიერ-, ღინდილ-, ღნაშ-, ღუზ-, ყურმ-, ყერყეტ-, ყივნ-,
ყუათ-, ყუნცულ-, შარდ-, შვილდ-, შილიფ-, შივ-, შლაპუნ-, შმაშურ-, შუადდე-, ჩინარ-,
ჩლექ-, ციგლიფ-, ცნობილ-, ცრემლიან-, ცურცლ-, წად-, წადინ-, წიფ-, ჭვრეთ-, ჭიქ-,
ჭოპოსნ-, ჭუჭკნ-, ხელთავ-, ხიბლ-, ხიკ-, ხმარი-, ხმიან-, ხოხმიკ-, ხრუმ-, ხსენიფ-, ხუც-,
ჯადოვ-, ჯაყ-, ჯენჯ-, ჯოჯ- (128 ფუძე).

შე-:

ბალნ-, ბინდბუნდ-, ბუნდ-, ბუმბლ-, ბურძაყ-, ბუს-, ბღალ-, გვერდლ-, გინგლ-,
გრიხინ-, გრძნობ-, გუვ-, ვალალ-, ვალიან-, ვან-, ვრდომ-, ზიზლ-, ზიკ-, ზრზენ-, თევზავ-,
თვისტომ-, თოთქორ-, თოფიარად-, თხზ-, კვიწილ-, კმაზ-, კნაჭ-, კოკნ-, კრთუნ-,
მეჩხერ-, მთხვევ-, მინ-, მუდარ-, მურდლ-, მჩხვარ-, მცივნ-, მწიკვლ-, მჭიდროვ-, მხავრ-,
ნივთ-, ნილბ-, ნჩქრევ- ორტოლ-, ორწვერ-, პოლიკ-, ჟინჟილ-, ჟღალ-, რუმხ-, საბამ-,
სატყვის-, სისხლხორ-, სიტყვ-, სმევ-, სრუპ-, სუსნ-, ტკეჩ-, ტლინკ-, ტოტინ-, ტოქ-, ტოჩ-,
ფარდ-, ფოც-, ფრაშუნ-, ფრთქილ-, ფურჩვნ-, ფუცხუნ-, ქ-, ქანჯალ-, ქმ-, ღვინიან-, ღივ-,
ღნიომ-, ყალყ-, ყვარ-, ყიჟინ-, ყუდრ-, ყურყუტ-, შვნ-, შვნევ-, ჩუჩხურ-, ჩქვიფ-, ცაცან-,
ცაცქან-, ცბ-, ციციან-, ცნევ-, ცოდ-, ძრწოლ-, ძრწუნ-, წბ-, წმასნ-, წრფ-, წუნწკლ-, ჭორფლ-,
ჭორიკ-, ხდომილ-, ხვილიფ-, ხვლეფ-, ხვეწივ-, ხიციან-, ხმუჭ-, ხორც-, ხორცთვის-,
ხორხოც-, ხოხინ-, ხოხოლავ-, ჯაბრ-, ჯერივ- (113 ფუძე).

შემო-:

გარს- (1 ფუძე).

ჩა-:

ბაჟ-, ბუქნავ-, ბლუვლ-, ბჯღალ-, გემ-, გემოვ-, გრიგალ-, თათქუნ-, კალაფ-, კარაბაკ-,
კარკაც-, კასრიელ-, კაჭკაჭ-, კირკიმალ-, კიწკიწ-, კლანჭ-, კლიტ-, კოკლოზინ-,
კოკლოზინავ-, კრახუნ-, კრიმანჭულ-, კუჭკუჭ-, კუჭნ-, ლიბრ-, მატლ-, მაწვნ-, მაჭრიან-,
მუმლ-, მუჟუჟ-, მუქარ-, მქელ-, მქლევ-, მჯილ-, ნაღველ-, ნაშოვ-, ნადირ-, ნქლ-, ჟივჟივ-,
ჟუტ-, როხინ-, ტალ-, ტანივ-, ტვეფ-, ტყვიან-, ფანტურ-, ფარტნ-, ფლავ-, ფუფნ-,
ქირქილ-, ქის-, ქლეშ-, ქნატ-, ქუქ-, ღვიძლ-, ღილ-, ღირღიტ-, ღუნღულ-, ყლანტ-,

ყურყუმალ-, ყურჭუმალ-, შავბნელ-, შვეთ-, ჩაგლ-, ჩიქ-, ჩიხ-, ჩიხირთმაგ-, ჩუგ-, ჩუმაგ-, ჩუმქრ-, ჩხაპუნ-, ჩხატ-, ცომ-, წვეთწვეთ-, წილექ-, წქაპ-, წკურწკურ-, ჭანჭურ-, ჭყურტ-, ხიჭ-, ხლიწ-, ხოხბ- (84 ფუძე).

ჩამო-:

არაკ-, ბერკნ-, ბლარ-, კირჩხნ-, კონწიალ-, ფუნკ-, ფხოტ-, ფხუტ-, ქადლ-, ქარშავ-, ქურუხან-, ჩხეტნ-, ძრახნ-, ხომ-, ხოტრ- (15 ფუძე).

წა-:

არტისტ-, ბასილ-, ბზმუილ-, ბზუკუნ-, ბიძგ-, გლასუნ-, გლუხ-, კენწლავ-, კვირტ-, კოკინ-, კოპ-, კოჩილ-, მარჩიელ-, მატრაბაზ-, მატრაკვეცს-, მდინარ-, მეცადინ-, მოთქმ-, მცქერევ-, ნკალ-, რომ-, რღვენ-, საკლავ-, საკრ-, საუზმ-, ფარცხუნ-, ფთქვენ-, ფორხ-, ფორხილ-, ფოჩ-, ფოხილ-, ფრთხვენ-, ფშუილ-, ქეზ-, ქიმუჯნ-, ღერღეტ-, ღიჭინ-, ჩაჩუნ-, ჩლახუნ-, ჩოჩილ-, ჩუფნ-, ცუხცუხ-, ძგიბ-, წვეთ-, ჭორავ-, ხემს-, ხლიჩინ-, ჯირგალ-, ჯობ- (51 ფუძე).

წამო-:

ბარკლ-, გირგლ-, ზეზევ-, კუნკულ-, მეჭაჭავ-, მჭვიტ-, მხართეძოვ-, პოლორჭიკ-, ჟინჭლლ-, სივლ-, ტრუჭ-, ფიშფიშ-, ფოჟილ-, ფოჟოლ-, ფოფრ-, ქლეტ-, ყინჭრ-, ყუნჭულავ-, ყუყ-, შხუმფლ-, ხრინწილ-, ჯლოყინ- (22 ფუძე).

გ. ფუძეები, რომლებიც დაირთავს ყველა ზმნისწინს (23 ფუძე):

ბრძან-, გ-, გდ-, დ-, დგ-, ვალ-, ზიდ-, თრევ-, ლავ-, პარ-, რევ-, სვენ-, სკდ-, ტან-, ტებ-, ყვან-, ყოლ-, ცილ-, წვდენ-, წყვ (წყობ)-, ხედ-, ხვევ-, ხტ-.

შენიშვნა 1: ახალ ქართულში ზმნისწინს დაირთავს სულ 15313 ფუძე.

შენიშვნა 2: პირველი ორი დანართი შესრულებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის (1950-1964 წწ.), ხოლო მესამე – გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანის, დ. შენგელიას “ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის” მიხედვით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰარუნ ჩიმქე

ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო
ქართულში

10.02.01 _ ქართული ენა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მაია მაჭავარიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსუდან სადინაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფ.

ქუთაისი

2010

სარჩევი

შესავალი.....	4
I თავი. შე- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ	21
სალიტერატურო ქართულში	21
1.1. შე- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები.....	22
1.2. შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები.	61
1.3. შე- ზმნისწინიანი ომონიმური ზმნები.	64
1.4. შე- ზმნისწინიანი სინონიმები.....	70
II თავი. წა- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ	72
სალიტერატურო ქართულში	72
2.1. წა- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები.....	74
2.2. წა- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები	91
2.3. წა- ზმნისწინიანი სინონიმები.	93
III თავი. ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები მაქცევრებთან	94
მიმართებით.....	94
IV თავი. ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა შეპირისპირებითი	130
ანალიზი ქართულსა და სხვა ენებში.....	130
4.1. შე- და წა- ზმნისწინიან ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზი.....	130
4.2. სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები	134
4.3. ქართულის ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის საშუალებანი სხვა ენებში.....	153
დასკვნითი დებულებები	175
ლიტერატურა	178
დანართი 1. შე- ზმნისწინის სემანტიკური ველები.....	185

დანართი 2. წა- ზმნისწინის სემანტიკური კელები	198
დანართი 3. ზმნისწინთა დართვა-დაურთველობა ფუძეთა მიხედვით	205

შესავალი

ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ზმნისწინი. ამ თვალსაზრისით მსოფლიო ენები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: ზმნისწინის მქონე (ქართული, რუსული....) და ზმნისწინის არმქონე ენებად (ინგლისური, თურქული...). ზმნისწინი ქართულში წარმოადგენს ფუნქციურად მრავალფეროვან მორფემას. როგორც წესი, ქართული ზმნისწინი ფორმამაწარმოებელი პრეფიქსია, თუმცა იგი შეიძლება გამოვლინდეს სიტყვამაწარმოებელი ფუნქციითაც.

ჩვენი დისერტაცია ეხება ზმნისწინის სემანტიკური ნიუანსების გარკვევა-დაზუსტებას ახალ სალიტერატურო ქართულში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მასალის ბაზაზე) ზმნისწინის არმქონე ენების, განსაკუთრებით თურქულის, მონაცემებთან შეპირისპირების საფუძველზე. ზედმიწევნით დაწვრილებით განსახილველად აღებული გვაქვს მხოლოდ შე- და წა- ზმნისწინები, რომელთაც დანარჩენებთან შედარებით უფრო მეტი საერთო სემანტიკური ნიუანსი (ოდნაობა, დაწყებითობა, საზედაო) აქვთ.

რა არის ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია? ქართულსა და რუსულში, აგრეთვე ყველა იმ ენაში, სადაც ზმნისწინი დასტურდება, როგორც წესი, ზმნისწინი დაერთვის ზმნას. ეს ხდება სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ძველ ქართულში გარკვეულ პერიოდში ზმნისწინი განსაზღვრავდა ზმნის მნიშვნელობას: ძველად იყო სიტყვა **ჯდა** (*“იყო ერთი მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა”* – “ვეფხისტყ.”). ჩნდება კითხვა: რატომ არის ფორმა **ჯდა** და რას აღნიშნავს იგი? ძველად ეს ნიშნავდა არა ერთჯერად მოქმედებას, არამედ უწყვეტ ფორმას იმ გმირის მოქმედებისა, რომელზედაც იყო ლაპარაკი. ახალ ქართულში ფორმა **ჯდა** აღარ არსებობს. ქართული ენისთვის ამას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა. ამ მხრივ ახალმა ქართულმა შემოიტანა სრულიად ახალი კატეგორია, რომელსაც ჰქვია ასპექტი. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დისერტაციის თემისათვის, რადგან ახალ ქართულში, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ძველი ქართულის განვითარების შედეგად, გაჩნდა ახალი კატეგორია – ასპექტის კატეგორია,

რომელმაც დააზუსტა ზმნის მოქმედების სხვადასხვა ასპექტები. მაგალითად, უწყვეტელი – მიმდინარეა ეს მოქმედება თუ ერთჯერადი? იგივე აზრი შეიძლება გამოვხატოთ სხვა ტერმინებით: მოქმედება უსრულად მიმდინარეობს თუ ეს მოქმედება უკვე დასრულებულია. ძველი ქართულის **ჯდა** ახალ ქართულში შეიძლება ნიშნავდეს ორ რამეს: 1. მოქმედება ჯერ არ დამთავრებულა და ის გრძელდება; 2. მოქმედება დასრულდა. არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არის ის, რომ ამ მხრივ **ჯდა** ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს სრულიცა და არასრულიც. ქართულში უსრული ასპექტის გამოსახატავად გაჩნდა ფორმა **იჯდა**. მაგალითად: *მოყმე ვინმე იჯდა წყლის პირას*. ეს ნიშნავს, რომ მოყმე განაგრძობდა ჯდომას ანუ ფორმა **ჯდა** მარკირებულია მხოლოდ უსრული ასპექტით. ახალ ქართულში იგივე ფორმა **ჯდა** შეიძლება სხვაგვარად იყოს გაფორმებული: **დაჯდა**. რა განსხვავებაა **იჯდასა** და **დაჯდას** შორის ახალ ქართულში? ფორმა **დაჯდა** აღნიშნავს მხოლოდ დასრულებულ ერთჯერად მოქმედებას, მეტს არაფერს. ამის შედეგად ქართულმა ზმნამ გაიმდიდრა თავი იმით, რომ სწორედ ზმნისწინის წყალობით დაზუსტდა, როგორი სახე აქვს ამა თუ იმ მოქმედებას: ის ერთჯერადია, კონკრეტული და უკვე დასრულებული თუ ის შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც უსრული – ჯერ დაუმთავრებული. ძველ ქართულს ეს კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია, გარკვეული ფორმით გამოხატული, არ ჰქონდა. მთელი კონტექსტი იყო საჭირო იმის გასარკვევად, ტარიელი დაჯდა და ადგა და მერე წავიდა, თუ განაგრძობდა იქ ჯდომასა და ტირილს. ზმნისწინს სწორედ ეს ფუნქცია აკისრია ახალ ქართულში. კონტექსტის გარეშე, მხოლოდ ზმნის ფორმით არის შესაძლებელი იმის გაგება ზუსტად, ტარიელი რას აკეთებს. თუ ჩვენ ვიტყვით, “*იჯდა ტარიელი და ტიროდა*” ან “*ტარიელი მხოლოდ ჩამოჯდა და ცოტა ხნის შემდეგ წავიდა*”, აქ კონტექსტს ცვლის ზმნისწინის სრულიად ახალი მნიშვნელობა და მისი გრამატიკული ფუნქცია – აღნიშნოს სრული მოქმედება და ამით გამორიცხოს სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

დღეს ზმნისწინის კატეგორიის კვლევა ძველ ქართულთან შედარებით მეტად გართულებულია როგორც გრამატიკული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

ამ ეტაპზე აუცილებელია შეიქმნას ზმნისწინისა და ზმნური ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელი, რომელიც ეკონომიურად, მარტივად და შესაძლებელი სიზუსტით ასახავს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულ ყველა ზმნისწინიან ზმნას ერთდროულად მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე, და იმავედროულად გამოიყოს ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციები (საურთიერთო, სხვის მიმართ მოქმედება, ახლომყოფობა-მიახლოება, შეღწევადობა, მოქმედების, პროცესის შეცვლა, მიჯნა, მასთან მიჯრა-დამთხვევა, ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღნიშვნა, ზერელობა...).

როგორც ა. შანიძე მიუთითებდა, იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნიუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, აღინუსხოს, თუნდაც მიახლოებითი, ძირითადი ხაზები ამ საკითხზე (შანიძე 1980: 253). ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანსაც წარმოადგენს სწორედ ქართული ენის გრამატიკის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო, ნიუანსებით აღსავსე და ურთულესი მორფემის – ზმნისწინის სემანტიკური ფუნქციებისა და განაწილების სიღრმისეულად შესწავლა, იმ თავისებურებათა წარმოჩენა, რასაც ქმნის ზმნური ფუძისა და ზმნისწინის, ზმნისწინისა და მაქცევრების მიმართება, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მონაცემების ბაზაზე).

ქართული ზმნის თავისებურებასა და მრავალფეროვნებას მის პოლიპერსონალიზმთან ერთად, ვფიქრობთ, განაპირობებს ზმნისწინთა არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ფუნქციური სიმდიდრეც (ასე არ არის სხვა ენებში). შესაბამისად, ჩვენ გაგვიჩნდა კითხვა: როგორ ხდება ქართული ზმნისწინების მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსების გადმოცემა სხვა ენებში, მათ შორის, თურქულში? ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ამ ეტაპზე ჩვენი მეცნიერული კვლევის საგანი ყოფილიყო ქართული მასალის შეპირისპირება სხვა ენათა (განსაკუთრებით კი თურქულის) მონაცემებთან.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ზმნისწინის დამატებითი სემანტიკური ნიუანსებისა და განაწილების კვლევა ახალ სალიტერატურო ქართულში, ზმნისწინისა და ზმნის ფუძეების ისეთი დინამიკური მოდელის შექმნის ცდა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უფრო ეკონომიურად და მარტივად მოხდეს სინთეზური ზმნური ფორმებისა და მათი შესატყვისი გაუვრცობელი მარტივი წინადადებების წარმოქმნა, აგრეთვე უცხო ენათა მონაცემებთან შეპირისპირება ქართულში ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსების უკეთ წარმოსაჩენად.

მეცნიერთა მიერ ზმნისწინის საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების გარდა, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნისწინი ავლენს მეტად საინტერესო და მდიდარ ნიუანსობრივ მხარეებს, განსაკუთრებით მაქცევრებთან მიმართებით, რაც ამ ეტაპზე საგანგებოდ და სიღრმისეულად შესწავლილი არ არის (ტერმინ “მაქცევარში” ვგულისხმობთ ზმნის ხმოვანპრეფიქსებს). ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს, აგრეთვე, ისიც, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულისა და გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანის, დ. შენგელიას “ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის” ბაზაზე დამუშავებული მასალის მიხედვით შეიქმნება ზმნისწინიან ზმნათა ყალიბების ნუსხა და მოხდება უცხო ენათა, კერძოდ, თურქული ენის მონაცემებთან შედარება-შეპირისპირება.

ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ზმნისწინისა და მაქცევრების ძირითადი ფუნქციების გარდა დამატებითი, სრულიად ახალი სემანტიკური ნიუანსები და, შესაბამისად, ახლებური შეხედულებები, თეორიულად გაამდიდრებს ქართული ზმნის კვლევის საფუძვლებს. მას ინტერესით გაეცნობიან აგრეთვე ის უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის თურქი მკვლევრებიც, რომლებიც ცდილობენ ქართული ენის სიღრმისეულ შინაარსში ჩაწვდომას. პრაქტიკული თვალსაზრისით საკვალიფიკაციო ნაშრომი შესაძლებელს გახდის ზმნისწინისა და ზმნური ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელის შექმნას, რომელიც ეკონომიურად და მარტივად ასახავს ქველ-ში განმარტებულ ყველა ზმნისწინიან ზმნას ერთდროულად

მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე. დამუშავებული ზმნური ყალიბების გათვალისწინება საინტერესო იქნება ქართული ენის ფორმალიზაციის მიზნითაც.

ზმნისწინის შესწავლის ისტორია. ქართული ზმნისწინის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს (ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართული ენის გრამატიკაში ზმნისწინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია). მიუხედავად ამისა, ამ ასპექტით კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და დასაზუსტებელი, კერძოდ, სისტემურადაა შესასწავლი ზმნისწინთა განაწილება და სემანტიკური ნიუანსები.

ზმნისწინს ბევრმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა უძღვნა ნაშრომები. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზმნისწინები, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარია შინაარსობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გახსნილი გრამატიკული მორფემა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი დღესაც ბევრი სპეციალისტის ყურადღების ცენტრში დგას.

ზმნისწინით ძველი გრამატიკოსებიც იყვნენ დაინტერესებულნი. რა თქმა უნდა, ძველ გრამატიკებში ზმნისწინი გამოწვლილვით ვერ იქნებოდა გამოკვლეული, მაგრამ მისი შესწავლის პირველი ცდები საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. ზმნისწინის შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვთ სულხან-საბა ორბელიანს, ანტონ I-ს, გაიოზ რექტორს, ს. დოდაშვილს, პლ. იოსელიანს, დ. ყიფიანს, პ. კვიცარიძეს, არ. ქუთათელაძეს, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილს, ს. ხუნდაძეს, დ. ჩუბინაშვილს, ი. ნიკოლაიშვილს, აგრეთვე მოგვიანო პერიოდში ნ. მარს... (ვეშაპიძე 1960: 412-436).

ზმნისწინის განსაზღვრება პირველად ი. ქართველიშვილის “ქართულ გრამატიკაში” არის მოცემული: “მარცვალნი რომელნიცა დაესხმიან ზმნათა და შეჰსცვლიან მნიშვნელობასა მათთა, იწოდებიან ზედდადებულად, ანუ თანდებულად, ვითარნიცა არიან: **აღ-, შთა-, წარ-, მი-, მო-, შე-, გან-, გამო-** და სხუანიცა ესევითარნი”.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინის აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი: მარცვალი, ზედდადებული, განმავითარებელი, განუყოფელი თანდებული, შეერთებულად ხმარებული თანდებული, მარცვალი განმავითარი, მოზავებული, მიმძღოლი თანდებული, საზმნებო თანდებული, თავსართი,

მიმართულების აღმნიშვნელი თავსართი, სრულმყოფელი ზესართი, წინსართი, პრევერბი, წინდებული... ტერმინი **ზმნისწინი** ა. შანიძემ დაამკვიდრა.

საინტერესოდ და სრულიად განსხვავებულად არის დანახული და წარმოდგენილი ზმნისწინი ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში, სადაც განხილულია მოცემული ენისათვის არატიპური ფორმა- და სიტყვაწარმოების ისეთი მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ენის ბუნებას განვითარების გარკვეულ, კონკრეტულ საფეხურზე. ასეთ მოვლენებს ის ფაკულტატიურს უწოდებს, თუმცა არ გულისხმობს, რომ ისინი ენის შინაგანი ბუნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან. ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში მოცემულია ცდა ფაკულტატიური მოვლენის სისტემატიზაციისა და შესაბამისი კვლევისა. მეცნიერი, ჩვეულებრივ, გამოყოფს ზმნისწინის ოთხ ძირითად ფუნქციას, მაგრამ მიაჩნია, რომ ზმნისწინის დართვა არ ნიშნავს მაინცდამაინც მიმართულების გამოხატვას. უფრო ხშირია ზმნისწინის გამოყენება მყოფადისა და ასპექტის საწარმოებლად. მიმართულება ხშირად თანამდევ ფუნქციად გვევლინება. ზოგჯერ ამ თვალსაზრისით ზმნა საერთოდ ნეიტრალურია (**გააკეთებს _ გააკეთა, დაწერს _ დაწერა...**) (ჯორბენაძე 1995: 72).

ზმნისწინის გენეზისი. ზმნისწინს ისტორიულად კავშირი აქვს თანდებულებთან და ზმნისართებთან. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მორფოლოგიური აღნაგობითა და ფუნქციითაც ზმნიზედა, თანდებული და ზმნისწინი ურთიერთკავშირშია (შდრ.: *შინ, სახლსა შინა, შევიდა*). ისინი თავიანთი ძირითადი ფუნქციებით სივრცის გაგებასთან არიან დაკავშირებული, სამივესთვის ამოსავალია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა _ ზმნიზედა, რომელიც ძველ ქართულში ძირითადად მიმართულებას გამოხატავდა, შემდგომში (თანდებულად და ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში) მაწარმოებელი ელემენტების თანდათან ჩამოცილების გზით დაკარგა დამოუკიდებლობა, ზმნისწინისა და თანდებულის სახით მოგვევლინა. ზმნისწინის ძირითად ფუნქციად ასპექტის გამოხატვა იქცა და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობაც. ამგვარად, ზმნისწინი და თანდებული მაშინ მოშორდნენ ერთმანეთს, როცა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ. სახელისთვის აუცილებელი გახდა

თანდებულის დართვა, რადგან ზმნისწინმა გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი (პ. ჯაჯანიძე, *არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპიძე*).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღება იქნა გამახვილებული ზმნისართთა, თანდებულთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხზე.

კვ. გაბუნიას აზრით, კვლევის საფუძველს წარმოადგენს ძირეული მასალის იგივეობა და გენეტური კავშირი. ქართულ ენაში ზმნისართთა ერთ ჯგუფში ძირეულ ელემენტებად გამოიყოფა -**ზე** და **ქუე**- ზმნისართები, რომლებიც ძველ ქართულში ადგილობითი ზმნისწინის ფუნქციით იხმარებოდა; **და**- ზმნისწინიც მომდინარეობს **დაბ**- ძირისაგან (შდრ.: არსებითი სახელი **დაბა**, ზედსართავი **დაბალი** // **დაბლა**), რომელიც მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ძველად; ზმნისართები **წინ**, **წინაშე**, **უკან** წარმოდგენილია ზმნისწინებით **წა[რ]-**, **უკუ-**; **შინა**, **შიდა**, **შიგნით** და სხვ. გამოიყოფა საერთო ელემენტი – თანდებული **ში-** (სახლში, წყალში...), აგრეთვე ზმნისწინი **შე-** // **შა-** (გაბუნია 1993: 73-76). როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისთვის აუცილებელი გახდა თანდებულის დართვა (ჯაჯანიძე 1952-53: 116).

ზმნისწინის ფუნქციები. ისტორიულად ზმნისწინი ყველაზე ახალი მორფემაა ზმნური ფუძისა, მაგრამ მისი ფუნქციები განსაზღვრულია. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინს აქვს ოთხი ძირითადი ფუნქცია: გეზისა და ორიენტაციის, მიმართულების ჩვენება, მომავალი დროისა და სრული ასპექტის გამოხატვა, ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ი. ვეშაპიძე, ლ. კვაჭაძე, ა. კიზირია, პ. ჯაჯანიძე, ზ. ჭუმბურიძე...). ზმნისწინი ზოგჯერ ერთდროულად გამოხატავს ყველა ამ ფუნქციას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ზმნისწინი თანამედროვე ქართულში პოლისემანტიკური მონაცემია; ზმნაში ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობის გადმოცემა (ზ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული).

როგორც აღინიშნა, ზმნისწინებს ძველ ქართულში არ ჰქონდა ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელ ენაში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად, სრული ასპექტის წარმოება, ამიტომ წერს და და-ს-წერს, ჭამს და შე-ხ-/ჰ-/ს-ჭამს ასპექტის მიხედვით გარჩეული არ იყო, ყველა უსრულ ასპექტს გამოხატავდა; ზმნისწინს არ შეეძლო მომავალი დროის წარმოებაც. ძველ ქართულში იყო ყველა ის ზმნისწინი, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის (გამარტივებული სახით) და დამატებით კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი, რომლებიც დღეს იშვიათია. ესენია: უკუნ-, უკმო- და წიაღ- და წიაღმო- (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996: 5).

მომავალი დროის გამოხატვასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოგვიანებით, ძველ ქართულშივე ასრულებს ზმნისწინი ამ ფუნქციას. ამიტომ დროის გამოხატვა ზმნისწინის ახალ ფუნქციად არ უნდა ჩაითვალოს (სადინაძე 2008: 138).

ზმნისწინს შეიძლება დაეკისროს ისეთი გრამატიკული ფუნქციის გამოხატვაც, რომელიც მისთვის დამახასიათებელი არ არის. ასეთია, მაგალითად, გვარის კატეგორია, უფრო ზედმიწევნით: აქტიურობა-პასიურობის ფუნქცია. მაგალითად: აქვს და ჰყავს ზმნების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ზმნისწინთა დართვის შედეგად გვარის გრამატიკულ ფუნქციას იცვლის, სემანტიკურად აქტიური ხდება, გარდამავალ ზმნას უთანაბრდება, რაც თავს იმაშიც იჩენს, რომ უღვლილებისას უკვე საკუთრივ მოქმედების ზმნა შეენაცვლება: მი-აქვს, წა-იღებს, მო-ჰყავს, მო-იყვანს. ყოველივე ამის წყალობით შესაძლებელი ხდება ერთი ფუძისაგან უამრავი ზმნური ფორმის წარმოება (ჯორბენაძე 1985: 91-92). სემანტიკური დანიშნულებით გამოყენებულმა ზმნისწინებმა შესაძლოა:

ა) გამოხატონ ერთი და იმავე მოქმედების ორი ან მეტი ნაირსახეობა, ანუ: სემანტიკური ელფერით (ნიუანსით) დაუპირისპირონ ერთმანეთს ერთი მოქმედების ნაირსახეობანი: მო-კლა – და-კლა (უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ დანით, ხანჯლით... მოკვლაზე ითქმის);

ბ) წარმოქმნან ავტონიმები, ანუ: მნიშვნელობის თვალსაზრისით საპირისპირო ფორმები: წა-ართმევს – მი-ართმევს...

გ) წარმოქმნან ლექსიკურად სრულიად განსხვავებული ერთმანეთთან დაუკავშირებელი, სხვადასხვა სემანტიკური სისტემის ფორმები: **ა-აგო, წა-აგო, და-აგო, ჩა-აგო, მი-აგო...** (ჯორბენაძე 1985: 48). ზმნისწინი მიჩნეულია მწკრივთა მაწარმოებლად (ჭუმბურიძე 1986: 85-86, ფუტყარაძე 2006: 92).

სემანტიკური ფუნქცია ა. შანიძეს ზმნისწინის მეორეულ მნიშვნელობად მიაჩნია. მისი აზრით, ზმნისწინი, რა თქმა უნდა, წარმოქმნის ელემენტია, მაგრამ მისი საშუალებით ზმნა ძალიან არ არის დაშორებული ძირეული ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას: წარმოქნილი ზმნა, გეზისა და ორიენტაციის გარდა, იგივეა, რაც ძირეული. ამასთანავე ზმნისწინმა შეიძლება დაკარგოს ამ ორი ფუნქციის აღნიშვნის უნარი და გადაიქცეს სრულიად ახალი ზმნის მაწარმოებელ ელემენტად. მკვლევარს დასახელებული აქვს **კალ** ფუძე: **მო-კლა** და **და-კლა**. ორივე გულისხმობს სიცოცხლის წართმევას, მაგრამ სხვადასხვაგვარად, **მო-კლა-ო** თუ თქვეს, ვგულისხმობთ სიცოცხლის წართმევას საზოგადოდ, არ ვიცით, თუ როგორ და რა საშუალებით; მაგრამ, თუ თქვეს, **და-კლა-ო**, ვგულისხმობთ, რომ სიცოცხლე წაურთმევიათ წაქცეულისთვის რაღაც მჭრელი იარაღით. **მო-კლა** და **და-კლა** ზმნები, თუმცა ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არ არის გეზობრივი ხასიათისა, არამედ სხვაგვარი. აღნიშნულ ზმნისწინებს აღარაფერი კავშირი აქვს გეზის აღნიშვნასთან (შანიძე 1980: 253).

ზმნისწინის მიერ ზმნაში მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის შესახებ საუბრობს ბ. ჯორბენაძე. ჯერ კიდევ ძველ ქართულში შეინიშნება ზმნისწინის ეს მნიშვნელობა. დაწყებითობის (ინხოატივის) აღწერითი გამოხატვა არც ახალი ქართულისათვისაა უცხო: *“ტირილი დაიწყო”, “ბრუნვა დაიწყო”, “სიმღერა დაიწყო”... “ტირილი დააწყებინა”, “ბრუნვა დააწყებინა”...* ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივი ტიპის შემასმენლისა და უშუალო (პირდაპირი) ობიექტის ურთიერთობასთან – ერთი თავისებურებით: უშუალო ობიექტად გამოყენებულია მასდარი (ტირილი, ბრუნვა, სიმღერა...) ან მასდართან გატოლებული არსებითი სახელი (თამაში, ვარჯიში, ჩხუბი...).

ეს კი შესაძლებლობას იძლევა ზმნა (დაიწყო – დააწყებინა) ნებისმიერი ნაკვთის ფორმით იქნეს წარმოდგენილი (ჯორბენაძე 1987: 106-107).

ზმნის ფუძის გაგების არაერთგვაროვნება ხშირად მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ზ. ჭუმბურიძე, ა. არაბული... მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინი დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება. ის აუცილებლად ერთვის ზმნას, შედის ზმნის ფუძეში და ზმნისაგან ცალკე, დამოუკიდებლად ერთდროულად არასოდეს მოიაზრება. ასეთი იყო ზმნისწინი ძველ ქართულში, რაზეც მეტყველებს ტმესი: ზმნისწინი და ზმნა ერთმანეთისაგან გათიშული იყო ან ნაწილაკით, ანდა ნაცვალსახელით. ტმესი ზმნისწინიან და რთული შედგენილობის ზმნებში გვხვდება V-XI საუკუნეების როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ტექსტებში (ცეციტიშვილი 1966: 130-131).

დღევანდელ ქართულში ზმნისწინი არის დერივაციული მორფემა, რომელიც ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის, მაგრამ ზმნისწინის ფუნქცია მხოლოდ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით არ შემოიფარგლება. იგი ზმნის ფორმაწარმოებაშიც მონაწილეობს.

ზმნისწინის ფუნქციებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფუძეთა გავლენას, რაც უცვლის ამა თუ იმ ზმნისწინიან ფორმას სემანტიკას. ა. არაბული ზმნის ფუძეს უკავშირებს ახალი სემანტიკის განვითარებას და მიაჩნია, რომ ამ პროცესში ზმნისწინის როლის მითითება რაიმე განსაკუთრებულს არ შეიცავს, ვინაიდან კარგად არის ცნობილი პრევერბთა სიტყვაწარმოებითი ფუნქცია. ეს ფუნქცია კი, ბუნებრივია, ზმნურ ფუძეთა ფორმირების არქაულ ეტაპზე იჩენს თავს, მაგრამ პრევერბი ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო “ანალიზური” ელემენტია, ვინაიდან იგი უფრო ზმნური ძირის სემანტიკური პოტენციის რეალიზაციის ხელშემწყობად გვევლინება, ვიდრე თავისთავად მაწარმოებლად. ზოგჯერ განსხვავებულ, საპირისპირო მნიშვნელობებს ზმნისწინებთანაც არა აქვს თითქოს კავშირი. წარმოდგენილი კავშირი, წარმოდგენილი ძირი ერთი და იმავე პრევერბითაც ავლენს საპირისპირო სემანტიკას. მაგალითად, “წართმევა” – “მიცემა”. შდრ., მოიღო/მოართუა (არაბული 1997: 220; 226); ქ.

დათუკიშვილის აზრით, ზმნისწინი არის ერთადერთი ზმნური მორფემა, რომელსაც ლექსიკური დერივაციის უნარი აქვს. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც არის გამართლებული ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ერთ პარადიგმაში გაერთიანება (ქ. დათუკიშვილი 1998: 57).

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა გ. გოგოლაშვილმა. მისი აზრით, ზმნისწინი არ შედის ნაკვთის ფუძეში. ამის საფუძველზე მან უღვლილების სისტემა II და III სერიების პრინციპით გამართა და ახალ ქართულში ზმნური ფორმები სამ სერიად და რვა ნაკვთად დააჯგუფა.

ა. შანიძემ ზმნისწინის უკეთ დახასიათებისათვის შემოიტანა ორიენტაციის კატეგორია და ამის მიხედვით ზმნები დაყო ორ რიგად: საიქეთო და სააქეთო.

ა) საიქეთო ორიენტაციის გამომხატველი ზმნისწინებია: მი-, ა-, და-, შე-, გადა-, წა-, უკუ-.

ბ) სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს: მო-, ამო-, (დამო-), ჩამო-, გადმო-, წამო-, უკმო-.

აღ. ფოცხიშვილი ორგვარ ორიენტაციას განარჩევს. ესაა: მოუბართკენული და სხვათამიმართი.

მ. მაჭავარიანის აზრით, ზმნისწინის ერთ-ერთ გრამატიკულ დანიშნულებად შესაძლებელია, აგრეთვე, დავსახოთ სუბიექტის ფუნქციურ-აქტანტური სპეციფიკაციაც. კერძოდ, თუ სუბიექტს აქვს უნარი, აკონტროლოს ზმნისწინის დართვა-დაურთველობა (ანუ აკონტროლოს ასპექტის სახე), მაშინ ის იძენს აგენტურ როლს, ერგატიული ბრუნვით მარკირებულს. სხვა შემთხვევაში სუბიექტი ნომინატივშია და მისი აგენტურობა-არააგენტურობა დამატებით გრამატიკულ დასაბუთებას მოითხოვს (მაჭავარიანი 1987: 63-64).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ოთხი ძირითადი ფუნქციის გარდა, ზმნისწინს უნარი აქვს დამატებით გამოხატოს სხვაგვარი ნიუანსები. მას შეუძლია ცვალოს პირთაშორის მიმართებები, საუბარია სამპირიან ზმნაზე, სადაც პირდაპირი

ობიექტი პირცვალებადია, ხოლო ირიბი – უცვლელი. მაგალითად: **მიმაყენა მან მე მას/ მიმაყენა მან მე ის.**

მნიშვნელოვანია ც. კვანტალიანის მოსაზრებები ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომებში წამოდგენილია ამ მიმართულებით კვლევის პირველი ცდა. ზმნისწინი შესწავლილია ზმნურ ფუძეებთან კავშირში და ძირითადი დასკვნები მათი ანალიზის შედეგად არის გაკეთებული. ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა ზმნისწინიანი ფორმიდან ამოსვლით არის განხილული. აქედან გამომდინარე, მიღებულია დასკვნა, რომ ახალ ქართულში ზმნისწინისათვის უმთავრესი სიტყვაწარმოებითი დანიშნულებაა, ხოლო ზმნისწინიან ფორმას ყოველთვის არა აქვს შესაბამისი მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო აწმყო. თითქმის ყველა ზმნისწინს ზმნაში შეაქვს თავისი კონკრეტული მნიშვნელობა, ე.ი. ზმნისწინი ყოველთვის უცვლის ზმნას მნიშვნელობას, თუმცა ზოგი ზმნისწინი დაცლილია ყოველგვარი ნიუანსობრივი დატვირთვისაგან, ე.ი. ნეიტრალურია (კვანტალიანი 2001: 27).

ა. შანიძემ პირველმა ახსენა ტერმინი “ნეიტრალური”, მაშინ როდესაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ზოგჯერ ზმნისწინი არ აღნიშნავს მიმართულებას. მეცნიერის აზრით, მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობა დაკარგული აქვს **გა-** და **და-** ზმნისწინებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გ. გოგოლაშვილმაც გამოიყენა ტერმინი “ნეიტრალური ზმნისწინები”. მკვლევარს ზმნისწინი ზმნის ფუძეში არ შეაქვს. მისი განმარტებით: “ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები”. მეცნიერს მიაჩნია, რომ სხვადასხვა ზმნისწინიანი ზმნები სხვადასხვა საუღლებელი ერთეულები არ არის: “თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენი ფუძე გვექნება ერთი და იმავე ზმნური ფუძისაგან წარმოებული, რამდენიც ზმნისწინიანი ვარიანტი გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგალითად: დაწერს, ჩაწერს, მიწერს, მოწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს...” (გოგოლაშვილი 1988: 97).

ა. შანიძის დებულების საფუძველზე ც. კვანტალიანი აღნიშნავს, რომ ყველა ზმნას აქვს ერთი ისეთი ზმნისწინი, რომელიც ზმნის ძირითად შინაარსს ანუ ზოგად სემანტიკას ხსნის. მაგალითად: **წერს – დაწერს, ხატავს – დახატავს, რგავს – დარგავს, ადგენს – დაადგენს, ამოწმებს – დაამოწმებს**. ამ ზმნებში და- ზმნისწინი მხოლოდ მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით არ არის ნეიტრალური. მისი აზრით, მას საერთოდ აქვს ნეიტრალური გაგება. და- ზმნისწინი ნამდვილად არ მიუთითებს რაიმე გარკვეულ მიმართულებას, მაგრამ მიანიშნებს სწორედ ზმნის ძირითად მნიშვნელობაზე.

მკვლევარს მიაჩნია, რომ ნეიტრალურ ზმნისწინიან ზმნას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უზმნისწინო ზმნას აწმყოში: **წერს – დაწერს, ხატავს – დახატავს**. მაგრამ ზმნისწინიანი ზმნა მაინც განსხვავებულია. ასეთი ზმნისწინი ზმნის მოქმედებას ზოგჯერ აზუსტებს, განსაზღვრავს და ამასთანავე მკვეთრად აქვს გამოხატული ასპექტისა და დროის აღნიშვნის უნარი (კვანტალიანი 2001: 28).

ზ. ჭუმბურიძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: “ზმნისწინი, შეიძლება ითქვას, აკონკრეტებს, განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესს” (ჭუმბურიძე 1986: 18).

ც. კვანტალიანი ხაზგასმით მიუთითებს, რომ: “ზმნისწინს ყოველთვის აქვს თავისი დანიშნულება. ის უფუნქციოდ არ გაჩენილა და რისთვისაც გაჩნდა, ის დანიშნულება დღესაც აქვს შემორჩენილი. დღეს თუ ზმნისწინი აშკარად ვერ ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას, ან ვერ აჩვენებს მიმართულებას, ასპექტისა და დროის ჩვენების გარდა მას ზმნაში სხვა გაგება მაინც შეაქვს. ეს სწორედ ზმნის მოქმედების, ზმნის ძირითადი მნიშვნელობის დაკონკრეტება, დაზუსტებაა. ფაქტობრივად ეს ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულებაა, ზმნაში მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩენილი” (კვანტალიანი 2001: 29).

ასეთი სიტუაცია ვლინდება **შე-** ზმნისწინიან ფორმებთანაც. მაგალითად:

შე-აქებს (დადებით მხარეს მოწონებით მოიხსენებს, ქებას, ხოტბას შეასხამს. “*ვაჟად გიცნობდი და არც მოვტყუვდი!*” – *შეაქო [კობა] იაგომ – ა. ყაზბგ.*);

შე-აღვეს (მთლიანად მოახმარს, მოანდომებს, შესწირავს (მაღლონეს, ჯანს... ქონებას. [ოთარაანთ ქვრივმა] შვილის მოვლას ხომ ზედ შეაღია თავისი ყმაწვილქალობა _ ილია);

შე-იგულებს (რისამე (ვისიმე) ადგილსამყოფელს დაიმახსოვრებს, დაისწავლის, გუმანით მოინიშნავს, _ დაიგულებს. *არწივს მხოლოდ დასვენება უყვარს ჩემს კალთაზე და აქედან თვალის ჭერა, რომ სადმე მიდამოებში მსხვერპლი შეიგულოს და დაუქროლოს _ ვაჟა*)... მართალია, ამ შემთხვევაში ზმნისწინი აშკარად ვერ ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას და ვერ აჩვენებს მიმართულებას, მაგრამ ასპექტისა და დროის ჩვენების გაგება მაინც შეაქვს ზმნაში.

აზმნისწინთა დამატებითი ახალი ფუნქციების გამოყოფის ცდა ასევე მოცემულია მ. მონასელიძის ნაშრომებში, რომლებშიც იგი ეხება ზმნისწინის საშუალებით ოდნაობითობის კატეგორიის გამოხატვას. მაქცევრების შესახებ მასთან არაფერია ნათქვამი. საინტერესოა მ. მონასელიძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ზმნისწინებით ოდნაობის გამოხატვა გარკვეულ, შეზღუდული რაოდენობის ზმნებს შეუძლიათ. მათგან ზოგიერთი თვითონ შეიცავს სიმცირის, ოდნაობის ელფერს. ზმნისწინებით ოდნაობის გამოხატვა ხდება ძირითადად მყოფადისა და ნამყოს მწკრივებში (მონასელიძე 2001: 24). **G**

ზმნისწინი საშუალ ქართულში შესწავლილი აქვს ნ. ფარტენაძეს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე იგი ზმნისწინის ძირითადი ფუნქციების (გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა ანუ დერივაციული ფუნქცია) გარდა გამოყოფს სხვა დამატებით ნიუანსებს, მაგალითად, მოქმედების დაწყებითობას, ზღვრულობას, ოდნაობას, ინტენსიობას, მოჩვენებითობას, უნებლიობასა და სხვ., აღნიშნავს იმასაც, რომ დამატებითი ნიუანსი ყველა ზმნისწინს არ მოეპოვება, შეიძლება მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან-თვისება იყოს (ფარტენაძე 2009: 75).

ზმნისწინის პოლიფუნქციურობა და ზმნის მოდელირების პრობლემა. ზმნისწინის პოლიფუნქციურობა სვამს ამ ფუნქციათა ურთიერთმიმართების საკითხს. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, ზმნისწინის მესამე ფუნქცია – სრული ასპექტის წარმოება – არ გამოირიცხავს პირველ ორს – გეზისა და ორიენტაციის მითითებას, არამედ ჩვეულებისამებრ, მასთან ერთად იხმარება, ე.ი. იმავდროულად გამოხატავს როგორც ასპექტს, ისე – მიმართულებას. ახალი ფუნქციის გამოხატვა, მათ შორის, ასპექტისაც, ნ. ლოლაძის აზრით, გარკვეულწილად ამოსავალი ფუნქციის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა. ამავე დროს, თავს იჩენს ზმნისწინთა დიფერენცირების ტენდენცია (მაგალითად, **გა-** და **და-** ზმნისწინთა გადააზრება). ამ ტენდენციების გათვალისწინება აუცილებელია ზმნის მოდელირების პრობლემის გადასაჭრელად (ლოლაძე 1999: 107-108).

ზმნისწინთა განაწილებისათვის ქართულში. როგორც ცნობილია, მორფემათა ერთი ნაწილი მხოლოდ ერთ მნიშვნელობას გამოხატავს, ხოლო მეორე ნაწილი ერთზე მეტ სემანტიკას ითავსებს. ამასთან, გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის მორფემების სესხება ერთი ენიდან მეორეში იშვიათად ხდება. იმისთვის, რომ შევძლოთ ამა თუ იმ მორფემის სტრუქტურის აღწერა და მათი მოდელის დადგენა, უნდა მოვახდინოთ ლინგვისტური ანალიზი. მორფემა გამოხატულების ერთეულია, მაგრამ იგი უშუალოდ უკავშირდება მნიშვნელობის პლანს (მანჯგალაძე 1999: 116-117). სხვადასხვა მკვლევარი ზმნისწინთა მიხედვით ზმნათა სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას ახდენს:

ა) ზმნები იყოფა ორ ჯგუფად: 1. ზმნები ან ზმნათა ფორმები, რომელთაც ზმნისწინი სრულებით არ დაერთვის. ასეთებია: **სწამს, უყვარს, სძულს** და სხვა. 2. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაერთონ ან არ დაერთონ. მაგალითად: **ხატვა და და-ხატვა, გრეხა და და-გრეხა**. 3. იშვიათად ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება. მაგალითად: **მი-ვიდა, მო-ვიდა**, მაგრამ ცალკე არა გვაქვს **ვიდა** (შანიძე 1973: 239) და ზმნები, რომელთაც უზმნისწინო პარალელური ფორმები არ ეწარმოება ამა თუ იმ დროში (**მი-ფრინდა, გა-გორდა, გა-ბრაზდა**), ვნებითი გვარის ფორმები მეორე სერიაში (კვაჭაძე 1981: 239).

ბ) ზმნები იყოფა სამ ჯგუფად. კვალიფიკაცია სემანტიკურია: 1. ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავენ: Aარსებობის, ფიზიკური და ემოციური მდგომარეობისა და ზოგიერთი სხვა სემანტიკის ზმნები; 2. ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება – მოძრაობის ზმნები; 3. ზმნები, რომლებმაც ზმნისწინი შეიძლება დაირთონ ან არ დაირთონ. მესამე ჯგუფში გაერთიანებული ზმნებისა და მათი ზმნისწინიანი ფორმების ქცევა დამოკიდებულია როგორც ზმნის, ისე ზმნისწინის სემანტიკაზე. ზმნები განხვავდებიან ზმნისწინთა შერჩევის თვალსაზრისით. ამასთან, ზმნისწინებს სხვადასხვა ზმნასთან შეიძლება განსხვავებული ფუნქცია ჰქონდეს (ლოლაძე 1999: 161).

ელემენტთა ჯამი არასოდეს არ უდრის ელემენტთა ცალკეულ მნიშვნელობას. სიმრავლის ფარგლებში ელემენტთა შეერთება ხდება, მაგრამ ახალი ერთეული არ არის ტოლი იმ ფუნქციებისა, რაც მათ ცალკე აღებულს ჰქონდა. მაგალითად, მი-, მო- // მიმო-, საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ზმნისწინიანი ფორმა არ უნდა აღნიშნავდეს უძრაობას. როდესაც სტატიკური ზმნა დაირთავს ზმნისწინს, იგი არ ხდება დინამიკური, მაგრამ მოხდება წარმოქმნა. მაგალითად, აკრავს – მი- // მო- // და- // ჩა- (მანჯგალაძე 1999: 116-117).

მ. მანჯგალაძის მიერ მოპოვებული კომპიუტერული მონაცემებით ქეგლ-ში 5056 მოქმედებითი გვარის ზმნური ფორმა დასტურდება. მათგან ზოგი ან საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს, ან მნიშვნელობის გადმოცემა ხდება როგორც ზმნისწინით, ისე მის გარეშეც. ყველაზე აქტიური და პასიური ზმნისწინების ნუსხა ასეთია:

და-	3363	მი-	764
გა-	2496	ამო-	645
მო-	1591	შემო-	597
შე-	1559	წა-	539
ჩა-	1209	ჩამო-	509
ა-	999	გადმო-	285
გადა-	847	წამო-	281
გამო-	845	გან-	149

ად-	73	მიმო-	19
წარ-	32	აღმო-	8
გარდა-	24	უკუ-	8
წარმო-	22	შთა-	8

მაშასადამე, ქეგლ-ის მონაცემებით ქართულში სულ **15313** ზმნა დაირთავს ზმნისწინს (მანჯგალაძე 1999: 7).

როგორც ჩანს, ყველაზე აქტიური ახალი ქართულის ზმნისწინთა შორის არის **და-**, **გა-**. ამავე აზრისაა დი ენ ჰოლისკი (ჰოლისკი 2000: 113); ყველაზე პასიური ზმნისწინია **წამო-**.

მ. მანჯგალაძის აზრით, ზმნისწინთა განაწილებისას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ზმნურ ფუძეს. თუ იგი სახელური წარმომავლობისაა (მაგალითად: **დაასაბუთებს, დაამდაბლებს, დაიზამთრებს, დაიამხანაგებს...**), ზმნისწინთა სრულ ნუსხას არ დაირთავს და არც სემანტიკური ცვლილებები მოხდება (მანჯგალაძე 1996: 115).

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ნასახელარი ზმნები, მართალია, არ დაირთავს ყველა ზმნისწინს, მაგრამ ზოგიერთი ზმნისწინის დართვის შესაძლებლობის დონეზე არ უნდა გამოირიცხოს მოსალოდნელი სემანტიკური ცვლილებები. ამას მოწმობს მაგალითები:

და-იზამთრებს (ზამთარს გაატარებს (სადმე). *ნინო... მივიდა სომხეთის ჩრდილოეთ საზღვარზე და იქ დაიზამთრა* – ი. გოგებ.) (ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. 1988: 79);

გამო-იზამთრებს (ზამთარს გაატარებს, ზამთარს გამოივლის (პირუტყვი, მცენარე). *პირუტყვმა ზამთარი გამოიზამთრა*) (იქვე, 79);

შე-ზამთარდება (ზამთარი მოახლოვდება, ზამთრის პირი დადგება) (იქვე).

როგორც მ. მანჯგალაძე მიიჩნევს, ზმნისწინების არჩევანი ნებისმიერი არ არის. ზმნა მას გარკვეული ნიუანსის ხაზგასასმელად იყენებს ან არ იყენებს, ანდა მისი საშუალებით აწარმოებს ლექსიკურად სრულიად განსხვავებულ, ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს (მანჯგალაძე 1999: 18).

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანია ზმნისწინის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზმნისწინები, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარია შინაარსობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ ბოლომდე “გახსნილი” გრამატიკული მორფემა არ არის. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი დღესაც ბევრი სპეციალისტის ყურადღების ცენტრშია.

I თავი. შე- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ სალიტერატურო ქართულში

სხვა ზმნისწინთა შორის ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია შე- ზმნისწინი. იგი ცნობილი ფუნქციების გარდა გამოხატავს ქვევიდან ზევით მიმართულ მოქმედებას, აგრეთვე, მოქმედების ოდნაობას, სიცოტავეს...

ჩვენ შევეხებით დამატებით სემანტიკურ ნიუანსებს, რაც ზმნურ ფორმაში შეაქვს არა მარტო შე- ზმნისწინს, არამედ სხვა მორფემასაც, მათ შორის: პირის ნიშნებსა (ჰ-/ს-) და განსაკუთრებით მაქცევრებს.

ზმნისწინის ერთ-ერთ დანიშნულებად სუბიექტის ფუნქციურ-აქტანტური სპეციფიკაციის დასახვა ვრცელდება შე- ზმნისწინზედაც, ერთი გამონაკლისით: მედიაოპტიკებთან და პოტენციალისთან შე- მყოფად ვერ აწარმოებს (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 428).

როგორც აღინიშნა, დღეს აუცილებელია შეიქმნას ზმნისწინისა და ზმნის ფუძეების სინთეზირების ისეთი დინამიკური მოდელი, რომელიც ეკონომიურად და შესაძლებელი სიზუსტით ასახავს ქველ-ში განმარტებულ ყველა ზმნისწინიან ზმნას მორფოსინტაქსურსა და სემანტიკურ დონეებზე. დინამიკური მოდელირება გულისხმობს ზმნისა და მისი მატრიცული გარემოცვის წარმოქმნის მექანიზმის აღმოჩენასაც. რამდენადაც ზმნის წარმომქმნელი მოდელირება მოქმედებს არა მარტო მორფოლოგიის ფარგლებში, არამედ იმავდროულად გულისხმობს სინტაქსური მატრიცული გარემოცვის გენერირებასაც, შემოგვაქვს ენის მორფოსინტაქსური დონე. მოცემული სქემების კომპონენტები წარმოდგენილია შემდეგი სიმბოლოებით: ძირი – **R**; ძირის სავრცობი – **y**; მაქცევრები – **x**; თემის ნიშნები – **z**; ზმნისწინები – **u**; სუფიქსი – **d**, პირველადი მოდელირების საფეხურზე წარმოქმნის ნაბიჯები ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით: **u+x+R+y+z**.

სემანტიკური ველის თეორიის ფარგლებში (მ. მაჭავარიანი) ჩატარებული შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ნაშრომში შემოტანილია ველის კოორდინატები როგორც შე- ზმნისწინისათვის, ისე შე-სთან სინთეზირებული ზმნების ყველა ფუძისათვის.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ზმნისწინისა და ზმნის ფუძის სინთეზური მორფოსინტაქსური წარმოქმნა, საჭიროა, გამოიყოს სემანტიკური ველები ზმნისწინებთან შერწყმულ ზმნათა ფუძეებისთვისაც.

1.1. შე- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები

შევეხებით ზმნათა ფუძეების შემცველ 11 სემანტიკურ ველს, რომლებიც მოიცავს ქველ-ში ამ ფორმანტით წარმოდგენილ თითქმის ყველა ზმნას. ფუძეთა ყოველ ველს

მიეწერება ერთი ზოგადი წყარო, მნიშვნელობა და შემდეგ მისი განფენა – კონკრეტული ლექსიკური დონის მნიშვნელობები საქცევების მიხედვით. შინაარსობრივი ლექსიკური საქცევების საყრდენ სიტყვებად გამოყენებულია ქეგლ-ის კონკრეტული საყრდენი სიტყვები და თანდართული სტანდარტული გამონათქვამები. არც ერთი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია არ არის სუბიექტური, არ ეყრდნობა საკუთარ ინტუიციას, ყოველი მათგანი ამოღებულია ქეგლ-ის სტანდარტული განმარტებებიდან და შემოწმებულია შესაბამისი ილუსტრაციებით.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ ზმნებში დიაქრონიულად იყო პირის ნიშანი, მაგრამ ამჟამად ქეგლ-ში დასტურდება უპირისპიშო ფორმები. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ირიბ დამატებას წარმოქმნის თვითონ **შე-** ზმნისწინი. ეს ჩანს იქიდან, რომ უზმნისწინო ფორმები ორპირიანი ხდება:

გვის ის მას > **შე-გვის** ის მას მას;

ჟიჟინებს ის მას > **შე-ჟიჟინებს** ის მას მას.

ღვრის ის მას > **შე-ღვრის** ის მას მას.

უზმნისწინო და **შე-** ზმნისწინიან ფორმათა დაპირისპირება კარგად ჩანს ქეგლ-ის განმარტებებში:

შე-ღალადებს (ღალადებს) ღალადით მიმართავს, ეუბნება; ღალადით ეტყვის, შესთხოვს);

შე-ღმუის (ღმუის) ღმუილით შეჰყვრებს. *შეღმუიან ღამეს მხეცები* – ი. მოსაშ.);

შე-ღულუნებს (ღულუნებს) ღულუნით შეეხმარება. || ტკბილად ელაპარაკება. [ცოლ-ქმარი] ერთმანეთს შეღულუნებდნენ – ს. კლდ.)...

ორპირიანი, **ჰ-/ს-**თი ნაწარმოები ზმნები ძირითადად გარდაუვალია და სათანაო. ორპირიან გარდაუვალ ზმნებში **ჰ-/ს-** აჩენს ირიბ დამატებას ლოკატივის, საზედაოს მნიშვნელობით. ასეთია **ახტება**, **აჯდება** ტიპის ზმნები. ორპირიან ზმნებთანაც ნულოვანი ვარიანტის შემთხვევაში, როცა არც **ა-** მაქცევარი გვაქვს და არც პირის ნიშნები, ირიბ ობიექტს ადრესატის როლით წარმოქმნის თვითონ **შე-** ზმნისწინი: **შეხარის** ის მას, **შეღალადებს** ის მას, **შეღივის** (**შე-ს-ტირის**) ის მას, **შეღმუის/შეღმუვლებს** ის მას, **შეღრენს** ის **Mმას** და მისთ. აქაც უზმნისწინო ფორმები ერთპირიანი ხდება: **ღმუის**, **ღრენს**, **ხარობს** და სხვა ერთპირიანი მედიოაქტივებია.

ანალოგიური დაპირისპირება იქმნება მომდევნო ყალიბებში:

შე-+0/ს-+R:

შე-დგება // შე-ს-დგება:

შე-დგება (1. რამეზე დადგება, ზედ ავა და დადგება. || აიმართება, დადგება. 2. მოძრაობას შეწყვეტს, _ გაჩერდება, შეჩერდება, დადგება. || გადატ. შეყოყმანდება. *ხიდზე რომ შევდექი, ხიდს მოუახლოვდა... გემი _ ა. ცაგარ.*).

შე-ს-დგება ((მას) დაადგება, შეადგება. *სპილო თავის მტერს... როცა ძირს დასცემს, თავისი ღონიერი ფეხებით შესდგება და სულ დაჟყლიტავს _ ი. გოგებ.*);

შე-დებს // შე-ს-დებს:

შე-დებს (1. შიგ შეიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს. || შეუყრის, შეაცურებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დაადებს. *ნათლია-ჩემმა... პარკი განჯინაში შედო _ ი. მაჭავ. თარგმ.*).

შე-ს-დებს (რამეს მას დაადებს ზევიდან);

შე-დის // შე-ს-დის:

შე-დის (1. სვლით (ნაბიჯის, ფეხის... შედგმით) გარედან შიგნით მიემართება, გარედან შიგნით მიდის. || ცურვით... იჭრება, მიემართება. || გადატ. რამეში იჭრება, ეფინება. || გადატ. მიიმართება, მიედინება. 2. გადატ. რომელიმე ორგანიზაციის წევრი ხდება; სამსახურს, სწავლას... იწყებს. 3. გადატ. რისამე ფარგლებშია, შემადგენლობაშია, _ მდებარეობს. *მაშ, შედი შენ ოთახში და არ გამოხვიდე, ვიდრე არ დაგიძახო _ შ. არაგვ.*).

შე-ს-დის (შედის მისთვის, შეუდის. *[მღვდელს] რაიც საწირი შესდის, თითონ ხომ ჭამენ, იყრიან ჯიბეში _ ა. ყაზბ.*);

შე-ცდება // შე-ს-ცდება:

შე-ცდება (შეცდომა მოუვა, _ მოტყუვდება. || დანებდება ქალი. *მეთვალყურე შეცდა, კარგად ვერ გაარჩია სიბნელეში, ჩემი ტყვე მტრად მიიღო _ აკაკი.*).

შე-ს-ცდება (იგივეა, რაც შეეშლება. *ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო _ ანდაზა*);

შე-წყდება // შე-ს-წყდება:

შე-წყდება (დენას შეწყვეტს (წყალი, სისხლი...)). || მიჩუმდება (ხმა...). *სისხლი შეწყდა და ელგუჯა ტკივილს ველარა გრძნობდა _ ა. ყაზბ.*).

შე-ს-წყდება (მოსწყდება, მოეგლიჯება, მოაწყდება, შეაწყდება. პალტოზე დილი შესწყდა);

შეჭრის // შე-ს-ჭრის:

შე-ჭრის (გარედან შიგნით სიღრმე გაჭრის. მიყვარს, როცა ხმას იძლევა მოგრიალე ხევის წყალი, გველივით რომ შეუჭრია მოლუშული დარიალი – გ. ტაბ.).

შე-ს-ჭრის (მოსჭრის რამეზე, ჭრით მოაცლის, – შეაჭრის. [ჩაის მცენარეს] ტოტებს შესჭრიან ხოლმე – ი. გოგებ.).

შე-+0//ჰ-+R:

შე-კივლებს // შე-ჰ-კივლებს:

შე-კივლებს (კივილით დაიძახებს, – დაიკივლებს. ქალი დაიკლაკნა ტკივილისაგან, მაგრამ არც შეკივლა და არც ცრემლები გადმოაგდო – ა. ყაზბ.).

შე-ჰ-კივლებს (კივილით შესძახებს, – შეჰყვირებს; დასჰყვივლებს. უცბად დედა-ჩემმა შეჰკივლა მამაჩემს: “რას შვრები მაგას!” – აკაკი).

განსხვავება იმაშია, რომ **შე-+ს-//ჰ-+R** ყალიბის ზმნებში პირიანობის ზრდას იწვევს ჰ-, ს- ნიშნები, ხოლო ზემოთ დასახელებულ ზმნებში (**დადადებს – შედადადებს...**) კი – **შე-** ზმნისწინი.

განხილული მაგალითების საფუძველზე იკვეთება ერთი საინტერესო კანონზომიერება: **შე-** ერთპირიან ზმნებში აქტუალურს ხდის სუბიექტის ან განმცდელის სემანტიკურ ფუნქციას, ორპირიან ზმნებში ხაზგასმა ეხება უკვე პირდაპირ ან ირიბ დამატებას, ხოლო სამპირიან ზმნებში **შე-** სემანტიკური ველის მნიშვნელობის თვალსაზრისით წარმოქმნის ან აქტუალურს ხდის მხოლოდ ირიბი დამატების ფუნქციურ როლს. მოკლედ რომ ითქვას, **შე-** ანგარიშს უწევს იერარქიულად წინადადების ყველაზე მარკირებულ წევრს, მისკენ წარმართავს სემანტიკური ველის ძირითად მნიშვნელობასა და მის საქცევებს. ეს გრამატიკულ-სემანტიკური ველი მოიცავს 103 ზმნას.

მეათე სემანტიკური ველი “მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის შეცვლა საპირისპირო მიმართულებით (გარდაქცევითობა)”. შინარსობრივად ის სხვა

ველებისაგან განსხვავდება იმით, რომ ზმნის ფუძის საყრდენი საქცევების მნიშვნელობები არ ეხამება **შე-** ზმნისწინის პარადიგმატულ ფუნქციებს, პირიქით, უპირისპირდება მათ: შედეგად ვიღებთ სინთეზირებული ზმნის ორიგინალურ საზრისს.

ც. კვანტალიანის აზრით, გარდაქცევითობის, სხვად ქცევის სემანტიკის მატარებელია **გა-**, **გადა-** ზმნისწინები. ზოგ ზმნაში იგივე მნიშვნელობა შეაქვს აგრეთვე **შე-** ზმნისწინსაც: **შე-ცვლის**, **შე-კუმშავს**, **შე-კვეცავს** და ა.შ. (კვანტალიანი 2001: 102). წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალასაც:

შე-აბრუნებს (1. მიმართულებას, გეზს შეუცვლის, სხვა მხარეს გააბრუნებს. 2. უკანვე შეიტანს, სადაც იყო, იქ მიიტანს. 3. მხარს, გვერდს შეუცვლის, _ შეატრიალებს. 4. გადატ. შეცვლის, გადაასხვაფერებს. *სხვა ქართველებთან ერთად გურამიშვილმა ცხენი შეაბრუნა* _ ს. კლდ.);

შე-ატრიალებს (შეაბრუნებს, შეაქცევს; მიატრიალებს; დაატრიალებს. *მთრთოლვარე ხელში რამდენჯერმე შეატრიალა [ოქროპირმა] და ახლა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ჩაიკითხა* _ რ. გვეტ.);

შე-აქცევს (1. მიაბრუნებს მისკენ, _ მიაქცევს, მიაპყრობს. 2. შეაბრუნებს, დააბრუნებს. *[გოგიამ] ცოლს ზურგი შეაქცია და მოუხშირა თუთუნის წევას* _ ე. ნინოშ.);

შე-ცვლის (ერთს მეორეთი, სხვით შეანაცვლებს, _ გამოიცვლის. 2 სხვა სახეს მისცემს, _ გადაასხვაფერებს; გარდაქმნის. *შენიშნეს წეროებმა არწივი და მაშინვე გზა შეცვალეს* _ თ. რაზიკ.)... (სულ 11 ერთ.).

მეთერთმეტე სემანტიკური ველი: “ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები”.

სალექსიკონო მასალის დამუშავებისას გაირკვა, რომ ზმნისწინიან ფორმებში, კერძოდ, **შე-** ზმნისწინით ნაწარმოებ ზმნებში, ხანდახან შეიძლება ერთდროულად იგულისხმებოდეს ორი მოქმედება: პირველი არის მიმართულების გამოხატვა, რომელიც აღინიშნება **შე-** ზმნისწინით, მეორე კი ზმნის ფუძის შინაარსობრივი სემანტიკითაა გადმოცემული. გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

ა) ზოგჯერ **შე-** ზმნისწინის საშუალებით გამოიხატება შიგნით მიმართული მოქმედება, ხოლო ფუძის სემანტიკა არის სხვადასხვა. მაგალითად:

შე-ამწყვდევს (რამეში შესვამს და ჩაკეტავს (ცოცხალ არსებას), – დაამწყვდევს. || გადატ. გასვლის საშუალებას არ მისცემს. *[ბავშვებმა] ბარტყს ფრთები და ბოლო შეაჭრეს... და ჩხირების გალიაში შეამწყვდიეს* – თ. რაზიკ.);

შე-იკეტავს (შევა და მოიკეტავს, – მოიხურავს, ჩაიკეტავს (კარს); ჩაიმწყვდევს (თავს). *ესმა ადგა და თავის ოთახში შეიკეტა კარები* – გ. წერეთ.);

შე-იხურავს (შევა და მიიხურავს კარს. *[ესმა] შევიდა ოთახში და კარები შეიხურა* – გ. წერეთ.)...

დასახელებულ ზმნებში ფუძეთა სემანტიკაა **შესვლა + დამწყვდევა, ბრახუნით კარის მიხურვა, ჩაკეტვა, დახურვა;**

სხვა ზმნებში ფუძე **შესვლა + დადგმა** გამოხატავს **დადება-დაფვლას:**

შე-დგამს (1. შიგ შეიტანს (შეყოფს) და დადგამს. 2. ზედ რამეზე დადგამს. *ფეხს შედგამს – შევა. *[ადამსკიმ] ვაგონში შესვლისთანავე კუპეში შედგა თავისი ჩემოდანი* – ა. ბელ.);

შე-დებს (1. შიგ შეიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს // შეუყრის, შეაცურებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დადებს. *ის წიგნი, სადაც შედეს, დავიხსომე* – თ. რაზიკ.);

შე-ფლავს (შედებს და დაფლავს, – რამეში ჩამარხავს, დამარხავს. *ჩარექამ... კვერცხები ცეცხლში შეფლა* – ზღაპ.);

ბბ) როგორც აღვნიშნეთ, იმ ფორმებში, რომლებშიც დასტურდება ორმაგი მოქმედება, **შე-** ზმნისწინი უმეტესწილად აღნიშნავს შიგნით მიმართულ მოქმედებას, ხოლო ფუძის შინაარსობრივი სემანტიკა გამოიხატება მეორე მოქმედებით, მაგრამ საქმე ყოველთვის ასე არ არის. იშვიათად გვხვდება ისეთი **შე-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებშიც არ დასტურდება არც შიგნით მიმართული მოქმედება, არც ფუძის შესატყვისი სემანტიკა. ასეთია, მაგალითად, **შეიბეზლებს** (დაბეზლებას მოუსმენს და დაუჯერებს. *მეფეო, პატრონსა თუმცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზლოს* – საბა); მართალია, აქ გამოხატულია ორმაგი მოქმედება, მაგრამ არსად არ ჩანს **შე-** ზმნისწინის

ზემოთ ხსენებული ფუნქცია (შიგნით მიმართული მოქმედება). ჩვენი აზრით, შე-ს აქ ნეიტრალური პოზიცია უკავია.

გ) ზოგჯერ დასტურდება ისეთი შე- ზმნისწინიანი ფორმები, რომელთა განმარტებაში საერთოდ არ ჩანს შიგნით მიმართული მოქმედება. მაგალითად:

შე-აცოცდება (ცოცვით აჰყვება და ავა. *რწყილმა გაღმით გაცურა, როცა ჭიანჭველა ბაწარს შეაცოცდა* – შ. მღვიმ.).

შე-ახოხდება (რამეზე შეხოხდება, ხოხვით შეჯდება).

შე- ზმნისწინი ამ ზმნებში ქვევიდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას გამოხატავს. ქვემოდან ზემოთ მიმართული მოქმედება შე- ზმნისწინის დამატებით ფუნქციათა შორის განიხილება (არა მარტო ქვემოდან ზემოთ, არამედ მჭიდროდ. შიგ ვერ შემოვა, რადგანაც შეღწევა შიგნით შეუძლებელია).

დ) ხანდახან ისეთი ფორმებიც შეინიშნება, რომლებიც ქველ-ის ერთი განმარტების მიხედვით ზემოთ მიმართულ მოქმედებას გამოხატავს, მეორეთი კი – შიგნით მიმართულ მოქმედებას. ასეთია:

შე-ჯდება (ავა და დაჯდება (ცხენზე, ხეზე...)). [*ჯანდიერი*] გამოვიდა კარში, შეჯდა ცხენზე, გაუდგა გზას – აკაკი), 2. შევა და შიგ მჭიდროდ მოთავსდება, – ჩაჯდება, გაჯდება. *ქვა თვით შემჯდარა იმ ფესვების კანსა და ხორცში* – ნ. ლომ.);

ორმაგი მოქმედებაა გადმოცემული მზერა-ხედვა, ცქერის გამომხატველ ზმნებშიც:

შე-ს-ცინებს ის მას (შეხედავს და გაიცინებს; გაუცინებს. [*ბავშვებმა*] სიხარულით შესცინეს ერთმანეთს – ნ. ლომ.);

შე-ს-ცინის ის მას (შეჰყურებს და იცინის, – უცინის. *დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და [ლუარსაბს] შესცინოდა* – ილია). აქაც იგივე ნიუანსია. მიმართულება იქითკენაა (სულ 16 ზმნა).

ორმაგი (თანამდევი) მოქმედების გამომხატველ ზმნებთან დაკავშირებით მ. მონასელიძე ვარაუდობს, რომ ერთი და იმავე ზმნური ფორმით გადმოცემის ფაქტში არეკლილი უნდა იყოს ოდინდელი აქტიურობა-ინაქტიურობის კვალი (მონასელიძე

2001: 11). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ზმნებში აქტიურობა დღესაც კარგად არის გამოხატული.

განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ **შე-** ზმნისწინისა და ზმნის ფუძის შინაარსეული საქცევები სხვადასხვა სემანტიკურ ველში სამგვარ ურთიერთმიმართებას წარმოაჩენენ:

1. **შე-**სა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს ემთხვევა:

I სემანტიკური ველი “**პარტიტივი (ოდნაობა)**”:

შე-კრთება (მცირედ შემინდება, – შეთრთოლდება, შეფრთხება. *იმანაც მე თვალი მომკრა: შეკრთა, როგორც შველი მონადირისაგან – ილია*);

შე-მწარდება (ცოტათი გამწარდება, – სიმწარე შეეპარება);

შე-რბილდება (ოდნავ დარბილდება, სირბილე შეემატება);

VI სემანტიკური ველი: “**საურთიერთო (რესიპროკი)**”:

შე-ატაკებს (1. დააჯახებს, დაატაკებს, შეახლის, 2. გადატ. შეაბრძოლებს ერთმანეთს, წააჩხუბებს, წაჰკიდებს. *თქვენ სულ იმას ცდილობთ, რომ ჯარი და ხალხი ერთმანეთს შეატაკოთ და ხელმეორედ კისერზე დაგვასხათ – ი. მაჭავ. თარგმ.*);

შე-აუღლებს (შერთავს ერთმანეთს, – დააქორწინებს. *ურიგო არ იქნება, ეგ გოგო-ბიჭი შევაუღლოთ – ეკ. გაბ.*)...

VII სემანტიკური ველი: “**შემჭიდროება, გამთლიანება**”:

შე-აკავშირებს (კავშირს, ახლო ურთიერთობას დაამყარებს, – შეამჭიდროებს, დააკავშირებს. *ანიკეტმა შეაკავშირა... ძველ კოლხეთში მცხოვრები ტომები – საქ. ისტ.*);

VIII სემანტიკური ველი: “**რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა**”:

შე-ანგრევს (ნგრევით (გარედან) გახსნის, გაარღვევს (ნაგებს ან რაიმე მყარს), შეარღვევს, შეამტვრევს; გამოანგრევს. || გადატ. გაარღვევს, დაძლევს. *[შეომრები] ქვისსატეხებისაკენ გაეშურნენ. კედლები შეანგრიეს. შევიდნენ შიგ – ე. ზედგ.*);

შე-აცოცებს (ცოცვით შეიტანს, შეიყვანს, ააცოცებს, შეაპარებს. *წუხელის ხომ ჭკუით გიწინამძღვრეთ, შეგაცოცეთ იქ, ზევით, და თათრებს უცებ ისრები დავუშინეთ* – პ. კაკაბ.);

შე-კოტრიალდება (კოტრიალ-კოტრიალით შევა; შეგორდება);

შე-ხვრეპს (ხვრეპით დალევს (წვნიანს, თხიერს...), – შეხვრეტს);

აღტაცებაში, მხიარულებაში, გაკვირვებაში... შედის (წიგნ. უაღრესი აღტაცების, მხიარულების, გაკვირვების... გრძნობით ივსება. *ფიქრობს ამას ფშატაძე და თან-თან აღტაცებაში შედის – ვაჟა; ზალიკას სტუმრები თანდათან მხიარულობაში შედიოდნენ* – ე. ნინოშ.; *ქალები გაკვირვებაში შედიოდნენ კვირიკეს... მჭევრმეტყველებით* – ე. ეკალ.);

2. შე-სა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ კარგად ეხამება, რის შედეგადაც სინთეზირებული ზმნის ფორმა სამ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანს მიიღებს: ორი ზმნისწინისაა, ერთი კი – საქცევისა. ამგვარი არის:

II სემანტიკური ველი: **“სიმძლავრე-სიძლიერის გამოხატვა”:**

შე-აშინებს (შიშს მოჰგვრის, შიშს განაცდევინებს, – ძლიერ შეაკრთობს, დააფრთხობს. || გადატ. მოდრეკს, გატეხს, დაიმორჩილებს);

შე-ალამაზებს (სილამაზეს, შნოს შემატებს, მისცემს, – გააკობტავებს. || უფრო უკეთესად, ლამაზად მოაჩვენებს, წარმოადგენს);

III სემანტიკური ველი: **“საზედაო”:**

შე-აყუდებს (ზედ მიაყუდებს, შეაბჯენს. *კიბე შეაყუდა*);

შე-უშვერს (ქვემოდან მიუშვერს, გაუწვდის, მიუწვდის, – მიუქცევს. *ქვა ააგდო (შეაგდო) და თავი შეუშვირა, თავისი გადაწყვეტილება, ნათქვამი არ დათმო, აღარ გადათქვა, დაიჟინა, გაკერპდა, გაჯიუტდა. *წამოვვარდი ზეზე. შევუშვირე თავი ღარს და წვიმის წყლით დავიბანე თავი-პირი* – აკაკი);

IV სემანტიკური ველი: **“შემთხვევითობა და მოულოდნელობა”:**

შე-ამთხვევს (რასმე (უსიამოვნოს) დამართებს, გადაჰკიდებს, შეჰყრის. *მოშორდი, ნუ შემამთხვევ ცოდვას* – ილია);

V სემანტიკური ველი: “**დაწყებითობა (ინხოატივი)**”:

შე-კანკალდება (კანკალი აუტყდება, კანკალს დაიწყებს, – ათრთოლდება, შეცახცახდება, შემაგმაგდება);

XI სემანტიკური ველი: “**ორმაგი (თანამდევნი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები**”:

შე-აღებს (გარედან შიგნით გააღებს; ოდნავ გააღებს. *შევაღე კარები და შევედი იმის პატარა ოთახში – ილია*);

IX სემანტიკური ველი: “**სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა**”:

შე-ს-თხოვს (თხოვნით მიმართავს, – გამოსთხოვს, შეევედრება, შეეხვეწება, შეემუდარება. *ჩემო დედა, მითხარით, რად მიმაღავ? – შესთხოვა... შალვამ – ვაჟა*);

შე-ს-ჩივლებს (ეტყვის, გაუზიარებს, გაანდობს (დარდს, მწუხარებას...)). *ანუკამ მწუხარებით შესჩივლა ეს ამბავი ერთადერთს თავის იმედს დარეჯანს – ვაჟა*...

3. ზმნისწინისა და საქცევების მახასიათებლები ერთმანეთს არ ეხამება, რის შედეგადაც მიიღება სინთეზური ზოგადი მნიშვნელობა: შეცვლა.

X სემანტიკური ველი: “**გარდაქცევითობა**”:

შე-ატრიალებს (შეაბრუნებს, შეაქცევს; მიატრიალებს; დაატრიალებს. *მთრთოლვარე ხელში რამდენჯერმე შეატრიალა [ოქროპირმა] და ახლა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ჩაიკითხა – რ. გვეტ.*)...

აქაც სამი დიფერენციალური ნიშანია: ორი ზმნისწინისა და ერთი რომელიმე ზმნის ფუძისა.

1.2. შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები

საინტერესოა შე- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნებიც. ირკვევა, რომ უმეტესი მათგანის განსხვავებული მნიშვნელობები შედის სხვადასხვა სემანტიკურ ველში. მაგალითად:

1) ორმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

შე-აწყობს: ა) რაიმეში აწყობს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *[არჩილმა და ნიკამ] წიგნები... თაროებზე შეაწყვეს* – ს. კლდ.), ბ) ელემენტების გაერთიანება: შეაწყობს ბანს, გულს (ველი “საურთიერთო”). *სესია... ხომ უქმური ადამიანი იყო, ეჭვიანი, მიუკარებელი, მაგრამ ბაქარ-ბეგს კი გული შეაწყო* – ვ. ბარნ.);

შე-ახანხლავს: ა) ნაჩქარევად, უხეიროდ შეწვავს (ველი “პარტიტივი”) *ფიცხელა... ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენ ტყუილს შეხანხლავდა!* – ვაჟა), ბ) შეჭამს (შესანხლავს ტიპისა) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”);

შე-აბრძანებს ა) პატივისც. შეიყვანს. ||უპატივც. შეათრევს, შეაგდებს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ორივე შევაბრძანეთ ბნელ ბედელში* – ნ. ლომ.), ბ) პატივისც. შესვამს (ცხენზე...) (ველი “საზედაო”) *უფროსი [ძმა] ცხენზე შეაბრძანეს დიდის პატივით, შუათანა ქვეითად წაიყვანეს* – აკაკი);

შე-ჟღარუნდება (ჟღარუნს დაიწყებს, ჟღარუნით ახმაურდება. ||ჟღარუნით შევა);

შე-ფრთქილდება (იგივეა, რაც შეფრთხილდება. ფრთხილს დაიწყებს, ფრთხილით შეფრინდება, – აფრთხილდება);

შე-ფრიალდება (ფრიალს დაიწყებს, ფრიალით შეირხევა, აფრიალდება. || რისამე ფრიალით შევა)...

2) სამმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

შე-არღვევს ა) ოდნავ, ნაწილობრივ გაარღვევს (ნაკერს...) (ველი “პარტიტივი”), ბ) შეანგრევს, შეამტვრევს, გაარღვევს, შეამსხვრევს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ფიგურ. კარგმა თაობამ შეარღვია ზღუდე*

უმცერებისა – ილია), გ) გადატ. რამეში (ჰაერში, წყალში, ხალხში...) შეიჭრება, (ჰაერს, წყალს, ხალხს...) გააპობს, გაარღვევს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). მგელივით შევარღვიე იმოდენა ხალხი – ი. მაჭავ. თარგმ.);

შე-აწყდება: ა) მიკერებული ასძვრება (ველი “საზედაო”). თუ ძმა გავწირო ღალატით, ხმალი შემაწყდეს წელზედა – შ. მღვიმ.). ბ) შეაკვდება ბევრი ბრძოლაში (ველი “საურთიერთო”). ლაშქრის დიდი ნაწილი მტერს შეაწყდა – საქ. ისტ.). გ) ფიცხლად, ჩქარა იმუშავებს, თავდაუზოგავად იშრომებს (ველი “ძალიან, ძლიერ, მძლავრად, მაგრად, სწრაფად”);

შე-თქვირდება: ა) სისხლ-ხორციტ შეივსება, ასაკში შევა (ქალი) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”), ბ) სიმწიფეში შევა, შეთვალდება (ხილი) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”), გ) კუთხ. (ფშ., კახ.) გასუქებას დაიწყებს საქონელი (ველი “ინხოატივი”);

შე-კმაზავს (იხ. **შეკაზმავს**) ა) ცხენსა და მისთ. სამგზავროდ მოამზადებს (უნაგირს დაადგამს, აღვირს გაუკეთებს) (ველი “საზედაო”). [ციცინო] გამოიყვანდა დიმიტრის ულავს, შეკაზმავდა და დააქროლებდა მინდვრებზე – ს. კლდ.), ბ) მოხდენილი ლამაზი ტანსაცმლით მორთავს (ველი “საზედაო”), გ) საჭმელს შეანელებს საკმაზით // შეაზავებს (ველი “შემჭიდროება, გამთლიანება”). სამი კვირის მანძილზე ამზადებდნენ წამლებს ფარსმან სპარსი და მისი შეგირდები, ბოლოს ჯადოსნური რამ სითხე შეკაზმეს, მამასახლისებს დაურიგეს – კ. გამს.);

შე-ჭედავს ა) ჭედვით შეასობს, შეარჭობს, – შეტენის (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”), სოლი შეჭედა, ბ) ჭედვით შეკრავს (ველი “შემჭიდროება, გამთლიანება”). [ამირანმა] უნდა გაჟლიტოს ცრუი მჭედლები, რომელთაც იგი მაგრა შეჭედეს – ვაჟა, გ) იგივეა, რაც მოჭედავს (ველი “საზედაო”). შეჭედა... სვეტიცხოველი, კანკელნი და კარნი საკურთხევლისანი – კ. გამს.)...

3) ოთხმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

შე-აყენებს ა) სვლას, სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს, – გააჩერებს, დააყენებს. // შეაჩერებს, შეწყვეტს (დენას...) (ველი “პარტიტივი”). *მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდა, ყველანი შეგვაყენეს – ილია*), ბ) დააყენებს რაიმეზე (ველი “საზედაო”). *იქვე მომკალით, ოღონდ მაგ ხიდზე კი ნუ შემაყენებთო – ეხვეწებოდა ბოროტ სულებს მუცელა – ვაჟა*), გ) ააშვერს, ააბზეკს (ველი “საზედაო”). *[ძალღმა] ტანზედ ბალანი აუშვა, კუდი მაღლა შეაყენაო – ბაჩ.*), დ) შეაგროვებს, შეაჯამებს, შეადგენს (ველი “შემჭიდროება, გამთლიანება”). *ერთი-ორობით შევაყენე რვა – ვაჟა*)...

ქართულში არის მსგავსი სემანტიკურ ველთა მომცველი ზმნები. ასეთია:

შე-ევაჭრება ა) ვაჭრობას დაუწყებს (ველი “ინხოატივი”). *ქალმა უთხრა ბერიკაცს: “წაიღე ეს ია-ვარდი... თუ ვინმე შეგევაჭროს, ნუ მიჰყიდი” – ზღაპ.*), ბ) გარკვეულ თანხას, სასყიდელს შეაძლევს (ველი “პარტიტივი”). *ჟოგო მიბრუნდა, გვირგვინი შეათვალიერა და ისევ შეევაჭრა: “ორი და ორი შაური” – ა. ბელ.*);

შე-ობდება ა) დაობებას დაიწყებს (ველი “ინხოატივი”), ბ) ოდნავ მოეკიდება, – ცოტათი დაობდება (ველი “პარტიტივი”);

შე-აცივებს 1. ოდნავ გააცივებს, – შეანელებს (ცხელს) (ველი “პარტიტივი”). 2. იგივეა, რაც შეაცივებს. (1. სიცივით შეაწუხებს, სიცივეს აგრძნობინებს, 2. ციებ-ცხელება დაეწყება, ცოტა გააცივებს (ველი “ინხოატივი”))....

მიგვაჩნია, რომ პოლისემიასთან გვაქვს საქმე, თუ სხვადასხვა მნიშვნელობები სხვადასხვა ველის კუთვნილებაა, საპირისპირო შემთხვევაში კი პოლისემია არ დასტურდება, ზმნა ამჟღავნებს მხოლოდ კონტექსტუალურ კონოტაციებს. მაგალითად:

შე-აწევს: ა) დახმარებას გაუწევს (ველი “სხვის მიმართ მოქმედება/პარტიტივი”). *მეც ისევ როგორ შევრცხვები... რომ ერთი უღელი ხარი მაინც არ შევაწიო მაქარას – ეკ. გაბ.*), ბ) ნათხოვარს აღარ გამოართმევს (ველი “სხვის მიმართ მოქმედება/პარტიტივი”);

შე-აწყვილებს: ა) წყვილად აქცევს, წყვილს გახდის (ველი “საურთიერთო”), ბ) დედალ-მამალს შეაუღლებს (ველი “საურთიერთო”);

შე-შლის ა) შეცვლის, დაარღვევს, არ შეასრულებს (პირობას, გადაწყვეტილებას...), *გზას შეშლის – გზიდან გადაუხვევს, გზას გაიმრუდებს (ველი “გარდაქცევითობა”).

ფულის მოვლენამ შეშალა ღირებულება საქონელთა შორის – ილია), ბ) ჭკუაზე შეაცდენს, გააგიჟებს, გაასულელებს, გადარევს (ველი “გარდაქცევითობა”). “[ქაჯნი] ზოგს ლოდს ესროდნენ, ზოგს ეფეთებოდნენ და შემლიდნენ – საბა);

შე-ჭრიალდება ა) ჭრიალით შეილება (კარი) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”), ბ) ჭრიალით შევა (ურემი...) (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *შემით დატვირთული ურმები მძიმედ შეჭრიალდნენ სკოლის ეზოში – «სახალხო განათ.»).*

ამგვარი მიდგომა მეტ სიზუსტეს შეიტანს სიტყვის შინაარსის ანალიზში.

1.3. შე- ზმნისწინიანი ომონიმური ზმნები

საინტერესოა აგრეთვე შე- ზმნისწინიანი ომონიმური ზმნები. როგორც ცნობილია, “ორ ან მეტ ერთი და იმავე ბგერითი კომპლექსით გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობისა და წარმომავლობის სიტყვას ომონიმები ჰქვია” (ლლონტი 1988: 59). ომონიმური ფორმები სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, მათი ბგერობრივი მოდელით დამთხვევა მიჩნეულია არა კანონონომიერ, არამედ უფრო შემთხვევით მოვლენად. თუ პოლისემანტიკურ ზმნებში ერთი ფორმის ფარგლებში აქვს ადგილი სემანტიკურ სხვაობას, ომონიმურ ზმნებში ასე არ არის: ყველა ფორმას თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს ანუ თავსდება სხვადასხვა სემანტიკურ ველში. მაგალითად:

ზოგიერთი ომონიმის განსხვავებული სემანტიკა მასდარულ ფორმაშიც ჩანს. ამიტომ ომონიმური ფორმები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ომონიმები, რომელთაც ერთნაირი აქვთ მასდარული ფორმები და ქცევის ნიშნები. მათი განსხვავებული სემანტიკა ზმნური ფორმების განმარტებებშია მოცემული. ასეთია:

შ ე ბ ნ ე ვ ა :

შე-აზნევს¹ (შეაყრის, შეაფრქვევს (ველი “საზედაო”). *მდულარე ცრემლი ეყარა საწყალსა გრძელ წამწამებზე და ლოყებზე, თითქოს ბრილიანტი შეუზნევიათ – ლ. არდაზ).*

*შე-აბნევს*² (შეკრავს (ტანსაცმელს ღილებით... ფეხსაცმელს...) (ველი “შემჭიდროება-გამთლიანება”);

შ ე ლ ე ვ ა :

*შე-ელევა*¹ (რასმე მისცემს, _ გაიმეტებს, დათმობს (“ნეიტრალური ფუნქცია”). “ერთი შვილი, თუ გინდა მომკვდომოდეს, რავა ვერ შეველევი?” _ აკაკი).

*შე-ელევა*² (*ზედ შეელევა _ თან გადაჰყვება, ზედ შეაკვდება _ ემსხვერპლება, შეეწირება (ველი “საზედაო”). [გიორგი] რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა _ ილია);

შ ე ნ ე ლ ე ბ ა :

*შე-ანელეებს*¹ (1. სიჩქარეს, სისწრაფეს მოუკლებს. || შეამცირებს, შეასუსტებს, გაანელებს. 2. სითბოს მოუკლებს, _ გაანელებს (ველი “პარტიტივი”). ავტომ წინსვლა შეანელა _ შ. მღვიმ.).

*შე-ანელეებს*² საჭამადს სანელელებლით შეაზავებს, _ შეკაზმავს (ველი “შემჭიდროება-გამთლიანება”). ახალი ლობიო მოხარშეთ ისე, როგორც სახსნილი, ოღონდ შეანელეთ ნიგეზით ან ზეთით _ ბ. ჯორჯ.);

შ ე ს მ ა :

*შე-სვამს*¹ (სითხეს გადაყლაპავს, _ დალევს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *მხოლოდ ერთი აზრი აწუხებს დათვსა _ რა შესვას, რა შეჭამოს* _ ილია).

*შე-სვამს*² (1. აიყვანს და დასვამს. 2. იგივეა, რაც შეიყვანს (ველი “ორმაგი (თანამდევნი) მოქმედება”). *როცა დაბინდდა, პეპია შევსვი ცხენზედ* _ ილია);

შ ე ქ ც ე ვ ა :

*შე-აქცევს*¹ (1. მიაბრუნებს მისკენ, _ მიაქცევს, მიაპყრობს. 2. შეაბრუნებს, დააბრუნებს (ველი “გარდაქცევითობა”). *გელამ.....თვალები ხვეწნა-მუდარით შეაქცია უფროსს* _ ა. ყაზბ.).

*შე-აქცევს*² (დროს გაატარებინებს, _ გაართობს, მოაღხენს, აქეიფებს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *თვალმა უთხრა*

სანთელს: – “ფისასო, ხომ ხედავ, ჩვენი ბატონები შეწუხებულები არიან, მოდი ზღაპარი ვთქვათ, შევაქციოთო” – ზღაპ.;

შესხმა:

შე-ასხამს¹ (1. ზედ მიაღვრის, – შეაქცევს, მიასხამს (სითხეს). || იგივეა, რაც აასხამს. 2. წიგნ. იგივეა, რაც გამოასხამს (ველი “საზედაო”). ქალი შეკრთა, გაფითრდა და ერთბაშად გაჩუმდა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო – ა. ყაზბ.).

შე-ასხამს² (შერეკავს, შელალავს (ბევრს), – შეყრის (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). ელამ [ფრინველები] სოროში შეასხა – საბა).

შე-ასხამს³ (წიგნ. იხმარება გამოთქმაში: ქებას, ხოტბას შეასხამს – შეაქებს, შეამკობს, განადიდებს (“ნეიტრალური ფუნქცია”). ქება და დიდება შეასხეს პოეტს – ილია).

შ ე კ ე თ ე ბ ა :

შე-უკეთებს¹ (შეაკეთებს მისას ან მისთვის, – გაუმართავს, გაუსწორებს, (დაზიანებულს, გაფუჭებულს...), გაურემონტებს (ველი “პარტიტივი”). გზები შეგვიკეთეს, – სახლი შეუკეთეს).

შე-უკეთებს² (საწვავს (შეშას, ნახშირს...) შეუმატებს ცეცხლის გასადლიერებლად, – შეუმატებს. || ქვემოდან შეუწთებს (ცეცხლს) (ველი “საზედაო”). ნენე ჩაჯდა ღუმელთან, შეუკეთა ბურბუშელა – ს. მგალობ.).

2. ომონიმები, რომელთაც არ გააჩნიათ ერთნაირი მასდარული ფორმები. მათი განსხვავებული სემანტიკა ზმნურ ფორმაშიც ჩანს. ასეთია:

შ ე წ ე ვ ა :

შე-აწევს¹ (იგივეა, რაც შეაღწევს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). მზის სხივებივით მოეფინა ეს ქადაკება ყველა ხალხებს, თვით რუსეთში კი შეაწია და აათრთოლა მტარვალები – ი. მაჭავ. თარგმ.).

შ ე წ ე ვ ნ ა :

შე-აწევს¹ (1. დახმარებას გაუწევს, – მიაშველებს, მიახმარებს; უწყალობებს, აჩუქებს. 2. ნათხოვარს აღარ გამოართმევს, დაუტოვებს, დაუთმობს, შეარჩენს; აპატიებს (ველი “საურთიერთო”). *არავინ დაიშურებს... [გაჭირვებულთ] რაიმე შეაწიოს – ილია*);

შ ე დ გ ე ნ ა :

შე-დგება¹ (1. ნაწილების ან ცალკეული ერთეულების შეერთებით შეიქმნება; შეადგენენ. 2. ჩამოყალიბდება, მოეწყობა (ჯგუფი, ორგანიზაცია). || მოეწყობა, ჩატარდება, გაიმართება. 3. შეადგენენ, დაწერენ; შეითხზება (ოქმი, საქმე...) (ველი “შემჭიდროება-გამთლიანება”). *თვითეულმა რომ ცოტ-ცოტა გამოვიღოთ, საკმარისი ფული შედგება – ილია*).

შ ე დ გ ო მ ა :

შე-დგება² (1. რამეზე დადგება, ზედ ავა და დადგება. || აიმართება, დადგება. 2. მოძრაობას შეწყვეტს, – გაჩერდება, შეჩერდება. || გადატ. შეწყდება. || გადატ. შეეყოყმანდება (ველი “საზედაო”). [დათვი] უკანა ფეხებზე შედგა, იოთამის მოსაგერიებლად ემზადებოდა – ვაჟა);

შ ე ხ ვ ე წ ნ ა :

შე-ეხვეწება¹ (ძალიან სთხოვს, – შეემუდარება, შეევედრება (ველი “საურთიერთო”). *გამოდო – შეეხვეწა ცეროდენას მგელი – ზღაპ.*).

შ ე ხ ვ ე წ ე ბ ა :

შე-ეხვეწება² (გადახვეწილი მივა და თავს შეაფარებს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ბატონი გადაგიდგეს – სოფელს შეეხვეწო, სოფელი გადაგიდგეს – მთას გარდიხვეწო – ანდაზა*)...

ქართულში დასტურდება ისეთი ომონიმური მასდარები, რომელთაც შეესაბამება სხვადასხვა საქცევისა და პირის ნიშნების მქონე ზმნური ფორმები:

შ ე ტ ე ვ ა :

შე-ატევეს (ძლივ-ძლივობით შედეხს, შეიტანს, მოათავსებს რამეში, დატევეს (ველი “პარტიტივი”).

შე-უტევს (1. სამხ. ბრძოლით წინ წაიწევს, მიუახლოვდება მტერს იერიშზე გადასასვლელად. || საერთოდ ბრძოლას გაუმართავს, _ ეკვეთება, მიეჭრება, შეეჯახება, შეებრძოლება (ველი “საურთიერთო”). 2. გადატ. წყრომით მიმართავს, _ დაუტატანებს, დაუცაცხანებს, გაუწყრება (ველი “საურთიერთო”). || შესძახებს. 3. გადატ. გაუმწვავდება, გაუმნელდება (ავადმყოფობა, სენი). *ჩვენ შეგვიძლია შევუტეოთ და დავამარცხოთ მოწინააღმდეგე* _ ი. აგლ. თარგმ.);

შ ე კ ი დ ე ბ ა :

შე-ჰკიდებს (იგივეა, რაც დაჰკიდებს, ჩამოჰკიდებს (ველი “საზედაო”). *ძეხვები... იმისთანა სახლში შეჰკიდეთ, რომ ცეცხლი ენთოს* _ ბ. ჯორჯ.);

შე-უკიდებს (შეუნთებს, შეუკეთებს (ცეცხლს), _ მოუკიდებს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *შეუკიდებს ცეცხლს* _ აკაკი);

შ ე ც ი ლ ე ბ ა :

შე-აცილებს (შიგნით მიაცილებს, თან შეჰყვება, მიჰყვება (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *ეზოში შეაცილა*).

შე-ეცილება (ეცდება წაართვას რამე, ცილობას დაუწყებს, მეტოქეობას გაუწევს, _ შეედავება (ველი “საურთიერთო”). *სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება* _ ვაჟა);

შ ე ყ რ ა :

შე-ყრის¹ (გარედან შიგნით შეისვრის, შეაგდებს (ბევრს), _ შეფანტავს, შეაბნევს. || იძულებით შეიყვანს, შეაგდებს (ბევრს), _ შერეკავს (ველი “რამეში შეღწევა და არა მხოლოდ მიჯრა ან მიჯნასთან ახლომყოფობა”). *სულიკომ ნამცეც-ნამცეცად აქცია წერილი, შეყარა ბუხარში* _ ნ. ლომ.).

შე-ყრის² (თავს მოუყრის, _ შეაგროვებს, შეკრებს (ველი “შემჭიდროება-გამთლიანება”). *გლეხი ყანის მომკას მარტო არ შეუდგება, მუშას შეყრის ხოლმე* _ ი. გოგებ.).

შე-ჰ-ყრის³ (1. ერთმანეთს შეახვედრებს. 2. რაიმე სენით დააავადებს, _ დამართებს, გადასდებს (სენს...) (ველი “საურთიერთო”). *ამდენი ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა _ ილია).*

შე-ყრის⁴ (*ტანს შეყრის _ იგივეა, რაც ტანს აიყრის (ველი “საზუდაო”). *მცენარე ჯერ პატარაა, მერე ტანს შეყრის ხოლმე _ ი. გოგებ.).*

ცნობილია, რომ ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში მრავლად გამოიყოფა შედარებით ანალიტიკური ხასიათის ერთეულები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიკაციის პროცესში. მართალია, მათ არ ახასიათებს იდიომისებური მტკიცე სემანტიკა, მაგრამ ერთ მთლიან გაგებას მაინც იძლევიან. ესაა ე.წ. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.

ზემოთ დასახელებულ შე- ზმნისწინიან ფორმებშიც გამოიყოფა ისეთი ზმნები, რომლებიც შედიან ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში. ასეთია: **ტანს შე-ყრის; ქებას, ხოტბას შე-ასხამს; ცეცხლს შე-უკეთებს; ცეცხლი შე-უნთო...**

როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობა სემანტიკური ცვლილების სხვადასხვა ხარისხს გვიჩვენებს. ერთი მხრივ, გვაქვს სიტყვა გარკვეულ კონტექსტში შეძენილი გადატანითი მნიშვნელობით: **შიში ჭამა, სიტყვა შეუბრუნა...** აქ მეორე კომპონენტია გადატანითად გამოყენებული (თაყაიშვილი 1961: 62). მაგალითად: ***ცეცხლს შეუკეთებს** გადატ. არ მოასვენებს, მოსვენებას არ მისცემს, _ ჩააცივდება, შეაწუხებს; გააღიზიანებს, გაახელებს. *ცოლმა ცეცხლი შეუკეთა პავლიას: “კაცო, ადე, ჩადი ქალაქში, ბავშვის ანბავი მოიტანეთო” _ ბ. ჩხ.).* ამ გამოთქმის განმარტება თითქოს შორდება **შეუკეთებს** ზმნის პირდაპირ გაგებას, მაგრამ საქმე ასე არ არის. მაინც ამოსავალი მნიშვნელობაა ჩადებული. ოღონდ ეს გადატანითი გაგებითაა გამოხატული. აღნიშნული ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა გულისხმობს იმას, რომ შეკეთების, შენთების შედეგად არსებული ცეცხლი უფრო ძლიერდება, ხოლო გადატანით გაგებაში კი ივარაუდება, რომ ის პიროვნება, რომელმაც საქმე უნდა გააკეთოს, ამ გამოთქმის შინაარსით უფრო აჩქარებულად მოეკიდება საქმეს.

გამოდის, რომ საქმის გაკეთების პროცესი უფრო გაძლიერებული, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

ასეთივეა ზმნა **შეუნთო** გამოთქმაში: **ცეცხლი შეუნთო**. აქ შე- გამოხატავს ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას, მაგრამ ფრაზის **ცეცხლი შეუნთო** გადატანითი მნიშვნელობაა დაჩქარება. აქ შე- ზმნისწინიან ფორმას სულ სხვა სემანტიკა ენიჭება. იგი კარგავს დამოუკიდებლობას და ფრაზაში იძენს ახალ მნიშვნელობას. ეს ასე არის გამოთქმაშიც **ხოტბა შეასხა. ხოტბას შეასხამს** – შეაქებს, შეამკობს, განადიდებს. *ქება და დიდება შეასხეს პოეტს* – ილია). აქაც მეორე კომპონენტი გადატანითად გამოყენებული.

ასეთ შემთხვევებში, ა. თაყაიშვილის აზრით, სახელადი კომპონენტი ქმნის გამოთქმის სემანტიკურ ცენტრს. ზმნა მხოლოდ მოქმედებისთვის კონკრეტული სახის მიმცემია: **ძილი ერევა** – ძალიან ეძინება. მეორე მხრივ, შეიმჩნევა საპირისპირო პროცესიც – საგნობრივ მნიშვნელობათა დაკარგვა. ეს ძირითადად მოსდის “ფართო სემანტიკის” ზმნებს, რომლებიც სიტყვაკავშირებში მოქცევისას იცლებიან რეალურ-საგნობრივი შინაარსისაგან და რჩებათ დამხმარე ზმნის ფუნქცია: *განკარგულება გასცა, წინადადება მისცა, გამოცდები დაიჭირა...* (თაყაიშვილი 1961: 62).⁴

ა. თაყაიშვილი არ იზიარებს ზოგიერთი ავტორის შეხედულებას გადატანითი მნიშვნელობისა და “ფართო სემანტიკის” მქონე ზმნებს შორის მკვეთრი საზღვრის გავლების შესახებ და აღნიშნავს, რომ “ფართო სემანტიკის” ზმნებს სახელებთან დაკავშირების მეტი დიაპაზონი აქვს, ვიდრე გადატანით მნიშვნელობიანებს. “ფართო სემანტიკის” ზმნები (ქონა, მიცემა, დადება) იმდენად მნიშვნელობას არ კარგავენ, რამდენადაც მათ მყარი სემანტიკური ბირთვი არ გააჩნიათ და ამიტომ შედარებით თავისუფლად უკავშირდებიან არსებით სახელთა ფართო წრეს (იქვე, 63).

1.4. შე- ზმნისწინიანი სინონიმები

საინტერესო ფაქტია, რომ შე- ზმნისწინიან ზმნათა იმავე ყალიბით ნაწარმოები სინონიმები ყოველთვის ერთი ველის ფარგლებში თავსდება. ვფიქრობთ, ამაში ჩანს ენის

მიდრეკილება იმისკენ, რომ სინონიმი იმავე ზმნისწინით გამოიხატოს. მაგალითად: *შებრალება – შეცოდება, შეწყალება; შეგდება – შესროლა – შეგორება; შედავება – შეპასუხება; შეგუება – შეფერება, შეწყობა, შეხმატკბილება, შეთანხმება, შეხამება, შეფარდება, შეთვისება; შედრეკა – შეზნექა; შეყვირება – შეკვივლება; შეკრება – შეგროვება, შეჯგუფება, შეყრა; შემაგრება – შეკავება; შენელება – შეკაზმვა, შეზავება, შემზადება; შენიშვნა – შემჩნევა; შესვლა – შეძრომა, შეპარვა, შეძუნძულება, შეჭრა; შესუსტება – შენელება; შეჯახება – შეტაკება...* (ნეიმანი 1978: 456-475).

ამგვარი ვითარებაა ზოგჯერ სხვადასხვა ზმნისწინისა და ფუძის მქონე სინონიმებთანაც: *შეგულიანება – წაქეზება, შემატება – გადიდება, შემონახვა – დაზოგვა, შეთხელება – გამეჩხერება, შერისხვა – დატუქსვა, შერცხვენა – დარცხვენა, შესმა – დალევა, შესევა – მივარდნა, შებეღვა – გაბეღვა, შედგომა – გაჩერება, შებურვა – დახურვა, შეკეთება – მოკიდება...* (იქვე).

როგორც ცნობილია, სინონიმიკა ენის ლექსიკის სიმდიდრისა და მოქნილობის გამოვლინებაა. იგი საშუალებას გვაძლევს, უფრო ზუსტად და მართებულად გადმოვცეთ აზრი, საგანი და მოვლენა დავახასიათოთ მათი ყოველგვარი, გარეგანი და შინაგანი, ნიშან-თვისებების ჩვენებით (ლლონტი 1988: 56).

ჩვენ მიერ განხილული საანალიზო მასალა ცხადყოფს, რომ **შე-** ზმნისწინი სემანტიკურად საკმაოდ მდიდარია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ამრიგად, ზმნური ფუძეების საკმაოდ ჭრელი სიმრავლის თერთმეტ სემანტიკურად განსაზღვრულ ველში მოთავსების შედეგად მიღებულ იქნა საძიებელი შინაარსობრივი მიმართებების მარტივი პროპორცია: 2 (1) : 11-ზე, თითოეული ზმნისთვის სამი დიფერენციალური ნიშნით: 2 (ზნისწინისა) + 1 (საქცევისა). სურათი გამჭვირვალე და ნათელი გახდა, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სალექსიკონო ერთეულების განმარტებების ბაზაზე ლექსიკური საქცევების გამოყოფამ სანდო გახდა სემანტიკური ინტერპრეტაციები.

II თავი. წა- ზმნისწინის ფუნქცია და განაწილება ახალ
სალიტერატურო ქართულში

სამეცნიერო ლიტერატურაში წა- ზმნისწინის ფუნქციების შესახებ არსებობს როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული მოსაზრებებიც. სხვა ზმნისწინთა მსგავსად წა- გამოირჩევა პოლიფუნქციურობით:

1. ა) აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით მიწევნილობის გარეშე: წა-ვიდა, წა-იყვანა, წა-იღო, წა-ჰყვა...

ბ) უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად: წა-უსვა...

გ) აწმყოს ფორმაზე დართვისას აწარმოებს მყოფადს: წა-უსვამს...

2. ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას: წა-იღებს (შდრ. გა-იღებს)...

3. აღნიშნავს მოქმედების (ნიშან-თვისებას) ზერელობას, ოდნაობას: წა-ისაუზმებს, წა-იტირებს, წა-ივარჯიშებს, წა-იმუშავეს, წა-ითამაშებს, წა-იჩურჩულებს, წა-ისულელებს... (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ი. ვეშაპიძე, ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, დ. მელიქიშვილი...);

4. გამოხატავს სხვა ნიუანსებსაც, კერძოდ, რა ვითარებაში ხდება მოქმედება:

ა) მოქმედება ხდება რისამე სიბრტყეზე, ზედაპირზე; წა-აყრის, წა-ისილება, წა-აკლავს (= ზედ დააკლავს), წა-აჰყლეთს (= ზედ დააჰყლეთს)...

ბ) მოქმედება ხდება რისამე განაპირა ნაწილზე, მონაკვეთზე: წა-იწვება (= განაპირა ნაწილი მოიწვება), წა-წვრილდება (= ბოლოში გაწვრილდება), წა-აჰრის (= მცირე მონაკვეთს, კიდურს მოსჰრის)...

5. აჩვენებს რამეზე წამატებას, რისამე გაგრძელებას: წა-აკერებს, წა-აწებებს, წა-აბამს (შდრ. მიაკერებს, მიაწებებს, მიაბამს)... (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 459).

როგორც ცნობილია, ასპექტური მოქმედების დაზუსტების შედეგად ზმნისწინმა მიიღო ახალი ფუნქცია და ამის შედეგად ზოგადად ზმნამ შეიძინა ახალი გრამატიკული კატეგორია: აწარმოოს არა მარტო სრული ასპექტი ზმნისა, არამედ გამოხატოს დროც. მაგალითად: წა-კინკლავდება გამოხატავს არა აწმყოს, არამედ სრულ მყოფადს. ასეთი ზმნებია, აგრეთვე: წა-კნასავს _ ნიშნავს კბილს გაჰკრავს მომავალში და არა აწმყოში; წა-იმასხარავებს _ ნიშნავს მასხრობით იტყვის რასმე მომავალში და ა.შ. წა- ზმნისწინი შეიძლება დაემატოს ზმნის ბევრ სხვადასხვა ფორმას, კერძოდ, წმინდა ფუძეს.

მაგალითად: წა-რღვნის, წა-ლეკავს... მეორე მხრივ, ქცევის ნიშნის მქონე ზმნას: წა-ი-ღებს... წა- შეიძლება დაერთოს გვარის გამომხატველ ზმნებს (პასივ-აქტივის კატეგორიის ზმნას), მაგალითად, პასიურს: წა-ე-კინწლავება (ენიანი ვნებითი), წა-თამამდება (დონიანი ვნებითი), აგრეთვე, კაუზატივის კატეგორიის ზმნასა და სხვა.

ც. კვანტალიანი დამატებით ფუნქციებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ წა- ზმნისწინიან ფორმებში შეიმჩნევა შემთხვევითობისა და მოულოდნელობის გაგებაც. ეს ჩანს რამდენიმე ფორმაში: წა-ა-დგა – ე.ი მოულოდნელად დაადგა თავზე; წა-ა-სწრო – მოულოდნელად ნახა, შეისწრო; წა-ს-ცდა – ზედმეტი თქვა, ზედმეტი წამოროშა; წა-ს-ძვრა – მოულოდნელად, უცებ, შეუმჩნევლად მოსძვრა (ხელიდან ბეჭედი წამძვრა) (ც. კვანტალიანი 2001: 103).

წა- ისტორიულად მიღებულია წარ- ზმნისწინისაგან. წარ- იშვიათად გამარტივებულია ძველ ქართულშივე. იგი გვხვდება დღესაც და ზოგჯერ ქმნის ლექსიკურ დაპირისპირებას წა- ზმნისწინიან ფორმებთან: წასული – წარსული, წამოთქმა – წარმოთქმა. უმეტეს შემთხვევაში სხვაობა სტილისტიკურია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 460).

მ. მონასელიძე ყურადღებას ამახვილებს ისეთ ზმნებზე, რომლებიც მხოლოდ ერთ ზმნისწინს (წა-) ჰგულობენ. მაგალითად: წა-იარშიყებს, წა-იპოეტებს, წა-იჭირვეულებს, წა-იამპარტავნებს... ეს ზმნები მიუთითებს, რომ მათში მიმართულების – გეზისა და ორიენტაციის – ძებნა, ანდა ასპექტისა, უნდა გამოირიცხოს. გვერდიგვერდ დგანან ნეიტრალური და ოდნაობის ელფერის მქონე ფორმები; წა- ზმნისწინი ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება სიტყვაწარმოებით ელემენტად (მონასელიძე 2001: 26).

2.1. წა- ზმნისწინიან ზმნურ ფუძეთა სემანტიკური ველები

ნაშრომის ამ თავში ჩვენ შევეცადეთ ერთნაირ ყალიბში ჩაგვესვა წა- ზმნისწინიანი ფორმებიც, რის შედეგადაც გამოიყო თერთმეტი სემანტიკური კელი:

პირველი სემანტიკური კელი: საყრდენი ზოგადი მნიშვნელობა “პარტიტიულობისადმი (ოდნაობისადმი) დაქვემდებარება”. ამ კელისთვის დამახასიათებელია წა- ზმნისწინის პარადიგმატული მნიშვნელობებისა და ზმნის ფუძეების შინაარსობრივი შესაძლებლობების სრული დამთხვევა. ამიტომ თვითონ კელის ზოგადი მნიშვნელობა როგორც ზმნისწინში, ისე ფუძეთა კელში, დაემთხვა ერთმანეთს. ამდენად, ეს კელი ყველაზე მრავალრიცხოვანი და უპრობლემოა:

I ლექსიკური საყრდენი საქცევი “ოდნავ”: ზმნისწინის ამ დამატებითი სემანტიკური ნიუანსის შესახებ მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. რამდენიმე მაგალითი მოცემულია დ. მელიქიშვილის ნაშრომშიც: წაიძინა, წაიხუმრა, წაიმღერა (მელიქიშვილი 2001: 42). ჩვენ წარმოვადგენთ ვრცელ მასალას:

წა-აკარებს (ოდნავ მიაღებს, – ცოტათი მიაკარებს. [უფროსები] ზღურბლზე ისე გადმოხტნენ, რომ ზედ ფეხიც არ წაუკარებიათ, უმცროსები კი გვერდით შებობდნენ და ზღურბლის სიმაღლე ისე გადმოლახეს – ლ. ქიაჩ.);

წა-ინამება (ოდნავ დაინამება. გამომცხვარი პურისაგან თავის საწამლავი შემდეგნაირად მზადდებოდა: ერთი კილოგრამი გამომცხვარი პური დაიჭრება ათას ნაწილად, წაინამება ცოტაოდენ და მოეყრება შხამი – «ქარელის კოლმ.»);

წა-უთათუნებს (ოდნავ შეახებს (თათს...), – მოუთათუნებს. [თავადმა] ლოყაზე ხელი წაუთათუნა [ასულს] – ი. აგლ. თარგმ.)... (11 ერთ.).

II საყრდენი საქცევი “ცოტა, ცოტათი”: ლ. კვაჭაძე ყურადღებას ამახვილებს წა- ზმნისწინის ფუნქციებზე, წერს, რომ წა- ზმნისწინი საგნის მოძრაობის მიმართულების აღნიშვნის გარდა ზოგჯერ გამოხატავს მოქმედების ოდნაობასაც (ანუ მოქმედებას მცირე ზომით, ცოტათი) და ასახელებს რამდენიმე მაგალითს: წაფრთხა: ჩემს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება – ვაჟა; წაიკნავლა: კატამ... წაიკნავლა – შ. არაგვ.; წაივახშმა: ზეზეურად წაივახშმა და დაწვა – რ. ინან.) (კვაჭაძე 1981: 244).

ბ. ჯორბენაძე ზმნისწინთა მორფოლოგიური ნაირსახეობების ფაკულტატიურ დანიშნულებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ორ ზმნისწინს ქართულში უნარი აქვს გამოხატოს მოქმედების ოდნობა, ესაა **მო-** და **წა-**: **მო-ი-სულელებს**, **წა-ი-სულელებს...** (ჯორბენაძე 1985: 94-95), მაგრამ “ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში” (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე), რომელიც 1988 წელს არის გამოცემული, ოდნობის სემანტიკის გამომხატველად მიჩნეულია სხვა ზმნისწინებიც, კერძოდ, **შე-** და **ჩა-**. მართლაც, ქეგლ-ის მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ოდნობის სემანტიკურ ნიუანსს გამოხატავს არა მარტო **მო-** და **წა-** ზმნისწინები, არამედ სხვაც: **შე-თენდება**, **შე-შრება**, **შე-ხმება**, **შე-წითლდება...** **ჩა-ილიმა**, **ჩა-იცინა**, **ჩა-ილაპარაკა...** წარმოვადგენთ უფრო ვრცელ მასალას:

ცოტა:

წა-ამატებს (ცოტას მიუმატებს; დაუმატებს. *აქამდე ნახულს ესეც წაამატეთ* – მ. გვას.);

წა-იგუნდავებს (ცოტას იგუნდავებს. *ყველა ეშურება, რაც შეიძლება ჩქარა გაითავისუფლოს ხელი...*, *წაიგუნდავოს თოვლში* – «სახალხო განათლ.»);

წა-ივარჯიშებს (ცოტას ივარჯიშებს. *სისხამ დილას საყვირის ხმაზე ვდგებით*, *ცოტას წავივარჯიშებთ...* და *გვეწყება მეცადინეობა* – ო. ჩეჩელ.),

წა-იპურმარილებს (ცოტა პურ-მარილს მიიღებს. *მაიზერს ძღვნად [მწევარს] მივართმევ...*, *ასეთი ძღვენის მიმართმევმა შორებელმა კაცმა ერთ ხანს ხომ უნდა წაიპურმარილოს!* – ბანოვ.)...

ცოტათი:

წა-აცილებს (ცოტათი გადააცილებს. || გადააჭარბებს, აჯობებს. *აფხაზეთს წააცილებდა თავისი სიმდიდრით ტაო-კლარჯეთი* – საქ. ისტ.);

წა-იჭორავებს (ცოტათი იჭორავებს, ჭორს იტყვის);

წა-იხუმრებს (ცოტათი გაიხუმრებს. *აუ, აუ, ტიალო შატილო, რარიგ მყვარებიხარ!* – *წაიხუმრა [მზექალამ]* – «ლიტ. გაზეთი.»);

წა-ურწევს (ცოტათი დაურწევს. [გლეხის შვილებს] ვინ გასცემს ხმას, ბევრიც რომ არ იჭყავლონ? ერთს... წაურწევენ და მიაგდებენ განზე _ აკაკი)... (19 ერთ.).

III საქცევი “აქა-იქ, მცირედ”:

წა-კრეფს (აქა-იქ მოკრეფს);

წა-აძოვებს (მცირედ მოაძოვებს. მეურმეები შეჩერებულიყვნენ, რომ საქონელი წაეძოვებინათ ველზე _ ს. მაგალობ.);

წა-ივახშმებს (მცირედ შენაყრდება ვახშმად. ზეზეურად წაივახშმა და დაწვა _ რ. ინან.);

წა-ციცქნის (მცირედ შეჭამს რასმე, _ მოკიკნის)... (5 ერთ.);

წა- ზმნისწინიან ფორმებთან ქეგლ-ის მიხედვით შე-ს მსგავსად არ დასტურდება “ალაგ-ალაგ”.

IV საქცევი “მცირე/რალაც ხნით, ერთგზის”: ქვემოთ მოცემულ მაგალითებში წა- ზმნისწინი დროის ხანგრძლიობას გამოხატავს:

ცოტა/ცოტას, მცირე ხნით/ერთხანს:

წა-ახმარებს (დაახმარებს (ცოტას, მცირე ხნით), _ წააშველებს. ჩემ დანარჩენ საქონელსაც წავახმარებ [შაქარას] _ ეკ. გაბ.);

წა-იავადმყოფებს (ცოტას, ერთხანს იავადმყოფებს. [ვაზმა] ცოტა კი წაიავადმყოფა, მერე მოუშუშდა ნაიარევი და სხვას არ ჩამორჩენია _ კ. ჯავრ.);

წა-იმუშავებს (ცოტას, ერთხანს იმუშავებს. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ვახშმობამდე ცოტა კიდევ წაემუშავათ _ «კომუნისტი»);

წა-იმეცადინებს (ცოტას, ერთხანს იმეცადინებს. შარშან [ქარიშხალას] საბჭომ ველოსექცია ჩამოაყალიბა. ერთი-ორჯერ წაიმეცადინეს კიდევ _ «ლელო»);

წა-იმღერებს (1. თავისთვის ცოტახანს იმღერებს. 2. სიმღერით იტყვის. იმღერე, თუ ძმა ხარ, გელა, იმღერე! აი, ეს სიმღერა! _ და თვითონ წაიმღერა _ ს. შანშ.);

წა-ინადირებს (ერთ ხანს, ცოტას ინადირებს. დროს მოსაკლავად, სანამ უფროსი გაიღვიძებდა, გადაწყვიტეს მახლობელი გორაკებისაკენ გაესეირნათ და წაენადირათ კიდევ _ ბ. ჩხ.);

წა-იტირებს (ცოტას, ცოტა ხანს იტირებს. *ბავშვმა წაიტირა და გაჩუმდა*)...

ცოტათი, მცირე ხნით/ერთხანს:

წა-ინებივრებს (ერთხანს, ცოტათი ინებივრებს. *[მგზავრი] დილიჯნის ჩამოვლამდე ხშირფოთლიანი მუხის ჩრდილში წაინებივრებს – ვ. ლორთქ.*);

წა-იხმარებს (მცირე ხნით, ცოტათი დაიხმარებს, – წაიშველიებს. *უზანგი არც კი წაუხმარებია [ბეჟანას], ისე დააფრინდა თავის ლაფშას – ლ. ქიაჩ.*);

ცოტა ხნით:

წა-იძინებს (ცოტა ხნით დაიძინებს, – ჩაიძინებს, მიიძინებს. *დიაშვეგი ჩაის აქ შეექცეოდა, იქვე ისადილებდა და იქვე წაიძინებდა – ვაჟა*);

წა-ხუჭავს (ცოტა ხნით დახუჭავს (თვალს))... (15 ერთ.).

V საქცევი “ნაწილობრივ”:

წა-აფცქვნის (1. ფცქვნით მოაცილებს ნაწილს (ქერქს, გარსს). 2. საუბ. მოხერხებით გამოსტყუებს (ფულს...), – ააფცქვნის);

წა-აწინწილებს (1. წინწილით (ცოტ-ცოტას, ნაწილ-ნაწილ) წაიღებს. 2. წვრილად წააგრძელებს, წააწვრილებს);

წა-ახვეს (ხევით წააცლის, მცირე ნაწილს მოახვეს. *კონვერტს თავი წაახია. – [ნიკოლამ პაპიროსს] ბოლო წაახია – რ. ინან.*)... (5 ერთ.).

VI საქცევი “სახელდახელოდ, ზერელედ”:

სახელდახელოდ:

წა-აბალახებს (სახელდახელოდ აბალახებს);

წა-ისაუზმებს (სახელდახელოდ ისაუზმებს, – წაიხემსებს. *ჯერჯერობით ამით წაისაუზმე – უიარ.*);

წა-იხემსებს (წაისაუზმებს, შენაყრდება. *[არსაკიძე] ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა – ვ. გამს.*);

წა-უნთებს (სახელდახელოდ შეუნთებს, წაუკიდებს, *ცეცხლს წაუნთებს – გაახელებს, წააქეზებს)...

ზერელედ:

წა-პოხავს (ზევიდან, ზერელედ გაპოხავს (საპოხით, ცხიმით). *ცხიმი არსად იყო, წაგეპოხა გაღვერილი ტყავი?* – ვ. ბარნ.);

წა-ფლავს (ზერელედ ჩაფლავს, დაფლავს. *[ეფრემამ] თოხი ნათოხნში წაფლა და ყუასთან... მიაყარა მიწა* – ლ. მრევლ.);

წა- ზმნისწინიან ფორმებთან ქეგლ-ის მიხედვით **შე-**ს მსგავსად არ დასტურდება “ძლივს, თითქმის”.

ცოტათი/ცოტას, სახელდახელოდ:

წა-თხრის (ცოტათი მოთხრის; სახელდახელოდ გათხრის (მიწას).);

წა-იჭამს (1. წასჭამს თავისას, – მოიჭამს. 2. ცოტას, სახელდახელოდ შეჭამს. *ძაღლი... დარბის ეზოში... და ეძებს, სად წაიჭამოს და ვის დაეტაკოს* – ს. ყიფ.)... (11 ერთ.). (სულ 66 ერთ.).

ამ ველისთვის დამახასიათებელია **წა-** ზმნისწინის პარადიგმატული მნიშვნელობებისა და ზმნის ფუძეების შინაარსობრივი შესაძლებლობების სრული დამთხვევა. ამიტომ თვითონ ველის ზოგადი მნიშვნელობა იდენტურია როგორც ზმნისწინში, ისე ფუძეთა ველში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ობ-** თემისწინიანი საშუალო გვარის ნასახელარი ზმნები დაირთავენ მხოლოდ **წა-** ზმნისწინს, რითაც გამოიხატება ოდნაობა (მონასელიძე 2001: 24).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. მართალია, **წა-** ზმნისწინს ირთავს ზოგი ისეთი ფუძე, როგორიცაა: **აბრაგობს, ავობს, ავაზაკობს, ავკაცობს, ამპარტავნობს, არტისტობს, ბავშვობს, ბაღლობს, ბანდიტობს, ბედოვლაობს, ბეჯითობს, ვაჟკაცობს, მამაცობს, მატრაბაზობს, მატრაკვეცობს, ჯიუტობს, მეტიჩრობს...** მაგრამ ზოგი ნასახელარი ფუძე ან საერთოდ არ ირთავს ზმნისწინს: **გორაობს, გუნდაობს, დარაჯობს, ეშმაკობს, ბაასობს**, ან დაირთავს სხვა ზმნისწინს: **ბურთაობს (გა-), ამაყობს (გა-)**... ზოგიც კი **წა-**სთან ერთად სხვა ზმნისწინებსაც ირთავს: **პოეტობს – (მო-, წა-), არშიყობს – (გა, წა-), აბდალობს – (მო-, წა-), ყოჩალობს – (მო-, წა-)**... ამ სახის ფორმათა უმეტესი ნაწილი ქართული ენის

განმარტებით ლექსიკონში არ არის განმარტებული. რასაც წავაწყდით, მათთანაც “ოდნავ” ზმნისართის მაგივრად განმარტებისას გამოყენებულია “ცოტა”. მაგალითად: **წაითავხედებს** (ცოტა არ იყოს, თავხედია. || ცოტა არ იყოს, თავხედურია); **წაიზარმაცებს** (ცოტას იზარმაცებს); **წაივადმყოფებს** (ცოტას, ერთხანს ივადმყოფებს)...

მეორე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “ზედაპირის მიმართ განხორციელებული მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა”.

საზედაო სიტუაციის გამომხატველ სხვა ზმნისწინებთან (**შე-**, **და-**, **მო-**) ერთად ც. კვანტალიანი გამოყოფს აგრეთვე **წა-**ს. მისი აზრით, საზედაო სიტუაციაზე მხოლოდ ზმნისწინი და ხმოვანპრეფიქსი არ მიუთითებს. ზოგიერთ ზმნას მათ გარეშეც აქვს ასეთი მნიშვნელობა. ზმნისწინების ამ მნიშვნელობით გამოყენებას ზმნური ფუძე განაპირობებს (კვანტალიანი 2001: 100). მაგალითები: **წაყრის** (ზედ წაყრის, დაყრის, მოყრის რასმე (ფხვიერს)); **წაწერს** (დააწერს, მიაწერს); **წაპირქვავებს** (პირქვე გადააბრუნებს, თავდაღმა წააქცევს, – გადააქცევს)...

აღნიშნული ველის ფარგლებში გამოიყოფა ორი საქცევი:

I საქცევი “ზედ/ზედაპირზე”:

წა-აგლეჯს (იგივეა, რაც წაჰგლეჯს – 1. გლეჯით წააცლის რასმე. 2. საუბ. წაართმევს, გამოჰგლეჯს. *მოვიდა ციხის უფროსი ყვავილთან, დასწვდა მას და თავი წაჰგლიჯა – ჭ. ლომთ.*);

წა-აყრის (ზედ წაყრის, დაყრის, მოყრის (რასმე ფხვიერს...)). */ცეცომ/ წამოყარა... სამარილიდან მარილი, წააყარა [პაკოს] ჭრილობაზე – ს. მგალობ.*);

წა-აწერს (ზედ დააწერს, – მიაწერს. *სურათს წავაწერე: მის კურთხევას, მღვდელს ონოფრეს, ნიშნად პატივისცემისა – ჭ. ლომთ.*);

წა-აჭყლეტს (1. ზედ დაჭყლეტს, – წაასრეს. 2. საუბ. მიახარჯავს, მიაფლანგავს. *დუქნის მოწყობაზე... ვალში ჩავარდნენ...; დიმიტრიმ ხომ რამდენიმე თვის ჯამაგირი ზედ წააჭყლიტა – ვ. ბარნ.*).

არის ისეთი ფორმები, რომლებიც ნაწილობრივად ისედაც გამოხატავენ საზედაოს ფუნქციას. ამაში დიდი როლი აკისრია ზმნის ფუძეს. ქეგლ-ში ასეთი ფორმების

განმარტებისას “ზედ/ზედაპირზე” ზოგჯერ არის გამოყენებული, ზოგჯერ კი – არა. ასეთია, მაგალითად:

წა-გლეს (გლესით დაფარავს რისამე ზედაპირს, – გადაგლეს. *[მერცხლებმა] ისე ამოავსეს და წაგლესეს ბუდე, რომ ჭივჭავი, თუ არ გაფრენილიყო, გამოიღრჩობოდა ბუდეში – აკაკი*); ეს აგრეთვე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ზმნის ფუძე უკვე აღნიშნავს ზედაპირს. მაგალითად, **გლესა** შეიძლება მხოლოდ ზედაპირისა. **წა-**იყენებს უკვე გამზადებულ ფუძეს. აღნიშნული ზმნის განმარტებისას სიტყვა “ზედაპირი” არის გამოყენებული, მაგრამ ქვემოთ მოცემულ ფორმებში, რომლებსაც საზედაო მოქმედების ნიუანსი აქვთ, მსგავსი სიტყვა არ არის გამოყენებული:

წა-გოზავს (საგოზავით დაფარავს, – წააგლეს (საგოზავით). *გავაკეთებ სორსოლას, წავგოზავ ძირს და შემოვასწორებ ხელით – «შინამრეწვ.»*)

წა-ახურავს (დაახურავს, დააფარებს. *დალაქმა დაჭრილს იარა მოჰბანა, საღბური წასცხო, არტაშანით შეუხვია, ზედ მეორე ნაბადი წაახურა – მ. ჯავახ.*);

წა-იწმენდს (ხელის წასმით მოიწმენდს. *სერეფენიას დეიდა შეხვდა: დიდად მიუსამძიმრა, თვალებიდან ცრემლები კი წაიწმინდა – ვაჟა*)... (42 ერთ.);

II საქცევი “ზევიდან/ზემოდან”:

წა-აკრავს (1. ზევიდან დააკრავს, – წაუმატებს. 2. მაგრად შემოახვევს (თავზე...). *[ბაბაჯანა] აიღებდა ახალ ტყავს და... ძველზე წააკრავდა – ი. გრიშ.*);

წა-ამტრევს (ზევიდან მოამტრევს, – წასტეხს. *რქას წავამტრევთ ვაზს – «შინამრეწვ.»*);

წა-აშრობს (ზემოდან გააშრობს)... (8 ერთ.).

ამ შემთხვევაში ხდება სინთეზი **წა-**ს მნიშვნელობებისა და ზედაპირის მიმართ ორი ლექსიკური საქცევისა, ე.ი. შინაარსობრივი ფორმულა შეიცავს სამ დიფერენციალურ ნიშანს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (სულ 50 ერთ.).

წა- ზმნისწინის მეორე სემანტიკურ ველში, **შე-** ზმნისწინთან შედარებით, არ მოიპოვება III საქცევი, რომელიც გამოხატავს გარშემო, ირგვლივ განხორციელებულ მოქმედებას.

მესამე სემანტიკური ველი: “დაწყებითობა (ინხოატივი) ანუ მოქმედება-პროცესის ფაზის პარტიტიულობა”:

წა-აბარბაცებს (ბარბაცს დააწყებინებს, _ დააბარბაცებს. *[გიორგი მოჯამაგირეს] ეცა, წამოჰკრა სარმა და თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი _ ილია*);

წა-ედინება (დინებით წავა, დენას დაიწყებს (აქედან იქით));

წა-იბიბინებს (ბიბინს, ლივლივს დაიწყებს. *[ზღვა] ამწვანებულ ჯეჯილივითა ზურმუხტის ფერად წაიბიბინებს _ კ. მაყ.*);

წა-ტორტმანდება (ტორტმანს დაიწყებს, _ წაბარბაცდება. *მთიელი გაბრუნდა, წატორტმანდა და ძალმოკლებულმა... ლასლასით გასწია _ ა. ყაზბ.*)... (სულ 7 ერთ.).

მეოთხე სემანტიკური ველი: “შემთხვევითობა და მოულოდნელობა”. ამ ველის ფარგლებში ღვებელ-ის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ზმნა:

წა-ასწრო (1. ვინმეზე წინ წავა, უკან მოიტოვებს, _ გაასწრებს. 2. თავს წაადგება (რაიმე ნაძრახ საქციელზე). *...თუ ვინმე მივიდოდა მასთან, რაღაც უხერხულად შეიშმუშნებოდა, თითქოს და სამარცხვინო დანაშაულზე წაასწრესო _ ს. დემურხ.*);

წა-აწყდება (1. იგივეა, რაც წასწყდება _ ზედა ნაწილი მოწყდება. 2. დაეჯახება. 3. მოულოდნელად შეხვდება, _ შეეჩეხება, გადაეყრება. || შემთხვევით (ან მოულოდნელად) მიაგნებს, იპოვის. *ჩვენ... ზოგიერთ საბუთს წავაწყდით _ ილია*); ამ ზმნაში თვითონ ფუძე შეიცავს ამ მნიშვნელობებს, ხოლო **წა-** შესაფერისი ზმნისწინია. აქ, ალბათ, ორი შემთხვევაა გამოსაყოფი: 1. როცა ახალ მნიშვნელობას ზმნას ანიჭებს **წა-** ზმნისწინი ანუ უზმნისწინოდ ზმნას გამოყოფილი მნიშვნელობა არა აქვს. 2. როცა ზმნას ეს მნიშვნელობა უკვე აქვს, ხოლო **წა-** მას ან დამატებით აძლიერებს, ან ასპექტის ფუნქციას სძენს.

წა-სცდება (იგივეა, რაც წამოსცდება _ თავისდაუნებურად იტყვის, _ წასცდება. *ხელი შესცდება _ უნებურად, ვერ მოითმენს და ისე გააკეთებს. *წარ გაგიწყრეს ღმერთი, ჩემი ვინაობა არავისთან წაგცდეს _ აკაკი*)... (სულ 4 ერთ.).

ის, რაც ჩვენ ცალკე სემანტიკურ ველად წარმოვადგინეთ, ც. კვანტალიანის მიერ მიჩნეულია ზმნისწინის დამატებით ფუნქციად. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს,

რომ წა- ზმნისწინიან ფორმებში შეიმჩნევა შემთხვევითობისა და მოულოდნელობის გაგება (კვანტალიანი 2001: 103).

მეხუთე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “ურთიერთ (რესიპროკი)”. ლექსიკური საქცევი “ურთიერთ”. ამ ველში მოცემულია მხოლოდ ის ფუძეები, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ რესიპროკს, თორემ ყველა მრავალპირიანი ზმნა მრავლობით რიცხვში “ურთიერთ” ზმნიზედის დამატებით ამ კლასში შემოვიდოდა და წაშლიდა ველის საზღვრებს. ამ შემთხვევაშიც სინთეზირებული ზმნები შეიცავენ წა-ს პარადიგმატულ მნიშვნელობებსა და დამატებით “ურთიერთ” საქცევს:

წა-აბამს (ერთმანეთთან ნასკვით შეაერთებს, გადააბამს თოკით, ძაფით და მისთ. ნაჭრებს // ერთმანეთთან სიგრძივ დააკავშირებს. *ორი უგრძესი კიბე აქვე წააბეს ურთიერთს* – ლ. გოთ.);

წა-აჩხუბებს (წაჰკიდებს, აჩხუბებს (ვინმესთან). *წააჩხუბებდა [ალადი] ორ მეზობელს, თავ-პირს დაამტკრევდნენ* – ს. შანშ.);

წა-ედავება (შეეცილება, შეედავება. *მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი... ვერას წაგვედავება* – ილია)...

შ. აფრიდონიძე აღნიშნავს, რომ სი

ნონიმების კვლევას გარკვეული აზრი აქვს გრამატიკული სინონიმისთვის, პარადიგმატიკისთვის. ამის კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს **ლაპარაკობს** ტიპის ზმნები. ეს ზმნები, ჩვეულებრივ, დონიან ფორმებს არ აწარმოებენ, თუ ფუძე სახელური არ არის; არა გვაქვს **ლაპარაკდება**, თუმცა გვაქვს პრევერბიანი ფორმა **ალაპარაკდება** = **ლაპარაკს დაიწყებს**. განსხვავებულ მნიშვნელობას ქმნის **წალაპარაკება** ფორმა. მას ეწარმოება დონიანი ვნებითი, თანაც მხოლოდ მრავლობითში. მხოლობითის ფორმა **წალაპარაკდა** შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ობიექტის უქონლობა სხვა საშუალებითაა კომპენსირებული, კერძოდ, მრავლობითი რიცხვის ფორმით: *ისინი წალაპარაკდნენ*. ზუსტად ასევეა სინონიმური **წაკინკლავება**: *წაკინკლავდა* შეუძლებელია. *წაკინკლავდნენ ისინი ან წაკინკლავნენ ისინი ერთმანეთს*. ასევე *წაიჩხუბებიან ისინი, წაეჩხუბნენ ისინი ერთმანეთს* (აფრიდონიძე 1985: 12).

ამ სემანტიკურ ველშიც (6 ერთ.) უფრო ზმნის ფუძეზე არის დამოკიდებული საურთიერთო მოქმედების გამოხატვა. რასაკვირველია, ზმნისწინი ასეთ შემთხვევებშიც თავის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ეს ხანდახან შემოიფარგლება მიმართულების, გეზისა და ორიენტაციის, ასპექტისა და მომავალი დროის გამოხატვით. მაგალითად, **წაელაპარაკება** ფორმაში ზმნის ფუძე რომ არ გულისხმობდეს საურთიერთო მოქმედებას, ზმნისწინი, ცნობილი ფუნქციების გარდა, ვერაფერს ვერ აღნიშნავდა.

მეექვსე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “შემჭიდროება – გამთლიანება”.
წა- ზმნისწინი ამ ველის ფარგლებში აჩვენებს რამეზე წამატებას, რისამე გაგრძელებას:

წა-აგრძელებს (სიგრძეს წაუმატებს, სიგრძივ გაადიდებს);

წა-აკერებს (კერვით წაამატებს, _ მიაკერებს);

წა-აქსოვს (ქსოვით მიაამატებს, მიაქსოვს. *წინდას ყელი წააქსოვა*);

წა-აწებებს (მიაწებებს, სიგრძეში მოსამატებლად)... (10 ერთ.).

მართალია, ერთი მხრივ, აქ გვაქვს **შემჭიდროება – გამთლიანება** იმ თვალსაზრისით, რომ გამოხატულია დაწყებული მოქმედების გაგრძელება, ხოლო, მეორე მხრივ, გაგრძელებასთან ერთად მიმართულებაც (საიქეთო) იგულისხმება **წა-** ზმნისწინის ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე. ეს ფუძეები თითქმის ყველგან გამოხატავენ შემჭიდროება – გამთლიანების მნიშვნელობას. აქ **წა-** ზმნისწინის ფუნქცია ის არის, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს მოქმედება.

მეშვიდე სემანტიკური ველი: “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”.
გამოიყოფა ორი საქცევი:

I საქცევი “წასვლა”: ეს საქცევი საკმაოდ მდიდარია მაგალითებით, რადგან **წა-** ზმნისწინი შეიძლება მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით სხვა რომელიმე ზმნისწინის მაგივრადაც გამოიყენებოდეს. მაგალითად: **გავალ, მივალ, ავალ, შევალ...** ფორმათა ნაცვლად შეიძლება მოვიშველიოთ **წავალ**.

მოცემულ საქცევში იგულისხმება ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები:

წა-აბიჯებს (ნაბიჯს წაადგამს);

წა-ბაჯბაჯდება (ბაჯბაჯით წავა. [მოხუცი] პალატში ნელა წაბაჯბაჯდა, ლოგინი გაიშალა და ტანსაცმლის ხდას შეუდგა – ბ. ჩხ.);

წა-ბარგდება (გუდა-ნაზადს აიკრავს, წავა. წაბარგდი ახლავე აქედან, სხვაგან დადექ და სამყოფ სასმელ-საჭმელს ჩვენ მოვიტანთ – საქ. ისტ.);

წა-ბრძანდება (წავა. შენ წისქვილში წაბრძანდი, მე ქორწილში წავეთრევიო – ანდაზა);

წა-გოგმანდება (გოგმანით წავა. [ცხენი] მოხდენილი იორღით წაგოგმანდა – ს. მძთვარ.);

წა-რახრახდება (რახრახით წავა (ურემი).);

წა-სრიალდება (სრიალით წავა, – გასრიალდება. წასრიალდა ვაგონი, მივექანებით უფსკრულის თავზე – ა. ბელ.);

წა-ტანტალდება (ტანტალით წავა. დავუკაკუნე კარებს... გამოვიდა ფეხშიშველა პატარა გოგო... “წადი, ბიცოლას მოახსენე... გიორგი გახლავთ-თქო”, – გოგო წატანტალდა – ნ. ლორთქ.);

წა-ფარფატდება (ფარფატით წავა, – წალასლასდება. [მოხუცი] ისე წაფარფატდა, თითქო ფეხები მობმული ჰქონდა და შიშობდა, არ დამცვივდესო – მ. ჯავახ.);

წა-ფორთხდება (ფორთხვით წავა. სპიდონა მორჩილად გაბრუნდა და წაფორთხდა თავის კარვისკენ – დ. კლდ.);

წა-ლოღდება (ლოღვით წავა, – წალასლასდება. ცხენზე შეჯდომას ვეცადე..., ვეღარ შევიძელე, მტკიოდა ნაკოდი, დაწყლულებული: წავლოდი, მივეთრევიოდი ცალფეხა დაკოჭლებული – ს. გუგუნ.);

წა-ჩანჩალდება (ჩანჩალით წავა. ნელი და გაუბედავი ნაბიჯებით წავჩანჩალდით – ქ. ბაქრ. თარგმ.);

წა-ხოხდება (ხოხვით წავა, – გახოხდება, წაფოფხდება. ხისკენ ნელ-ნელა წავხოხდი – დ. ბაქრ.)... (56 ერთ.).

წა- ზმნისწინი ყველა ფორმაში გამოხატავს გარკვეულ ვითარებაში წასვლის გაგებას.

II საქცევი “წასვლისა და წაყვანის (წაღების) სხვადასხვა საშუალება”:

წა-აბრძანებს (წაიყვანს || მოწიწებით წაიღებს (ხატს...)). || ირონ. *[ჟანდარმებმა]* წამაბრძანეს მეტეხის ციხეში _ ს. შანშ.);

წა-აგოგმანებს (გოგმანით წაიყვანს. თავსა მაგ გრდემლზე დაგიმსხვრევ, რაშხა წავაგოგმანებო! _ გ. წერეთ.);

წა-ასვენებს (წაიღებს დასაკრძალავად (მიცვალებულს), გაასვენებს. // მოწიწებით წაიღებს (ჯვარს, ხატს...). მოკლულის გვამი... მახლობელი თემის რევეკომის კანცელარიისკენ წაასვენეს _ ლ. ქიარ.);

წა-ასხამს (წაიყვანს ბევრს, _ წარეკავს, წალალავს. წითელ მთაზე არ წაასხა *[ცხვარი]*, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიან _ ზღაპ.);

წა-აჩოჩებს (ჩოჩვით წასწევს, გადაანაცვლებს, _ წაახოხებს);

წა-აცოცებს (ცოცვით წაიღებს || გააპარებს. კაშლი ჯიბისკენ წააცოცა);

წა-აცუნცულებს (ცუნცულით წაიღებს. მელია ვარიას წააცუნცულებს);

წა-აძუნძულებს (ძუნძულით წაიღებს, წაიყვანს, _ გააძუნძულებს. სიმონამ ცხენი საჯინიბოსკენ წააძუნძულა _ ბანოვ.);

წა-აბოხებს (ბოხვით წაიღებს, _ წააჩოჩებს);

წა-ახრიგინებს (ხრიგინით წაიღებს, წაიყვანს. ხარებმა გზიდან გადაუხვიეს და ურემი ბოსლისკენ წაახრიგინეს _ კ. გოგ.);

წა-ახტუნებს (წინ გადაახტუნებს, _ გაახტუნებს. || ხტუნვით წაიყვანს. *[არჩილმა]* ლაფშა იმ ტყის კიდისკენ წაახტუნა _ ლ. ქიარ.)...

აქაც წა- ზმნისწინი წაღების (წაყვანის) სემანტიკასთანაა გაიგივებული (სულ 79 ერთ.).

მერვე სემანტიკური ველი: ზოგადი მნიშვნელობა “სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა”. ამ შინაარსს ახორციელებენ: ა- მაქცევარი, ჰ-/ს- პირის ნიშნები და წა- ზმნისწინი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰ-/ს-თი ნაწარმოებ სამპირიან ზმნებში ირიბი დამატება ფუნქციურად ყოველთვის ადრესატია: წა-ჰ-გლეჯს, წა-ჰ-კვეთს, წა-ჰ-კვეცს, წა-ჰ-კიდებს,

წა-ს-ტაცებს, წა-ს-ცხებს, წა-ს-წყვეტს, წა-ს-ჭამს, წა-ს-ჭრის... ის მას მას (ადრესატი).
დასტურდება ამგვარივე ყალიბის ხმიანობის გამომხატველი რამდენიმე ზმნა: წა-ს-
ძახებს, წა-ს-ჩუჩუნებს, წა-ს-ჩურჩულებს... ის მას მას.

ეს გრამატიკულ-სემანტიკური ველი მოიცავს 11 ზმნას.

მეცხრე სემანტიკური ველი: “ხმიანობის აღნიშვნა”:

I საქცევი “ზმის გამოცემა სხვის მიმართ”: ამ შემთხვევაში ერთპირიანი აქტიური ზმნის ამოსავალ წა-+ჰ-/ს-ს დართვით იწარმოება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი დამატებით. ვნახოთ, რა შინაარსის ფუძეები (ძირები) შედის ამ საქცევში. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს: **წა-ჰ-კნავლებს, წა-ს-ძახებს, წა-ს-ჩუჩუნებს, წა-ს-ჩურჩულებს** (4 ერთ.). ამ ტიპის ზმნა ქართულში ძალიან ცოტაა.

II საქცევი “ზმის დადაბლება-დაწევა”: ხმიანობის აღმნიშვნელი წა- ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს სუბიექტის ხმის დაწევას. ამას ადასტურებს იმ ზმნის მნიშვნელობა, რომელიც ძალიან ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ფორმის განსამარტავად. ასეთია, მაგალითად:

წა-ილაპარაკებს (ხმადაბლა, ჩუმად, თავისთვის იტყვის (რასმე), _ ჩაილაპარაკებს. *პატარა ბიჭები და გოგოები რომ ჩამივლიდნენ ხოლმე გვერდს, დაცინვით წაილაპარაკებდნენ, ვითომ თავისთვის, _ ღორის წაქცეულოო _ აკაკი*);

წა-იბუზღუნებს (ბუზღუნით წაილაპარაკებს, ჩაილაპარაკებს. *ბატონმა უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი და წაიბუზღუნა _ მ. ჯავახ.*);

წა-იბურღლუნებს (იგივეა, რაც წაიბურტყუნებს. ბურტყუნით წაილაპარაკებს, _ წაიბუტბუტებს. *“...წაიბურღლუნა მირიანმა და კედლისკენ გადაბრუნდა... _ ა. ბელ.*);

წა-იბუტბუტებს (ბუტბუტით წაილაპარაკებს. *ბიძაჩემმა გაიხედა კარისკენ და წაიბუტბუტა.*);

წა-იდუღუნებს (დუღუნით წაილაპარაკებს, წაიბუტბუტებს. *მადლობა ღმერთსა, _ წაიდუღუნა შველმა, _ ბუ ყოფილა, ტყუილად შევშინდი _ თ. რაზიკ.*);

წა-იზმუვლებს (ზმუილის ხმას გამოსცემს, ზმუილით გაიხმიანებს. “მუუ!” – გულსაკლავად წაიზმუვლა [ძროხამ] – შ. არგვ.);

წა-ილულლულებს (ლულლულით, გაურკვევლად იტყვის (რასმე); წაილაპარაკებს. “ავადა ვარ ავადა!” – წაილულლულა სოსიკა-ბიჭმა და მიწვა მხარ-თეძოზედ – ვაჟა);

წა-იტუტუნებს (ტუტუნით იტყვის; წაიბუტბუტებს. “ზედნიერი ვიყავი, დიად, ზედნიერი!” – თითქოს თავისთვის წაიტუტუნა ბაბომ – ეკ. გაბ.);

წა-ილიღინებს (ხმადაბლა, ღიღინით წაიმღერებს. ძვირად ნახავ მისთანა კაცს, რომ იცის თუ არა მღერა, ხანდახან თავისთვის არ წაილიღინოს ხოლმე! – აკაკი).

ზოგიერთი ზმნის განმარტებისას გამოყენებულ კონტექსტში მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით შემოტანილია ვითარების ზმნისართები (ოდნავ, ხმამაღლა...), რაც, ჩვენი აზრით, სტილისტიკურ ელფერს ატარებს. მაგალითად:

წა-ისისინებს (სისინის ხმას გაიღებს, სისინით გაიხმიანებს. კუტამ ტუჩებზე თითი მიიღო და ოდნავ წაისისინა, რითაც ღვთისოს ანიშნა, გაჩუმებულიყო – შ. არაგვ.);

წა-იტიტინებს (ტიტინით იტყვის. [ტატემ] ხმამაღლა წაიტიტინა: “ცოტა კაცია არსენა...” – მ. ჯავახ. (სულ 36 ერთ.).

მეათე სემანტიკური ველი: “მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის შეცვლა საპირისპირო მიმართულებით (გარდაქცევითობა)”. აღნიშნულ ცვლილებაში იგულისხმება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაგებაც:

წა-ამწარებს (განცდილ სიამოვნებას სიმწარედ უქცევს, – ჩააშხამებს, ჩაამწარებს. ბახუტომ იცოდა, რომ ქორწილის დღეს გელას და ერვანდს შეიპყრობდნენ და ზეიმს წაამწარებდნენ – ს. შანშ.);

წა-ახალისებს (1. გაახალისებს, გააღალღებს, 2. რისამე გაკეთების ხალისს გაუძლიერებს, შეაგულიანებს. გთხოვთ, ყმაწვილებო, კიდევაც ეგრე გაართოთ და წაახალისოთ [ჰამლეტი] – ი. მაჩაბ. თარგმ.);

წა-ახდენს (1. უვარგისს გახდის, გააფუჭებს // ჩაშლის, დააზიანებს, 2. გაანადგურებს, 3. გადატ. სულიერად გატებს, საქციელს წაუხდენს. ონისეს რაღაც

საიდუმლო ჰქონდა... თვითონ მალავდა... მოძღვარს კი პირდაპირ დალაპარაკება არ უნდოდა, რომ საქმე წაეხდინა _ ა. ყაზბ.);

წა-ბილწავს (ბილწს, უწმინდურს გახდის, გააუწმინდურებს. ერთმა თავგმა ცხრა ქვევრი წაბილწა _ ანდაზა)... (სულ 8 ზმნა).

მეთერთმეტე სემანტიკური ველი: “ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები”: ორმაგ მოქმედებას გამოხატავს **წა-** ზმნისწინი და ფუძე. **წა-** ზმნისწინი ჩვეულებისამებრ აღნიშნავს წინ მიმართულ მოქმედებას, ხოლო ფუძის შინაარსობრივი სემანტიკა გამოიხატება მეორე მოქმედებით:

წა-აპარებს (მალვით, ფარულად წავა, თან გაიყოლებს);

წა-ბოჭავს (მობოჭავს და წაიღებს);

წა-დგამს (წასწევს და დადგამს. წავდგი... ერთი ნაბიჯი წინ და მაშინვე... უკანვე გადმოვხტი _ გ. წერეთ.);

წა-ლეკავს (მოვარდნილი (ადიდებული) მდინარე (ნიაღვარი...) წარეცხავს და წაიღებს. ადიდებულმა მდინარემ გზები დაფარა, ხიდები წალეკა _ ი. ლისაშ.),

წა-ჯდება (წინ წაიწევს და დაჯდება, წინ გადაჯდება. ბოლოს კი შეევედრა [ვაჭარი]: ლამის გადავვარდეთ! ვერ ვეტევი, წინ წაჯექი, თუ გიყვარდეთ! _ აკაკი);

წააგორებს (1. გორვით გაატარებს, _ გააგორებს. 2. საუბ. წააქცევს და გააგორებს, _ გააკოტრიალებს.);

წა-აყენებს (1. ახლოს მიიყვანს და მასთან დააყენებს. 2. წარადგენს (შესაფასებლად, პასუხის გასაცემად...). ვაჟი... წააყენა უფსკრულის იმ დაქანებულ ბექზე _ ვ. ბარნ.)... (15 ერთ.).

განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ **წა-** ზმნისწინისა და ზმნის ფუძის შინაარსეული საქცევები წარმოაჩენენ სამგვარ ურთიერთმიმართებას:

1) **წა-**სა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს ემთხვევა:

I სემანტიკური ველი “პარტიტივი”:

წა-ამატებს (ცოტას მიუმატებს; დაუმატებს. აქამდე ნახულს ესეც წაამატეთ _ მ. გვას.);

წა-იკეთებს (ოდნავ გამოისწორებს), გამოიკეთებს (საქმეს, მდგომარეობას).
ამხანაგად როგორმე წავიკეთოთ საქმე – ზოოტ.);

წა-ითამაშებს (1. ცოტა ხნით (ცოტათი) ითამაშებს. 2. თამაშით, ცეკვით გაივლის.
გამოიარე ჩვენსკენ როდისმე, საღამოთი, ბანქოს წავითამაშებთ – ი. აგლ. თარგმ.);

წა-იხმარებს (მცირე ხნით, ცოტათი დაიხმარებს, – წაიშველიებს. *უზანგი არც კი
წაუხმარებია [ბეჟანას], ისე დააფრინდა თავის ლაფშას – ლ. ქიაჩ.);*

წა-იძინებს (ცოტა ხნით დაიძინებს, – ჩაიძინებს, მიიძინებს. *დიაშვეგი ჩაის აქ
შეექცეოდა, იქვე ისადილებდა და იქვე წაიძინებდა – ვაჟა);*

წა-იჭამს (1. წასჭამს თავისას, – მოიჭამს. 2. ცოტას, სახელდახელოდ შეჭამს. *ძაღლი...
დარბის ეზოში... და ეძებს, სად წაიჭამოს და ვის დაეტაკოს – ს. ყიფ.)...*

V სემანტიკური ველი “**შემჭიდროება – გამოთლიანება**”:

წა-აგრძელებს (სიგრძეს წაუმატებს, სიგრძივ გაადიდებს);

წა-აქსოვს (ქსოვით მიამატებს, მიაქსოვს. *წინდას ყელი წააქსოვა)...*

VI სემანტიკური ველი “**ურთიერთ (რესიპროკი)**”:

წა-აბამს (ერთმანეთთან ნასკვით შეაერთებს, გადააბამს თოკით, ძაფით და მისთ.
ნაჭრებს // ერთმანეთთან სიგრძივ დააკავშირებს. *ორი უგრძესი კიბე აქვე წააბეს
ურთიერთს – ლ. გოთ.)...*

VII სემანტიკური ველი “**წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები**”:

წა-გოგმანდება (გოგმანით წავა. *[ცხენი] მოხდენილი იორღით წაგოგმანდა – ს.
მმოვარ.);*

წა-აბრძანებს (წაიყვანს || მოწიწებით წაიღებს (ხატს...)). || ირონ. *[ქანდარმებმა]
წამაბრძანეს მეტეხის ციხეში – ს. შანშ.);*

2) მახასიათებლები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ კარგად ეხამება, რის
შედეგადაც სინთეზირებული ზმნის ფორმა სამ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანს
მიიღებს: ორი ზმნისწინისაა, ერთი კი – საქცევისა. ამგვარია:

II სემანტიკური ველი “**საზედაო**”:

წა-აწვეტებს (წვეტს გაუკეთებს, წვერს წაუთლის, – წამახავს);

წა-თლის (თლით წვერს გაუკეთებს. *ფანქარს წათლის*.)...

III სემანტიკური ველი “**დაწყებითობა (ინზოატივი)**”:

წა-ედინება (დინებით წავა, დენას დაიწყებს (აქედან იქით));

IV სემანტიკური ველი “**შემთხვევითობა და მოულოდნელობა**”:

წა-ადგება (1. უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე).

*თავს წაადგება – მოულოდნელად მივა ვინმესთან, – თავს დაადგება. 2. იგივეა, რაც გამოადგება. *თუ მინდორსა და ტყეში გივლიათ, არა ერთხელ წაადგებოდით ჭიანჭველების ბუდესა – ი. გოგებ.*);

VIII სემანტიკური ველი “**სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა**”:

წა-ავარჯიშებს (*მასწავლებელი მოსწავლეს მათემატიკას* (ირიბი დამატება = კაუზაციის შედეგად: აღმსრულებელი-განმცდელი.)

XI სემანტიკური ველი “**ორმაგი (თანამდევი) მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები**”:

წა-ითამაშებს (1. ცოტა ხნით (ცოტათი) ითამაშებს (ველი “პარტიტივი”). *“გამოიარე ჩვენსკენ როდისმე, საღამოთი, ბანქოს წავითამაშებთ” – ი. აგლ. თარგმ.*). 2. თამაშით, ცეკვით გაივლის (ველი “რადაციდან გასვლა, არა მხოლოდ გასვლა, არამედ თავის დაღწევა”). *მაგდამ წაითამაშა ქუჩაზე – ჭ. ლომთ.*);

3) ზმნისწინისა და საქცევების მახასიათებლები ერთმანეთს არ ეხამება, რის შედეგადაც მიიღება სინთეზური ზოგადი მნიშვნელობა – შეცვლა:

X სემანტიკური ველი “**გარდაქცევითობა**”:

წა-ამწარებს (განცდილ სიამოვნებას სიმწარედ უქცევს, – ჩააშხამებს, ჩაამწარებს. *ბახუტომ იცოდა, რომ ქორწილის დღეს გელას და ერვანდს შეიპყრობდნენ და ზეიმს წაამწარებდნენ – ს. შანშ.*).

აქაც სამი დიფერენციალური ნიშანია: ორი ზმნისწინისა და ერთი – ზმნის ფუძისა.

2.2. წა- ზმნისწინიანი პოლისემიური ზმნები

1) ორმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

წა-იბორობიკებს (1. ფეხს რასმე წამოჰკრავს და წაიბარბაცებს, – წაიფორხილებს (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”). 2. შეფერხდება მეტყველების დროს; ენა დაეხმება (ველი “ზმის გამოცემა სხვის მიმართ”. ...შუა ადგილას რაღაცნაირად წაიბორობიკა... შემდეგ მთლად გაჩერდა – ს. შანშ.);

წა-ითამაშებს (1. ცოტა ხნით (ცოტათი) ითამაშებს (ველი “პარტიტივი”). გამოიარე ჩვენსკენ როდისმე, სადამოთი, ბანქოს წავითამაშებთ – ი. აგლ. თარგმ.). 2. თამაშით, ცეკვით გაივლის (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”). მაგდამ წაითამაშა ქუჩაზე – ჭ. ლომთ.);

წა-იკითხავს (1. გაეცნობა დაწერილ (დაბეჭდილ) ტექსტს (დაწერილი თუ ნაბეჭდი ასოების აღქმის და მათი სიტყვებად შეერთების საშუალებით). // გადატ. გაიგებს, მიხვდება, გამოიცნობს, ამოიკითხავს (რამეზე დაკვირვებით) (ველი “ნეიტრალური ფუნქცია”). ავადა ვარ და ამა და ამ ადგილას... დაწერილი მარმარილოს ქვაა, თუ იმას არ წავიკითხავ, არ მოვრჩებიო – ზღაპ.). 2. რაიმეში დაწერილს საჯაროდ წარმოთქვამს (ზეპირად ან ტექსტში ჩახედვით) (ველი “ზმის გამოცემა სხვის მიმართ”). ლექციები წაიკითხეს... კვალიფიციურმა ლექტორებმა – «კომუნ.»);

წა-ტრუსავს (1. ოდნავ მოტრუსავს (ველი “პარტიტივი”). 2. უეცრად მისცემს დამწვრის გემოს (ცხარე ცეცხლი) (ველი “ნეიტრალური ფუნქცია”));

წა-ყრის (1. წინ დაყრის (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”). როდესაც თევზი შეიწვა, თხილის ფოთოლზედ წაყარეს – ბაჩ.). 2. წაჰყრის – წააძრობს (ველი “საზედაო”). გახადეს შუქურის სამოსი სამხიარულო... წაჰყარეს სადაფ ყურთაგან... საყურეები – ვ. ბარნ.).

2) სამმაგი სემანტიკის გამომხატველი ზმნები:

წა-იყვანს (1 თან წაიყოლებს (სულიერს) (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”). სკოლაში უნდა წაგიყვანო, ეგებ იქ დაჰკვიანდე – ვაჟა). 2. შეირთავს (ცოლად). *თავის ჭკუაზე შეიყვანს – თავის სურვილისამებრ აამოქმედებს (ველი “საურთიერთო”). თუ აგოზა, ხომ კარგი, ცოლად წაიყვანს, და, თუ ვერა, მაშინ

თავს მოსჭრიან – აკაკი). 3. წარმართავს – მიმართულებას მისცემს, – მიმართავს. (კეთილად) წაიყვანს (საქმეს); უხელმძღვანელებს (“ნეიტრალური ფუნქცია”). გიტა ცდილობდა სულ სხვა მხრით წარემართა საუბარი – ბ. ჩხ.).

წა- ზმნისწინიან პოლისემიურ ზმნებში იშვიათად გამოიყოფა ისეთი ფორმები, რომელთაც შეესაბამება საერთო სემანტიკური ველი ანუ არ დასტურდება პოლისემია, ზმნა ამჟღავნებს მხოლოდ კონტექსტუალურ კონოტაციებს:

წა-ადებს (1. ზედ გადაადებს. || წაამატებს. ...გლახობასაც დიდ ვნებას მიაყენებს და თავისი შვილების სიკეთესაც ზედ წაადებს – ი. გოგებ. (ველი “საზედაო”). 2. საუბ. წაარტყამს, წაჰკრავს. კისერში წაადებს (ველი “საზედაო”);

წა-აკრავს (1. ზევიდან დააკრავს, წაუმატებს ველი “საზედაო”). [ბაბაჯანა] აიღებდა ახალ ტყავს და... ძველზე წააკრავდა – ი. გრიშ. 2. მაგრად შემოახვევს (თავზე...) ველი “საზედაო”). ერთი თეთრი... თიკვი იშოვებს და ის წააკრეს თევდორას თავზე – ვაჟა);

წა-ათრევს (1. თრევით წიაღებს. მორი წათრია (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”). 2. ძალით წაიყვანს, უპატივც. წაიყვანს (ველი “წასვლისა და წაყვანის აღმნიშვნელი ზმნები”): ჩემი არც ძალა გავიდა, არც ხვეწნა, არც ტირილი! მგელსავით წამათრიეს ტყეში – ე. ნინოშ);

წა-ახდენს (1. უვარგისს გახდის, გააფუჭებს // ჩაშლის, დააზიანებს (ველი “გარდაქცევითობა”). 2. გაანადგურებს (ველი “გარდაქცევითობა”). 3. გადატ. სულიერად გატებს, საქციელს წაუხდენს (ველი “გარდაქცევითობა”).

აქვე წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს, სადაც **წა-** ზმნისწინი ვერ ცვლის ზმნის მნიშვნელობას და ნეიტრალური პოზიცია უკავია: **წა-ზიდავს** (ზიდვით წაიღებს, – გაზიდავს); **წა-იზმუვლებს** (ზმუილის ხმას გამოსცემს, ზმუილით გაიხმიანებს); **წა-იტყუილებს** (ტყუილს იტყვის, – მოიტყუებს); **წა-ბარბაცდება** (ბარბაციით წავა, წატორტმანდება)...

2.3. წა- ზმნისწინიანი სინონიმები

წა- ზმნისწინიანი სინონიმური ზმნებიც ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში მოიაზრება. მაგალითად: *წაბრძანება – წასვლა, წაგოზვა – წასმა; წაქეზება – წახალისიანება; წაყვანა – წასხმა; წაყიალება – წაჩანჩალება – წასვლა... წახრა – წაღუნვა; წახურვა – წაბურვა...*

ამგვარი ვითარებაა ზოგჯერ სხვადასხვა ზმნისწინისა და ფუძის მქონე სინონიმებთანაც: *წაბადვა – მიბადვა, წაკიდება – ჩხუბი, წატანება – მიწვდომა, წაქეზება – შეგულიანება, წაღება – მიტანა...*

წა- ზმნისწინიანი ომონიმური ფორმები საანალიზო მასალაში არ დასტურდება.

ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითები ნათელს ხდის, რომ წა- ზმნისწინმა ძალიან გაიფართოვა მოხმარების არეალი. ზმნისწინი ძველ ქართულში არ იყო ზმნის ორგანული ნაწილი, მაგრამ მას ჰქონდა სემანტიკური ფუნქცია. შეიძლება ზოგიერთი ავტორის მიხედვით ზმნისწინი დღეს გამოხატავს სრულ ასპექტს, მაგრამ თვითონ ზმნის ფორმები, რომელთაც ერთვის ზმნისწინი, თავისთავად არ გამოხატავენ მხოლოდ ასპექტის კატეგორიას.

III თავი. ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები მაქცევრებთან

მიმართებით

გრამატიკული კატეგორიის არსი ყველაზე უკეთ ვლინდება მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენებში, სადაც შედარებით სრულად შეიძლება იყოს

რეალიზებული კატეგორიის პოტენციური სემანტიკური შესაძლებლობები. ღარიბი მორფოლოგიის მქონე ენებში შეიძლება იმავე კატეგორიის ყველა სემანტიკური ნიუანსი არ იყოს გრამატიკულად გამოხატული. ამ მხრივ ქართული ენა მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელსაც მდიდარი მორფოლოგია აქვს, რადგან ქართულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თვით ზმნას (მაჭავარიანი 1987: 5).

ზმნას აქვს საშუალება აგრეთვე გამოხატოს: ა) ობიექტი, რომელსაც პირი ეფარდება ფორმაში, არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული: ან ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი, ან კიდევ გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი. მოძღვრებას ქართული ზმნის ამ საშუალებათა შესახებ ეწოდება საქცევი, ხოლო თითოეულ ფორმას კუთვნილება – დანიშნულების მიხედვით განსხვავებულს – ქცევა, ანუ ვერსია (შანიძე 1980: 323).

ქცევის მორფოსინტაქსური ფუნქცია არის ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა. ქართულში მაქცევრად გამოყენებულია ყველა ხმოვანი ო-ს გარდა. თუ ზმნა ნასახელარი არ არის, პირის ნიშნის მომდევნო ხმოვანი ქცევის ნიშანია. ქცევის ნიშნის დართვა ან ქცევის ნიშანთა გარკვეული სახის მონაცვლეობა, როგორც წესი, იწვევს ობიექტის წარმოქმნას ან მოსპობას. მაგალითად: 1. წარმოიქმნება ირიბი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქცევრის დართვით: *წერს ის მას; აწერს ის მას მას; ზის ის; უზის ის მას; ჭამს ის მას; აჭამს ის მას მას...* 2. წარმოიქმნება ირიბი ობიექტი მაქცევრების მონაცვლეობით: *იბადება ის; ებადება ის მას; აკეთებს ის მას; უკეთებს ის მას მას...* 3. წარმოიქმნება პირდაპირი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქცევრის დართვით: *დუღს//დუღდება ის; ადუღებს ის მას; ქრება ის; აქრობს ის მას...* 4. ისპობა პირდაპირი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქცევრის დართვისას: *ხატავს ის მას; იხატება ის; რეცხავს ის მას; ირეცხება ის...* 5. ისპობა პირდაპირი ობიექტი მაქცევრის მონაცვლეობით: *აბამს ის მას; იბმება ის; ანთებს ის მას; ინთება ის...* 6. ისპობა ირიბი ობიექტი უხმოვნო ძირზე მაქცევრის დართვისას: *ჰპარავს ის მას მას; იპარავს ის მას; სწირავს ის მას მას; იწირავს ის მას...* (მაჭავარიანი 1980: 40-41).

მიჩნეულია, რომ ქცევის კატეგორია ცალკე უნდა იყოს განხილული აქტივთა ფორმების მიხედვით, რადგან აქტივთა ფორმებში ქცევის სამივე ფორმა დასტურდება: ნეიტრალური, სასხვისო, სათავისო, ხოლო პასივის ფორმებში – ორი: ნეიტრალური და სათავისო. სასხვისო ქცევის მქონე ერთპირიან ზმნაში დასტურდება ი- პრეფიქსი, იგივე პრეფიქსი დასტურდება ორპირიან ზმნაშიც, ხოლო სამპირიანში – უ- პრეფიქსი (თ. უთურგაიძე).

ზმნისწინიან ფორმაში მაქცევარს (ხმოვან-პრეფიქსებს – ბ. ჯორბენაძე) მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იგი ზმნაში ქმნის სემანტიკურ სხვაობას.

ზოგადსემანტიკური თვალსაზრისით საინტერესოა ა- მაქცევარი (იგი ირიბთან ერთად წარმოქმნის პირდაპირ ობიექტურ პირსაც). ა- მაქცევრით წარმოქმნილ ობიექტზე მოქმედება ხორციელდება უშუალოდ, ის მას პირდაპირ ეხება, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურადაც, ამიტომ ა- მაქცევარს უკავშირდება ლოკალური ე.წ. საზედაო მნიშვნელობებიც (მაჭავარიანი 1980: 57).

ამოცანის სირთულის გამო ამჯერად შემოვიფარგლებით რამდენიმე ზმნისწინით, რომელთაც განვიხილავთ მხოლოდ შეზღუდული ტიპის ჩარჩოთი: “ზმნისწინი+ა-/0+ზმნის ფუძე (R) აწმყო-მყოფადის ვინის რიგში”. ანალიზისას ვითვალისწინებთ იმას, რომ ქველ-ში ძირითადად ამოსავალია უმაქცევრო ან, სადაც ასეთი არ არის, ა- მაქცევრიანი ფორმები, სხვა მაქცევრიანი ზმნები კი განიმარტება მათზე დაყრდნობით.

მ. დამენია თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ქართული ზმნური მორფემის სტრუქტურული მოდელების აღწერას, გამოყოფს რვა შემთხვევას, სადაც ა- პრეფიქსი განსხვავებული ფუნქციით უნდა წარმოვიდგინოთ. იგი მიუთითებს, რომ ა- პრეფიქსით ნაწარმოებ ზმნებში პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობა არ არის ასახული. იგი უქცევო ფორმაა. უფრო არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ა- პრეფიქსიანი ფორმა არ გამორიცხავს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის მნიშვნელობას... ა- პრეფიქსით ნაწარმოებ თითქოსდა საარვისო ქცევთან ფორმებში არა გვაქვს მინიშნება იმაზე, რომ მოქმედება არაა განკუთვნილი ირიბისთვის ან სუბიექტისთვის. შეიძლება ვივარაუდოთ განკუთვნება როგორც ირიბისთვის, ისე სუბიექტისთვის. ა- პრეფიქსიან

აშენებს ფორმაში ქცევა (ე.ი. ზმნის პირთა შორის კუთვნილებითი ურთიერთობა) საერთოდ არაა ასახული (დამენია 1982: 127-128).

ბ. ჯორბენაძე ფაკულტატიური გრამატიკის ფარგლებში განიხილავს ხმოვან-პრეფიქსთა (მაქცევართა) მოქმედებას ფუძეზე. მისი აზრით, ისინი ქართულში სპეციალურ ფორმოებრივ და სემანტიკურ სისტემას ქმნიან. სპეციფიკურია ეს სისტემები როგორც აგების, ასევე ფუნქციების თვალსაზრისით (ჯორბენაძე 1983: 3).

ნ. ფარტენაძე მიუთითებს, რომ ზმნისწინისა და ერთ-ერთი ქცევის კომბინაციამ შეიძლება ახალი სემანტიკური ნიუანსი შესძინოს ზმნის ფუძეს ან ზმნისწინისა და სამივე ქცევის კომბინაციამ ზმნის ფუძის ძირითად მნიშვნელობაში არ შეიტანოს არავითარი ცვლილება, და, რაც მნიშვნელოვანია, ქცევის კატეგორია ცალკე უნდა განიხილებოდეს მოქმედებითი გვარის მიხედვით და ცალკე – ვნებითის მიხედვით, რადგან მოქმედებითში შეიძლება დაფიქსირდეს სამივე ქცევა, ხოლო ვნებითში – მხოლოდ ორი – ნეიტრალური და სასხვისო (ფარტენაძე 2009: 29).

„ქცევა და ზმნისწინი ერთმანეთთან ახლოს არიან: სადაც ზმნისწინიანი ფორმებია, იქ უფრო მკვეთრად გამოიხატება ქცევა თავისი მრავალი სახეობით, მეორე მხრივ, სადაც ზმნას ქცევის ფორმები უხვად მოეპოვება, იქ უფრო ხშირად გვხვდება ზმნისწინიც“ (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996: 434).

ც. კვანტალიანის მიხედვით, ზმნის ძირის მნიშვნელობები განსაზღვრავს ქცევის ფორმების წარმოების შესაძლებლობებს. ამიტომ ერთი და იმავე ძირის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები სხვადასხვაგვარად აწარმოებს ქცევის ფორმებს. ზმნას ზოგი ზმნისწინით შეუძლია აწარმოოს სამივე ქცევის ფორმა მოქმედებითში, ორივე ვნებითში, ზოგით კი – არა (კვანტალიანი 2001: 27).

ყველაზე გავრცელებული დებულების თანახმად, ა- პრეფიქსი არის საარვისო ქცევის (ნეიტრალური ვერსიის) ნიშანი. ბ. ჯორბენაძის აზრით, ეს დებულება მოცემული შეპირისპირების საფუძველზეა ჩამოყალიბებული: ერთი მხრივ: **ა-შენებ-ს**, **ი-შენებ-ს**, **უ-შენებ-ს**, ხოლო, მეორე მხრივ: **წერ-ს**, **ი-წერ-ს**, **უ-წერ-ს**. ანუ: ა- ასევე უპირისპირდება ი- და უ- პრეფიქსებს, როგორც ნულ-ფორმანტი, უნიშნობა. ამან ფუნქციურად გაათანაბრა

ა- პრეფიქსიანი (ა-შენებს) და ნულ-პრეფიქსიანი (წერს) ფორმები. თუ ი- და უ- პრეფიქსები სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნებია, მაშინ ა- და ნულ-პრეფიქსი, შესაბამისად, საარვისო ქცევის მაჩვენებელი უნდა იყოს (ჯორბენაძე 1983: 51).

არნ. ჩიქობავა განიხილავს სასუბიექტო და საობიექტო ქცევას და ნეიტრალურ ქცევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ: “აკეთებს, აშენებს, ზრდის, ხატავს, თესავს... ამგვარ ზმნებში არ ჩანს, ვისთვის არის განკუთვნილი მოქმედება” (ჩიქობავა 1950: 58). ამ აზრის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ჩვენს მაგალითებს:

ჩა-ა-სვენებს (ჩადებს (მიცვალებულს კუბოში...)). || შიგ მოათავსებს მოწიწებით (ჯვარს, ხატს...). 2. ჩაიყვანს სხვა ადგილას (მიცვალებულს...). *როდესაც დახოცილები სამარეში ჩაასვენეს, ბერდიამ საჭიროდ დაინახა გამოსასაღმებელი სიტყვის წარმოთქმა – ა. ყაზბ.).* შდრ.:

ჩა-ი-სვენებს (ჩაასვენებს თავისაში. *მივარდა მართაც და მოეჭიდა მომაკვდავს: კალთაში ჩაისვენა, ჩასძახოდა, კოცნიდა – ვ. ზარნ);*

ჩა-უ-სვენებს (ჩაასვენებს მასთან (მიცვალებულს). *“გვამი სად არის!” – “თავის სოფელში, ჭირისუფალს ჩავუსვენეთ” – ლ. გოთ.);*

მი-ა-თრევს (1. თრევით მიიტანს. *ვათრიეთ, ვათრიეთ და, როგორც იყო, [წიგნი] ხვრელთან მივათრიეთ – თ. რაზიკ.).* || უპატივც. ძალით მიიყვანს. 2. მიაქვს, მიწიდან აუღებლად მიაქვს. || გაჭირვებით მიაქვს, ძლივძლივობით მიაქვს. || ძალით მიჰყავს). შდრ.:

მი-ი-თრევს (1. მიათრევს თავისთან, თრევით მიიტანს თავისთან. *მე... მივითრიე ახლოს... გუდა – ვაჟა.* 2. მიათრევს თავისას, თრევით მიაქვს);

მი-უ-თრევს (მიათრევს მასთან, – თრევით მიუტანს. *ქალი ავიდა სკამზე.., არჩილმა მაგიდა მიუთრია – ვ. ზარნ.).*

ქართულში გავრცელებულია ზმნები: ვ-კლავ, ვ-ი-კლავ, ვ-უ-კლავ; ვ-ხარშავ, ვ-ი-ხარშავ, ვ-უ-ხარშავ; ვ-ჭრი, ვ-ი-ჭრი, ვ-უ-ჭრი, ვ-ა-ჭრი. არნ. ჩიქობავა ერთმანეთს ადარებს ვ-კლავ და ვ-ი-კლავ ფორმებს (*ვ-კლავ ცხვარს და ვ-ი-კლავ ცხვარს*) და მიუთითებს, რომ განსხვავება ნათელია. პირველ ფრაზაში არ ჩანს, ვისია ეს ცხვარი, ან

ვისთვის კლავენ მას. *ვ-ი-კლავ მე ცხვარს*, სხვაგვარი მდგომარეობაა; ორში ერთია: ან ცხვარი ჩემია, და *ვ-ი-კლავ* ნიშნავს “ჩემსას ვკლავ”, ან *ვიკლავ* ნიშნავს “ჩემთვის ვკლავ”. ამ ი-ს მაგივრად რომ *უ-* დაისვას, ზმნა ახალ, განსხვავებულ მნიშვნელობას მიიღებს: *ვ-უ-კლავ მე* (მეზობელს ცხვარს...). აქაც ორნაირი გაგებაა შესაძლებელი: ან ცხვარი მეზობლისაა და მე მას ვკლავ, ანდა: ცხვარს მეზობლისთვის ვკლავ, ანდა *ვ-ა-კლავ ცხვარს ჯირკს*: რაღაცაზე ვკლავ რაღაცას თუ ვიღაცას...

ამ მაგალითების განხილვიდან ჩანს, რომ ქართულ ზმნაში ფუძის წინ შეიძლება ჩაერთოს ხმოვნები (ა-, ი-, უ-), რომელნიც აღნიშნავენ სხვადასხვაგვარ მიმართებას ზმნის სუბიექტსა და ობიექტს ან თვით ობიექტებს შორის.

ქართულში დასტურდება ა- მაქცევრის სხვა ფუნქციებიც:

1. იგი მიუთითებს ზმნაში ირიბი ობიექტის პოვნეობას:

ბ. ჯორბენაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, რომ ა- პრეფიქსი მართლაც მიაწინებს კონსტრუქციაში ირიბი (მიცემითბრუნვიანი) ობიექტის პოვნეობაზე (ამ თვალსაზრისით ფასეული დაკვირვებანი აქვთ წარმოდგენილი ა. შანიძეს, გ. როგავას, ი. ქავთარაძეს, გ. დეეტერსს, ჰ. ფოგტს, ვ. ბოედერს...). ეს დებულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს ა- პრეფიქსიანი ზმნების ერთი ნაწილის მიმართ. ავტორს მიაჩნია, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა გამიჯვნა (ჯორბენაძე 1983: 61). დავასახელებთ ჩვენს მაგალითებს:

შე-+ა-+R:

შე-ა-თლ-ი-ს ის ნაწილს ხორცის ნაჭერს (ირიბი დამატება = მალეფაქტივი);

შე-ა-ხსენ-ებ-ს მეზობელი ამბავს კაცს (ირიბი დამატება = ადრესატი);

შე-ა-სმ-ევ-ს დედა წყალს ბავშვს (ირიბი დამატება = კაუზაციის შედეგად = შემსრულებელი პირი);

შე-ა-რგ-ებ-ს დედა შვილს საჭმელს (ირიბი დამატება = ბენეფაქტი);

შე-ა-ძულ-ებ-ს მტერი ადამიანს ქვეყანას (ირიბი დამატება = კაუზაციის შედეგად: აღსრულებული-განმცდელი);

შე-ა-კლ-ავ-ს მოწაფე თავს სწავლას (ირიბი დამატება = მოქმედების მიზანი) და ა.შ. ამ შემთხვევაში **შე-** ახდენს ჩამოთვლილი როლების აქტუალიზაციას (ფუძის სემანტიკისდა მიუხედავად).

ზოგ შემთხვევაში სამპირიანი ზმნის საყრდენი ფუძე შეიძლება გაგებული იყოს სამპირიანად ან ორპირიანად, მაშინ **შე-** ზმნისწინი ახდენს მხოლოდ სამპირიანობის ხაზგასმას. მაგალითად: *შე-ა-ნათ-ებ-ს ქალიშვილი ყმაწვილს თვალებს* (ადრესატი). შდრ.: *ა-ნათებს მზე ქვეყანას* (პაციენსი). ამდენად, **შე-**ს ყველა ფუნქცია მთლიანად მიემართება III ირიბ ობიექტურ პირს, აქტანტურ როლებში განსხვავების მიუხედავად. ამ შემთხვევაში **შე-** და **ა-** მაქცევარი ფაქტობრივად ერთსა და იმავე ამოცანას ემსახურება, ოღონდ **ა-** წარმოქმნის ირიბ დამატებას, **შე-** ზმნისწინი კი ახდენს მის ფუნქციურ გამოკვეთას.

ა- ზმნაში **ჰ-/ს-**ს მსგავს ფუნქციას ასრულებს (წარმოქმნის ირიბ ობიექტს):

შებერდება _ შეაბერდება//შეჰბერდება:

შე-ა-ბერდება (დაბერდება, სიბერეს მიაღწევს ვინმესთან ერთად. || ვინმესთან ან რამესთან ურთიერთობაში დაბერდება. *მაგას რა დიდი ცოდნა უნდა? ორმოცი წელიწადი ტყუბლა სოკოსავით ერთმანეთს შევაბერდით და ახლა რაღა დროს გაშორება!* _ აკაკი).

შე-ჰ-ბერდება (იგივეა, რაც შეაბერდება. *სიტკბოებით, სიყვარულით შევბერდით ერთმანეთს, ერთი მწარე სიტყვა არ გაგვიგონია* _ ლ. არდაზ.).

შე-ბერდება (სიბერეში შევა, ხანდაზმულობა დაეტყობა, _ მობერდება. *[ლუბა] რომ შებერდა, შემდეგ, რა თქმა უნდა, მთხოვნელებმაც იკლო* _ შ. დად.);

შე-დგება _ შეადგება//შესდგება:

შე-ადგება (1. ზედ ავა და დაადგება. 2. ძვ. არ მოეშვება, _ ჩააცივდება. *უზარმაზარ ვეშაპს ზურგს შესდგომია გოლიათი* _ გ. აბაშ.).

შე-ს-დგება ((მას) დაადგება, შეადგება. *სპილო თავის მტერს... როცა ძირს დასცემს, თავისი ღონიერი ფეხებით შედგება და სულ დაჰყლიტავს* _ ი. გოგებ.).

შე-დგება (1. რამეზე დადგება, ზედ ავა და დადგება. // აიმართება, დადგება. 2. შესდგება დადგება, შეადგება, 3. მოძრაობას შეწყვეტს, _ გაჩერდება, შეჩერდება, დადგება ფეხსაცმელზე (ჩექმაზე, ქოშებზე...), ქუსლიან ფეხსაცმელს, ჩაიცვამს...). *[ეონა] შემდგარიყო კვერზე _ ვ. ბარნ.*)

შე-აწვდება//შესწვდება (შეწვდება არ არის):

შე-აწვდება (იგივეა, რაც შესწვდება).

შე-ს-წვდება (1. მაღლა მისწვდება, _ ასწვდება. 2. მოადგება, მოუვა, მოეყრება (წყალი...). 3. გადატ. მისწვდება, ჩასწვდება, გაუგებს. *კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო _ ანდაზა.*)

შე-წყდება _ შეაწყდება//შესწყდება:

შე-აწყდება (1. დამაგრებული, მიკვრებული ასძვრება, მოსწყდება, შესწყდება. 2. შეაკვდება მრავალი (ბრძოლაში). *ფიგურ. [მერცხალმა] ფრთები დაუშვა, ჭიკჭიკი უცხად შეაწყდა ენაზე, დაეცა უხმოდ, უსულოდ გულადმა დაბლა კერაზე _ შ. მღვიმ.*)

შესწყდება (მოსწყდება, მოსცილდება, მოეგლიჯება, მოაწყდება, შეაწყდება. *პალტოზე ღილი შესწყდა.*)

შეწყდება (დენას შეწყვეტს (წყალი, სისხლი...), _ შეჩერდება. || მიჩუმდება (ხმა...). || მოთავდება, დასრულდება. *სისხლი შეწყდა და ელგუჯა ტკივილს ვეღარ გრძნობდა _ ა. ყაზბ.*)...

საინტერესოა სხვა ზმნისწინიან და ა- მაქცევრიან ფორმათა განხილვაც:

გა-: გა-ა-ყოლებს (1. თან გაატანს, გაადევნებს, _ აახლებს. // მიაყოლებს, დააყოლებს. 2. რაიმეს გასწვრივ გაატარებს, გაავლებს, გაამწკრივებს. 3. ძვ. ცოლად შეირთავს, ცოლად გაატანს, მიათხოვებს. *ყმაწვილს რომ კაკალს მისცემ, იმის გასატეხიც უნდა გააყოლოო _ ანდაზა.*) შდრ.:

გა-ი-ყოლებს (წავა თან წაიყვანს, თან იახლებს; თან წაიღებს // მიმდევრად გაიხდის. *მე წინ წავედი დასაზვერად, მირინოვიც თან გავიყოლე _ მიხ. მრევლ.*);

მი-: მი-ა-კარებს (შეახებს, ოდნავ ახლებს. || მიუშვებს, _ გააკარებს. *ქალები... თოფის წამალივით იფეთქებენ, თუ ერთი ხელი მიაკარე! _ ა. ცაგარ.*). შდრ.:

მი-ი-კარებს (1. მიაკარებს თავისას, _ მიიდებს, იხლებს. 2. თავისთან ახლოს მიუშვებს, _ გაიკარებს. [ჩალხო] ჭრილობაზე არავითარ წამალს არ მიიკარებდა _ ვაჟა.);

მი-ა-ყოლებს (1. თან მიადევნებს (ერთ რასმე მეორეს, ერთ მოქმედებას მეორეს...), უკან გააყოლებს (რასმე...). 2. გააყოლებს, მიადევნებს (თვალს). 3. საუბ. დააყოლებს, დაატანს (სიტყვას). || ააყოლებს, შეუწყობს (ხმას). 4. თან შეატანს, თან მიატანს (შესაჭმელს ან შესასმელს რასმე). 5. ატარებს აქედან იქით (რისამე კეთებით; მაგალითად, მოვნიტ...) 6. საუბ. მიარტყამს ზედიზედ. სპირიდონმა მიაგება [ძაღვს] მეორე ტყვია, მიაყოლა მესამეც _ ე. ნინოშ.). შდრ.:

მი-უ-ყოლებს: (იხ. მიაყოლებს. მე დამკარით!... თქვა რა ეს [ჩალხომ], თან მიუყოლა მათრაბიც _ ვაჟა.);

მი-ი-ყოლებს (მივა, თან მიიყვანს; თან მიიტანს. ხოშია და მისი მაზლი რაიბული გაემგ ზავრნენ მოყვრებში... ამათ თან მიიყოლეს შუაკაცი ბერიძე _ ვაჟა);

შემო-: **შემო-ა-ყოლებს** (1. გარშემო მოაყოლებს, _ შემოავლებს. არშიას შემოაყოლებს. _ ვით საქორწილო ქამარი, წელზე შემარტყეს ხიდები. ჯებირიც შემომაყოლეს, მითხრეს ნუ აგვიხირდები _ ი. ნონეშ. 2. რისამე გასწვრივ ამოატარებს, _ ამოაყოლებს...). არშიას შემოაყოლებს. _ საქორწილო ქამარი, წელზე შემარტყეს ხიდები. ჯებირიც შემომაყოლეს, მითხრეს ნუ აგვიხირდები _ ი. ნონეშ.). შდრ.:

შემო-ი-ყოლებს (1. ირგვლივ მოიყოლებს, _ შემოივლებს. 2. შემოვა და თან შემოიტანს (შემოიყვანს). შემოეყუდა კარებში ბიძა-ჩემი და თან ჩულიანი თოფი შემოიყოლა _ ვაჟა).

წამო-: **წამო-ა-ყოლებს** (თან მოადევნებს, გამოაყოლებს. აგერ ოთხი კაცი წამომაყოლეს _ მოთხარეთ, დაიჭირეთ და ისე გადაახდევინეთო _ ე. ნინოშ.). შდრ.:

წამო-ი-ყოლებს (თან წამოიყვანს, იახლებს; თან წამოიღებს, _ გამოიყოლებს. წავიდეთ, გენაცვალე, წავიდეთ!@ ჩემ პატარა პავლეს წამოვიყოლებ მეურმედ _ ს. მგალობ.).

2. ა- წარმოქმნის პირდაპირ ობიექტურ პირს (აღნიშნავს გარდამავლობას):

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ა- აწარმოებს გარდამავალ ზმნებს. მაგალითად: *წუხს _ აწუხებს, თბება _ ათბობს...*

ბ. ჯორბენაძეს ა- პრეფიქსის ამგვარი ფუნქცია მოჩვენებითად მიაჩნია: ეს არის ფორმათა მიმართების კერძო შემთხვევა, სადაც ფუნქციის მიხედვით ამ ფორმათა დასაპირისპირებლად სინამდვილეში თვით ყალიბებია გამოყენებული და არა ა- პრეფიქსი. იგი აქ ისევე ვერ აწარმოებს გარდამავალ ზმნას, როგორც _ სხვა შემთხვევაში. მეცნიერის აზრით, ამის დასადასტურებლად აუცილებელია რამდენიმე მომენტის გათვალისწინება:

ა) ქართულში ბევრია ამ სახის პარალელური ფორმა, რომლებიც ორივე შემთხვევაში გარდამავლობის სემანტიკას გამოხატავენ და ფორმოებრივ კი ა- პრეფიქსის მქონებლობა-უქონლობით უპირისპირდებიან ერთმანეთს: *წერს _ ა-წერს, ხატავს _ ა-ხატავს, ჭრის _ ა-ჭრის... ყვედრის _ ა-ყვედრის, გზავნის _ ა-გზავნის... ს-ტკენ-ს _ ა-ტკენ-ს... ცდ-ი-ს _ ა-ცდ-ი-ს...*

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამგვარ შეპირისპირებას სხვადასხვა ახსნა ეძებნება: ა-წერს, ა-ჭრის, ა-ხატავს ტიპის ფორმებში გამოვლენილი ა- პრეფიქსი საზედაო სიტუაციის (სუპერესივის) ფორმანტია; ს-ტკენ-ს _ ა-ტკენ-ს ტიპის მიმართება ზმნას დროის თვალსაზრისით განასხვავებს: პირველი აწმყოა, მეორე _ მყოფადი; ცდ-ი-ს _ ა-ცდ-ი-ს უკვე ლექსიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ა- აქ სიტყვაწარმოებითი დანიშნულების პრეფიქსად უნდა იქნეს მიჩნეული (ჯორბენაძე 1983: 42-44).

მ. მაჭავარიანის აზრით, პირდაპირი ობიექტის წარმოქმნა არის არა მხოლოდ პარადიგმატული მოვლენა, არამედ სინტაგმატურად გაპირობებული გრამატიკული პროცესი: გარდაუვალი ზმნა + კაუზატივის პირველი საფეხური + ა- მაქცევარი. ყველა სხვა შემთხვევაში მაქცევრის დართვა ან მაქცევრების გარკვეული სახის მონაცვლეობა წარმოქმნის ირიბ იბიექტს (მაჭავარიანი 1980: 44).

მ. დამენია მიიჩნევს, რომ ა- ხმოვანი ქართულ ზმნაში პირიანობის გამზრდელი ფორმალური ელემენტია და ამიტომ გვხვდება იგი საზედაოს, გარდამავლობის,

მოქმედებითობის, კაუზატივის წარმოების შემთხვევაში, ე.ი. ა- პრეფიქსული ხმოვანი მხოლოდ პირისადმი მიმართებას აჩვენებს (დამენია 1982: 127-128).

3. ა- გამოხატავს საზედაო სიტუაციას:

სიტუაცია (მდებარეობა) არის ორგვარი: მითითებული და მიუთითებელი. მითითებული სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაზედმე, ამიტომ ასეთ ფორმას საზედაოს უწოდებენ (ტერმინი “საზედაო” ა. შანიძის შემოღებულია). საზედაო სიტუაციის (სუპერესივის) ნიშანია ა- პრეფიქსი, რომელიც ზმნას აქვს I-სა და II სერიაში. საზედაო სიტუაცია შეიძლება გვექონდეს გარდამავალ ზმნებში და გარდაუვალთაგან მედიაქტივებსა და სტატიკურებში (*აწერს ის მას მას, ადგას ის მას, აყრია ის მას*).

მიუთითებელ სიტუაციას სათანაო სიტუაციას უწოდებენ. იგი საზედაოსაგან უნდა მომდინარეობდეს ხმოვნის ამოღების ნიადაგზე: *მიაწერა – მისწერა, მოაწყდა – მოსწყდა* (ფეიქრიშვილი 1992: 207-208).

სიტუაციისა და ქცევის კატეგორიის განხილვისას ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ორივეს შორის არის ერთგვარი მსგავსება: საზედაოს ნიშანია პრეფიქსი ა-: *აწევს*; ასეთივე პრეფიქსი მოუდის საარვისო ქცევის მეორეულ ზმნებს, ნასახელარსა (*შავ-ი – ა-შავ-ებ-ს*) თუ ნაზმნარს (*წევს – აწვენს*). ა- პრეფიქსი ერთი და იმავე ხასიათის მოვლენას არ ასახავს: *ი-წერს, უ-წერს* ძირეული, ამოსავალი ფორმის (*წერს*) პირდაპირ ობიექტს კუთვნილება-დანნიშნულების მიხედვით უპირისპირდება, ხოლო *ა-წერს* ფორმა – მოქმედების ლოკალიზაციის მიხედვით ირიბ ობიექტს (შანიძე 1980: 375).

არნ. ჩიქობავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ: “კუთვნილებას არ გადმოგვცემს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობას (სივრცეში განლაგების მხრივ) ახასიათებს ა- თავსართიანი წარმოება: *ადევს ის მას (მხარზე), აწევს ის მას (გულზე), ახატავს ის მას (კედელზე)* და სხვ. (ჩიქობავა 1950: 59).

ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ ა- პრეფიქსიანი ფორმების ერთ ნაწილს უნარი აქვს გამოხატოს, რომ მოქმედება ხდება (ან უკვე მოხდა) რაიმეზე. ეს კარგად ჩანს შესაბამის ფორმათა განმარტებიდან: შდრ.: *წერს* = ასოების საშუალებით გამოხატავს, გადმოსცემს

(სიტყვას, რაიმე შინაარსს, აზრს...) – **ა-წერ-ს** = ზედ წერს, წერს რამეზე... მოცემულ შემთხვევაში **ა-** პრეფიქსი გამოხატავს საზედაო სიტუაციას (ჯორბენაძე 1983: 51-53). შესაძარებლად წარმოვადგენთ სხვადასხვა ზმნისწინის მქონე **ა-** პრეფიქსიან ფორმებს:

და-ა-წერ-ს (ზედ დაწერს, დაწერს რამეზე, წააწერს...);

მი-ა-წერ-ს (1. ზედ დააწერს, რისამე ბოლოში ან კიდეზე წააწერს. 2. ვისმე ან რასმე დაუკავშირებს (რასმე); ჩათვლის (რისამე მიზეზად), დააბრალებს. || გადატ. მიაკუთვნებს (აზრს, ნათქვამს ...ვისმე). 3. იგივეა, რაც მიამაგრებს. 4. რაიმე მიზნისათვის სპეციალურ სიაში შეიტანს, მიამაგრებს. 5. თვლის, აბრალებს);

მო-ა-წერ-ს (რაიმე ტექსტის ბოლოში დაწერს (ხელს მოწერს);

ჩა-ა-წერ-ს (რამეში ჩაწერს);

შე-ა-წერ-ს (გადასახადს, გამოსაღებს დაუწესებს, დაავალდებულებს, მიაწერს, დაბეგრავს, // განსაზღვრულ მოვალეობას დააკისრებს, დაავალბებს;

ჩამო-ა-წერ-ს (ჩაუთვლის კანონიერად დახარჯულად (რაიმე თანხას, ღირებულებას...)). *[ოთარაანთ ქვრივი მესამე ქისაში] ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა – ილია).*

ამათგან საზედაოს ფუნქციას არსებითად ერთადერთი ფორმა – **და-ა-წერ-ს** გამოხატავს, **მი-ა-წერ-ს** ფორმისათვის ეს მნიშვნელობა ერთ-ერთია და ისიც არა ძირითადი. ყველა სხვა შემთხვევაში სულ სხვა ფუნქციები გამოიხატება. ამას ახდენს ზმნისწინი და დამატებითი კონტექსტი.

ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში საზედაოს გამოხატავს **ა-** ერთი და იმავე ზმნისწინისა და ფუძის ფარგლებში:

გადა-: გადა-ა-ღებს (ზევიდან დაადებს (ვისმე, რასმე). შდრ.: *ზღვის იქიდან ...ორი მტრედი მოფრინდა, ნისკარტი ნისკარტს გადაადევს... და ...ორივეს დასთვლიმა – ვაჟა*). შდრ.:

გადა-ი-ღებს (გადადებს თავისას, თავისთან ან თავისაზე, – თავისთვის გადაიღებს. || გადაიკიდებს, გადაიგდებს (მხარეზე). *[მანდილოსნებს] მკლავებზე გადაედოთ თეთრი დაკეცილი მანდილები – მელან.*);

გადა-უ-დებს (გადადებს მისას, მისთვის ან მასთან, _ მიაწვდის, მიაწოდებს, || შეუწახავს, გადაუწახავს. || სხვა დროისათვის გადაუტანს, ვადას გადაუწევს. *იქნებ კიდევ ცოტა ხნით გადაგვიდონ ფულის შეტანა* _ ნ. ლორთქ.).

და-: **და-ა-თლის** (1. თლით ააცლის, _ მოათლის ბევრს. 2. დაჭრის ისე, რომ რასმე ზედ დააყაროს, რისამე ზევიდან დააჭრის. *რომ შეხედავდი, იტყოდი, თითო ლუკმობით რომ დაათალა ხორცი, ამას მაინც არ ეტკინებაო* _ ე. ნინოშ.). შდრ.:

და-ი-თლის (დათლის თავისას ან თავისთვის);

და-თლის (1. გათლის ბევრს. 2. თხელ ნაჭრებად დაჭრის (ყველს და სხვ.). *დავთალე ხეები* _ ე. ნინოშ.);

და-უ-თლის (დათლის მისას ან მისთვის, _ გაუთლის ბევრს. *ფიცრები დაუთალა*).

ისეთ შემთხვევაში, როცა ზმნური ფუძე ისედაც გულისხმობს საზედაოს სიტუაციას, ა- მაქცევრის დართვა ორმაგ საზედაო სემანტიკას გამოხატავს. მაგალითად:

და-დებს (1. რამეზე მოათავსებს, მდებარე მდგომარეობას მისცემს. *საქონელმა თქვა: ერთი გვერდი დამიპეს, მეორეზე დამდევი, მაინც გავიყიდებიო* _ ძველი ანდაზა). შდრ.:

და-ა-დებს (1. რისამე ზევიდან დადებს, რამეზე დადებს, მოათავსებს. || ზედ დადებს, დააფენს. 2. შეაწერს (გადასახადს...); დააკისრებს გადახდას (ბეგარისა, ჯარიმისას და მისთ.). 3. გამოუტანს, გადაუწყვეტს (სასჯელს და მისთ.); დაუწესებს, დაუნიშნავს (ფასს...); დაასვამს, დააჩნევს (ნიშანს...). 4. დაუმატებს. 5. საუბ. ჩაართყამს, ჩასცხებს. *საფლავს ზევიდან დიდი ლოდი დაადვეს*);

და-ი-დებს (დადებს თავისას ან თავისთვის; დადებს თავისაზე. || დაიფენს. *ზაქარამ... გაბრაზებით დაიდო ხანჯალზე ხელი* _ ნ. ლომ).

და-უ-დებს (1. დაადებს მისას ან მისთვის, დადებს მოათავსებს მათთან ან მის წინ. 2. ზედ დაადებს, დატვირთავს. 3. გადატ. დაუწესებს, დაუნიშნავს, განუსაზღვრავს (ვადას, წესს...). 4. მისცემს (პირობას, აღქმას...). *კირსა პიტნა სძულდა, მოუტანეს, წინ დაუდესო* _ ანდაზა);

საზედაო რომ მოქმედი ფუნქცია იყოს ა- პრეფიქსისათვის, ასეთი სემანტიკური გადააზრიანება შეუძლებელი იქნებოდა. თუ ა- საზედაოს ფორმანტია, იგი უმეტეს

შემთხვევაში მაინც ამ ფუნქციით უნდა გამოიყენებოდეს. არის კი პირიქით: ხშირად ა-პრეფიქსს არაფერი აქვს საერთო საზედაოს სემანტიკასთან: **ა-ბარებს, ა-თხოვებს, ა-რიგებს...** რომ არაფერი ვთქვათ **ა-შენებს, ა-კეთებს, ა-ლამაზებს...** ტიპის ფორმებზე. კიდევ არის აღნიშნული, რომ “საზედაოს კატეგორია სუსტად არის გამოხატული ქართულში” (შანიძე 1980: 373; ჯორბენაძე 1983: 51).

4. ა- ახდენს კაუზაციას:

კაუზატივის კატეგორიის განმარტებაში ენათმეცნიერთა ერთსულოვნება არ არის. ხშირად კაუზაცია გატოლებულია გარდამავალ ზმნათა წარმოებასთან, მაგალითად: **თბება – ათბობს, თეთრი – ათეთრებს...** საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კაუზატივი წარმოადგენს მიზეზობრივ განპირობებულობას, ე.ი. მოქმედების შესრულებას არა ნებელობით, არამედ სხვისი მიზეზით (დავალებით, იძულებით, შემწეობით, თხოვნით).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ მოქმედებითი გვარი მეორეულია, ე.ი. მოქმედებითი გვარი ნაწარმოებია; წარმოებისათვის ამოსავალია სტატიკური ზმნა. ნაწარმოებლად იმგვარივე თავსართი და ბოლოსართი უნდა გვქონოდა, როგორც კაუზატივებშია გამოყენებული: მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო. ავტორი საილუსტრაციოდ ასახელებს **წუხს** და **ა-წუხებს** ზმნათა მიმართებას (ჩიქობავა 1950: 59-61).

ზოგიერთ დეფინიციაში ა- წარმოდგენილია, როგორც კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) სპეციალური ფორმანტი. ასეთ ფორმებად მიჩნეულია: **ა-ტირებს, ა-მღერებს, ა-დუმებს, ა-დგენს, ა-ჩენს** ტიპის ზმნები (ჯორბენაძე 1983: 48).

იმავე მოსაზრებას იზიარებს თ. უთურგაიძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ კაუზატივებს აწარმოებს ა- პრეფიქსიც, რომელიც შეიძლება გართულებული იყოს სპეციალური სუფიქსებით, როგორიცაა: **ინ-, -ევინ, -ებინ** და სხვა. კაუზაციური პასივები იწარმოება კაუზაციურ აქტივებთან კონვერსიის პრინციპითა დაცვით: **ახატვინებს – ეხატვინება, აშავებინებს – ეშავებინა, აწვალვინებს – ეწვალვინა** და სხვა (უთურგაიძე 2002: 113).

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, კაუზალურ ფორმებში სათავისო და სასხვისო ქცევის გამოხატვა ძალზე იშვიათია და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ორიოდ მაგალითით ამოიწურება. ამ შემთხვევაში უპირატესად აღწერითი ფორმები გამოიყენება: “გააკეთებინებს” მაგრამ: არა “გაუკეთებინებს”, არამედ: “აიძულებს (დაავალებს) გაუკეთოს” და ა. შ. (ჯორბენაძე 1995: 72).

ლ. ციხელაშვილს აუცილებელ პირობად მიაჩნია, რომ კაუზატიურ ზმნებში მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი სულიერი იყოს. სწორედ ამგვარ ობიექტს ძალუძს როგორც ნებელობითი (იცინის, წერს), ისე მიზეზობითი (აცინებს, აწერინებს) მოქმედების შესრულება. მისთვის კაუზატივია მხოლოდ ის გარდამავალი ზმნები, რომლებიც კაუზატივის პირობას ასრულებენ, ე.ი. რომელთა ობიექტიც სულიერია: აწუხებს, ახტუნებს, ამუშავებს, ალოცებს... ასევე ა- პრეფიქსით მარკირებული სამპირიანი ზმნებიც: მო-ა-გონა, ა-თაყვანა, გა-ა-სინჯა... იგი კაუზატივად არ მიიჩნევს ფორმებს: აშენებს, ათეთრებს, ანგრევს... (ციხელაშვილი 1997: 79).

ლ. ციხელაშვილის აზრით, ინვარიანტულ მნიშვნელობას წარმოადგენს ობიექტზე (პირდაპირსა და ირიბზე) მინიშნება. სხვა დანარჩენი მნიშვნელობები ვარიანტული ან კონკრეტულ-კონტექსტური მახასიათებლებია. იგივე ფუნქცია ექნება მას სემანტიკურ (ა-ცინებს, ა-ხტუნებს...) თუ მორფოლოგიურ (ა-წერინებს, ა-თქმევინებს...) კაუზატივებში. სემანტიკურში ა- პირდაპირი ობიექტის ნიშნად ჩაითვლება, მორფოლოგიურ კაუზატივებში კი – ირიბი ობიექტის ნიშნად, ვინაიდან ამოსავალი ზმნა პირდაპირ ობიექტს უკვე შეიცავს.

ა- პრეფიქსი კაუზატივის მორფოლოგიურ სახეს არ წარმოადგენს. ეს ფუნქცია -ინ, -ევინ სუფიქსებს აკისრიათ. მორფოლოგიური კაუზატივი ნიშნავს ზმნაში არა ობიექტის სასიგნალო ნიშნის არსებობას, არამედ მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი პირის მიერ საკუთარი მარკირების გაჩენას (ციხელაშვილი 1997: 85).

თ. უთურგაიძეს მიაჩნია, რომ პირველადი კაუზაციის ფორმათა სპეციფიკა ნეიტრალური კაუზაციის ფორმებთან შედარებით ის არის, რომ მათ განსხვავებული შემსრულებლები ჰყავთ: ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევის ფორმებში

სუბიექტი ინიციატორიც არის და შემსრულებელიც. პირველადი კაუზაციის ფორმებში კი სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია, შემსრულებელი ქმედებისა (ეგზეკუტორი) კი პირდაპირი ობიექტია: ნეიტრალური კაუზაცია: *ის წერს განცხადებას*; პირველადი კაუზაცია: *ის აწუხებს ამხანაგს*.

მეცნიერის აზრით, ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის ფორმათა შორის სხვაობას ქმნის შემსრულებელი პირის განაწილება. ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის ფორმები ერთიმეორისგან არ მიიღება, მაგრამ ორივესგან შეიძლება ვაწარმოოთ მეორადი კაუზაციის ფორმები. მაგალითად: *წერს – აწერინებს, აწუხებს – აწუხებინებს... მაციებს* ტიპის ზმნებში ეგზეკუტორი პირდაპირი ობიექტია (*გააცივა, ააკანკალა... ის*). შდრ.: *მათოვს, მაწვიმს* უსუბიექტო ზმნები – ესენი ა- პრეფიქსით გამოხატავენ საზედაო სიტუაციას და არა კაუზაციას. მათაარც ა- – ებ წარმოება აქვს აწმყოში და არც პირდაპირი ობიექტი (უთურგაიძე 2002: 141-144). მაგალითად:

გამო-კიდებს (გარეთ გამოიტანს და დაკიდებს, გარეთ დაკიდებს. *გალია დერეფანში გამოკიდა. – ჩურჩხელები აივანზე გამოკიდა*). შდრ.:

გამო-ა-კიდებს (უკან დაადევნებს, – გამოადევნებს. მდევარი გამოაკიდეს). ა-ს ამ ზმნაში კაუზატივის სემანტიკა შეაქვს. აქ სუბიექტი მაორგანიზებელია (ეგზეკუტორია). მოცემულ შემთხვევაში ა- ახდენს სუბიექტის დემონსტრირებას.

5. ა- მთლიანად ცვლის სემანტიკას, აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულს:

მ. მაჭავარიანის მიხედვით, ქცევის გრამატიკული კატეგორია განასხვავებს: 1) ზმნის გრამატიკულ დერივაციას, რომელსაც დერივანტებში ახალი მნიშვნელობის გაჩენა და ზმნის ვალენტობის შესატყვისი კლება-მატება შეესაბამება; 2) ზმნის კატეგორიულ დერივაციას, რომელსაც მოსდევს მნიშვნელობის შესაბამისი ცვლა, მაგრამ ზმნის ვალენტობა უცვლელი რჩება; 3) კონვერსიულ-ინვერსიულ გარდაქმნებს, რომელთაც ინვარიანტული სემანტიკა აქვთ. მეცნიერი ქცევის კატეგორიას მიაკუთვნებს გრამატიკული დერივაციის პირველ ტიპს, ასპექტის კატეგორიას – მეორე ტიპს, გვარის კატეგორიას – მესამე ტიპს (მაჭავარიანი 1987: 5).

ც. კვანტალიანს მიაჩნია, რომ ზმნისწინი ზოგიერთ ზმნასთან მნიშვნელობებს ქცევის მიხედვითაც განასხვავებს. იგი მაგალითად ასახელებს **გებ-** ზმნურ ფუძეს: *ამო-ა-გებ-ს ღომს _ ამო-ი-გებ-ს საბანს _ ამო-უ-გებ-ს საბანს*. მნიშვნელობით ეს ფორმები განსხვავებულია. ქცევის შეცვლამ გამოიწვია **ამო-** ზმნისწინის მნიშვნელობის შეცვლა. ნეიტრალური ქცევის ფორმა ძირითადად გამოიყენება “სიღრმიდან კიდეებზე ამოყოლებით ამოიღებს, ამოაფენს” მნიშვნელობით. მაგალითად: *ამოაგებს ღომს*. საობიექტო და სასუბიექტო ქცევის _ *ამოიგებს* და *ამოუგებს* ფორმები კი იხმარება “ქვეშ დაიღებს” მნიშვნელობით. ქცევის მიხედვით მნიშვნელობის ცვლა განპირობებულია როგორც ზმნისწინის, ასევე ზმნის მნიშვნელობით. **მოგება** აქეთ “მოემართება”, ხოლო, თუ იქით “გაემართება”, მაშინ ეს პროცესი არც **მო-** ზმნისწინით გადმოიცემა, ქცევის ფორმაც სხვა იქნება და, შესაბამისად, მნიშვნელობაც განსხვავდება. ეს განსხვავებული მნიშვნელობა კი **წა-** ზმნისწინით გადმოიცემა. **წა-ა-გებს** _ ზარალს ნახავს, იზარალებს, დამარცხდება. ამ მნიშვნელობით მხოლოდ **წა-** ზმნისწინი იხმარება, ისიც მხოლოდ ნეიტრალური ქცევის ფორმით. ქცევა ასხვავებს მნიშვნელობას და ქცევის ეს განსხვავებული მნიშვნელობები ერთი ზმნისწინის ფარგლებში ვერ მოთავსდება (კვანტალიანი 2001: 65-67). ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ სხვა მაგალითებს:

ა-: ა-ა-ჩენს (გაუჩენს, დამართებს. *[ეშმაკმა] გლახას ვერაფერი დააკლო, ხოვდავარი და დაკუნკა გააგიჟა, ააჩინა ბნედა _ ზღაპ.*) შდრ.:

ა-ი-ჩენს (1. შეიძენს, გაიჩენს, 2. ამოირჩევს, შეიგულებს. *მუშტარი ბევრი აიჩინა ქალაქში _ ეკ. გაბ.*);

ა-უ-ჩენს (ააჩენს მისას ან მისთვის, _ გამოუძებნის, მოუნახავს, გაუჩენს, შესძენს. *ალექსანდრას მე ავუჩინე საქმრო, საუცხოო ყმაწვილი კაცი _ ლ. არდაზ.*);

ა-ჩენს (1. წარმოშობს, ბადებს, შექმნის. 2. დასანახს ხდის. 3. სტოვებს კვალს);

გა-: გა-ა-წერს (გადასახადს გაანაწილებს მოსახლეობაზე, შეაწერს. *კანონმდებელი კრება ხარჯს არ გააწერსო _ ი. მაჭავ. თარგმ.*). შდრ.:

გა-წერს (1. საუბ. (გაზეთში) გამოაქვეყნებს, დაბეჭდავს, მოათავსებს (რამეს, ვინმეს შესახებ) 2. იხ. ჩაწერს (საბინაო დავთარში). 3. (საავადმყოფოდან) გაუშვებს (ავადმყოფს), გამოწერს. 4. იგივეა, რაც გააწერს, შეაწერს. *გაზეთში გაწერს*);

გა-ი-წერს (გააწერს თავის თავს, გადასახადს დაიდებს, შეიწერს. ...*იმისათვის გაიწერა თავის ნებაყოფლობით [გლეხკაცობამ] პური, რომელიც ფულად უნდა იქცეს და ფული მოხმარდეს მიწადმოქმედების განკარგებას* – ილია);

გადა-: გადა-ა-ცლის (ზედაპირს გადაადრობს, – აადრობს, ააცლის; მოაშორებს. *საღებავი გადააცალა, – ხორბალი უნდა ჩაჩეჩქოთ ისე, რომ პურის მარცვალს სულ გადააცალოთ* – ბ. ჯორჯ.). შდრ.:

გადა-ცლის (ერთი რამიდან (ურმიდან, ჭურჭლიდან და სხვ.) მეორეში გადატვირთავს, გადაიღებს, გადაასხამს. || დაღვეს, გამოცლის (ჭიქას...). ღვინო ქვევრში გადაცალა. – ურემი გადაცალეს);

გადა-უ-ცლის (გადაცლის მისას ან მისთვის);

მი-: მი-ა-წოდებს (1. მისცემს ხელში, – გაუწოდებს, მიუშვერს. || მისთავაზებს. *გიგოლას ქალმა ჯიხვით ღვინო მიაწოდა* – ვაჟა 2. მიუტანს, მიუზიდავს. || რამეთი მოამაგრებს. 3. სპორტ. ესვრის, გადაუგდებს, გადააწოდებს (პარტნიორს). შდრ.:

მი-უ-წოდებს (მიიხმობს, მიიწვევს. *[ციხელს] ალბათ მოთმინება გაუწყდა და თავადვე მიგვიწოდა თავისთან* – ვაჟა);

მო-: მო-ა-ყოლებს (1. ირგვლივ მოავლებს. 2. თან მოადევნებს (ერთ საგანს მეორეს, ერთ მოქმედებას მეორეს...), უკან გამოაყოლებს (რასმე). 3. გამოაყოლებს, მოადევნებს (თვალს). 4. გამოატარებს, გამოაყოლებს (ბადეს – წყალს). 5. საუბ. მოარტყამს. 6. რამეში მოაქცევს, მოამწყვდევს). შდრ.:

მო-ი-ყოლებს (1. მოვა და თან მოიყვანს; მოვა და თან მოიტანს. 2. მოიქცევს. *ხელგარიელი წამოვა [მინდია], ვერ მოიყოლებს შეშასა* – ვაჟა);

მო-უ-ყოლებს (მოუყოლებს მისთვის. *[ჩაღხო მტერს] გადალოშნიდა... და მოუყოლებდა თანაც სიმღერას* – ვაჟა);

შე-: შე-ა-ყენებს (1. სვლას, სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს, _N გააჩერებს, დააყენებს. || შეაჩერებს, შეწყვეტს (დენას...). *მეურმემ დაიძახა, ურემი გატყდაო, ყველანი შეგვაყენეს* _ ილია. 2. დააყენებს რაიმეზე. 3. ააშვერს, ააბზეკს. [*ძაღლმა*] *ტანზედ ბალანი აუშვა, კუდი მაღლა შეაყენაო* _ ბაჩ. 4. შეაგროვებს, შეაჯამებს, შეადგენს. *ერთი-ორობით რვა შეაყენაო* _ ილია). შდრ.:

შე-უ-ყენებს (შეაყენებს ზმნისა _ შეაყენებს მისას ან მისთვის; 1. ქვევიდან შეუდგამს, შეუბჯენს. *ვანომ... საკენკზე წამოაყირავა ცხრილი, რომელსაც ქვევიდან ჯოხი შეუყენა დასამაგრებლად* _ ი. გოგებ. 2. გაუყენებს ქვევიდან ზემოთკენ, შეაყოლებს, 3. შეუჩერებს, შეუწყვეტს. *არემარეს გავაბრუებ, წყლებსაც შევუყენებ დენას* _ აკაკი. 4. შეუდგენს (საქმეს...). *წამიყვანეს, შემიყენეს... [ოქმი], მცემეს* _ ჭ. ლომთ. 5. გადატ. შეუჩენს, მიგზავნის).

ამო-: ამო-ა-ღებს (ზევიდან მდგომი გააღებს თავისკენ (კარს). *სარდაფში ჩასასვლელი კარი ამოაღო და კიბით ჩავიდა*). შდრ.:

ამო-ი-ღებს (1. რამეში მოთავსებულს, ჩადებულს აიღებს; სიღრმიდან რასმე აიღებს, ამოიტანს. 2. ამოაგდებს (ნახველს). 3. ამოთხრის (მიწიდან). || ამოაძრობს (ჩარჭობილს). || ამოიძრობს და ამოაძრობინებს (კბილს). *ამოიღო წმინდა ტილოს ხელსახოცი* _ ილია);

ამო-უ-ღებს (ამოიღებს მისას (ან მისგან), _ ამოაცლის. || ამოიღებს მისთვის. *ჭრილობიდან ტყვია ამოუღო. _ გაუსინჯა მტკივანი ფეხი, ამოუღო ეკალი და შეუხვია წყლული* _ აკაკი).

ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ა- ფუნქციურად საკმაოდ მდიდარია, მაგრამ, როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: ა- პრეფიქსიანი ფორმა, როგორც მთლიანობა, ნაიგვარ მნიშვნელობას იღებს სხვადასხვა კონტექსტში. თვით ა- ან არ იცვლის თავის ფუნქციას, ან უფუნქციოდ რჩება. მაგალითად: **ა-თხოვა** (აქ ა-გამოხატავს რელაციას ირიბი ობიექტისადმი) _ **გა-ა-თხოვა** (აქ ა- უფუნქციოდ დარჩა, კონტექსტით არ ივარაუდება ირიბი ობიექტი. შდრ.: **მი-ა-თხოვა** _ აქ აღდგა ირიბი ობიექტი). მაშასადამე, ა- პრეფიქსის ფუნქციური ლაბილურობა კონტექსტით არის შეპირობებული და არა საკუთრივ მისი ნაირგვარი ფუნქციით.

კონტექსტმა კი ერთსა და იმავე ფორმას შესაძლოა სხვადასხვა მორფოლოგიური და სინტაქსური სტატუსი შესძინოს (ჯორბენაძე 1983: 42).

ნაკლებად, მაგრამ მაინც განსხვავებულ სემანტიკას ქმნის *ი-* და *უ-* მაქცევრებიც, კიდევ უფრო ნაკლებად – *ე-*.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია *ი-* პრეფიქსის რამდენიმე ფუნქცია: 1. მოქმედებითი გვარის ზმნის ყალიბებში *ი-* არის სათავისო ქცევის ნიშანი: *ვ-ი-შენებ, ი-შენებ, ი-შენებს...* 2. ობიექტური წყობის I და II პირის ფორმებში – სასხვისო ქცევის ნიშანი: *მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს...* 3. ზოგჯერ *ი-* პრეფიქსი გამოხატავს მომავალ დროს: *ბიბინებს – ი-ბიბინებს...* 4. *ი-*ს აქვს უკუქცევითობის ფუნქცია: *იბანს, ივარცხნის...*

ა. შანიძის აზრით, “სასხვისო ქცევას პირველსა და მეორე პირში იგივე მაქცევარი აქვს, რაც სათავისოს, სახელდობრ *ი-*, ამიტომ აქ ისინი ერთი-მეორისგან გარეგნულად არ განსხვავდებიან და მხოლოდ აზრით შეგვიძლია გავარჩიოთ...” (შანიძე 1981: 385-386).

ამ მოსაზრებისაგან განსხვავებით, ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ სათავისო და სასხვისო ქცევის *ი-* პრეფიქსი ერთი ფუნქციისაა არა მხოლოდ წარმომავლობით, არამედ თანამედროვე ქართულშიც. მას ერთი და იგივე დანიშნულება აქვს, მაგალითად, ზმნებში: *ვ-ი-შენებ მე მას* იგივეა, რაც *ვ-ა-შენებ მე მას* ჩემთვის, ანდა *ვ-უ-შენებ მე მას* ჩემს თავს, ე.ი. *ვ-ი-შენებ = ვ-ა-შენებ* ჩემთვის; ან მდგომარეობის გამომხატველ ფორმებში: *ი-გლოვს, ი-ცინის, ი-ღიმის...*

ა. შანიძე ეხება კაუზატივის საკითხსაც და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ კაუზატივს, საერთოდ, იშვიათად ეწარმოება სათავისო (სასუბიექტო) ქცევის ფორმები. ხშირად სხვაობა კუთვნილების აღმნიშვნელ კაუზალურ და არაკაუზალურ ფორმებს შორის მხოლოდ ფორმობრივია, მნიშვნელობის თვალსაზრისით ისინი ერთსა და იმავეს გამოხატავენ: *გული გა-ი-ტეხ-ინ-ა* იგივეა, რაც *გული გა-ი-ტეხ-ა, ფოთლები გადა-ი-ყრ-ევინ-ა* იგივეა, რაც *ფოთლები გადა-ი-ყარ-ა...* (შანიძე 1980: 365-366).

ზოგჯერ *ი-* პრეფიქსი მომავალ დროს გამოხატავს: *ი-ბიბინებს – ი-ბიბინა* (შდრ. *ბიბინებს*), *ი-ფრიალებს – იფრიალა* (შდრ. *ფრიალებს*), *ი-დგება – იდგა* (შდრ. *დგას*)...

*ი-*ს უკუქცევითობის ფუნქცია ორგვარადაა წარმოდგენილი:

ა) გარდამავალი, როცა აღინიშნება, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების შედეგი: **ი-წერს, ი-ხატავს, ი-ნახავს...** ის მას. ამ სემანტიკური ფუნქციის მოდიფიკაცია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედების შედეგი მიემართება ირიბ ობიექტს: **მ-ი-წერს, მ-ი-ხატავს; გ-ი-წერს, გ-ი-ხატავს...**

ბ) გარდაუვალი, როცა აღინიშნება, რომ სუბიექტს უბრუნდება, მიემართება თვით მოქმედება (და არა მოქმედების შედეგი): **ი-წერება, ი-ხატება...** ასევე **ი-გლოვს, ი-ცინის...** ამ ფორმებმა შემდგომ მიიღეს ვნებითისა და მდგომარეობითი ზმნების მნიშვნელობები.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ორივე ფორმა: **ი-წერს და ი-წერება** უკუქცევითია, რადგან ორივე რეფლექსივია და ეს საერთო ფუნქცია, აგრეთვე, მათ შორის სემანტიკური სხვაობა გამოიხატება **ი-** პრეფიქსით. მისთვის უკუქცევითობა არის ზოგადი, ძირითადი მახასიათებელი ფუნქცია. იმავდროულად უკუქცევითობასთან ერთად შეიძლება გამოიხატოს სხვა, დამატებითი ფუნქციებიც, შეპირობებული კონტექსტითა თუ თვით ზმნის ფუძის ლექსიკური მნიშვნელობით.

მეცნიერი საუბრობს ვნებითის ყალიბის მქონე **ი-** პრეფიქსიანი ზმნების სხვა ფუნქციებზეც: ა) სუბიექტის თვისება, სუბიექტისთვის დამახასიათებელი მოქმედება: **ი-კბინება (ძალდი), ი-წველება (ძროხა)...** ბ) შესაძლებლობა მოქმედებისა, პოტენციალისა: **ი-კმ-ებ-ა || ი-კმ-ევ-ა, ი-სმ-ებ-ა || ი-სმ-ევ-ა...** გ) განზრახ ჩადენილი მოქმედებისა: **ი-ცემ-ინ-ებ-ა, ი-რტყმ-ევინ-ება...** მოქმედების ყალიბის მქონე **ი-** პრეფიქსიან ფორმებს შეუძლიათ გამოხატონ მოქმედებითი მოქმედება: **თავს ი-გიჟიან-ებ-ს, ი-მძინარ-ებ-ს, ი-სულელ-ებ-ს...**

ბ. ჯორბენაძე ეხება სათავისო ქცევისა და **ი-** პრეფიქსის მქონე ვნებითის ფორმათა სემანტიკურ სიახლოვეს. ეს სიახლოვე განსაკუთრებით მაშინ არის, როცა სათავისო ქცევა სუბიექტის სხეულზე ან სხეულის ნაწილზე მომხდარ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითად: **იბანს** – ბანს თავისას, წყლით (ან სხვა სითხით) ჭუჭყს იცლის, ისუფთავებს (ტანს ან სხეულის რომელიმე ნაწილს). **ი-ბანება** – ბანენ, წყალში (ან სხვა სითხეში) ევლება, დაბანით სუფთავდება, ტანს იბანს (ჯორბენაძე 1983: 106-110).

მ. მაჭავარიანი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ **ი-** პრეფიქსი გამოხატავს არა სუბიექტისადმი, არამედ მოსაუბრე პირისადმი ორიენტაციას; ამიტომაცაა, რომ იგი ერთი დანიშნულებისაა **ვ-ი-ხატ-ავ** და **მ-ი-ხატ-ავ-ს** ფორმებში (მაჭავარიანი 1980: 51-52).

ქეგლ-ის მონაცემებით **ი-**ს ზმნაში შეაქვს, აგრეთვე, ახლოს მიტანის, დაახლოების სემანტიკური ნიუანსი:

მი-ი-ზიდავს (1. თავისკენ მიიწევს, მიიახლოვებს. *მიიზიდა ვაჟმა მტირალი და დაკოცნა დასამშვიდებლად* – ვ. ბარნ.). 2. ფიზ. ერთი სხეული მიიახლოვებს მეორეს გარკვეული ძალით. 3. ინტერესს, სურვილს აღუძრავს და მიიყვანს თავისთან (ბევრს). || გადატ. მიაპყრობს, მიიქცევს (ვისიმე... ყურადღებას). *როცა შინ შემოვიდნენ, შვილების ყურადღება ახლა წითელმა ხელსახოცმა მიიზიდა* – თ. რაზიკ.). შდრ.:

მი-ზიდავს (ზიდვით მიიტანს (ბევრ რასმე). *ნამჭა მიზიდეს და ზურაბის თვალწინ სახლს ცეცხლი წაუკიდეს* – ს. შანშ.);

მი-უ-ზიდავს (მიზიდავს მისას ან მისთვის);

მი-ი-თლის (მიითლის თავისკენ – გადატ. მხოლოდ თავის სარგებლობაზე ფიქრობს, ცდილობს ყველგან და ყველადღერში რამე სარგებლობა ნახოს. *[სოფიომ] ფული მიითვალა და ბარათი მოგვცა* – ი. მაჭავ. თარგმ.);

მი-ა-თლის (თლით მიაჭრის. || გადატ. მიაკლავს. *რომ შევარდა [ხუტუნია] ოსმალის ჯარში და რომ მოისვა ხელი ლეკურზე, თექვსმეტი კაცი ჭარხალივით მიათალა ერთმანეთს და თვითონაც ზვარაკად შეეწირა საერთო საქმეს* – უიარ.).

იშვიათად **ი-** მთლიანად ცვლის ზმნის სემანტიკას. მაგალითად:

შემო-ა-ღებს (გააღებს გარედან შიგნით და იქიდან აქეთ (ჩვეულებრივ ცოტათი). *ლამაზისეულმა კარი შემოაღო* – ილია). შდრ.:

შემო-ი-ღებს (დააკანონებს; დაამკვიდრებს, დანერგავს);

შემო-უ-ღებს (შემოაღებს მისას, – აქეთ, შიგნით გაუღებს. *ნუთუ ადამიანის ძე კარს არავის არ შემოგვიღებს* – ეკ. გაბ.).

რაც შეეხება უ- პრეფიქსს, იგი მიჩნეულია: 1. ძირითადად სასხვისო ქცევის ნიშნად: **უ-კეთ-ებ-ს, უ-შენ-ებ-ს, უ-ხატ-ავ-ს...** ანუ აღნიშნავს კუთვნილებითს ურთიერთობას ობიექტებს შორის; 2. მიუთითებს ზმნაში ირიბი ობიექტის პოვნეირებაზე: **და-წერ-ა მან ის**, მაგრამ: **და-უ-წერ-ა მან მას ის**.

პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბს ან განკუთვნილია ირიბისათვის. მისი ნიშანია **ი-** და **უ**, რომლებიც ასე ინაწილებენ ფორმებს: **ი-** იხმარება მაშინ, როცა ირიბ ობიექტად 1-ლი და მე-2 პირია, **უ-** კი მაშინ, როცა ირიბ ობიექტად მე-3 პირია... ა. შანიძესა და არნ. ჩიქობავას მიაჩნიათ, რომ ეს შეეხება გარდამავალ ზმნებს, გარდაუვალ ზმნებში ირიბ ობიექტს განეკუთვნება გრამატიკული სუბიექტი (შანიძე 1980: 340; ჩიქობავა 1950: 59).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **უ-** პრეფიქსიანი ფორმები მარტოდენ კუთვნილებას არ გამოხატავენ. ბ. ფოჩხუა ამასთან დაკავშირებით წერს, რომ საობიექტო ქცევა მხოლოდ გრამატიკულად გამოხატავს ამა თუ იმ ზმნას, ხოლო სემანტიკური ღირებულება თითოეულ შემთხვევაში ცალკეა დასადგენი. მაგალითად: *გაუნათებს _ გაანათებს მისთვის, გადაუგზავნის _ გადაგზავნის მასთან, გადაუცვლის _ გადაცვლის მისაზე, გადაურჩება _ გადარჩება მისგან...* (ფოჩხუა 1966: 119).

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებითაც, ქართულში დასტურდება საკმაო რაოდენობის **უ-** პრეფიქსიანი ფორმები, რომლებიც საერთოდ არ გამოხატავენ კუთვნილებით მიმართებას ანდა გამოხატავენ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში. სხვა შემთხვევაში კი მნიშვნელობაც სხვაგვარი აქვთ. ასეთებია: **უ-აღერს-ებ-ს** _ აღერსით ეპყრობა, ეაღერსება, ეფერება; **უ-ბედ-ავ-ს** _ ბედავს ვისიმე მიმართ, ჰკადრებს... უმხელს, უმჟღავნებს, ეუბნება; **უ-ბიძგ-ებ-ს** _ ხელს, მხარს, წაჰკრავს... ბიძგს აძლევს, აქეზებს, ხელს უწყობს; **გა-უ-შვ-ებ-ს** _ წასვლის ნებას მისცემს, გაისტუმრებს; გაგზავნის; მიუშვებს... მოჰყრილ ხელს, კლანჭს, პირს და მისთ. მოაშორებს, დატოვებს, მიატოვებს, თავს მიაწვებს (*ბერო, გაუშვი ბერობა და სხვა დაიჭირე ხელობა*); **მი-უ-შვ-ებს** _ ახლოს მისვლის ნებას, საშუალებას მისცემს, _ მიაკარებს, თავისუფლად მოქმედების

საშუალებას მისცემს, მის ნებაზე ატარებს, არ დაუშლის (რასმე)... (ჯორბენაძე 1983: 165-166).

ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ უ- პრეფიქსი კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნირებაზე მიუთითებს, რასაც რამდენიმე ფაქტით ასაბუთებს: ა) უ- პრეფიქსის წარმოჩენა უშუალოდ არის დაკავშირებული კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის შემოტანასთან: **და-წერ-ა მან ის**, მაგრამ: **და-უ-წერ-ა მან მას ის**; ბ) უ- პრეფიქსს თავისუფლად ენაცვლება ზოგ შემთხვევაში ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი: **შე-უ-ძახა _ შე-ს-ძახა, მო-უ-ბანს _ მო-პ-ბანს...** გ) უ- პრეფიქსი ზოგიერთ ფორმაში თავისუფლად ენაცვლება ა- და ე- პრეფიქსებს: **მი-ა-წოდ-ებ-ს _ გა-უ-წოდ-ებ-ს, გა-ე-ხარ-დ-ა _ გა-უ-ხარ-დ-ა...** დ) ცნობილია, რომ გარდამავალ ზმნებს მესამე სერიაში უ- და ე- პრეფიქსიანი წარმოება ახასიათებთ, რომელიც საერთოა ყველა ქცევის ფორმებისთვის: **წერ-ს, და-უ-წერ-ი-ა, და-ე-წერ-ა...** (ჯორბენაძე 1983: 175).

ივ. ქავთარაძე ეხება უ- პრეფიქსთან დაკავშირებულ ძველ ქართულში საყოველთაოდ ცნობილ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უ- სასხვისო ანუ საობიექტო ქცევის ნიშანია. სასხვისო ქცევით გამოიხატება სუბიექტის მოქმედება “არა თავისაზე ან თავისთვის, როგორც სათავისოში, არამედ სხვისაზე ან სხვისთვის” და მიუთითებს, რომ ობიექტის (სხვის) საგანზე ან მისი სხეულის ნაწილზე მოქმედებას გადმოგვცემს უ- პრეფიქსიანი ფორმები ძველი ქართულის მრავალ ზმნაში და ამით ნათლად ჩანს მისი გამოყენების თავისებურება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში (ივ. ქავთარაძე 1954: 285-286). დავასახელებთ მაგალითებს:

გადა-: გადა-უ-დგება (1. ვისიმე წინ დადგება, _ დაუხვდება; არ გაატარებს, გზას გადაუღობავს. 2. ზურგს შეაქცევს, უღალატებს (ვისიმე) ერთგული აღარ იქნება; სხვის მხარეზე გადავა. **გადაუდგა წინ მეორე ყმაწვილი ხანჯლით _ ე.** ნინოშ.). შდრ.:

გადა-დგება (1. ადგილს გამოიცვლის, სხვა ადგილას დადგება. || მაღალ ადგილას დადგება პირით ქვევითკენ; რამეს ზევიდან დაადგება. 2. გადატ. ოფიც. დატოვებს, თავს დაანებებს რამე მაღალ თანამდებობას, ხელს აიღებს სახელმწიფოს, მთავრობისა და სხვ. ხელმძღვანელობაზე. **კაბინეტი გადადგა, _ გიორგი მეორე იძულებული გახდა**

ტახტიდან გადამდგარიყო – საქ. ისტ. 3. განსაზღვრული წლისა გახდება და შემდეგ წელში გადავა;

გადა-ა-დგება (მაღალ ადგილას დადგება პირით ქვევითკენ. *ერთი მთის წვერს გადავადგე და აქეთ-იქით მზერა დავიწყე* – ილია);

გამო-: გამო-უ-დგება (1. გამოეკიდება, გამოედევნება, გამოჰყვება. || გადატ. გაიტაცებს რამე. 3. მოჰყვება, შეუდგება. *ქორი... გამოუდგა კოდალას* – ვაჟა). შდრ.:

გამო-ა-დგება (არგებს; ვარგისი, გამოსადეგი იქნება (მისთვის); სიკეთეს, სარგებლობას მოუტანს. || გახდება, გამოდგება, აღმოჩნდება, დადგება მისთვის. *შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო* – ანდაზა);

გამო-დგება (გამოსაყენებლად ივარგებს, ვარგისი იქნება. *ზაფხულში დაფხვნილი ზამთარში გამოდგებაო* – ანდაზა);

შემო-: შემო-ა-დებს (გარშემო მოადებს, შემოალაგებს. *[წალამს] ხან თონეს ჩაუკიდებენ, ხან ღობეს შემოადებენ* – შ. მღვიმ.). შდრ.:

შემო-დებს (1. აქეთ (შიგნით ან ზევით) დადებს. 2. შემოსდებს – დაადებს, დასდებს მას; შემოჰხვევს. *მხრებზე მკლავი შემოსდო მხიარულ მოხუცს* – “კომუნ.”);

შემო-ი-დებს (1. ირგვლივ მოიდებს, – შემოიხვევს, შემოიკრავს. 2. ზედ მიიდებს, მიიყრდნობს; ამოიდებს. || თავისაზე დაიდებს, – გადაიდებს. *დაასველოს ხელსახოცი და თავზე შემოიდვას* – აკაკი);

შემო-უ-დებს (ზედ დაუდებს. *მისტერ ვ-ს [ჰიპი] შემოუდებდა მაგიდაზე [საბუთებს]. როგორც ყოველად უმნიშვნელოს* – ქ. ბაქრ. თარგმნ.).

ე- პრეფიქსი მიჩნეულია: 1. ძირითადად ვნებითის ნიშნად: **ეწერება, ეხატება...** 2. ირიბი ობიექტური პირის პოვნირების ნიშნად: **ე-ქელვინება, ე-თლევინება...** 3. ზოგიერთ შემთხვევაში იხმარება სასხვისო ქცევის უ-ს ფუნქციით: **და-უ-წერა – და-ე-წერა...**

ბ. ჯორბენაძის აზრით: ა) მოქმედებითში ე- პრეფიქსის პოვნირება ძველი ვითარებაა (*ეძებს...*); ბ) ვნებითის ყალიბებში ე- პრეფიქსის პოვნირება ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში. ვნებითის მქონე ზოგი ე- პრეფიქსიანი

ფორმა მდგომარეობითი ზმნების ფუნქციითაა აღჭურვილი: ე-ლის, ე-რჩის, ე-მდურის, ე-რთვის... ე- პრეფიქსს ვნებითის სისტემაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც შესაბამის მოქმედებითში ა- და უ- პრეფიქსებს: და-ა-წერა, და-უ-წერა, და-ე-წერ-ა; გ) ე- პრეფიქსი ზოგჯერ იხმარება სასხვისო ქცევის უ-ს ფუნქციით. მაგალითად: მ-ე-ხატ-ებ-ა, ე-ხატ-ებ-ა... (ჯორბენაძე 1983: 85-86; 159).

მეცნიერი კაუზატივის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ა- და ე- პრეფიქსები ერთი და იმავე დანიშნულებისაა მოქმედებითი და ვნებითი გვარის კაუზატივის ფორმებში: მიანიშნებენ ირიბ ობიექტზე – მოქმედების უშუალო შემსრულებელზე: ა-ქელვინებს, ა-თლევინებს, ა-კაფვინებს, ა-ჭერინებს ზმნათა შეესაბამისი ვნებითია: ე-ქელვინება, ე-თლევინება, ე-კაფვინება, ე-ჭერინება... (ჯორბენაძე 1983: 88-89).

მ. მაჭავარიანს მიაჩნია, რომ ობიექტების წარმოქმნა-მოსპობა და ამასთან დაკავშირებული ზრდა-კლება ზმნის ვალენტობისა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას. 1. ი-, უ- პრეფიქსებთან ერთად ე-ც წარმოქმნის მხოლოდ ირიბ ობიექტებს: ვ-ხატავ მე მას: მ-ი-ხატავს ის მე მას (წარმოიქმნება ირიბი ობიექტი), ვ-წერ მე მას: ვ-უ-წერ მე მას მას (წარმოიქმნა ირიბი ობიექტი)... ე- სპობს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს: ვ-უ-ზრდი მე მას მას: ვ-ე-ზრდები მე მას (მოისპო პირდაპირი ობიექტი) (მაჭავარიანი 1980: 42)....

ვნებითის ყალიბის მქონე ე- პრეფიქსიანი ფორმების აბსოლუტურ უმეტესობას არაფერი არა აქვს საერთო კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვასთან. ეს კარგად ჩანს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული განმარტებებიდანაც. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ე- პრეფიქსიან ფორმას კუთვნილების გამოხატვის ფუნქცია აკისრია, ეს მისთვის, როგორც წესი, ერთ-ერთია სხვა ფუნქციებს შორის. ნიმუშად წარმოვადგენთ რამდენიმე განმარტებას: ე-მსახურ-ებ-ა – ვისიმე ან რისიმე სამსახურშია, მისი მსახურია; სამსახურს უწევს, (ვისიმე ან რისამე) კეთილდღეობისათვის საქმიანობს, იღვწის; ე-მსგავს-ებ-ა – რისამე ან ვისიმე მსგავსი ხდება, მსგავსი იქნება; რისამე ან ვისიმე მსგავსია, ჰგავს; ე-ლოდ-ება – ელის, უცდის, მოლოდინშია. როგორც

მაგალითებიდან ჩანს, ე- პრეფიქსიანი ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას. მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ფორმას ისეთი დანიშნულება აქვს (ე-წერ-ებ-ა, ე-ხატ-ებ-ა...), პარალელურად მისთვის სხვა ფუნქციის პოვნის რეზერვაა დამახასიათებელი.

ძალზე იშვიათია ისეთი ფორმები, რომელთათვის მხოლოდ კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვაა ნიშანდობლივი: ე-ბერ-ებ-ა – იბერება მისი, ბერვით უფართოვდება, უდიდდება; ე-ზრდ-ებ-ა – იზრდება მისი ან მისთვის... ე- პრეფიქსი მხოლოდ ითავსებს კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვის ფუნქციას (ჯორბენაძე 1983: 129).

ა. შანიძის აზრითაც, მართალია, ე- პრეფიქსიანი ფორმებს უნარი შესწევთ გამოხატონ კუთვნილებითი ურთიერთობა (და-ი-წერ-ა > და-ე-წერ-ა, და-ი-ხატ-ა > და-ე-ხატ-ა...), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ე- პრეფიქსის თავდაპირველ და ძირითად ფუნქციასთან გვაქვს საქმე (შანიძე 1980: 341-342).

შეიძლება ითქვას, რომ ე- (სხვა მაქცევართა მსგავსად) სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია უფრო გრამატიკული და არა სემანტიკური ასპექტით.

სემანტიკური თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა შე-, წა- ზმნისწინიანი ფორმები მაქცევრებთან მიმართებით:

ა. ზოგიერთი ფორმა გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ეს ყოველთვის ასე არ არის. სემანტიკური ნიუანსები ქცევის გამო სხვადასხვანაირია. მაგალითად, შეიარა და წაიარა ზოგადად აღნიშნავს სვლას, დანარჩენი მნიშვნელობები კი ერთმანეთს არ ემთხვევა: შეიარა აღნიშნავს სვლის სხვადასხვა მნიშვნელობებს:

1. შე-ი-არა გრდმ. Nნამყ. ძირით. შეივლის ზმნისა – ცოტა ხნით, გავლით შევიდა, მივიდა: შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენი ძველი სახლიდან ბიჭებმა გამოგვყარეს – ილია (ქეგლ, VII, 797) // გაიარა (ზევითკენ): ირემმა შეიარა ცოტა ადგილი, ისევ წყალში შესცურა და გაჩერდა – ვაჟა (იქვე);

2. *შე-უ-არა* გრდმ. Nნამყ. ძირით. *შეუვლის* ზმნისა: 1. დროებით, გავლით მივიდა, _ გაუარა: *გიტამ საუფლისწულო მამულების უწყებას შეუარა* _ ბ. ჩხ. (ქეგლ, VII, 1176); 2. რისამე (ვისმე) ახლოს გაუარა, _ აუქცია (გვერდი): *მაგ სოფელს გვერდი უნდა შევუაროთ* _ დ. ზაქრ. (იქვე).

წაიარა, მართალია, ზოგადად გამოხატავს სვლის გაგებას, მაგრამ მასთან **შეიარა** ფორმის მსგავსი სხვადასხვა სემანტიკური ვარიანტებიც გამოირიცხულია:

1. *წა-ი-არა* გრდმ. 1. გაიარა წინისკენ: *რომე პირველ წამოველო, გ ზა იგივე წაიარა* _ რუსთაველი (ქეგლ, VIII, 831); 2. კუთხ. იყო, იდგა (დარი, ამინდი): *თუ ამისთანა დარებმა წაიარა, შუა მარტამდის ყანები უნდა დაიხნას* _ გ. წერეთ. (იქვე);

2. *წა-უ-არა* გრდმ. Nნამყ. ძირით. *წა-უ-არა* ზმნისა _ ვისიმე წინ გაიარა, **წინ წაუარა** 1. გაუსწრო, აჯობა: *...ბიჭი იქნება, სხვა საგნებში წაუაროს წინ (ნალიტას)* _ ვ. ზარნ. (ქეგლ, VIII, 996). 2. ანგარიში არ გაუწია, წაუსწრო: *...სწყინდათ, რომ წინ წაუარა უფროსებს* _ ვ. ზზარნ. (იქვე).

ზემოთ აღნიშნული ფორმები მოითხოვს **ი-** და **უ-** მაქცევრებს. მათ შეაქვთ ზმნაში განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი. მოცემულ შემთხვევაში **წა-**სთან **უ-**ს ცოტა აქვს განსხვავებული მნიშვნელობა. **წაუარა** ფორმა ნიშნავს არა დროს, არამედ ადგილს: *წინ გაუარა, გაუსწრო, აჯობა სვლაში*, მაშინ როცა **შე-** შეიძლება ამასაც ნიშნავდეს (ანუ ადგილს) და, როგორც უკვე აღინიშნა, დროსაც.

მაშასადამე, **შეიარა** და **წაიარა** ზმნათა ზოგადი მნიშვნელობა ერთია, ორივე გამოხატავს სვლას, მაგრამ ისინი განსხვავდებიან შინაარსობრივი თვალსაზრისით ანუ სვლის ნიუანსებით. მაგალითად: თუ **შეიარა** აღნიშნავს ცოტა ხნით ან გავლით შევლას, ამ მნიშვნელობას არ გამოხატავს **წაიარა**. სამაგიეროდ, ის დროს აღნიშნავს ძალიან თავისებურად და გულისხმობს ამინდს, მაშინ, როდესაც **შეიარა** ზმნას არა აქვს ეს მნიშვნელობა. ის აღნიშნავს ამ სვლის სხვანაირ ელფერს. მაგალითად, დროს: ცოტა ხნით, გავლით, აგრეთვე იმასაც, მიაღწია თუ არა სუბიექტმა ბოლო პუნქტს.

შე-, ჩვეულებრივ, უჩვენებს მოქმედებას გარედან შიგნით: **შე-ვიდა, შე-ფრინდა, შე-ძვრა, შე-ირბინა**. მაგრამ ზოგჯერ ის აღნიშნავს: ა) მოქმედებას, რომელიც ზევითაა

მიმართული: შე-ახტა, შე-ჯდა, შე-დგა; ბ) მოქმედებას, რომელიც ნაკლები ზომით ან ხარისხითაა წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს სხვა ზმნისწინიან ფორმებთან შეპირისპირების დროს. მაგალითად: გათბა და შეთბა, გაწითლდა და შეწითლდა, გამაგრდა და შემაგრდა... (კვაჭაძე 1981: 244).

წა- ზმნისწინი აღნიშნავს საგნის მოძრაობის მიმართულებას იქით, მაგრამ ზოგჯერ იგი გამოხატავს მოქმედების ოდენობას (ე.ი. მოქმედებას მცირე ზომით, ცოტათი): *ჩემს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩემკენ ყურება* (იქვე).

სემანტიკურად ახლოს დგას ერთმანეთთან მოძრაობა-მოქმედების გამომხატველი შე- და წა- ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ განსხვავებულ ნიუანსს ქმნის მაქცევარი არა მარტო შე- და წა- ზმნისწინიან ზმნებში (იხ. ზემოთ: შე-ი/უ-არა – წა-ი/უ-არა), არამედ ზოგჯერ ერთი ზმნისწინის ფარგლებშიც;ღ

ბ. ქველ-ის მიხედვით საინტერესოა ერთი ფუძის ფარგლებში მაქცევრით განსხვავებული არა მხოლოდ შე- და წა- ზმნისწინიანი, არამედ სხვა ზმნისწინიანი ფორმებიც:

ტან-:

ა- მაქცევარი:

ა-: ა-ა-ტანს (გაჭირვებით ავა, – ააღწევს. || ადგება. *ძლივძლივობით ავატანეთ მთის წვერს. – იმოდენა კიბე იყო, ძლივს ავატანე*);

ა-ი-ტანს (1. რასმე ადგილს გადაუნაცვლებს ქვევიდან ზევით, დაბლიდან მაღლა; აზიდავს. *მატარებელში ბარგი აიტანეს*. 2. აიყვანს (შენებით) გარკვეულ სიმაღლემდე. 3. გაუძლებს. || მოითმენს. 4. შეიპყრობს, მოიცავს);

ა-უ-ტანს (ზევით მყოფს წაულებს, მიუტანს. *ფოსტის უფროსი... შესძახებდა: “ხალხო, აქ ლუტცერბურგელი ხომ არავინ არის? წერილია, იქნება აუტანოთ!”* – ი. მაჭავ. თარგმ.); ქველ-ში არ დასტურდება ა- ზმნისწინიანი ფორმა *აეტანება*.

ამო-: ამო-ა-ტანს (1. თან ამოაყოლებს რასმე. 2. ამოაღწევს, ამოვა. *...ხმადის ლუკმას ამოატანა თაფლი* – ვაჟა);

ამო-ი-ტანს (რასმე ქვევიდან ზევით მოიტანს. || ამოსწევს. || ამოზიდავს, ამოატრევს. ტვირთს კიბეზე ამოიტანს. _ პატარა ხანს უკან რაღაც ძონძები ამოიტანა _ ილია);

ამო-უ-ტანს (ამოიტანს მისას ან მისთვის. ჩაფრინდი და აგერ ერთ-ერთი ლოდი ამომიტანე, რომ გულში ჩავიხუტო _ ვაჟა). ქეგლ-ში არ დასტურდება **ამო-** ზმნისწინიანი ფორმა **ამოეტანება**;

გა-: **გა-ა-ტანს** (1. თან გააყოლებს, წასაღებად მისცემს, ვისიმე ხელით გაგზავნის. მეზავრს ჰკითხეს: რა მოიტანე და შენ რაღა გამატანეო _ ანდაზა. 2. რასმე გამჭოლს გაუვლის; რამეში გავა; გააღწევს. || გაივლის, გააღწევს. 3. იცოცხლებს, ცოცხალი გასძლებს, მიაღწევს, ცოცხალი მიიტანს, გადარჩება);

გა-ი-ტანს (1. წაიღებს შიგნიდან გარეთ; ერთი ადგილიდან მეორეზე წაიღებს. ძაღლი სამჭედლოდან რას გაიტანსო! _ ანდაზა. 2. გადატ. გაახმაურებს, გაამჟღავნებს, გაავრცელებს (ამბავს და სხვ.) 3. ექსპორტს აწარმოებს, გაგზავნის, წაიღებს (ბაზარში, სხვა ქვეყანაში როგორც ექსპორტის საგანს და სხვა) გადატ. უშველის, მხარში ამოუდგება, გაჭირვებაში არ უღალატებს. 5. ქვეშ მოიყოლებს _ გადაუვლის, გადაწყლევს, გასრეს);

გა-უ-ტანს (გაიტანს მისას ან მისთვის. [პეპელამ ფეხბუმბულას] სიმიინდი გაუტანა, _ დაუფშვნა ტარო, წყალი დაუდგა _ თ. რაზიკ.). ქეგლ-ში არ დასტურდება **გა-** ზმნისწინიანი ფორმა: **გაეტანება**;

გადა-: **გადა-ა-ტანს** (1. თან გააყოლებს, _ გადააყოლებს. მალე ხუთ თუმანს სხვა ხუთიც გადაატანაო... სვიმონმა _ ეკ. გაბ. 2. შესწირავს, შეაღწევს);

გადა-ი-ტანს (1. ერთი ადგილიდან მეორეზე მიიტანს, წაიღებს; ადგილს შეუცვლის, გადაუნაცვლებს; გადაადგილებს (რასმე). || წერის დროს _ გაყოფს სიტყვას და ნაწილს მეორე სტრიქონზე მოათავსებს. || სხვაგან მოაწყობს; სხვაგან აწარმოებს, ადგილს შეუცვლის, გადაუნაცვლებს. || სხვა ინსტანციაში შეიტანს, აღძრავს (საკითხს, საქმეს...). მაგის დადგმული ურემი ორპირსა და კავკავში ორას ფუთ ბარგს გადაიტანს _ ნ. ლომ. 2. სხვა დროისათვის დანიშნავს, გადადებს. 3. სხვაგან დანერგავს, სხვა სფეროზე გაავრცელებს. 4. შეცვლის (ობიექტს, საუბრის თემას და მისთ.). 5. თან ნაწილაკით:

გადაიყოლებს. || იმსხვერპლებს. 6. გადატ. გამოსცდის, გამოივლის, აიტანს, დასძლევს);

გადა-უ-ტანს (გადაიტანს მისთვის ან მისას, _ ერთი ადგილიდან მეორეზე მიუტანს, _ წაუღებს, გადაუზიდავს. *ვინც გადასვლას მოისურვებს, ჩემი ხარჯით გადაუტანეთ ბარგი* _ ნ. ლორთქ.). ქეგლ-ში არ დასტურდება **გადა-** ზმნისწინიანი ფორმა **გადაეტანება**;

გადმო-: გადმო-ი-ტანს (1. იქიდან აქეთ მოიტანს, წამოიღებს, _ გადმოაადგილებს, გადმოზიდავს. || ზევიდან ქვევით ჩამოიღებს, გადმოიღებს. || გადმოიღებს (და დასცემს). *[ივანემ] გადმოიტანა შეშა, რომელიც ტივზე ეყარა* _ ე. ნინოშ. 2. გადატ. ადგილს შეუცვლის (აქეთ), აქეთ მოაწყობს. 3. გადატ. გადმონერგავს, აქეთ გაავრცელებს, გადმოიღებს. || აქეთ (სხვაზე) გაავრცელებს. || ვადაზე ადრე ან გვიან მოაწყობს, დანიშნავს);

გადმო-უ-ტანს (გადმოიტანს მისას ან მისთვის, _ იქიდან აქეთ მოიტანს, გადმოუზიდავს. *ბარგი გადმოუტანა. _ სამხარი გადმოგვიტანეთ* _ თ. რაზიკ.). ქეგლ-ში არ დასტურდება **გადმო-** ზმნისწინიანი ფორმები: **გადმოატანს და გადმოეტანება**;

გამო-: გამო-ა-ტანს (1. ვისიმე ხელით გამოგზავნის რასმე; ვინმესთან ერთად გამოგზავნის ვისმე, _ წამოსულს თან გააყოლებს (ვისმე ან რასმე). *სარდლად მე გამომგზავნაო, ორი ათასი მხედარიც გამომატანა თანაო* _ აკაკი. 2. წვეთ-წვეთად დაიწყებს გამოსვლას (სითხე რამეში), _ გამოჟონავს);

გამო-ი-ტანს (1. შიგნიდან გარეთ, იქიდან აქეთ მოიტანს, წამოიღებს; გამოიყოლებს, _ გამოზიდავს. || გამოაწყობს და დაალაგებს. || მიიღებს (ვინმესგან, საიდანმე ფულს); უკანვე მიიღებს, წამოიღებს (სადმე ჩაბარებულ რასმე); დაიხსნის (ჩვეულებრივ ჩაბარებულ რასმე). || მიიღებს, შეიძენს. *ტყიდან შეშა გადმოიტანეს. _ მამა-ჩემმა შინიდან გამოიტანა ცული* _ ნ. ლომ. 2. გამოიღებს, გამოისხამს (ყვავილს, ნაყოფს... მცენარე). 3. შეადგენს, მიიღებს და გამოაცხადებს (დადგენილებას, გადაწყვეტილებას, განაჩენს... და მისთ.). 4. გამოჩეკს);

გამო-უ-ტანს (გამოიტანს მისას ან მისთვის. *ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი* – ილია). ქველ-ში არ დასტურდება **გამო-** ზმნისწინიანი ფორმა **გამოეტანება**;

და-: **და-ა-ტანს** (1. რამეში მოაქცევს, შიგ მოაყოლებს. *აქ კარები დავატანოთ... თუ ფანჯარა?* – შ. მღვიმ.). 2. ზედ დაურთავს, დაუმატებს, დააყოლებს; შიგ ჩაურთავს);

და-ი-ტანს (1. ქვეშ (შიგ, შუაში) მოიყოლებს; ქვეშ მოიტანს, ქვეშ, შიგ მოიქცევს. *მულის ტყავი გადმოვარდა, ცხრა რძალი დაიტანაო* – ძველი ანდაზა);

და-უ-ტანს (დაატანს მისაში ან მისთვის, – შიგ (ქვეშ...) მოუქცევს. *შიგ ბალიშში ხანჯლები დაუტანა* – ი. მაჩაბ. თარგმ.);

და-ე-ტანება (მოჰყვება (ქვეშ, შიგ), – ჩაეტანება). ფიგურ. *ვით სურამის ციხეს ზურაბი, მე თვითონ ლექსში დავეტანები* – ვ. გაფრ. || რაიმე საქმიანობის მონაწილე გახდება, სხვასთან ერთად მოჰყვება (სადმე), ვინმესთან ერთად იქნება, – დაესწრება, ჩაერევა. 2. წაეტანება, მიეტანება, გამოეკიდება (ასაღებად, დასაჭერად...). || შეუტევს);

მი-: **მი-ა-ტანს** (1. მიაღწევს, მივა. || მიაღწევს (ხმა). *ვეღარ მიატანა აკმიაშ სახლს. სოფლის თავში მოუსწრო ავდარმა* – მიხ. მრევლ. 2. ცოცხალი გაძლებს, იცოცხლებს (გარკვეულ დონემდე). 3. დაურთავს, დაუმატებს, მიაყოლებს);

მი-ი-ტანს (1. წაიღებს გარკვეულ ადგილამდე, თან მიიყოლებს. || მიიახლოებს რამესთან, – მიაღებს, მიაკარებს. *ქალები, რომლებსაც სადილი მიეტანათ ყანაში თავიანთი ქმრებისათვის, უკვე დაბრუნებულიყვნენ* – ე. ნინოშ. 2. მიაწვდენს (ტყვიასა და მისთ.). 3. მისწევს, გადასწევს);

მი-უ-ტანს (მიიტანს მისას ან მისთვის, – წაუღებს. || მიიტანს მის ახლოს, მიუახლოვებს მისას. აჰა, *მიხვედი მიუტანე ტვირთი პატრონსა!* – ილია);

მი-ე-ტანება (გამოუდგება, ეცდება სწვდეს, ხელი წაავლოს, დაიჭიროს; მიუხტება, მივარდება. || მიეძალება. *ვინ არ მისტანებიხარ...* *ოთახში შემოფრენილ ჩიტს* – თ. რაზიკ.);

მო-: **მო-ა-ტანს** (1. მოაღწევს, მოვა. || მოახლოვდება. *[კაცმა] თურმე ნაპირს მოატანა* – ს. მგალობ. 2. ცოცხალი გაძლებს, იცოცხლებს (გარკვეულ დრომდე). 3. მოაშურებს,

აქეთკენ გამოემართება, წამოვა. 4. მოუსწრებს. 5. რამეში მოაქცევს, მოამწყვდევს, მოაყოლებს. 6. მოაყოლებს, შეაყოლებს);

მო-ი-ტანს (1. მოვა და თან იქონიებს (რამეს) აქ დასატოვებლად, _ თან მოიყოლიებს (მნიშვნ. 1) *ჯერ ისევ ადრე იყო, როცა რეზიკოს მამა გორიდან მოვიდა და საახალწლო ტკბილეულობა მოიტანა* _ თ. რაზიკ. 2. ქვეშ (შუაში...) მოიყოლებს, მოიქცევს);

მო-უ-ტანს (მოიტანს მისთვის, მასთან. || გადატ. მისცემს. *მამაშვილობას, ცეცხლი მომიტანე!* _ ვაჟა);

მო-ე-ტანება (1. მოჰყვება რისამე ქვეშ ან შუაში, მოემწყვდევს რამეში. *ერთხელ ძაღზე თოვდა. [ისინი] წისქვილში მოეტანნენ* _ ს. შანშ. 2. მიეტანება აქეთ მყოფს, _ მოედებება);

შე-ა-ტანს (1. გარედან შიგნით შევა, _ შეაღწევს; შეჟონავს, 2. რამესთან ერთად შეჭამს _ მიაყოლებს, შეიტანს. *დედამ გააკეთა მოზრდილი კალათი, გარშემო კარგად გაფისა, რომ წყალს შიგ ვერ შეეტანებინა* _ ი. გოგებ.);

შე-ი-ტანს (1. გარედან შიგნით მიიტანს, მოათავსებს, _ შეზიდავს. *ფლავი გაატარესო, და მერე რაო? თქვენსა შეიტანესო, და შენ რაო?* _ ანდაზა 2. გადატ. დანერგავს, დაამკვიდრებს; დაამყარებს, გაავრცელებს. 3. გადატ. მოათავსებს, მოაქცევს, ჩართავს. 4. გადატ. წარადგენს, გადასცემს (განცხადებას, საჩივარს...). 5. გადატ. შესძენს, შემატებს);

შე-უ-ტანს (შეიტანს მისთვის, _ შევა და მიუტანს. *მაისის ერთ სადამოს რუსუდანს მისმა ერთგულმა ფარეშმა ოთახში შეუტანა ფარჩაში გახვეული შეკვრა და ფრთხილად გადასცა* _ ს. კლდ.);

შე-ე-ტანება (მიეტანება, შეეტაკება; შეებრძოლება. *გული არ შეგიშინდება, ვეფხივით შეეტანები, სადაც კი დარტყმა სჭირდება* _ გ. ლეონ.);

შემო-ა-ტანს (რამეში შემოვა, შემოაღწევს. || თან მოჰყვება, მოუსწრებს, მოაღწევს. *მზე გარედან გიგდებდი ყურს, შიგ ვეღარ შემოვატანე და იმიტომ ვერ დაგეხმარე* _ ი. მაჭავ. თარგმ.);

შემო-ი-ტანს (1. გარედან შიგნით მოიტანს, – შემოზიდავს, შემოალაგებს, შემოაწყობს. *სალომემ შემოიტანა ღომი და ყველი* – გ. წერეთ. 2. შესძენს რასმე, – შემომამატებს. 3. მოიყოლებს; გაავრცელებს, მოსდებს. 4. შემოიღებს, დააწესებს, გაავრცელებს, მოსდებს);

შემო-უ-ტანს (შემოიტანს მისას ან მისთვის, გარედან შიგნით მოუტანს; შემოუზიდავს. *შემოფათურდა თებრონია; [ფარსმანს] ქუმული შემოუტანა* – კ. გამს.). ქეგლ-ში არ დასტურდება **შემო-** ზმნისწინიანი ფორმა **შემოეტანება**;

ჩა-: ჩა-ა-ტანს (1. ჩადებს რამესთან ერთად, – ჩააყოლებს. *დამარხეს [მეზობელი] და თან ჩაატანეს აბრეშუმის პატარა პარკი* – ს. კლდ. || შიგ მოაყოლებს, რამეში მოაქცევს, – დაატანს. 2. ჩავა, ჩააღწევს; ჩასწვდება. 3. კუთხ. (იმერ.) ჩაავლებს, წაატანს ხელს);

ჩა-ი-ტანს (1. ადგილს გადაუნაცვლებს ზევიდან ქვევით; ჩაზიდავს. || ჩავა (რომელიმე პუნქტში) და მიიტანს. 2. იგივეა, რაც შეიტანს. *კაცო, ხომ გეუბნები, დავარდნილი ხარები მყავს-მეთქი, ...იმ ყინულზე ჩაიტანენ [შემას]?!* – ეკ. გაბ.);

ჩა-უ-ტანს (1. ჩაიტანს მისას ან მისთვის. || ჩავა (გარკვეულ პუნქტში) და მოუტანს. 2. ორთა შუა მოუქცევს, – ჩაუტენის, გაუჩრის. *ლექსომ... ქათმებს საკენკი ჩაუტანა* – ვაჟა);

ჩა-ე-ტანება (1. რამეში მოუყვება, დაეტანება. *კარებში თითი ჩაეტანა*. 2. კუთხ. (ფშ.) ჩაჰყვება რასმე, მიეტანება);

ჩამო-: ჩამო-ა-ტანს (ჩამო, ჩამოაღწევს. *ქოხში ჩამოატანა წვიმამ, ცეცხლი გაგვიქრო და თვითონაც დაგვასველა* – ი. მჭედლ.);

ჩამო-ი-ტანს (მოლაპარაკისკენ ჩაიტანს. || ჩამოვა (სხვა პუნქტიდან) და მოიტანს რასმე. *შეცოცდა ხეზე კატასავით გიორგი, მიეპარა... მოგლიჯა ბუდე და ჩამოიტანა ძირს* – აკაკი);

ჩამო-უ-ტანს (ჩამოიტანს მისას ან მისთვის. || ჩამოვა (სხვა პუნქტიდან) და მოუტანს. *ეს სამხარ-სადილი ჩამოგვიტანო, ეს ცივი წყალიო* – თ. რაზიკ.).ღ ქეგლ-ში არ დასტურდება **ჩამო-** ზმნისწინიანი ფორმა **ჩამოეტანება**;

წა-: წა-ა-ტანს (1. წაავლებს, მოსჭიდებს (ხელს) // წაეტანება, მიეტანება (რამეთი). წაატანა ხელი ბინოკლს ალიკომ და დაიწყო თვალთვალი – ა. ბელ. 2. გადატ. თვალს გააყოლებს, სიტყვას წაატანს – სიტყვას მიაშველებს, სასწრაფოდ ეტყვის);

წა-ი-ტანს (წაიყვანს; წაიღებს, წაიყოლიებს. რკინის-გზაზე რომ წახვიდე, თან მალამო წაიტანე – რ. ერისთ.);

წა-ე-ტანება (მოინდომებს ხელის (პირის...) წავლებას, დაჭერას – წასწვდება. – გვადის წყალი მოსწყურდა... დოქს წაეტანა – ლ. ქიაჩ.). ქეგლ-ში არ დასტურდება წა-ზმნისწინიანი ფორმა წაუტანს;

წამო-: წამო-ა-ტანს (წამოსწვდება, წამოავლებს (ხელს). მოგეცა სიცოცხლე, წამოვატანე იმ ყავას ხელი – რ. ერისთ.).

წამო-ი-ტანს (წამოიყვანს, თან წამოიყოლებს. ეგ რომ მცოდნოდა, ამისთანა ნაღვლიანი გულის იყავი, არაფრის გულისთვის არ წამოგიტანდი – ე. ნინოშ.). ქეგლ-ში არ დასტურდება წამო-ზმნისწინიანი ფორმები: წამოუტანს და წამოეტანება.

არნ. ჩიქობავა ი-სა და უ-ს შესახებ ვარაუდობს, რომ აღნიშნული ქცევის ნიშნები წარმომავლობით ნაცვალსახელური ნაწილაკები უნდა იყვნენ; ნაცვალსახელური ნაწილაკები კუთვნილებას იმთავითვე არ გამოხატავდნენ. მას უჭირს ე-პრეფიქსის შესახებ იმის თქმა, რაც ი-უ-ს შესახებ ივარაუდა. ვნებითის ნიშანი იმთავითვე არც ე-ყოფილა. მეცნიერის აზრით, კიდევ უფრო გაურკვეველია ა-ს საკითხი. ნეიტრალური ვერსიის ზმნებში რომ ა- გვაქვს (ა-შენებს, ა-კეთებს – ტიპი), ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ამ ქცევის ნიშანია. და-ა-წერა, და-ა-შენა... ზმნებში ის საზედაოს გადმოსცემს, მაგრამ ამის გამო ა- ვერ იქნება საზედაოს ფორმანტი თავისი წარმოშობით. და-ა-წერა-ს ა- და ა-ნთია-ს ა- ერთი და იგივე ოდენობა ჩანს. არნ. ჩიქობავა მართებულად მიიჩნევს გ. დეეტერსის შენიშვნას, რომლის მიხედვითაც ქცევა თვით ენაში მოცემული კი არ არის, არამედ გამოხატავს თვალსაზრისს მომწესრიგებელი გრამატიკოსისა, რომელიც აყალიბებს ქართულში არსებულ ვითარებას. ისტორიულ-შედარებითი განხილვა ვერ ამოვა აქედან, არამედ იგი ფორმალურ ელემენტთა განხილვიდან უნდა ამოვიდეს,

რადგანაც იგი ცალკეულ მაქცევართა ფუნქციებს ცალ-ცალკე იკვლევს (ჩიქოზავა 1956: 167).

არნ. ჩიქოზავას მოსაზრებაზე დაყრდნობით მ. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ მაქცევართა ფუნქცია ბოლომდე გაურკვეველია, რადგან ა- წარმოქმნის ობიექტებს, არსებითად ცვლის ვალენტობას და მისთ. მაგრამ ე- ძალიან საინტერესოა: ა) აქტივ-პასივის თვალსაზრისით: **ეუბნება, ელაპარაკება, ერჩის, ეკითხება, ეკამათება, ეაღერსება** და სხვა პასივი არ არის. ტერმინი “დეპონენსი” არაფერს არ ხსნის. შდრ.: **უაღერსებს _ ეაღერსება, კითხულობს _ ეკითხება _** ორივე აქტივია. აგრეთვე **უჯავრდება _ ეჯავრება, კამათობს ის მასთან _ ეკამათება ის მას _** იგივე ფუძეა, მნიშვნელობა _ სხვა. საინტერესოა, რომ მსგავსი შემთხვევები არა გვაქვს ინიანი “ვნებითების”, **იბადება _ ებადება**-ს, ბადალი.

აქტივს მიაკუთვნებს ე.წ. “დეპონენსებს” დ. მელიქიშვილიც. მან **ი-ე-** პრეფიქსიანი კონვერსიული პასივი (**ი-ე-R-ებ-ი** მოდელი) დაუკავშირა აქტივის I კლასს (**R-Ø** მოდელს) და მოათავსა მეორე დიათეზაში (მელიქიშვილი 2001: 179).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მაქცევართაგან ზმნის სემანტიკას უმეტესად ცვლის ა-. საინტერესო სურათი იქმნება ზმნის ერთი და იმავე ფუძის ფარგლებში სხვადასხვა ზმნისწინებისა და მაქცევრების დართვისას. ყველა შემთხვევაში, კერძოდ: **ა-, ი-, უ-**ს შემთხვევაში, გრამატიკულად აღინიშნება პირთა მიმართება, კორელაცია, ხოლო სემანტიკური თვალსაზრისით **ა-** განხვავდება **ი-** და **უ-** მაქცევართაგან. ეს კარგად ჩანს ქეგლ-ის მიხედვით მოცემულ მაგალითებში. რაც შეეხება ე- პრეფიქსს, ის, როგორც გაირკვა, ყველა ფუძეს არ ერთვის და, სადაც ერთვის, ზოგიერთ შემთხვევაში ა-ს მსგავსად ქმნის სემანტიკურ სხვაობას.

IV თავი. ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა შეპირისპირებითი

აწალიზი ქართულსა და სხვა ენებში

ეს თავი ეხება ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა შეპირისპირებით აწალიზს როგორც ქართული, ისე უცხო ენების, კერძოდ, თურქულის, მონაცემთა ბაზაზე. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანია იმ სურათის ასახვა, რასაც იძლევა თურქული ენის თარგმნითი და განმარტებითი ლექსიკონების მასალა. შედარება მოხდება როგორც ზმნისწინის მქონე (მაგალითად, რუსული...), ისე არმქონე ენათა (ინგლისური, თურქული...) მონაცემებისა.

4.1. შე- და წა- ზმნისწინიან ფორმათა შეპირისპირებითი აწალიზი

ქართულში რამდენიმე ზმნისწინი ფუნქციურად ახლოს დგას ერთმანეთთან. ეს შეიძლება ითქვას შე- და წა- ზმნისწინთა შესახებაც. საინტერესო სურათს იძლევა მათი შეპირისპირებითი აწალიზი, რომელსაც, ძირითადად, წარმოვადგენთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მასალის საფუძველზე, აგრეთვე ვეყრდნობით გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანისა და დ. შენგელიას “ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონს” და ვითვალისწინებთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და ზეპირი მეტყველების მონაცემებსაც.

ისიც საინტერესოა, რომ შე- და წა- ზმნისწინები ერთდროულად ერთვის მხოლოდ ექვს ზმნურ ფუძეს (ბილწ-, ფერ-, ღიტ-, ჩიჩხინ, ციცქინ-, ცუცნ-) (გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია 1989).

სემანტიკური ველის თეორიის ფარგლებში შე- და წა- ზმნისწინთა შედარებისას აღმოჩნდა როგორც საერთო, ასევე განსხვავებული ველები.

I. მსგავსი სემანტიკა:

შე-ნამავს: იგივეა, რაც დანამავს (ნამს აპკურებს, ცოტათი დაასველებს, // წყალს დაასხურებს – *სარეცხი დანამა*) – **წა-ნამავს:** ოდნავ დანამავს;

შე-ი-თამაშებს: 1. ცოტახანს ითამაშებს, გაითამაშებს, წაითამაშებს. // ხტუნვით გაივლ-გამოივლის, შეინავარდებს. 2. გადატ. თამაშით ამოძრავდება, შეირხევა, შეტოკდება // შეტრიალდება, გადატრიალდება. – **წა-ი-თამაშებს:** ცოტა ხნით (ცოტათი) ითამაშებს;

შე-კნავლებს: 1. იგივეა, რაც დაიკნავლებს, 2. შეჰკნავლებს – კნავილით შესძახებს – **წა-ჰ-კნავლებს:** კნავილით შესძახებს, კნავილის ხმას გამოსცემს;

შე-ს-ტიტინებს: ტიტინით ელაპარაკება – **წა-ი-ტიტინებს:** ტიტინით იტყვის;

შე-უ-სისინებს: იგივეა, რაც მიუტევს (ძალღს) (აიძულებს, რომ გამოუდგეს, გამოადევნოს ძალღი), // იგივეა, რაც შესისინებს, სისინით შედის, // სისინით ეტყვის, სისინით მიმართავს – **წა-უ-სისინებს:** სისინით შეეხმიანება. // გესლიანად, ღვარძლიანად ეტყვის;

შე-უ-სტვენს: იხ. Dდაუსტვენს – 1. ერთმანეთთან მიახლოებით ტუჩებით, პირში ჩადებული თითებით ან საგანგებო ხელსაწყოებით, მაღალ, მკვეთრ ხმას გამოსცემს. 2. გალობის, ჭიკჭიკის ხმას გამოსცემს, 3. სტვენით მიაწინებს რასმე – **წა-უ-სტვენს:** სტვენით გაეხმიანება;

შე-ა-ბარბაცებს: ბარბაცს დააწყებინებს, წააბარბაცებს – **წა-ა-ბარბაცებს:** ბარბაცს დააწყებინებს, დააბარბაცებს;

შე-ე-დავება: 1. დავას დაუწყებს, დავას გაუმართავს, შეეკამათება; შეეპაექრება. 2. სადავოს გაუხდის, შეეცილება – **წა-ე-დავება:** შეეცილება, შეედავება, ეცდება წაართვას რამე, ცილობას დაუწყებს, მეტოქეობას გაუწევს, შეედავება;

შე-ტორტმანდება: ტორტმანს დაიწყებს, ტორტმანით შეირხევა; შეტოკდება, შებარბაცდება – **წა-ტორტმანდება:** ტორტმანს დაიწყებს, წაბარბაცდება...

ქართულში გამოიყოფა აგრეთვე შე- და წა- ზმნისწინიანი მსგავსი სემანტიკის, მაგრამ განსხვავებული მიმართულების გამომხატველი ფორმები:

შე-ზიდავს: შეიტანს, რამდენჯერმე შეიტანს – **წა-ზიდავს:** ზიდვით წაიღებს, გაზიდავს;

შე-ა-ცუნცულებს: ცუნცულით, სწრაფად შეიყვანს (შეიტანს) – **წა-ა-ცუნცულებს:** ცუნცულით წაიღებს;

შე-ა-ცოცებს: ცოცვით შეიტანს, შეიყვანს, ააცოცებს, შეაპარებს – **წა-ა-ცოცებს:** ცოცვით წაიღებს, // გააპარებს.

ქეგლ-ის მიხედვით, რამდენიმე ზმნაში ზმნისწინი მხოლოდ ფორმალურ სხვაობას ქმნის, მაგრამ, თუ ზეპირი მეტყველების მონაცემებს გავითვალისწინებთ, აქაც შეიძლება გამოიყოს განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსები. მაგალითად:

შე-წითლდება: ცოტათი გაწითლდება, აწითლდება, შეფაკლდება // აიტკრიცება, დაიბრაწება – **წა-წითლდება:** ცოტათი გაწითლდება, შეწითლდება;

შე-იყმუვლებს: იგივეა, რაც დაიყმუვლებს, ყმუილს გამოსცემს, ყმუილს დაიწყებს – **წა-ი-ყმუვლებს:** იგივეა, რაც დაიყმუვლებს;

შე-ა-ხალისებს: იხ. წაახალისებს – **წა-ა-ხალისებს:** 1. გაახალისებს, გააღაღებს, 2. რისამე გაკეთების ხალისს გაუძლიერებს, შეაგულიანებს.

სემანტიკურად ახლოსაა თითქოს ერთმანეთთან ფორმები: **შეაქსოვს** – **წააქსოვს**, მაგრამ მათ შორის მაინც იგრძნობა სხვაობა: **შე-ა-ქსოვს:** ქსოვით შერთავს, მიაქსოვს, ჩააქსოვს. შდრ.: **წა-ა-ქსოვს:** ქსოვით მიამატებს, მიაქსოვს.

II. განსხვავებული სემანტიკა:ჭ

შე-მწარდება: ცოტათი გამწარდება, სიმწარე შეეპარება – **წა-მწარდება:** წაამწარებს (განცდილ სიამოვნებას სიმწარედ უქცევს, ჩააშხამებს, ჩაამწარებს), ჩამწარდება, ჩაშხამდება;

შე-ა-გებს: 1. შიგ დააგებს, 2. ძვ. შეატყობს, გაიგებს, მიხვდება – **წა-ა-გებს:** 1. ზარალს ნახავს, იზარალებს// დააკლდება, 2. ძვ. Dდახარჯავს;

შე-ს-თავაზებს: თავაზით შეადლევს, მიაწოდებს// თავაზიანად დაავალებს – **წა-უ-თავაზებს:** წაართყამს, წაუთაქებს;

შე-თელავს: მცირედ მოთელავს – **წა-თელავს:** წააქცევს და გათელავს;

შე-ე-ლეწება: შეუღწავს ზმნისა, შეუღწენ: შეიღწება მისი, შეემტრევა, შეემსხვრევა: შეასკდება – **წა-ე-ლეწება:** წაადგება (თავზე), წააწყდება;

შე-ა-სვენებს: 1. ცოტა ხნით დაასვენებს, მცირე ხნით დასვენების საშუალებას მისცემს. 2. პატივისც. შედგამს, შეიტანს, დაასვენებს (ცხედარს) – **წა-ა-სვენებს:** წაიღებს დასაკრძალავად (მიცვალებულს), გაასვენებს. // მოწიწებით წაიღებს (ჯვარს, ხატს...);

შე-სხლტეს: შეაწყვეტს, შეაჩერებს – **წა-უ-სხლტება:** წაუცურდება, დაუსხლტება;

შე-ე-ტანება: მიეტანება, შეეტაკება, შეებრძოლება – **წა-ე-ტანება:** მოინდომებს ხელის (პირის...) წავლებას, დაჭერას, – წასწვდება;

შე-ა-ყენებს: 1. სვლას, სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს, – გააჩერებს, დააყენებს. // შეაჩერებს, შეწყვეტს (დენას...). 2. დააყენებს რაიმეზე, 3. ააშვერს, ააბზეკს, 4. შეაგროვებს, შეაჯამებს, შეადგენს. – **წა-ა-ყენებს:** 1. ახლოს მიუყვანს და მასთან დააყენებს. 2. წარადგენს (შესაფასებლად, პასუხის გასაცემად). *წინ წააყენებს – დააწინაურებს;

შე-ე-შღებთ: შეუშლის ზმნისა: 1 შეცდომა მოუვა, აერევა, აებნევა, 2. ჭკუაზე შეცდება მისი, – გაუგიჟდება, შეერყევა – **წა-ე-შღებთ:** წაუშლის ზმნისა – წაიშლება მისი // მოესპობა, გაუქრება;

შე-ა-წერს: გადასახადს, გამოსაღებს დაუწესებს, დაავალდებულებს, მიაწერს, დაბეგრავს, // განსაზღვრულ მოვალეობას დააკისრებს, დაავალებს – **წა-ა-წერს:** დააწერს, მიაწერს;

შე-ა-ხდენს: იხ. აიყვანს. 1. ასწევს და დაიჭერს ხელში (ადამიანს ან სხვა ცოცხალ არსებას), 2. წაიყვანს ქვევიდან ზევით, 3. გაიყვანს ქვევიდან ზევით (გზას და მისთ.), 4. თანდათან სიმაღლეს მიუმატებს, ააშენებს, აღმართავს (კედელს...), 5. დამხმარედ, შემწედ იყოლიებს, 6. ბანქოს თამაშში – აიღებს (ერთი კარტით მეორეს, სხვებს) – **წა-ა-ხდენს:** 1. უვარგისს გახდის, გააფუჭებს // ჩაშლის, დააზიანებს, 2. გაანადგურებს, 3. გადატ. სულიერად გატებს, საქციელს წაუხდენს.

ამგვარად, ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთან **შე-** და **წა-** ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს როგორც მსგავს (**შე-ზიდავს – წა-ზიდავს**), ისე განსხვავებულ სემანტიკას (**შე-ა-სვენებს – წა-ა-სვენებს**).

შე- და **წა-** ზმნისწინიან ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ თანამედროვე ქართულში **შე-** და **წა-** ზმნისწინები, ჩვეულებრივ, ზმნის ფორმას ანიჭებენ განსხვავებულ მნიშვნელობას, ხოლო ერთი და იმავე სემანტიკის ფარგლებში ზოგჯერ გამოხატავენ მიმართულებას.

4.2. სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მხოლოდ ზმნისწინი არ ცვლის სიტყვის მნიშვნელობას. არანაკლები როლი აკისრია ზმნურ ფუძესაც. **ზმნისწინი + ზმნური ფუძე** გვაძლევს ახალ მნიშვნელობას. ზმნური ფუძე ითხოვს ზმნისწინს, ზმნური ფუძე მართავს ზმნისწინს. რაც არ უნდა პოლისემანტიკური იყოს ზმნისწინი, თუ ზმნური ფუძე თავისი შინაარსით ვერ იგუებს რომელიმე ზმნისწინს, ახალი, განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის ზმნა არ წარმოიქმნება. მართებული არ არის ზმნისწინის ცალ-ცალკე, იზოლირებულად შესწავლა. ზმნისწინს თავისი ნებისმიერი ფუნქცია, ნებისმიერი კონკრეტული მნიშვნელობა ზმნურ ფუძესთან ერთად აქვს.

ასევე აღნიშნულია, რომ ზმნის ფუძე იგუებს ისეთ ზმნისწინს, რომელიც მის მნიშვნელობას წარმოაჩენს და უფრო მეტად განავითარებს: **ა-ა-სრულებს, გა-ა-სრულებს, და-ა-სრულებს, შე-ა-სრულებს** (ყველა ეს ზმნა მოქმედების დასრულებას გამოხატავს). არა გვაქვს: **წა-ასრულებს, მი-ასრულებს, ჩა-ასრულებს, ჩამო-ასრულებს, გადა-ასრულებს, გამო-ასრულებს**. ამ ზმნისწინებს ეს ზმნური ფუძე, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, ვერ იგუებს. თვით ზმნური ფუძის სემანტიკა მჭიდროდ უკავშირდება იმ ზმნისწინთა მნიშვნელობებს, რომელთაც იგი იყენებს. მაგალითად:

ა-ასრულებს – განახორციელებს, შეასრულებს (განზრახულს, დაპირებულს, ნაბრძანებს...), რაც იკისრა, აასრულებს;

და-ასრულებს – დაამთავრებს, დააბოლოებს. **და-** ზმნისწინს ამ ზმნაში საფუძლიანი, ფუნდამენტური შესრულების მნიშვნელობა შეაქვს;

შე-ასრულებს – გააკეთებს, განახორციელებს (დავალებულს, განზრახულს, დაწესებულს...), დაიცავს, დაემორჩილება (წესს, ბრძანებას, ვისიმე სურვილს...).

შე-ასრულებს და **და-ასრულებს** განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქ მაინც სხვაგვარი მოქმედებები სრულდება:

გამოცდაზე წერს ბავშვი – ნაწერი და-ასრულა.

სახლში წერს ბავშვი – დავალება შე-ასრულა.

შესრულებული სამუშაო მაინც არ არის დასრულებული. აქ მოქმედების პროცესი განმეორებას გულისხმობს. შესრულებული დავალება, სამუშაო შეიძლება ნელ-ნელა, თანდათან დასრულდეს. ამიტომ ითქმის – *სკოლას დაასრულებს, სწავლას დაასრულებს*. მაგრამ სწავლის პროცესში, სწავლის დასრულებამდე – *დავალებებს (არაერთგვრადს) შეასრულებს*. აქ რაღაც დონით მოქმედების სიცოტავე, ოდნობაც ჩანს. საინტერესოა ის, რომ *დავალებას დაასრულებს* არ ითქმის. *დავალებას შეასრულებს* თითქმის მყარ გამოთქმად არის ენაში ქცეული. **სრულ** ზმნური ფუძისაგან სხვადასხვა ზმნისწინებით ნაწარმოები ზმნები, მართალია, ერთნაირ მოქმედებებს გადმოსცემენ, მაგრამ შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ყველა ზმნის მოქმედება სრული სახისაა, თითქოს წინა პლანზე ასპექტი, მოქმედების სახეა წამოწეული (კვანტალიანი 2001: 54-56).

გ. გოგოლაშვილის, ც. კვანტალიანისა და დ. შენგელიას “ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის მიხედვით” ჩვენ წარმოვადგენთ ნუსხას, რომელიც ასახავს, რამდენ ფუძეს დაერთვის მხოლოდ ერთი ზმნისწინი:

და- 525 ფუძე

ა- 79 ფუძე

გა- 420 ფუძე

წა- 51 ფუძე

მო- 128 ფუძე

გამო- 24 ფუძე

შე- 113 ფუძე

წამო- 22 ფუძე

ჩა- 84 ფუძე

მი- 17 ფუძე

ჩამო- 15 ფუძე

გადმო- 1 ფუძე

ამო- 13 ფუძე


შემო- 1 ფუძე

გადა- 10 ფუძე

ჩვენი ნუსხის მიხედვითაც პროდუქტიული ჩანს და- ზმნისწინი, ხოლო ყველაზე ცოტას (ერთ ფუძეს) დაერთვის მხოლოდ გადმო- და შემო- ზმნისწინები; ასევე საინტერესოა ისიც, რომ ყველა ზმნისწინს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ირთავს მხოლოდ 23 ზმნური ფუძე (იხ. დანართი 3).

ფუძეთა მიხედვით ზმნისწინიან ფორმათა განხილვა იძლევა სემანტიკის თვალსაზრისით საინტერესო სურათს:

1. ერთი ფუძის ფარგლებში გამოიყოფა როგორც მსგავსი (საერთო ფუნქციის), ისე განსხვავებული სემანტიკის მქონე ზმნისწინიანი ფორმები. მაგალითისათვის ავიღოთ ღებ ფუძე:



ა. მსგავსი სემანტიკა: მოცემულ მაგალითებში ზმნისწინი აღნიშნავს მხოლოდ მიმართულებას:

ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ:

ჩა-იღებს _ ძირს, ქვევით დასწევს (ხელს, ფეხს...);

და-იღებს _ ძირს დახრის, დაბლა დასწევს, დაუშვებს (თავს, თვალს);

ჩამო-იღებს _ აიღებს და ძირს დადებს (ზემოთ, მაღლა მოთავსებულს. || ჩამოხსნის (კედლიდან...)). || ძირს ჩამოსწევს (ხელს, ფეხს...);

ღქვევ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ:

ამო-იღებს _ 1. აიღებს (რამეში მოთავსებულს, ჩადებულს), სიღრმიდან რასმე ამოიტანს. 2. ამოთხრის მიწიდან. || ამოაძრობს ან ამოაძრობინებს (კბილს);

გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ:

შემო-იღებს _ დააკანონებს; დაამკვიდრებს, დანერგავს;

შ ი გ ნ ი დ ა ნ გ ა რ ე თ:

გა-იღებს _ 1. გასცემს. გამოყოფს. 2. გამოსცემს (როგორიმე ხმას);

გამო-იღებს _ 1. აიღებს და გამოიტანს (რამეში მოქცეულს, მოთავსებულს). 2. გაიკეთებს, გამოიტანს (კვირტს, ნაყოფს მცენარე...). *ხმას გამოიღებს _ ხმას გამოსცემს, ამოუშვებს;

ა ქ ე დ ა ნ ი ქ ი თ:

წა-იღებს _ 1. წასვლისას თან გაიყოლებს. 2. გასწევს (ხელს...). 3. (საუბ.) წაართმევს, გამოაცლის (ძალას, ღონეს...);

ი ქ ი დ ა ნ ა ქ ე თ:

წამო-იღებს _ წამოსვლისას თან გამოიყოლებს. 2. გამოსწევს (ხელს...);

მო-იღებს _ გამოსცემს (როგორიმე ხმას). *დახმარებას მოიღებს _ დაეხმარება, შეეწევა (შდრ. ძვ. ქართ. მოღება=მოტანა).

მოცემული ფუძის ფარგლებში მსგავსი სემანტიკის, კერძოდ, მიმართულების გამომხატველი სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმა ცოტაა.

ბ. განსხვავებული სემანტიკა:

ა-იღებს _ 1. ასწევს და დაიჭერს (ხელში). 2. მაღლა ასწევს (თავს). 3. გამოართმევს (ვისმე), მიიღებს ვინმესგან. 4. დაიპყრობს, დაიმორჩილებს. 5. დაანგრევს, მოშლის, _ გააუქმებს. 6. მაგალითად მოიყვანს. 7. გადნება (თოვლი). 8. მოკრევს, მოიწევს (ჭირნახულს, მოსავალს);

გადა-იღებს – 1. აიღებს და გადადებს, გადადგამს. || აიღებს და დაიდებს (თავის თეფშზე). || გადასწევს, გადახრის (თავს). 2. რისამე გამოსახულებას გააკეთებს, აღბეჭდავს (ფოტოაპარატის, კინოაპარატის საშუალებით). || თავისთავს გადააღებინებს (ფოტოგრაფს). || რისამე პირს აღბეჭდავს, გადაბეჭდავს, გადახატავს, გადაწერს. 3. ვისიმე წაბადვით გამოიყენებს, შეითვისებს. 4. შეწყდება (წვიმა, თოვა...);

გადმო-იღებს – 1. აიღებს და გადმოდებს; გადმოდგამს. || გადმოსწევს, გადმოხრის (თავს). || აიღებს და დაიდებს (თავის თეფშზე). 2. რისამე პირს გადმოიბეჭდავს; გადმოხატავს; გადმოწერს. 3. ვისიმე წაბადვით გამოიყენებს, შეითვისებს;

მი-იღებს – 1. გამოართმევს, ჩაიბარებს რასმე (კუთვნილს, ბოძებულს, გამოგზავნილს...). || გადასცემენ, ჩაიბარებს. || მოიპოვებს ნებართვას. 2. მოიწვევს, მოიყვანს (მოსავალს, ჭირნახულს...). 3. რაიმე პროცესის შემდეგ მოიპოვებს, გამოიმუშავებს, შექმნის. 4. დაღევს, გადაყლაპავს (წამალს). 5. მისცემენ, გაუწევენ (დახმარებას, შემწეობას). 6. მიუზღავენ, გამოუცხადებენ რასმე. 7. მიმართავს, გამოიყენებს (რაიმე ზომებს). 8. მოიწონებს, გაიზიარებს, ირწმუნებს რასმე. || დაეთანხმება. 9. დაამტკიცებს, დაადგენს რასმე, გამოიტანს (დადგენილებას, გადაწყვეტილებას...). 10. მოიპოვებს, შეიძენს (განათლებას, თანამდებობას...). 11. ირწმუნებს, აღიარებს (რომელიმე სარწმუნოებას). 12. ნებას, საშუალებას მისცემს, რომ მივიდნენ მასთან (მაღალი თანამდებობის პირი). || გასინჯავს (ექიმი ავადმყოფს). 13. შეხვდება, დაუხვდება; მიეგება (მასთან სტუმრად მისულს...). 14. რისამე (რაიმე წრის, ორგანიზაციის...) წევრად გახდის; ჩარიცხავს, მოაწყოებს (სასწავლებელში, სამსახურში...). 15. შეიძენს, მიეცემა (რაიმე ახალი თვისება, ხასიათი...). 16. დაიჭერს, დაიკავებს, შეიქმნის (როგორიმე გამომეტყველებას, შესახედაობას...). 17. ჩაითვლის, მიიჩნევს რადმე; ეგონება; მოეჩვენება. 18. მიაბრუნებს, გადახრის (თავს, სახეს...).

მი- თითქმის იქითა მოქმედებას აღნიშნავს: **მი-იტანა, მი-აკითხა** და ა.შ. **შდრ.: მო-იტანა, მო-აკითხა** და ა. შ. **შდრ.: ზემოთ ძვ. ქართული.**

ასეთი მაგალითების გამრავლება შესაძლებელია სხვადასხვა ფუძის საფუძველზე და თითქმის ყველგან ერთნაირი სურათია, ე.ი. ერთი და იმავე ფუძის ფარგლებში,

მიუხედავად განსხვავებული ზმნისწინიანი ფორმებისა, არის როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული სემანტიკის ზმნები. მაგალითად: თუ **ჭკნობ** ფუძეს დაერთვის **შე-**, **წა-**, და **მო-** ზმნისწინები, ვღებულობთ მსგავს სემანტიკას: **შე-აჭკნობს** (ცოტა, ოდნავ დააჭკნობს); **წა-აჭკნობს** (ცოტათი დააჭკნობს, მოაჭკნობს), **მო-აჭკნობს** (გაჭკნობს; ცოტათი დააჭკნობს); **და-**, **გა-** და **ჩა-** ზმნისწინთა დართვით კი მიიღება განსხვავებული სემანტიკის ფორმები: **და-აჭკნობს** (სინედლეს მოაკლებს (მცენარეს), – მცირედ გაახმობს), **გა-აჭკნობს** (სინედლეს დაუკარგავს, გაახმობს, – დააჭკნობს); **ჩა-აჭკნობს** (შიგ დააჭკნობს).

მოქმედების სიცოტავის, ოდნაობის გამოსახატავად ძველ ქართულში **შე-** ზმნისწინი გამოიყენებოდა. ახალ ქართულში ეს ფუნქცია **მო-** ზმნისწინმაც შეიძინა, ასევე შეიძლება ითქვას **წა-** და **წამო-** ზმნისწინთა შესახებაც, რომლებიც დღევანდელ ქართულში ბევრ ზმნასთან სწორედ მოქმედების სიცოტავს გამოხატავენ: **წა-თვლიმა**, **წა-იბორძიკა**, **წა-ისაუზმა**, **წა-იბურტყუნა**, **წა-ილაპარაკა**, **წა-იეშმაკებს**, **წამო-იჩიტა**, **წამო-წითლდა** და. ა.შ. (ვეშაპიძე 1967: 124).

ა. შანიძე დამატებითი ფუნქციების მქონე ფორმებს მეორეულ ზმნებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ასეთი ფუნქცია ყველაზე მეტად **გა-** და **და-** ზმნისწინებს აქვს მოპოვებული: **გა-ტეხა** არ არის შიგნიდან გარეთ გატეხა, ხოლო **შე-ტეხა** და **ჩა-ტეხა** მიმართულების გაგებასაც შეიცავს. ამგვარადვე: **და-მალა** არ ნიშნავს ზემოდან ქვევით მოქმედებას, ხოლო **შე-მალა** და **ჩა-მალა** სათანადო მიმართულების გაგებას მოკლებული არ არის (შანიძე 1980: 253).

2. სხვადასხვა ფუძის ფარგლებში გამოიყოფა საერთო სემანტიკის მქონე ზმნისწინიანი ფორმები:

ოო დ ნ ა ბ ა: **გადა-**, **მი-**, **მო-**, **შე-**, **ჩა-**, **წა-**, **გამო-**, **შემო-**, **ჩამო-**, **წამო-**. მაგალითები: **გადა-უკითხავს** (სახელდახელოდ წაუკითხავს); **გამო-აღებს** (ოდნავ გააღებს); **მი-წვება** (სახელდახელოდ, მცირე ხნით დაწვება (სადმე)); **მო-უნამავს** (ოდნავ დაუნამავს); **შე-აჭკნობს** (ცოტა, ოდნავ დააჭკნობს); **წა-იპურმარილებს** (ცოტა პურმარილს მიიღებს); **შემო-ჟონავს** (ჟონვით, ნელ-ნელა შემოვა, შემოედინება (სითხე)); **ჩამო-ჰგავს** (ოდნავ

ჰგავს)... სამეცნიერო ლიტერატურაში არსად არ არის მითითებული **შემო-** და **ჩამო-** ზმნისწინთა ოდნაობის სემანტიკა. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ქართულს არ მოეპოვება ზმნით გამოხატული მოქმედების სიმცირის, ოდნაობის აღმნიშვნელი სპეციალური ზმნისწინები.

ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით ამ ფუნქციით სხვადასხვა ზმნასთან გვხვდება ზმნისწინები **მო-, შე-, წა-, წამო-**. ოდნაობის აღნიშვნა აგრეთვე არ არის დამახასიათებელი აწმყოს წრის მწკრივებისათვის. ასეთია, მაგალითად: **მო-ბერდება, მო-სველდება, მო-სუქდება, მო-ძლიერდება...** **შე-თბება, შე-თეთრდება, შე-თხელდება, შე-წითლდება...** **წა-ითამაშებს, წა-თოხნის, წა-ჭამს...** **წამო-იზრდება, წამო-იჩიტება, წამო-წითლდება...**

ვნებითი გვარის ფორმებში **წა-** და **მო-** ზმნისწინები შეიძლება შეგვხვდეს აწმყოს გაგებითაც: **მო-იავადმყოფებს** (“ცოტა ავადაა”), **მო-იგიჟებს, მო-იზარმაცებს, მო-ისუსტებს...** **წა-იავადმყოფებს, წა-იზარმაცებს, წა-იკოჭლებს** და ა.შ.

ეს ფორმები საზიაროა აწმყოსა და მყოფადისათვის, სხვა ოდნაობის პრევერბიან ზმნებს კი აწმყოს გაგება არ აქვთ და მხოლოდ მყოფადის წრეში იხმარებიან (ჭუმბურიძე 1986: 104);

ორმაგი (თანამდევ) მოქმედება: და-, მი-, მო-, შე-, შემო-. მაგალითები: **და-ლაქლაქებს** (დადის და ლაქლაქებს); **მი-იმღერის** (მიდის და თან მღერის); **მო-აქნევს** (მოდის და აქნევს); **შე-ანათებს** (შევა და გაანათებს); **შემო-ბნელდა** (შემოვიდა და დააბნელა აქაურობა თავისი ჩრდილით)... სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ორმაგი (თანამდევ) მოქმედების გამომხატველად მიჩნეულია მხოლოდ ზემოთ მოცემული ხუთი ზმნისწინი. სალექსიკონო მასალის დამუშავებისას აღმოჩნდა გაცილებით განსხვავებული სურათი, რის საფუძველზეც მივიჩნევთ, რომ ორმაგ (თანამდევ) მოქმედებას გადმოსცემს აბსოლუტურად ყველა ზმნისწინი: **ა-, გა-, გადა-, ჩა-, წა- ამო-, გადმო-, გამო-, ჩამო-, წამო-**. მაგალითად: **გა-ალაგებს** (გადაიტანს და დააწყობს); **გადმო-დგამს** (გადმოიღებს და დადგამს); **წამო-არტყამს** (წამოუქნევს და მარტყამს)...

დაწყებითობა (ინხოატივი): ა-, გა-, და-, მო-, შე-, წა-, გამო-. მაგალითები: ა-
ჩაქჩაქდება (ჩაქჩაქს დაიწყებს, ჩაქჩაქით ავა); *გა-ადენს* (დენას დააწყებინებს, დინებით
გამოიყვანს); *გამო-ელაპარაკება* (ლაპარაკს დაუწყებს); *და-ბარბაცდება* (ბარბაცს
დაიწყებს, წონასწორობას დაკარგავს, – დატორტმანდება); *მო-იხედავს* (თვალს აქეთ
(უკან...) დაიწყებს ცქერას); *შე-კანკალდება* (კანკალს დაიწყებს); *წა-აბარბაცებს*
(ბარბაცს დააწყებინებს)...

ა- ზმნისწინის (აგრეთვე იშვიათად გამო-ს) დაწყებითობის სემანტიკის გამოხატვის
შესახებ ძალიან ბევრი ლიტერატურა არსებობს. თუ მის გრამატიკულ ფუნქციას არ
გავითვალისწინებთ, იგი თითქმის გაიგივებულია დაწყებითობის ფუნქციასთან.
საანალიზო მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ დაწყებითობას (ინხოატის)
გამოხატავს არა მარტო ა-, არამედ სხვა (გა-, და-, მო-, შე-, წა-) ზმნისწინებიც.

ბ. ჯორბენაძეც აღნიშნავს, რომ ინხოატის გამოსახატავად აუცილებელია ა-
ზმნისწინის მქონებლობა: ა-მღერდება, ა-ბიბინდება, ა-შრილდება, ა-კრიალდება... მისი
აზრით, სხვა ზმნისწინები ამ ფორმებთან ან საერთოდ არ გვხვდება, ანდა სულ სხვა
მნიშვნელობას გამოხატავენ, თუმცა მეცნიერი იმასაც მიუთითებს, რომ ძალზე
იშვიათად დასტურდება ამ ტიპის ზმნისწინები, როგორიცაა: გა-, და-, ამო-. მაგალითად:
გა-კაშკაშდა (კაშკაში დაიწყო); *და-ტრიალდა* (ტრიალი დაიწყო); *ამო-რაკრავდება* (ამოვა
და რაკრავს დაიწყებს) (ჯორბენაძე 1989: 182).

ბ. ჯორბენაძეს ამავე ნაშრომში არა აქვს აღნიშნული შე-, წა- და სხვა ზმნისწინიანი
ფორმები, რომელთა ფარგლებშიც შეგვხვდა დაწყებითობის (ინხოატის)
გამომხატველი ფორმები. მაგალითად: *შე-ფუფდება* (აფუფებას, გაღვივებას დაიწყებს
(ცოდი...), – ოდნავ გაფუფდება); *შე-კანკალდება* (კანკალი აუტყდება, კანკალს დაიწყებს, –
ათრთოლდება, შეცახცახდება, შემაგმაგდება); *შე-მხავრდება* (ლპობას დაიწყებს); *შე-
პროწიალდება* (პროწიალს დაიწყებს, სწრაფად შეტრიალდება, შებზრიალდება). შე- და
წა- ზმნისწინთა დაწყებითობის (ინხოატის) სემანტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში
არსად არ არის მითითებული;

ზედაპირისადმი განხორციელებული მოქმედება: ა-, გა-, გადა-, და-, მი-, მო-, შე-, წა-, ჩამო-, წამო-. მაგალითები: *ა-აცლის* (ზედაპირზე ააძრობს); *გა-თლის* (თლით ზედაპირს გაასწორებს); *გადა-გლესს* (გლესით დაფარავს, ამოავსებს რისამე ზედაპირს); *და-აგლესს* (შეზელილ მასას (თიხას, საგოზავს...) რისამე ზედაპირზე გლესით წაუსვამს); *და-ადებს* (რისამე ზევიდან დადებს, რამეზე დადებს); *მი-ამატებს* (ზედ დაურთავს, _ დაამატებს); *შე-აწვება* (ზედ დააწვება); *ჩა-აკლავს* (ზედ დააკლავს (რამეში მყოფს))... ზედაპირისადმი განხორციელებული მოქმედების გამომხატველად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია გადა-, მო-, შე-, წა-, წამო- ზმნისწინები. სალექსიკონო მასალის მიხედვით ამ რიცხვს ჩვენ დავუმატეთ ა-, გა-, და-, მი-, ჩამო- ზმნისწინები;

საურთიერთო მოქმედება: შე-, წა-. მაგალითად: *შე-ამეგობრებს* (ერთმანეთის მეგობრად გახდის); *წა-აჩხუბებს* (აჩხუბებს (ვინმესთან))...

ზოგიერთი ზმნისწინიანი (მაგალითად, შე-, შემო-) ფორმა სემანტიკურად ახლოს არის საურთიერთოსთან, მაგრამ ამავე დროს ატარებს *შემჭიდროება-გამთლიანების* (ანუ *შეერთება-შეკრების* _ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე) ნიუანსს. საანალიზო მასალაზე დაყრდნობით აღნიშნული სემანტიკის გამომხატველ გა-, გადა- და-, მი-, ჩა-ს ჩვენ დავამატეთ შე-, შემო- ზმნისწინები. მაგალითები: *გა-ზელს* (ზელით ერთმანეთში გაურევს; ზელით მოსრესს); *გადა-წნავს* (ერთმანეთზე დაწნავს, _ დაწვნით შეაერთებს); *და-უახლოვდება* (ახლობელი გაუხდება, ახლო ურთიერთობა ექნება (ვინმესთან), _ დაუკავშირდება); *მი-აქსოვს* (ქსოვით მიუმატებს); *ჩა-აქსოვს* (ქსოვით ჩაურთავს. || ქსოვით გამოიყვანს); *წა-აკერებს* (კერვით წამატებს, _ მიამატებს); *შე-თოკავს* (თოკით შეკრავს, _ გაბაწრავს, შებოჭავს); *შე-დულდება* (დნობით შეკავშირდება, _ მიდულდება, მიეხმება, მიეკვრება; მიეხორცება; *შე-კრებს* (ერთად თავს მოუყრის, _ შეაგროვებს); *შემო-კრებს* (მოკრებს, შეკრებს).

წა- ზმნისწინთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ იგი გამოხატავს განაპირა ნაწილსა და წამატების (გაგრძელების) ნიუანსს: *წა-იწვება* (განაპირა ნაწილი მოიწვება); *წა-აჭრის* (მცირე მონაკვეთს, კიდურს მოსჭრის) (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 459)

სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა: ა-, გა-, გადა-, და-, მი-, მო-, შე-, ჩა-, ამო-, გადმო-, გამო-, შემო-, ჩამო-. მაგალითები: *ა-ს-ძახებს* (ზევით მყოფს დაუძახებს, ქვევიდან ზევით შესძახებს); *გა-ჰკივის* (კივილით გაიძახის; გაბმით კივის); *გადა-ს-ჩხავის* (ჩხავილით გადასძახებს); *და-ს-ცქერის* (უყურებს, უცქერის ზევიდან ქვევით, _ დაჰყურებს); *მი-ს-ძახის* (მიმავალს ეძახის, უყვირის); *მო-ს-ძახის* (ეხმაურება, ხმას აძლევს); *შე-მღერის* (სიმღერით მიმართავს); *ჩა-ს-ჭიკჭიკებს* (ჭიკჭიკით ეტყვის (რასმე)); *ამო-ს-ცქერის* (ქვევიდან ზევით (მოლაპარაკისაკენ) იცქირება, _ ამოჰყურებს); *გადმო-ს-ჩხავლებს* (ჩხავილით გადმოსძახებს); *გამო-ს-ცქერის* (საიდანმე უყურებს, უმზერს აქეთ მყოფს, _ გამოჰყურებს); *შემო-ს-ტირის* (ტირილით მიმართავს, ტირილით შემოსჩივლებს); *ჩამო-ს-ჩხავის* (ჩხავილით ჩამოსძახის). ირიბი ობიექტისადმი მიმართული მოქმედება თითქმის ყველა ზმნისწინიან ფორმასთან არის დადასტურებული;

ნეიტრალური მოქმედება: გა-, და-. მაგალითად: *გა-აკეთებს* (1. შრომით შექმნის (რასმე), წარმოქმნის; იზამს, ჩაიდენს, შეასრულებს (საქმეს). მოიმოქმედებს რასმე; მოაგვარებს // მოამზადებს, შეამზადებს (საჭმელს) // დაამუშავებს (მიწას, ბარს, ვენახს...) 2. გამოიმუშავებს, მოიგებს (ფულს...)). 3. გადატ, შეძლებულს, მდიდარს გახდის; სიკეთეს უზამს, ხეირს მოუტანს, ააშენებს); *გა-ალამაზებს* (ლამაზს, მშვენიერს გახდის, შნოსა და ლაზათს მისცემს); *და-ადგენს* (1. მიიღებს (გადაწყვეტილებას, დადგენილებას...), გამოიტანს განაჩენს, გადაწყვეტს. || დაამტკიცებს, დაასაბუთებს. 2. დააწესებს, დააარსებს, დაამყარებს, შექმნის)....

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ *და-* გამოხატავს სვლისა (სიარულის) და ტარების დაუკონკრეტებელ, განუსაზღვრელ მიმართულებას: *და-კუნტრუშობს* (კუნტრუშით დადის), *და-ცოცავს* (ცოცვით, დადის); *და-იპარება* ((მი)პარვით დადის); *და-აჭენებს* (ჭენებით დაჰყავს)...

ენაში უზმნისწინო და ზმნისწინიანი, აგრეთვე სხვადასხვა ზმნისწინიანი ზმნების საპირისპირო ელემენტების გამოყოფის შედეგად მიიღება ოპოზიციური ფორმები.

მიმართულებით დაპირისპირებულ ზმნისწინთაგან ოპოზიციურადაა მიჩნეული **მი-** /წა(რ)- _ მო-, შე- _ გა(ნ)-, ა(ღ)- _ და-/ჩა-.

შ. აფრიდონიძე მიუთითებს, რომ ამგვარ ოპოზიციურ დაპირისპირებაში **გა(ნ)-** და **და-** პრევერბები ნაგულისხმევი არ არის. ამასაც იმით ხსნის, რომ “მიმართულების”, როგორც მხოლოდ ფიზიკური მოძრაობის გეზის, ვიწრო გაგება რეალურ ვითარებას არ შეეფერება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სხვა ანტონიმებს შორის აღნიშნულია ასეთებიც: **გათენება _ დაღამება; განათება _ დაბნელება; გახსნა _ დაკეტვა; გამარჯვება _ დამარცხება** და ა. შ. დღეს ფერთა ამსახველ ზმნებში, ისევე როგორც გარდაქცევითობის აღმნიშვნელ ზმნათა უმრავლესობაში, გამოიყენება **გა-** ზმნისწინი, **დაშავება** ზმნამ კი ახალი მნიშვნელობა შეიძინა (**დააშავა** = ცუდი რამ ჩაიდინა; აქედანვეა დანაშაულიც). საინტერესოა, რომ ამ ფუძეს პირვანდელ სემანტიკას უნარჩუნებს ისტორიულად **და-** ზმნისწინის შემცვლელი და მისი სინონიმური **ჩა-** ზმნისწინი. მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ დაშავებულის სინონიმურ რიგშია მოქცეული: დაწითლებული, დაღურჯებული, დალილავებული, როგორც ცემის, დაზიანების, დაშავების შედეგი. შდრ.: იმავე ფუძეების შემცველი სიტყვები სხვა სემანტიკურ რიგში: გაღურჯებული (სიცივისაგან), გაწითლებული ან აწითლებული (სიცივისა და სირცხვილისაგან) (აფრიდონიძე 1980: 86-87).

მიმართულების ჩვენება ძველ ქართულში **და-** ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია იყო და, საერთოდაც, ზმნისწინი თავდაპირველად მიმართულებას აღნიშნავდა და მერე კი ხშირ შემთხვევაში მან დაკარგა მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია. ამიტომ გამოიყოფა ნეიტრალური ზმნისწინები. ასეთია უმეტესად **გა-** და **და-**.

და- ზმნისწინი მოქმედების გეზის აღნიშვნის საკითხში საზოგადოდ უპირისპირდება ა-ს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში _ **მი-**სა და **მო-**ს. ეს მაშინ ხდება, თუ ისინი აღნიშნავენ მოძრაობას გარკვეული მიმართულებით (**მი** _ იქით, **მო** _ აქეთ), **და-** ნეიტრალიზაციას ახდენს და აღნიშნავს მოძრაობას საერთოდ, გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად, ასე ვთქვათ, გარკვეული მიმართულებით. მაგალითად: **მი-რბის** _ იქით, **მო-რბის** _ აქეთ. სივრცეში გადანაცვლების მნიშვნელობა,

განსაზღვრული მიმართულების გარეშე, მარტო და-სთან არის დაკავშირებული: დააქვს. მაშასადამე, და-მ ყველა ზმნისწინს დაუკარგა მნიშვნელობა, გააბათილა, გაანეიტრალა. ზმნისწინის დართვით გვაქვს: მი-დის, მო-დის, შე-დის, გა-დის და სხვა, რომლებიც ადამიანსა და ცხოველებზედაც ითქმის. სამაგიეროდ, და-დის ის ზმნაა, რომელიც სიარულს გულისხმობს ზოგადად, მიმართულების განუსაზღვრელად. და- ზმნისწინის ამგვარი მნიშვნელობა ხშირად გვხვდება როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში, რომლებიც ამა თუ იმ სახის მოძრაობას გულისხმობენ ადგილიდან: და-ქრის, და-ხტის, და-ცურავს, და-ცუნცულებს, და-აჭენებს, და-აქროლებს, და-ათრევს და სხვ. (შანიძე 1980: 253-254).

როგორც ც. კვანტალიანი მიუთითებს, სახელზმნური ფორმების წარმოებისას ძირითადად გამოიყენება ნეიტრალური ზმნისწინი. ზუსტად ასეთივე ვითარებაა ზმნურ ფორმებშიც. ერთი და იმავე ძირის ყველა ზმნისწინიან ვარიანტს არ ეწარმოება შესაბამისი მნიშვნელობის სახელზმნური ფორმები. მაგალითად: გა- ზმნისწინით ზმნურ ძირს შეზღუდულად ეწარმოება სახელზმნური ფორმები, ხოლო ზმნური ფორმებიდან სამივე ქცევა იწარმოება მოქმედებით გვარში, ორივე პრეფიქსიანი ფორმა _ ვნებითში: გა-ა-გებს, გა-ი-გებს, გა-უ-გებს = ხალიჩას; გა-ე-გება, გა-ო-გება = ხალიჩა. ამ მნიშვნელობით გა- ზმნისწინიანი სახელზმნური ფორმები შეზღუდულად იწარმოება. იხმარება მხოლოდ მასდარი და ულ- მაწარმოებლიანი საობიექტო მიმღეობა: გა-გ-ებ-ა, გა-გ-ებ-ულ-ი (კვანტალიანი 1999: 117-125).

ნ. ლოლაძე აღნიშნავს, რომ ზმნისწინის ფუნქციებიდან (ფაკულტატიური ფუნქციების ჩათვლით) მით უფრო იზღუდება ამოსავალი ფუნქცია, ანუ მით უფრო ნაკლებადაა გამოხატული ზმნისწინიანი ფორმებით მიმართულება. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა იმ ზმნათა ჩვენება, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება ამა თუ იმ დროში. მაგალითად: ვნებითი გვარის ზმნები მეორე სერიაში, მყოფადის ფორმები და მისთ., როცა ზმნისწინის დართვა გამოწვეული არაა მიმართულების აღნიშვნის საჭიროებით. აღნიშნულ ზმნებთან ზმნისწინებში ფაქტობრივად მოშლილია მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია. ამავე დროს ძალზე შეზღუდულია საკუთრივ

ზმნისწინთა არჩევანი. კერძოდ, ამ ზმნებთან ძირითადად გამოიყენება **გა-** და **და-** ზმნისწინები, რომლებიც მიმართულებას არ აღნიშნავენ. მაგალითად: **გა-ბრაზება**, **გა-მრუდება**, **გა-რთულება**, **გა-ძნელება**, **გა-ჭირვეულობა...** **და-ბნელება**, **და-ზიანება**, **და-ნესტიანება**, **და-მორჩილება**, **და-წყნარება**, **და-ჭკვიანება...** (ლოლაძე 2000: 225-228).

როგორც ვხედავთ, არსებული საენათმეცნიერო წყაროების მიხედვით ნეიტრალობის გაგება მიეწერება მხოლოდ **გა-** და **და-** ზმნისწინებს, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ ნეიტრალური ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ყველა ზმნისწინს. მაგალითად: **ა-აწითლებს** (წითელ ფერს დასდებს); **გამო-ადგება** (არგებს; ვარგისი გამოსადეგი იქნება (მისთვის)); სიკეთეს, სარგებლობას მოუტანს. || **გახდება**, **გამოდგება**, **აღმოჩნდება**, **დადგება** (მისთვის); **მი-აშველებს** (დაახმარებს, უშველის რამეთი); მოქსოვს (ქსოვით გააკეთებს რასმე); **წამო-ავლებს** (დაავლებს, დასტაცებს (ხელს...))...

ინტენსიობა (თითოობითობა – ა. შანიძე): **და-:** მაგალითად: **და-ზრდის** (გაზრდის ბევრს); **და-** ზმნისწინთან აშკარად დაკავშირებულია ისეთი მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირდაპირ ობიექტზე ცალ-ცალკე. ეს კი გარდამავალ ზმნასთან არის შესაძლებელი. საზოგადოდ, “თითოობით” შესრულებული მოქმედება ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს. ობიექტი შეიძლება არ იყოს მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ სახელი კოლექტიური უნდა იყოს ან საგანთა სიმრავლე უნდა იგულისხმებოდეს: **გა-ტება კაკალი – და-ტება კაკლები; გა-აღვიძა ბავშვი – და-აღვიძა ბავშვები** და მისთ. (შანიძე 1980: 255).

გარდა **გა-** და **და-** ზმნისწინიან ფორმათა ინტენსიობის თვალსაზრისით დაპირისპირებისა, ნ. ლოლაძე ყურადღებას ამახვილებს ზედსართავისაგან ნაწარმოებ ზმნებზე, რომლებშიც შეიმჩნევა **გა-** და **და-** ზმნისწინთა განაწილება ანტონიმთა მიხედვით: **გა-დიდება – და-პატარავება; გა-ლამაზება – და-უშნოება; გა-ახლება – და-ძველება...** (შდრ. შ. აფრიდონიძე). საგულისხმოა, აგრეთვე, იმ ზმნათა ჩვენება, რომლებიც დაირთავენ როგორც **და-**, ისე **გა-** ზმნისწინს. ამ ზმნათა ერთი ნაწილი სემანტიკურად თითქმის არ განსხვავდება. მაგალითად: **გა-აწვრილებს – წვრილს**

გახდის, *და-აწვრილებს* – წვრილს გახდის. ნ. ლოლაძის აზრით, *გა-* და *და-* ზმნისწინიანი ფორმები ამ შემთხვევაში ინტენსიობა-არაინტენსიობის მიხედვით არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ არ არის გამორიცხული სწორედ ინტენსიობის (არაინტენსიობის) სემანტიკიდან იყოს განვითარებული ახალი მნიშვნელობა (ლოლაძე 2000: 225-228).

ზოგიერთ ზმნისწინთან გამოყოფენ ისეთ შემთხვევებს, როცა გამოხატულია სხვა სემანტიკური ნიუანსებიც. მაგალითად:

გარდასული, გავლილი მოქმედება, რომელსაც ახორციელებს *გამო-* ზმნისწინი: *გამო-იზამთრებს* (ზამთარს გაატარებს, ზამთარს გამოივლის (პირუტყვი, მცენარე)), *გამო-იტირებს* (ტირილით გამოეთხოვება, გამოემშვიდობება, – ვისიმე გამო ტირილს მოათავებს, დაასრულებს)...

მდგომარეობიდან გამოყვანა, მდგომარეობის შეცვლა, რომელსაც გამოხატავს ისევ *გამო-* ზმნისწინი: *გამო-აკეთებს* (1. იგივეა, რაც გამოასწორებს. 2. უკეთ გახდის, – გამოაჯანსაღებს (ავადმყოფს))...

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით დაახლოებით ასეთივე ნიუანსის შემცველია *გარდაქცევითობა*, რომელიც გამოხატავს მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის შეცვლას საპირისპირო მიმართულებით. ეს გადმოიცემა *გადა-*, *შე-*, *ჩა-* ზმნისწინებით: *გადა-იზრდება* (განვითარების შედეგად ერთი მდგომარეობიდან მეორეში; გარდაიქმნება); *შე-ამგუნებს* (ნაყიდს (ან საჩუქარს) აღარ ინდომებს და გამომცემელს დაუბრუნებს); *ჩა-უმწარებს* (1. სიმწარედ უქცევს, – ჩაუშხამებს)...

რაღაცისთვის გარკვეული სახის მიცემა, რაღაცისგან რისამე შექმნა, რაღაც მასალისაგან რაიმე საგნის გაკეთება გამოხატულია *გამო-* ზმნისწინით: *გამო-აქანდაკებს* (ქვისგან), *გამო-ძერწავს*, *გამო-ჭრის* (თიხისგან). ეს ზმნები უპირატესად *-გან* (*-დან*) თანდებულიან სახელებს მოითხოვენ. როგორც ჩანს, ეს განაპირობებს *გამო-* ზმნისწინის დართვასაც (ერთი და იმავე ფუნქციის – შიგნიდან გარეთ – ჩვენების გამო).

მოჩვენებითობის სემანტიკის გამომხატველია *მო-* ზმნისწინიანი ფორმების გარეკვეული ნაწილი. მაგალითად: *მო-იგიჟიანებს*, *მო-იავადმყოფებს* (*თავს*)... აღ.

ფოცხიშვილი მიუთითებს, რომ ქართული ზმნის სისტემაში გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი სახელზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოები ფორმებისა, რომელთაც მოქმედება-მდგომარეობის გადმომცემი მეტად თავისებური შინაარსი ახლავთ. ასეთ ფორმებს მიაკუთვნებენ მოჩვენებითობის კატეგორიას. იგი გამოიხატება **მო-** ზმნისწინიანი ფორმებით. მხედველობაში გვაქვს: **მო-იავადმოფებს თავს** (1. თავს ავადმყოფად აჩვენებს; ავადმყოფობას მოიგონებს. 2. ოდნავ ავად არის; ზოგჯერ ავადმყოფობს); **მო-ისულელებს თავს** (1. თავს სულელად მოაჩვენებს. 2. ცოტა სულელია, _ მოსულელა); **მო-ი-მძინარებს თავს** (თავს მძინარედ მოაჩვენებს)... **მო-ვ-ი-მძინარე თავი** ნიშნავს, რომ სინამდვილეში არ მეძინა, ასეთ მდგომარეობაში მყოფად თავი სხვებს ვაჩვენე, რაღაც მიზეზისა თუ მიზნის გამო (ფოცხიშვილი 2000: 128).

ჩვენ მიერ მოპოვებულ სალექსიკონო მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ისიც ითქვას, რომ პირველი ორი შემთხვევა ოდნაობის ნიუანსსაც ატარებს (ოდნავ ავად არის, ცოტა სულელია, _ მოსულელა)...

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **მო-** ზმნისწინი გამოხატავს აგრეთვე **მოზრუნების** სემანტიკას, კერძოდ, ზოგჯერ აღნიშნავს, რომ მოქმედება სრულდება განსაზღვრულ ფართობზე ან რკალზე და უზრუნდება საწყის ადგილს. მაგალითად: **მო-ილოცავს** (მოივლის სალოცავ ადგილებს); **მო-ითარეშებს** (თარეშით მოივლის, _ აიკლებს, დაარბევს; გათელავს)...

ირგვლივ, გარშემო მოქმედების გამომხატველი ზმნისწინია **შემო-** **ზომავს** (ირგვლივ გაზომავს); **შემო-თღის** (გარშემო მოთლის, ირგვლივ თხლად შემოჭრის, _ შემოასწორებს)...

ლექსიკონებზე მუშაობამ გვაჩვენა, რომ ამ სემანტიკას გადმოსცემს არა მარტო **შემო-** ზმნისწინი, არამედ **და-**, **მო-**, **შე-**ც. მაგალითად: **და-ურბენს** (რისამე ან ვისიმე გარშემო დაირბენს, _ სირბილით დაუვლის. || სწრაფად დაუვლის, გავრცელდება); **მო-ფენს** (ირგვლივ, გარშემო დაფენს); **შე-იღობება** (ირგვლივ, გარშემო მოიღობება)...

უნებლიობის სემანტიკის გამომხატველად მიჩნეულია **შემო-** ზმნისწინი: **შემო-აკვდება** (უცაბედად, უნებურად ემსხვერპლება (ვინმე); თავისი სურვილის გარეშე,

შემთხვევით მოკლავს); *შემო-ელახება* (უნებურად გაელახვინება)... ამის შესახებ მიუთითებს ალ. ფოცხიშვილი. მას დასახელებული აქვს 22-მდე უნებლიობის სემანტიკის გამომხატველი ფორმა: *შემო-მაკვდა, შემო-მეჭამა, შემო-მეხარჯა, შემო-მელახა, შემო-მესვა*... (ფოცხიშვილი 2000: 120-122).

აღნიშნულ საკითხს ეხება ზ. ჭუმბურიძე. იგი გამოყოფს ერთ წყებას უნებლიე მოქმედების გამომხატველი *შემო-* ზმნისწინიანი ზმნებისა, რომლებიც, მისი აზრით, საერთოდ არ გვხვდება აწმყოს წრეში: *შემო-ადნება, შემო-აკვდება, შემო-ატყდება, შემო-ეჭმება, შემო-ელევა* და სხვა (ჭუმბურიძე 1986: 104).

როგორც ცნობილია, მიწევნიუბის სემანტიკა გამოიხატება ჩა- და ჩამო- ზმნისწინებით: ჩა- აღნიშნავს ერთი პუნქტიდან მეორეში მისვლას, მიღწევას (III პირისაკენ): *ჩა-ვა* (თბილისში), *ჩა-იყვანს* (მიიყვანს (გარკვეულ პუნქტამდე), *ჩა-ჰყვება* (ქალაქამდე)... ჩამო- აღნიშნავს მიწევნიუბას (I ან II პირისაკენ): *ჩამო-იყვანს* (გარკვეულ პუნქტამდე მოიყვანს (სოფლიდან თბილისში)); *ჩამო-ჰყვება* (სოფლიდან თბილისში)...

დაცილების, დაშორების, უკან მოტოვების სემანტიკური ნიუანსის მატარებელია ჩამო- ზმნისწინი: *ჩამო-იტოვებს* (გაასწრებს ვისმე, უკან მოიტოვებს), *ჩამო-აშორებს* (მოაცილებს რასმე ან ვისმე) (შდრ.: და-აშორა)... ჩამო- აღნიშნავს, აგრეთვე: რიგრიგობითობას, კერძოდ, მოქმედებას, რომელიც სრულდება რიგ-რიგობით: *ჩამო-ატარებს* (ყველასთან მიიტანს რიგ-რიგობით; ჩამოატარებს); *ჩამო-არიგებს* (1. რისამე გასწვრივ ჩამოაყალიბებს და დადგამს, – ჩამოამწკრივებს); *ჩამო-ამწკრივებს, ჩამო-ილოცავს*... ჩამო- გამოხატავს გვერდით, გასწვრივ მიმდინარე მოქმედებების სემანტიკურ ნიუანსსაც: *ჩამო-უვლის, ჩამო-ურბენს, ჩამო-უქროლებს*...

სალექსიკონო მასალაზე მუშაობისას გაირკვა, რომ ამ უკანასკნელ ფუნქციას გადმოსცემს არა მარტო ჩამო- ზმნისწინი, არამედ გადმო- და მი-ც. მაგალითები: *გადმო-აწვეს* (გვერდზე (აქეთ) დააწვენს); *მი-დებს* (იქით ან გვერდზე დადებს, იქით რამესთან ახლოს, დადებს)...

მოულოდნელობა, შეუმჩნევლობა საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიეწერება წამო- ზმნისწინიან ფორმებს. საანალიზო მასალაში ჩვენ წავაწყდით ისეთ შემთხვევებს,

როცა მი- და წა-ც გადმოსცემს ამავე სემანტიკას. მაგალითები: *მი-ავიწყებს* (შეუმჩნევლად დაავიწყებს); *წა-ადგება* (უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე); *წამო-* აღნიშნავს მოქმედების უცებ, მყისიერად, მოულოდნელად დაწყებასა და შეწყვეტას...

ჩვენ სალექსიკონო მასალაზე დაყრდნობით წა- ზმნისწინიან ფორმებთან გამოყოფილი გვქონდა ხმის დადაბლება-დაწევის სემანტიკა: *წა-ილაპარაკებს* (ხმადაბლა, ჩუმად, თავისთვის იტყვის (რასმე), – ჩაილაპარაკებს); *წა-იტყვინებს* (ტიტინით იტყვის. *ხმამალა წაიტყვინა*); *წა-ილიღინებს* (ხმადაბლა, ღიღინით წაიმღერებს). იგივე სემანტიკა შეიმჩნევა წამო- ზმნისწინიან ფორმებთანაც: *წამო-ილიღინებს* (ხმადაბლა, ღიღინით წამოიმღერებს). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩა- ზმნისწინთან დადასტურებულია საპირისპირო შემთხვევები, სადაც იგულისხმება ხმის ამაღლება, მაგალითად, *ჩა-იხარხარებს* (ხმამალა გაიცინებს, – გადაიხარხარებს)...

სხვადასხვა ზმნისწინთან ხანდახან ისეთი შემთხვევებია, როცა აღნიშნულია:

1. **სივრცეში განფენილი მოქმედება.** იგი გადმოიცემა გა- ზმნისწინით: *გა-აფენს* (1. გაშლის და რამეზე გადააფარებს (ქსოვილს, ქაღალდს და მისთ.) – გააგებს)...

2. **უკან მობრუნების სემანტიკა,** რომელიც გადმოიცემა გამო-, შემო-, ჩამო- ზმნისწინებით, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკან მობრუნების გაგება რთული ზმნისწინის კონსტრუქციაში შემოაქვს მო- ზმნისწინს: *გამო-აბრუნებს* (უკან დააბრუნებს, უკანვე გამოგზავნის); *შემო-ბრუნდება* (უკანვე (შიგ) მობრუნდება, მობრუნდება აქეთ, საიდანაც გავიდა); *ჩამო-ბრუნდება* (უკანვე ჩამოვა)...

3. **რაღაცაში ან რაღაცაზე შესრულებული მოქმედება,** რასაც აღნიშნავს ამო-. ასეთ დროს მოქმედება შიგნიდან გარეთ და ზევით, იმავდროულად მოქმედი (და არა მოსაუბრე) პირისკენ არის მიმართული (თვით სუბიექტი გარედან მოქმედებს): *ქვაში ამო-კვეთს, ხეზე ამო-ჭრის, ამო-თხრის, ამო-სწვავს*...

4. **ფინალობა (დასრულება).** საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ სემანტიკურ ნიუანსს გადმოსცემს მი- და მო-: *მი-ვხვდები* (ბოლომდე გავიგებ); *მო-იტყვინებს* (ტირილს მოათავებს)...

სემანტიკა ჩა-საც აქვს: *ჩა-თავდება* (ბოლომდე იქნება ჩავლილი. || დამთავრდება, დასრულდება)...

ახალ ქართულში *მი-* და *მო-* ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციის _ მოქმედების სასრულობის, დასრულების, უფრო ზუსტად _ მოქმედების საბოლოობის, მთლიანობის, ფინალობის შესახებ მიუთითებს ც. კვანტალიანი. ეს არის სხვადასხვა ფუნქცია, მაგრამ იმავდროულად საერთოც, რადგან სასრულობა უფრო ფართო ცნებაა და ზოგჯერ შეიცავს ფინალობასაც. მაგალითად: *მო-კვდა* _ ე.ი. მომთავრდა, დასრულდა, დაბოლოვდა, მორჩა, დამთავრდა მისი არსებობა, ასევე: *მო-რჩა, მო-ათავა, მო-შალა, მო-მართა...* ეს ფუნქცია ახასიათებს *მი-* ზმნისწინსაც, მაგრამ არა ისე ფართოდ გამოხატული: *მი-ვითვისებ* _ ბოლომდე, სულ, მთლიანად დავისაკუთრებ, ბოლო ადრესატი მე ვარ და ა.შ.

გამოვყოფთ *გადა-* და *გადმო-* ზმნისწინების საერთო სემანტიკურ ნიუანსებს:

1. გადამეტებული, გადაჭარბებული მოქმედება: *გადა-ხარჯავს* (დაწესებულზე მეტს დახარჯავს); *გამო-ათრობს* (ძალიან დაათრობს, გამოათაყვანებს)...

2. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა: *გადა-იფიქრებს* (განზრახვას, გადაწყვეტილებას შეიცვლის; მოფიქრებულზე ან დაპირებულზე უარს იტყვის; აღარ შეასრულებს, _ გადათქვამს); *გადმო-წერს* (ნაწერს ან ნაბეჭდს წერით გადმოიღებს. || თავის სახელზე დაიწერს, თავისთან დააწერინებს)...

3. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზევიდან ქვევით მიმართული მოქმედების გამომხატველია *და-*, *ჩა-* და *ჩამო-* ზმნისწინები. სალექსიკონო მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ფუნქციას ზოგიერთ შემთხვევაში ასრულებს აგრეთვე *გადა-* და *გადმო-* ზმნისწინები. ამის დასადასტურებლად დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მიმართულებას ზევიდან ქვევით (რამეზე, ვინმეზე გავლით) გამოხატავს *გადა-*: *გადა-დგება (ფანჯრიდან)...* მიმართულებას ზევიდან ქვევით (ვინმეზე ან რამეზე გავლით ან უამისოდ) და აქეთ გამოხატავს *გადმო-*: *გადმო-წვა, გადმო-გვიდა, გადმო-სწია (ტოტი), გადმო-დგა (ვინმე აივანზე)...*

მხოლოდ **გადა-** ზმნისწინი გამოხატავს სხვა ზმნისწინთაგან განსხვავებულ ისეთ სემანტიკურ ნიუანსებს, როგორიცაა: **ხელმეორედ შესრულება (განმეორება): გადა-ზელს** (ხელახლა აზელს); **გადა-ითამაშებს** (ხელახლა ითამაშებს); გადათვლის (ხელახლა დათვლის)...

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია **გადა-** ზმნისწინის კიდევ ერთი სემანტიკური ნიუანსი: **მოქმედების სრულად, ერთიანად, მთლიანად შესრულება: გადა-თხრის** (მთლიანად, ერთიანად მოთხრის, გათხრის; თხრით მიწას გადააბრუნებს). სალექსიკონო მასალის მიხედვით ჩვენ დავუმატებთ **გამო-, მო-** ზმნისწინებს. მაგალითები: **გამო-თავდება** (გამოათავებენ, _ გამოიცლება, მთლად გათავდება, მორჩება, გამოილევა); **მო-ჭამს** (შეჭამს მთლიანად)...

სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით ზმნისწინი ისეთ მრავალფეროვან მორფემას წარმოადგენს, რომ ყველაფრის ამომწურავად, ზედმიწევნით სიზუსტით აღწერა, ალბათ, ძალზე რთულია. ამაზე მიუთითებს ის მასალაც, რომელშიც წარმოდგენილია ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები. შევვხებით რამდენიმე ავტორის ძალზე საინტერესო მოსაზრებას:

ც. კვანტალიანი მიუთითებს, რომ **და-** ზმნისწინი, ცნობილი ფუნქციების გარდა, ზოგიერთ ზმნაში უფროსისადმი, ზემდგომისადმი დაქვემდებარება-დამოკიდებულებასაც მიანიშნებს. მოქმედება მიემართება ზემოდან ქვემოთ, მაგრამ ამ ზმნებს ნამდვილად არა აქვთ მიმართულების გაგება. ასეთია: **და-არიგა (ჭკუა), და-იქვემდებარა, და-იმორჩილა, და-იმონა, და-იმოწაფა...** (კვანტალიანი 2004: 48).

შ. აფრიდონიძე **და-** ზმნისწინიანი ფორმების დამატებით ნიუანსებზე საუბრისას ხაზს უსვამს შემდეგ თავისებურებებს: ა) საგნის მოცულობის ზრდის მიმართულებას. მაგალითად: **გადიდება, გაზრდა, გაფართოება, გასქელება...** გადიდება-ზრდის მეტონიმიური სახეებია: **განდიდება, გაზვიადება, გაღმერთება...** ბ) სიბნელიდან სინათლისკენ მიმართულებას: **გათენება, განათება, გაშუქება, გაბრწყინება, გასხივოსნება...** გ) მოქმედების აქტივობის, ინტენსივობის ზრდას: **გაღვიძება, გაშლა, გახალისება, გამხიარულება...** აგრეთვე, პირუკუ _ ცენტრისკენული მიმართულებით,

დამავალი ხაზით, რეგრესულად მიმდინარეობს და- ზმნისწინიანი ფორმებით გამოხატული მოქმედება: ა) საგნის მოცულობის კლების მიმართულებით: **დაპატარავება, დამცირება, დაკნინება, დანაწილება, დაქუცმაცება...** შდრ. გა(ნ)- ზმნისწინის ფუნქცია ორად, შუაზე გაყოფის აღსანიშნავად: **გათიშვა, გაყოფა, განახევრება, გაჭრა...** ბ) (სინათლიდან) სიბნელის მიმართულებით: **დაღამება, დაბნელება, დაბინდება...** გ) და- ხშირად გამოხატავს თავმოყრას, კონცენტრაციას, ერთ ადგილზე დაფუძნებას: **დამკვიდრება, დამყარება, დაარსება, დაფუძნება, დასახლება, დავანება... დაგროვება, დამძიმება, დამწიფება...** (აფრიდონიძე 1980: 88-89).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ზმნისწინიან ზმნურ ფორმათა სემანტიკურ ველებში გაერთიანებისას ჩვენ ვეყრდნობით ქეგლ-ის მონაცემებს, თუმცა ზოგიერთი ზმნის განმარტება იწვევს უკმარისობის განცდას: ზოგჯერ ქეგლ-ში მითითებულია ზმნის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა. მაგალითად: **შე-ბარბაცდება** განმარტებულია ასე: **ბარბაცს დაიწყებს, Eშექანდება, შეტოვდება, შეირხევა. წაბარბაცდება.** აქ არ არის აღნიშნული (**წა-ბარბაცდება** ზმნისაგან განსხვავებით) ამ ზმნის მეორე სემანტიკა – **ბარბაცით შევა;** იგივე შეიძლება ითქვას **შე-აჭრის** ზმნის შესახებ. იგი ლექსიკონის მიხედვით აღნიშნავს ზედაპირის მიმართ განხორციელებულ მოქმედებას. თანამედროვე სასაუბრო ენაში იგი შიგნით შეღწევის, უფრო ზუსტად, მოურიდებლად შესვლის მნიშვნელობითაც გამოიყენება (შდრ. **მიეჭრა/მიაჭრა**); დასაზუსტებელია **შე-არხევს** ზმნის სემანტიკაც. ქეგლ-ის მიხედვით იგი მხოლოდ ოდნობას გამოხატავს... ამგვარ წინააღმდეგობათა არსებობა ცხადყოფს, რომ აუცილებელია ამ ასპექტით კვლევის გაღრმავება.

4.3. ქართულის ზმნისწინიან ფორმათა გადმოცემის

საშუალებანი სხვა ენებში

ზმნისწინი ყველა ენისათვის არ არის დამახასიათებელი. ქართულ ენას ძალიან უხვად აქვს ზმნისწინები, მაგრამ ზოგ ენას ერთი მწკრივი აქვს ზმნისწინებისა (და არა ორი), ზოგს იმ ერთ მწკრივშიც ცოტა აქვს, ზოგს კი სულაც არ მოეპოვება არავითარი

ზმნისწინი. მაგალითად, სომხურში ძალიან იშვიათია, არაბულში კი საერთოდ არ არის (ა. შანიძე 1980: 251).

როგორც არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, ზოგიერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში ბრუნვათა მრავალფუნქციანობისა და თანდებულის ბრუნვათა ხშირი გამოყენების გამო ზმნისწინი ჩვეულებრივ არ იხმარება; ძველი სომხური, რომელსაც ფაქტობრივად ზმნისწინი არ გააჩნდა, ზმნისწინის ფუნქციას სხვა საშუალებით გამოხატავდა; მაგალითად, მიმართულების აღსანიშნავად იგი იყენებდა სრულიად სხვადასხვა ფუძის ზმნებს ანდა კიდევ ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელურ წინდებულებს (მარტიროსოვი 1953: 74-75).

საინტერესოა ქართულის შედარება ისეთ ენასთან, რომელსაც აქვს ზმნისწინი. ასეთია, მაგალითად, რუსული. ქართულის მსგავსად რუსულიც საკმაოდ მდიდარია ზმნისწინებით, რომელთაც შეუძლია გადმოცემა ყველა იმ მიმართულებისა, რასაც ქართული ზმნისწინები აღნიშნავენ. ჟ. ფეიქრიშვილის აზრით, ქართულსა და რუსულში ზმნისწინები ერთი ტიპის მორფემებია. ისინი ასრულებენ ორ ფუნქციას: ლექსიკურსა და გრამატიკულს (ფეიქრიშვილი 2002: 146), მაგრამ ამ ორ ენას შორის არსებითი განსხვავება მაინც ჩანს; რუსულის ზმნისწინებს მხოლოდ ერთი რიგი მოეპოვება, ქართულს კი – ორი. ის, რაც ქართულში რთული ზმნისწინებით გამოიხატება, რუსულში ვერც ერთი ზმნისწინით ვერ გადმოიცემა. მაშასადამე, ქართულთან შედარებით რუსული ენის ზმნისწინები ფუნქციურად არც ისე მრავალფეროვანია. ქართულს ახასიათებს კონკრეტულობა მოქმედების სივრცესთან დამოკიდებულების საკითხში: ქართულს შეუძლია გეზიც აღნიშნოს და ორიენტაციაც, რუსულს კი გეზის აღნიშვნა შეუძლია, მაგრამ გრამატიკული კატეგორია ორიენტაციისა მისთვის უცხოა (ა. შანიძე 1980: 253).

ა. შანიძეს შესადარებლად დასახელებული აქვს მაგალითები: *“პეტრე მივიდა და წერილი მიუტანა პავლეს”*. ამ წინადადების რუსული თარგმანი ასეთია: *Петр пришел и принес письмо Павлу*. მეორე წინადადება: *“პეტრე მოვიდა და წერილი მოუტანა პავლეს”* იგივე გამოვა რუსულად. ის განსხვავება, რაც ქართულში არის *მი-ვიდა* და *მი-უტანა*-სა და *მოვიდა* და *მო-უტანა*-ს შორის, რუსულმა ენამ ვერ გამოხატა. *пришел* *მი-ვიდა*-საც

ნიშნავს და მო-ვიდა-საც. გამოდის, რომ ერთი რუსული ზმნისწინი **при-** გამოყენებულია ორი ზმნისწინის – **მი-** და **მო-**ს მაგივრად. ასეა მიმართულების გამომხატველ სხვა ზმნისწინებშიც. ზედმიწევნობის დასაცავად რუსული ენა ასეთ შემთხვევაში იშველიებს სხვა სიტყვებს: **მივიდა** – *пришел туда*, **მოვიდა** – *пришел сюда*, მაგრამ თვითონ ზმნა მოკლებულია საშუალებას, აღნიშნოს, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, მოქმედების მიმართულება აქეთ და იქით, რადგან რუსულს აქვს ერთი მწკრივი ზმნისწინებისა და არა ორი, როგორც ეს ქართულშია (იქვე).

მ. მონასელიძის დაკვირვებით, ის, რაც ქართულში ზმნისწინის წყალობით პარადიგმატულად გამოიხატება (**შეზარხოშდა, წათვლემს, ჩაილაპარაკებს, წაკრეფს, წაეხმარება**), რუსულში არ წარმოგვიდგება ერთი ფორმის მეშვეობით, საჭიროა დამატებითი საშუალებანი. მკვლევარს მის მიერ მოპოვებულ მასალაში ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ზოგჯერ ქართულ-რუსული ლექსიკონი ამ ელფერს, ნიუანსს იქ ავლენს, სადაც ქეგლ-ში ამაზე არ არის გამახვილებული ყურადღება. საქმე ისაა, რომ ოდნაობა შეფასებით მომენტს შეიცავს და ინდივიდის ნებაზე ჰკიდია, მიმართავს თუ არა მას. ამიტომაც შეიძლება ლექსიკონს გარეთ დარჩეს მრავალი ფორმა, რომელთაც აქვს მოქმედების სიმცირის, ოდნაობის გაგება (მონასელიძე 2001: 35).

ქართულსა და რუსულ ენებში ზმნისწინის შესახებ საინტერესო გამოკვლევები აქვს გ. წიბახაშვილს, რომელიც განიხილავს ზმნისწინის ორ ფუნქციას: ლექსიკურსა და გრამატიკულს. იგი ლექსიკურ მნიშვნელობას სამ ჯგუფად ყოფს: 1. მოქმედების მიმართულების აღნიშვნა, 2. მოქმედების შინაარსში სხვადასხვა აზრობრივი ელფერის შეტანა და 3. ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა; მეცნიერი გრამატიკულ ფუნქციასაც სამ ჯგუფად ყოფს: 1. სრული ასპექტის გამოხატვა, 2. აწმყოდან მომავალ დროში მოქმედების გადატანა და 3. ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის გარდამავლად გადაქცევა.

რუსულ **по-** პრევერბს (ზმნისწინს) ეძღვნება ნ. ვაჩნაძის ნაშრომი. სხვა პრევერბებისაგან განხვავებით **по-** არ გამოხატავს მიმართულებას. მისი ძირითადი

დანიშნულებაა ზმნების დეტერმინება....აქედან გამომდინარეობს **по-** პრევერბის სხვა სემანტიკური ნიუანსები. **по-** არსებითად ვერ ცვლის ზმნის მოქმედების ხასიათს. მასთან არის დაკავშირებული რუსული ზმნის ექვსი სხვადასხვა მოქმედების წესის ანუ სახეობის გამოხატვა. ესენია: დაწყებითი, შემზღუდავი, შემარბილებელი, წყვეტილ-შემარბილებელი, განაწილებითი და ზოგად-შედეგობრივი მოქმედების სახეობანი.

по- პრევერბს ძირითადად სამი ქართული პრევერბი შეესატყვისება: **გა-, შე-, და-**. ცალკეულ შემთხვევებში კი: **მო-, ჩა-, ჩამო-, ა-, მი-, წა-, გამო-** და სხვა პრევერბებით ითარგმნება.

ნ. ვაჩნაძე **по-** პრევერბიანი ფორმების ქართულად გადმოცემის საშუალებების შედარებისას მიმართავს რუსულ-ქართულ ლექსიკონებს და აღნიშნავს: 1. **по-**, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს დაწყებითობას და ეს ნიუანსი ყველაზე მეტად გადმოიცემა ძირითადად **გა-** ზმნისწინის საშუალებით, მაგალითად: **побегать** – გაქცევა: дети побежали вперед (ბავშვები წინ გაიქცნენ)... ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **გა-** ზმნისწინი ძირითადად გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს და გამოხატავს მოცილებას, მოშორებას მიმართულების გარეშე, მაგრამ **გა-** მარტო მოშორებასა და მოცილებას კი არ აღნიშნავს, არამედ სივრცეში გადაადგილების გამომხატველ ზმნებთან მოქმედების დაწყების გამოხატვასაც ახერხებს. ეს ხდება ზოგჯერ **წა-** ზმნისწინით: **побрести** – წაჩანჩალება, წაყიალება; **поплестись, потащиться** – წაჩანჩალება, წათრევა, რამდენიმე შემთხვევაში კი – **და-** ზმნისწინით: **повеять** – სიოს დაბერვა; 2. **по-** პრევერბიან ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი შემზღუდავი მოქმედების სახეობას გამოხატავს და ამ ტიპის ზმნების თარგმნისას ლექსიკონებში მოშველიებულია კონკრეტული შინაარსის სიტყვები: **ცოტა ხანს, ცოტა ხნით, რამდენჯერმე** და მისთ. მაგალითად: **поворчать** – ცოტა ხანს ბუზღუნნი; **поиграть** – ცოტა ხანს დაკვრა... ე.წ. შემზღუდავი მნიშვნელობის მქონე ზმნები აღნიშნულ ლექსიკონებში თარგმნილია **წა-** პრევერბიანი ზმნებით. მაგალითად: **поработать** – წამუშავება; **поспать** – წაძინება; **посудачить** – წაჭორავება... 3. გაცილებით მცირერიცხოვანია ისეთ **по-** პრევერბიან ზმნათა ჯგუფი, რომელიც შემარბილებელი მოქმედების სახეობას გამოხატავს. ამ ტიპის

ზმნების თარგმნისას ლექსიკონებში მოშველიებულია სიტყვები: **ცოტა, ოდნავ, ცოტაოდენ** და მისთ. მაგალითად: **покачнуть** – ოდნავ, ცოტა შერყევა, შერხევა; 4. რუსული **по-** და **-ыва, -ва** სუფიქსიანი უსრულასპექტიანი ზმნები გამოხატავენ მოქმედების წყვეტილობას, მოქმედების არარეგულარულ ჯერადობას (ზოგჯერ, დროდადრო) და მოქმედების არასრულ გამოვლინებას (ცოტა, ოდნავ). მაგალითად: **побалтывать** – დროდადრო გაქნევა; 5. **по-** პრევერბთან არის აგრეთვე დაკავშირებული რუსული ზმნის განაწილებითი მოქმედების სახეობის გამოხატვა, მაგალითად: **побить** – დახოცვა... (ვაჩნაძე 1979: 276-288).

როგორც აღინიშნა, ბევრ ენას საერთოდ არ მოეპოვება ზმნისწინი. ასეთია, მაგალითად, არაბული. ა. შანიძეს არაბულთან შესადარებლად აღებული აქვს ვიდა-ფორმა, რომელსაც ქართულში ყველა ზმნისწინი დაერთვის: **შემო-ვიდა, გა-ვიდა, ჩამო-ვიდა...** სამაგიეროდ, არაბული აღნიშნული ფორმების შესაბამისად იყენებს სულ სხვადასხვა ფუძეებს: **დახალა** (შემოვიდა, შევიდა), **ხარაჯა** (გამოვიდა, გავიდა), **ნაზალა** (ჩამოვიდა, ჩავიდა)... ქართულს თავისუფლად შეუძლია ერთი ფუძისაგან აწარმოოს რამდენიმე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინის დართვით. არაბული კი იძულებულია, რომ სხვადასხვა მხარეს მიმართული ერთი და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, ზმნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომაც ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე – ქართულში. აქედან გამომდინარე, რომელიმე კაცისთვის, რომლისთვისაც ქართულიც უცხოა და არაბულიც, ქართული სალექსიკონო მასალის დამლევა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე – არაბულისა (ა. შანიძე 1980: 252-253);

ზმნისწინიან ფორმათა თარგმნისა და შეპირისპირების თვალსაზრისით საინტერესოა ინგლისური ენის მონაცემების გათვალისწინებაც. ზმნისწინები არ გააჩნია არც ინგლისური ენას. მაგალითად:

ვწერ I am writing something

და-ვწერ I will write something

ვწერე I wrote something (but did not finish it)

და-ვწერე I wrote something (and finished it)

საინტერესოა ის, რომ ზმნათა ორი უდიდესი კლასისთვის (I და II უღლება) განსხვავება წარსულსა და მომავალ დროებს შორის, თუკი ასეთი არსებობს, აღნიშნულია ზმნისწინის არსებობით. ბევრ შემთხვევაში ზმნისწინი არ არის დაშორებული ფუძისგან ახლანდელ დროში, რაც იძლევა ერთნაირ ფორმებს როგორც წარსულში, ასევე მომავალშიც. მაგალითად:

აღ-ვწერ “I am describing“ ორ “I will describe it“ (ლიტ. “Write up“)

გადა-ვწერ “I am copying or I will copy“ (lit “write over“)

თვით ზმნისწინები ნაწარმოებია ადგილის ზმნიზედებისაგან (directional particles), რომლებიც ლექსიკურად შეეთავსნენ ზმნის სტრუქტურას. ზმნისწინის შერჩევა სემანტიკურად მოქნილია მოძრაობისა და გადაადგილების გამომხატავი ზმნებისთვის (**მო- toward here, Se-in, Ca-down**). უმეტესწილად ზმნათა ფუძეები და მათი შესაბამისი ზმნისწინები შესწავლილი უნდა იქნეს ინდივიდუალურად. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზმნისწინების სისტემა და მათი გამოყენება ქაოსურია. ქართული ზმნის სემანტიკური სტრუქტურა (**ზმნისწინი + ზმნათა კომბინაციები**) არის ინგლისური ზმნის სტრუქტურის მსგავსი (**ზმნა + ადგილის ზმნიზედები, particle syntagms: eat up, put of, tire out**). ყოველი ზმნიზედა სემანტიკურად გამყარებულია წმინდა სივრცული მნიშვნელობით, რომელიც გადადის არასივრცით მეტაფორულ ფორმებში. როგორც ჩანს, მეტაფორული გაგრძელების პრინციპები უნივერსალურია. შესამჩნევია მრავალი აშკარა ანალოგია ქართულ და ინგლისურ სემანტიკურ ველებში (**გა- out/off** – შიგნიდან გარეთ).

ქართულში ზმნისწინის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს აწმყოსა და მომავალ დროებს შორის დაპირისპირება. იმისთვის, რომ ზმნა გადავიდეს აწმყოდან მომავალ დროში, მას უნდა დაემატოს შესაბამისი ზმნისწინი. გვარდა ამ ფუნქციისა, ზმნისწინებს აქვს მიმართულების აღმნიშვნელი ფუნქციები. ისინი უშუალოდ წინ ერთვიან ზმნას:

აკეთებს (“he does it“) – **გა-აკეთებს** (“he will do it“)

ვწერ (“I am writing“) – **და-ვწერ** (“I will write“)

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მომავალი დროის მნიშვნელობა მიიღება მხოლოდ ზმნისწინის დართვით; არ აქვს ადგილი არანაირ გრამატიკულ ცვლილებას. მომდევნო მაგალითებში ჩანს ზმნისწინის მიმართულებითი ფუნქცია:

მო-დის (“he is coming”)

მი-დის (“he is going”)

ა-დის (“he is going up (the stairs) “he is getting on (a bus”))

შემო-დის (“he is arriving”) “coming down the stairs“

(Harris, Alice C. 2003: 71-78)

ზმნისწინიან ფორმათა თარგმნისა და შეპირისპირების თვალსაზრისით უფრო ვრცლად წარმოვადგენთ თურქული ენის მონაცემებს.

თურქული ზმნა მონოპერსონალურია. მის პირიან ფორმაში მხოლოდ სუბიექტის პირი და რიცხვი აღინიშნება (ჯანაშია 1998: 9).¹

ქართული ენისაგან განსხვავებით თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები. იმ ფუნქციებს, რაც ქართულში ზმნისწინებს ეკისრება, თურქულში ძირითადად ასრულებს ზმნიზედები. მაგალითად: **შე-თენდება** (Hava biraz aydınlanacak _ ოდნავ გათენდება); **შე-დნება** (Biraz eriyecek _ ოდნავ გადნება). ორივე შემთხვევაში, ზმნის განმარტებისას თურქულში გამოიყენება ზმნიზედები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველ მეცნიერთა ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულში ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებული სახელისათვის. ერთიცა და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს, დაშორდნენ ერთმანეთს და, როგორც მორფემები, შეეზარდნენ სახელსა და ზმნას. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა სახელთან თანდებულად, ზმნასთან კი ზმნისწინად იქცა. ასეთია, მაგალითად: თანდებული -**ში** და ზმნისწინი **შე**-, თანდებული -**გან** და ზმნისწინი **გან**-.

მაშასადამე, თანამედროვე სალიტერატურო თურქულში შეიმჩნევა ძველი ქართული ენის ვითარება. ამის საჩვენებლად შეპირისპირებას მოვახდენთ **შე**-, **წა**- და სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ენისაგან განსხვავებით თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები, რაც ზმნისწინიან ფორმათა ქართულიდან თურქულზე გადატანის დროს ქმნის გარკვეულ პრობლემებს. წინააღმდეგობრივია სალექსიკონო მასალაც. მაგალითად, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების მიხედვით **შე-სველება** თურქულად ასეა თარგმნილი: ოდნავ დასველება. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ზუსტად სიტყვა **შესველებას** ვერ ვხვდებით. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში ოდნაობის გამოსახატავად იხმარება ზომა-ოდენობის აღმნიშვნელი ზმნიზედები, ხოლო ზოგადი მოქმედება გადმოიცემა მასდარით. მაგალითად: **და-სველება** თურქულად ასეა განმარტებული: **Islatmak**: Islak hale getirmek, რომლის თარგმანია: სისველის მდგომარეობაში მოყვანა, გადაქცევა.

ქართულ-თურქულ ლექსიკონში დასტურდება ისეთი **შე-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც პირდაპირი გაგებითაა გამოყენებული. მაგალითად: **შეღებვა**, **შეჭმა**, **შესწავლა**... აღნიშნულ ლექსიკონში თითქმის შეუძლებელია ოდნაობის ნიუანსობრივი დატვირთვის მქონე ფორმების ნახვა. ამას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ ქვემოთ მოცემული **შე-** ზმნისწინიანი ფორმების 90%-ზე მეტი საერთოდ არ არის ლექსიკონში. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში არ მოიპოვება ზმნისწინები და იმ ფუნქციებს, რაც აკისრია ზმნისწინებს, თურქულში ასრულებს ძირითადად სხვადასხვა ზმნიზედა, აგრეთვე მასდარისაგან მიღებული სახელები ზმნის პირიან ფორმასთან (მაგალითად, **დაიწყებს**) ერთად. ქართული **შე-** ზმნისწინიანი ოდნაობის სემანტიკის გამომხატველი მხოლოდ რამდენიმე ფორმა დასტურდება ქართულ-თურქულ ლექსიკონში: **შე-გვიანება** (ცოტა დაგვიანება – Biraz geç kalmak), **შე-ბინდება** (ოდნავ დაბინდება – karanlığın çökmesi), **შე-გრილება** (ოდნავ გაგრილება – Biraz serinlemek), **შე-თბობა** (ოდნავ დათბობა – Biraz ısınmak), **შე-თრთოლება** (თრთოლის დაწყება – Titremeye başlamak), **შე-ჩერება** (მოძრაობის დროებით შეწყვეტა – Ara vermek). ასეთი ფორმა სულ 7 ერთეულია.

თურქულში ხუთი სახის ზმნიზედაა. ესენია: 1. ვითარების ზმნიზედა (კარგად, ნელა, სუფთად, მეგობრულად...), 2. დროის (გუშინ, ხვალ, ზეგ, უეცრად, ადრე...), 3.

ადგილისა და მიმართულების (ქვემოთ, ზემოთ, უკან, წინ, შორს...), 4. ზომა-ოდენობის (უფრო, ძალიან, ცოტა, ცოტაოდენი...) და 5. კითხვითი (რა? როდის? როგორ? რატომ?) (Banguoğlu Tahsin, 2000; KPSS Temel Kitap, 2008; Türkçe Dil Bilgisi, 1993).

ქართულის მსგავსად თურქულშიც ზმნიზედა მარტო არ გამოიყენება. იგი აუცილებლად ზმნასთან, თანდებულთან ან სხვა რომელიმე ზმნიზედასთან ერთად დასტურდება. სიტყვა მაშინაა ზმნიზედა, როდესაც ნებისმიერ მოქმედებას ახასიათებს.

როგორც აღინიშნა, **შე-** ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია არის ოდნაობის სემანტიკის გამოხატვა. ამისთვის თურქულში ზმნურ ფორმასთან ერთად გამოიყენება ზმნიზედები: **Az** (ოდნავ), **Biraz** (ცოტა, ცოტათი), **Kısa, az bir zaman** (მცირე/რადაც ხნით, ერთგზის), **orada-burada, yer-yer, az miktarda** (აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ), **Kısmen, belli bir kısmını** (ნაწილობრივ), **Çarçabuk, üstünkörü, zorla, aşağı-yukarı** (სახელდახელოდ, ზერელედ, ძლივს, თითქმის). მაგალითები: **Az** (ოდნავ): **შე-ასველებს** (*Az ıslatacak* – ნაწილობრივ, ოდნავ დაასველებს); **შე-ტენიანდება** (*Biraz nemlenecek* – ოდნავ ტენიანი გახდება, ოდნავ დანესტიანდება); **შე-რბილდება** (*Biraz yumuşayacak* – ოდნავ დარბილდება); **შე-აბრკოლებს** (*Biraz engelleyecek* – ოდნავ დააბრკოლებს); **შე-აწითლებს** (*Biraz kızaracak* – ოდნავ გააწითლებს); **შე-ძრავს** (*Biraz hareket edecek* – ოდნავ გაანძრევს); **შე-ღვინიანდება** (*Biraz sarhoşlaşacak* – ოდნავ დაათრობს); **შე-ქეიფიანდება** (*Biraz keyiflenecek* – ქეიფის გუნებაზე მოვა); **შე-ამცივებს** (*Biraz üşütecek* – ოდნავ, ცოტათი შეაცივებს); **შე-ითბობს** (*Biraz ısıtacak* – ოდნავ, მცირედ გაითბობს); **შე-შმაშურდება** (*Biraz yerinden hareket edecek* – ოდნავ შეინძრევა, შეიშმუშნება); **შე-ნიავედება/შე-ანიავებს** (*Biraz havalandıracak* – იგივეა, რაც აანიავებს); **შე-ბინდბუნდდება** (*Hava biraz kararacak* – ოდნავ დაბინდდება, მოსაღამოვდება)...

Biraz, birazcık (ცოტა, ცოტათი): **შე-აგრილებს** (*Biraz serinletecek* – ცოტათი გააგრილებს); **შე-მწარდება** (*Biraz acıyacak* – ცოტათი გამწარდება); **შე-ჰკნება** (*Biraz solacak* – ცოტათი დაჰკნება); **შე-ცოტავდება** (*Biraz azalacak* – ცოტა გახდება, შემცირდება); **შე-ავკიანდება** (*Biraz geç kalacak* – ცოტა დაუგვიანდება); **შეთქვევს** (*Biraz çırpacak* – მცირედ გათქვევს); **შე-ართმევს** (*Biraz, küçük parçasını alacak* – მცირე ნაწილს, ცოტას შეაცლის);

შე-სთლის (İnce bir şekilde, Biraz yontacak _ თხლად, ცოტას ასთლის); **შე-ქლიბავს** (Biraz eğeliyecek _ ცოტას გაქლიბავს), **შე-მხიარულდება** (Biraz neşelenecek _ ცოტათი გამხიარულდება). **შე-თვრება** (Biraz sarhoş olacak _ ცოტათი დათვრება); **შე-ათხელებს** (Biraz inceltecek _ ცოტათი გაათხელებს); **შე-იაფდება** (Biraz ucuzlayacak _ ცოტათი გაიაფდება); **შე-ცუცნის** (Sessizce, az az yiyecek _ სუსნით, ცოტ-ცოტას (ჩვეულებრივ ჩუმ-ჩუმად) შეჭამს); **შე-კოკნის** (Az-az yiyecek _ ცოტ-ცოტას შეჭამს); **შე-ათბობს** (Biraz ısıtacak _ ცოტათი გაათბობს); **შე-ნამავს** (Az nemlendirecek _ ოდნავ დანამავს)...

Kısa, az bir zaman (მცირე/რალაც ხნით, ერთგზის): **შე-ითამაშებს** (Kısa bir süre oynayacak _ ცოტა ხანს ითამაშებს); **შე-ასვენებს** (Kısa bir müddet dinlendirecek, kısa bir zaman dinlenme imkanı tanıyacak _ ცოტა ხნით დაასვენებს, მცირე ხნით დასვენების საშუალებას მისცემს); **შე-აჩერებს** (kısa bir süre durduracak _ ცოტა ხნით გააჩერებს); **შე-ყოვნდება** (kısa bir süre durduracak _ მცირე ხნით დაყოვნდება); **შე-წყვეტს** (kısa bir zaman için duracak _ შეაჩერებს); **შე-აყენებს** (Hareketini, yürümesini kısa bir süre için durduracak _ სვლას, სიარულს ან მოძრაობას შეაწყვეტინებს)...

Orada-burada, yer-yer, az miktarda (აქა-იქ, ალაგ-ალაგ, მცირედ): **შე-თელავს** (az miktarda ezecek _ მცირედ მოთელავს.); **შე-თქვევს** (az miktarda çırpacak _ მცირედ გათქვევს); **შე-ატყავებს** (yer yer derisini yüzüyor _ ზოგან ტყავს შეაცლის); **შე-თუთქავს** (az, biraz kızaracak _ ოდნავ, მცირედ მოთუთქავს); **შე-იხრება** (biraz, az bir oranda eğilecek _ ოდნავ, მცირედ მოილუნება)...

Kısmen, belli bir kısmını (ნაწილობრივ): **შე-ასწორებს** ((მცდარს) Belli bir kısmını düzeltecek _ გაასწორებს, გამართავს; შეაკეთებს); **შე-ზამთრდება** (Kısmen kış yaklaşacak _ ზამთარი მოახლოვდება); **შე-რემონტდება** (Belli bir kısmını onaracak _ რემონტი გაუკეთდება); **შე-თვლის** (Bilgilerin bir kısmını bildirecek _ ინფორმაციის ნაწილს); **შე-ანელებს** (1. Hızı kısmen azaltacak _ სიჩქარეს, სისწრაფეს მოუკლებს. 2. Sıcaklığı azaltacak _ სითბოს მოაკლებს)...

Çarçabuk, üstünkörü, zorla, aşağı-yukarı (სახელდახელოდ, ზერელედ, ძლივს, თითქმის): **შე-ბანდავს** (çarçabuk bağlayacak _ სახელდახელოდ შეკრავს); **შე-ბარავს**

(Üstünkörü belleyecek (çapalayacak) _ ზერელედ დაბარავს); **შე-პოტინდება** (Zor güç yukarı çıkacak _ ძლივს ავა); **შე-მთავრდება** (Hemen hemen bitecek _ შეთავდება, დამთავრდება); **შე-ანახვერებს** (Aşağı yukarı yarıya inecek _ თითქმის გაანახვერებს)...

ქართულში შე- ზმნისწინი არის აგრეთვე საზედაოს, ქვევიდან ზევით მიმართული, ზედაპირისადმი განხორციელებული მოქმედების, გარშემო მოძრაობის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება. მასთან ერთად დიდ როლს თამაშობს ა- მაქცევარი, რომელიც ძალზედ საინტერესოა ზოგადსემანტიკური თვალსაზრისითაც (იგი ირიბთან ერთად წარმოქმნის პირდაპირ ობიექტურ პირსაც). ა- მაქცევრით წარმოქმნილ ობიექტზე მოქმედება ხორციელდება უშუალოდ, ის მას პირდაპირ ეხება, ხშირ შემთხვევაში ფიზიკურადაც, ამიტომ ა- მაქცევარს უკავშირდება ლოკალური ე.წ. საზედაო მნიშვნელობებიც (მ. მაჭავარიანი, 1980: 57).

საზედაოს ფუნქციას, თურქულში გამოხატავს ადგილისა და მიმართულების (ქვემოთ, ზემოთ, უკან, წინ, შორს...) ზმნიზედები. თურქული ზმნის რეალობიდან თუ გამოვალთ, თვითონ მასდარის ფორმაში გამოიხატება დაწვრილებით ის ნიუანსები, რაც ქართულ ზმნისწინიან ფორმას ახასიათებს. მასდარის ფორმა შეიცავს ზოგად ცნებას. როდესაც გვინდა მოქმედების ადგილისა და მიმართულების ანდა რომელიმე სხვა სიტუაციის გამოხატვა, მაშინ დამატებით უნდა შემოვიტანოთ ზმნიზედები.

თურქულში ზმნისწინის უქონლობა, ბუნებრივია, გარკვეულ პრობლემებს ქმნის საზედაო მოქმედების სემანტიკის შე- ზმნისწინიან ფორმათა გადათარგმნის დროსაც. წინააღმდეგობრივია სალექსიკონო მასალაც. მაგალითად, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით **შეზეთავს** თურქულად ასეა თარგმნილი: რაღაცაზე ზეთის წასმა. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში კი პირდაპირ სიტყვა **შეზეთავს** ვერ ვხვდებით. ესეც შეიძლება იმით აიხსნას, რომ თურქულ ენაში საზედაო მოქმედების გამოსახატავად იხმარება ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზმნიზედები, ხოლო ზოგადი მოქმედება გადმოიცემა მასდარით. მაგალითად: **ზეთვა** თურქულად ასეა განმარტებული: **Yağlamak**: Herhangi birşeyin yüzeyine yağ sürmek, რომლის თარგმანია: რაღაცაზე ზეთის წასმა.

საზედაო მოქმედების სემანტიკური ველის ფარგლებში გამოიყოფა რამდენიმე საქცევი: ზედ/ზედაპირზე, ქვემოდან ზემოთ, გარშემო, ირგვლივ, მთლიანად. წარმოვადგენთ თურქულთან შეპირისპირების მაგალითებს:

Yukarı, Yukarıya, Yukarıda, Yukarıdan (ზედ/ზედაპირზე): *შე-აფენს* (İçine veya üzerine örtecek _ შიგ ან ზედ დააფენს), *შე-ბურავს* (Bir şeyin üstünü örtecek _ დაფარავს); *შე-წამლავს* (Birşeyin üzerine ilaç sıkacak (Bitkinin) _ წამალს შეასხურებს (მცენარეს); *შე-ასხამს* (Sıvıyı herhangi bir yüzeye dökmek _ ზედ მიაღვრის); *შე-აცლის* (Yüzeyden küçük bir parçanın alınması, uzaklaştırılması _ ზედაპირზე, (მცირე) ნაწილს მოაშორებს); *შე-აწვება* (Bir şeyin üzerine yüklenmek _ ზედ დააწვება); *შე-აწყვეტს* (Birşeyin üzerine bağlanmış herhangi birşeyin koparılması _ რაზედმე დამაგრებულს ან დაკერებულს მოაგლეჯს)...

თურქული ენის როგორც განმარტებით, ასევე თარგმნით ლექსიკონებში, არ არის არც უმაქცევრო და არც მაქცევრიანი ფორმები, არის მხოლოდ მასდარი. მაგალითად, არ არის: *შეწყვეტს* _ *შეაწყვეტს*, *შეგლეხს* _ *შეაგლეხს*, *შეგოზავს* _ *შეაგოზავს*, *შეგლეჯს* _ *შეაგლეჯს*... ამ სახითაა მოცემული ზემოთ აღნიშნული ფორმებიც: *შეწყვეტა*, *შეგლეხვა*, *შეგოზავა*, *შეგლეჯვა*...

Yukarı-Aşağıdan yukarıya (ზედ-ქვემოდან ზემოთ): *შე-ცოცდება* (Sürünerek yukarı çıkacak – sürünerek girecek _ ცოცვით ავა. || ცოცვით შევა); *შე-ებჯინება* (Aşağıdan yukarı doğru dayanarak duracak _ ქვემოდან, საბჯენად, საყრდენად შეედგმება); *შე-სხებს* (Yukarıdan aşağı doğru yontacak _ შეაჭრის); *შე-ჯდება* (Yukarı çıkacak ve oturacak _ ავა და დაჯდება (Ata, ağaca... _ ცხენზე, ხეზე...); *შე-ხურავს* (Aşağıdan yukarı doğru kapatacak _ ქვევიდან ზემოთკენ დაახურავს); *შე-დგება* (Yukarı çıkacak ve duracak ზედ ავა და დადგება); *შე-უშვერს* (Aşağıdan yukarı doğru kaldıracak _ ქვემოდან მიუშვერს); *შეკვალავს* (Yukarı doğru iz sürecek _ აღმა გაკვალავს); *შე-ხტება* (1. Zıplayarak yukarı fırlayacak _ ხტომით ავარდება. 2. Zıplayarak bir şeyin üzerine çıkacak _ ხტომით ავა რამეზე)...

Etrafına, Çevresine, tamamına (გარშემო, ირგვლივ, მთლიანად): *შე-ბრუნავს* (Onun etrafında dönüyor _ მის გარშემო ტრიალებს, Başının üstünde dönüyor _ თავს დასტრიალებს); *შე-ფუთნის* (Bir şeyin içine saracak _ რაიმეში შეხვევს); *შეხვევს* (Bir şeyle tamamen üstünü

kapatacak, _ paketleyecek, bir şeyin içine saracak _ რითიმე მთლიანად დაფარავს); **შე-ს-ტრიალებს** (Etrafinda dönecek; etrafına bakacak; başının üstünde dönecek _ ირგვლივ უვლის; შესცქერის, შეჰყურებს; თავს დასტრიალებს); **შე-ჰ-ბზუის** (Böcek bir kişinin veya bir şeyin çevresinde, yakında vızıldıyor _ ვისიმე ან (რისამე) ირგვლივ, ახლოს ბზუის)...

თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონები ზმნურ ფორმათა გამოხატვის თვალსაზრისით განსხვავდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისაგან. კერძოდ, თურქულ ლექსიკონებში ზმნები მხოლოდ მასდარის სახით არის წარმოდგენილი და მარტო მისი განმარტება არის მოცემული, ქართულში კი საქმე სხვაგვარადაა. ვგულისხმობთ ფორმებს, რომლებიც დროისა და ქცევის ნიშნების მიხედვით არის განმარტებული, რაც თურქული ენისათვის უცხოა. ეს შეიძლება ასე აიხსნას: ქართულში სიტყვის მნიშვნელობაზე ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. გასათვალისწინებელია ზმნისწინები და მაქცევრები. ორივე გარკვეულ შემთხვევაში ცვლის სიტყვის მნიშვნელობას.

დანარჩენი ველებისაგან განსხვავებით **დაწყებითობის (ინხიატივის)** (Başlamak, Başlatmak) გამოსახატავად თურქულში გამოყენებულია მასდარისაგან მიღებული სახელები ზმნის პირიან ფორმასთან ერთად (ზმნის ფუძეზე **-maya-**, **-meye** ნიშნების დართვით). მაგალითად: **შე-ფრთხილდება** (Çırpınmaya başlayacak _ ფრთხილს დაიწყებს); **შე-როკდება** (Dans etmeye başlayacak _ როკვას დაიწყებს); **შე-კამათება** (Tartışmaya başlayacak _ კამათს დაუწყებს); **შე-ქანდება** (Sallanmaya başlayacak _ რხევას დაიწყებს); **შე-აზრიალებს** (Zıngırdamaya, cıngırdamaya başlayacak _ ზრიალს დააწყებინებს); **შე-ბზრიალდება** (Dönmeye başlayacak _ ბზრიალს დაიწყებს); **შე-ზუზუნებს** (Vızıldamaya başlayacak _ ზუზუნს დაიწყებს); **შე-აკაშკაშებს** (İşıldamayı başlatacak _ კაშკაშს დააწყებინებს)...

ასევე საინტერესოა **საურთიერთო მოქმედების** გამოხატვა ქართულსა და თურქულში. ეს სემანტიკა თურქულში გადმოიცემა თანდებულებით: **ერთად** (Beraber) და **ურთიერთ** (birbiriyle). მაგალითად: **Gülecek** ნიშნავს “გაიცინებს”, **Gülüşecek** კი _ “ერთად გაიცინებს”. საურთიერთო მოქმედებას გადმოსცემს აგრეთვე ნიშნები: **-ş, -ış, -iş, -**

uş, -üş. ამოსავალი გარდამავალი ზმნა სათანადო სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და მოქმედება საურთიერთო მოქმედების ხასიათს იღებს. გვარის თვალსაზრისით საშუალო გვარის ზმნად გადაიქცევა (ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია 1999: 72). მაგალითად: ზმნა **Görmek** ნიშნავს “ნახვას”, **Görüşmek** კი – “ერთმანეთის ნახვას”, რასაც ქართულში ზმნა “შეხვედრა” გამოხატავს. “შეხვედრა” თურქულად ასე ითარგმნება “Birbiriyle görüşmek” (ერთმანეთთან შეხვედრა). თურქულში არ არის აუცილებელი სიტყვის **Birbiriyle** გამოყენება. თვით **Görüşmek** აღნიშნავს საურთიერთო მოქმედებას, ორადგან მას დართული აქვს თურქულის საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ნიშანი **-ış**. გარდამავალი ამოსავალი ზმნა სუფიქსის დართვისას გარდაუვალი ხდება და საშუალო გვარის სახეობას ინარჩუნებს. ასეთივეა: **Ağlamak** – ტირილი, **Ağlaşmak** – ერთად ტირილი (იქვე, გვ. 73). ასეთ პირობებში მოქმედება ერთობლივი ქმედების ხასიათს იღებს. მაგალითად: **შე-ადარებს** (Benzerlik ve farklılıkları anlamak için birbiriyle karşılatıracak – ერთმანეთთან შეაპირისპირებს მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად); **შე-ათანასწორებს** (Birbiri ile karşılaştıracak – შეუდარებს ერთმანეთს); **შე-ატაკებს** (1. Birbiriyle çarpıştıracak – დააჯახებს); **შე-აუღლებს** (Birbiriyle birleştirecek, evlendirecek – შერთავს ერთმანეთს, – დააქორწინებს); **შე-აბერებს** (Biriyle birlikte ihtiyarlıyacak – ვინმესთან ერთად სიბერეს მიაღწევინებს); **შე-ათანხმებს** (Anlaştıracak – მოარიგებს)...

თურქულთან შეპირისპირების დროს ასევე საინტერესო სურათს იძლევა **ორმაგი (თანამდევი) მოქმედების** აღმნიშვნელი ზმნები. ასეთი რამ თურქულ ენაში ერთი ზმნის ფარგლებში არ გვხვდება, მაგრამ იმ მოქმედებაში, რომელიც აზრის გამოსახატავად გამოიყენება, ისედაც იგულისხმება პირველი მოქმედება. პირველის შესრულების გარეშე მეორე ვერ შესრულდება. მაგალითად, “Bunu buzdolabına koy!” ნიშნავს: “ეს მაცივარში შედევი!” რაღაცა მაცივარში რომ შევდოთ, იგი, ბუნებრივია, უნდა გავალოთ. გამოდის, რომ, მართალია, თურქულ ენაში პირველი მოქმედება სიტყვით არ გამოიხატება, მაგრამ იგულისხმება. ასეთი ფორმების თურქულად გადათარგმნის დროს მიმართავენ პირდაპირ თარგმანს. მაგალითად: **შე-ამწყდევს** (Bir şeyin içine koyacak ve kilitliyecek – (Canlı varlığı) რამეში შესვამს და ჩაკეტავს (ცოცხალ არსებას)); **შე-იბრაზუნებს** (İçeri girecek

ve kapıyı çarpacak _ შევა და ბრაზუნით მიიხურავს (კარს)); **შე-იკეტავს** (İçeri girecek ve kapıyı kilitleyecek _ შევა და მოიკეტავს); **შე-დგამს** (İçeri götürececek ve koyacak _ შიგ შიიტანს და დადგამს); **შე-დებს** (1. İçeri götürececek ve koyacak, bir şeyin içine yerleştirecek. 2. Yukarı çıkaracak ve koyacak, üzerine koyacak _ 1. შიგ შიიტანს და დადებს, რამეში მოათავსებს. 2. აიტანს და დადებს, ზედ დადებს); **შე-ჯდება** (1. Yukarı çıkacak ve oturacak (Ata, ağaca...). 2. İçeri girecek ve sıkı bir şekilde oturacak _ ავა და დაჯდება (ცხენზე, ხეზე...). 2. შევა და შიგ მჭიდროდ ჩაჯდება); **შე-ს-ცინის** (Bakacak ve gülecek _ შეჰყურებს და იცინის)...

ანალოგიური ვითარება იქმნება **წა-** ზმნისწინიან ფორმათა თურქულ მასალასთან შედარებისას. მაგალითად, **დაწყებითობის (ინხოატივის)** გამოსახატავად აქაც გამოყენებულია მასდარისაგან მიღებული სახელები (**-maya, -meye** ნიშნების დართვით) ზმნის პირიან ფორმასთან ერთად. მაგალითად, **Sendele _ Sendelemeye**: Sendelemeye başlayacak (წაბარბაცდება). მაშასადამე, თურქულში გარჩეული არ არის ქართულის **შე-** და **წა-** ზმნისწინიანი ფორმები. ორივე გამოიხატება ერთი და იმავე ზმნით. ამგვარად, ნიუანსობრივი სიზუსტე არ არის დაცული. ეს ვითარება ქართულ-თურქულ ლექსიკონში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მაგალითები: **წა-ბარბაცდება** (Sendelemeye başlayacak _ ბარბაცს დაიწყებს); **წა-ედინება** (Akmaya başlayacak (buradan oraya) _ დენას დაიწყებს (აქედან იქით))...

წა- ზმნისწინის ერთ-ერთი სემანტიკური ველის _ **შემთხვევითობა და მოულოდნელობა** _ ფარგლებში შეპირისპირებისას იქმნება ასეთი სურათი: **წა-ადგება** (Aniden birşeyin önünde duracak, beklenmedik bir şekilde karşısına çıkacak _ უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე)); **წა-ასწრო** (1. Başkasından önce gidecek, geride bırakacak, _ onu geçecek. 2. Aniden karşısına çıkacak (Önceden planlanmış hareket için _ 1. ვინმეზე წინ წავა, უკან მოიტოვებს, _ გაასწრებს. 2. თავს წაადგება (რაიმე საზრახსაქციელზე); **წა-აწყდება** (Beklenmedik bir şekilde karşılaşılabilecek _ Tesadüfen veya beklenmedik bir şekilde bulacak. მოულოდნელად შეხვდება || შემთხვევით (ან მოულოდნელად) მიაგნებს); **წა-სცდება** (İstemsiz olarak söyleyecek, ağzından kaçırarak _ თავისდაუნებურად იტყვის)...

ქართულ-თურქული მასალის ანალიზისას ირკვევა, რომ ქართული ზმნისწინიანი ფორმები სალიტერატურო თურქულ ენაში გადმოიცემა არა მარტო ზმნიზედების საშუალებით, არამედ ისეთი ზმნებით, რომლებიც **-arak**, **-erek** ნიშნების დართვის შედეგად ზმნიზედის ფუნქციას ასრულებენ. ასეთი სიტუაცია იქმნება **წასვლისა** და **წაყვანის** აღმნიშვნელ ზმნებთან:

წასვლა: **წა-ბარბაცდება** (Sendeleyerek gidecek – ბარბაცით წავა); **წა-გარდება** (İleri doğru koşarak gidecek || Hızla gidecek doğru – წინ გავარდება. || სწრაფად, ერთბაშად წავა); **წა-ირბენს** (Koşarak ileri gidecek – სირბილით წინ წავა); **წა-იმდინარებს** (Akarak gidecek – დინებით, მდინარებით წავა); **წა-სრიალდება** (Kayarak gidecek – სრიალით წავა); **წა-ტანტალდება** (Sallanarak gidecek – ტანტალით წავა); **წა-ხოხდება** (Sürünerek gidecek – ხოხვით წავა)...

წაყვანა: **წა-აგდება** (Önüne atacak, ileri doğru götürecek – წინ გააგდება, წინისკენ წაიყვანს); **წა-ათრევს** (1. Sürükleyerek götürecek. 2. Zorla götürecek – 1. თრევით წაიღებს. 2. ძალით წაიყვანს); **წა-ასვენებს** (Defnetmek için götürecek – წაიღებს დასაკრძალავად); **წა-აჩოჩებს** (Sürüyerek çekecek – ჩოჩვით წასწევს); **წაახოხებს** (Sürüyerek götürecek – ხოხვით წაიღებს); **წა-ახტუნებს** (İleri zıplatacak, zıplatarak götürecek – წინ გადაახტუნებს || ხტუნვით წაიყვანს); **წა-ზიდავს** (Taşıyarak götürecek – ზიდვით წაიღებს)...

საინტერესოა, აგრეთვე, როგორ გადადის ქართულის სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები თურქულში. საყოველთაოდ ცნობილი ფუნქციებისა და სემანტიკური ველის თეორიის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ ყველა ზმნისწინს. ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზმნისწინებს აქვს როგორც საერთო ფუნქციები (მიმართულების, ასპექტის გამოხატვა, ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება...), ისე განსხვავებულიც. ზემოთ თქმულის თანახმად, ქართულის ზმნისწინიანი ფორმების თურქულად გადატანისას გამოიყენება სხვადასხვა გრამატიკული საშუალება. ამჯერად შეპირისპირებას მოვახდენთ შედარებით მოკლედ გრამატიკული ფუნქციების, ხოლო უფრო ვრცლად სემანტიკური ნიუანსების მიხედვით.

ა) გრამატიკული ფუნქციები:

1. გეზისა და ორიენტაციის ჩვენება. ქართულში მიმართულების აღნიშვნა ზმნისწინების ერთ-ერთი ძირითადი და ძველი ფუნქციაა, რომელიც თურქულში გამოიხატება სხვადასხვა ზმნიზედის (ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, შიგნით, გვერდით...) მეშვეობით. მაგალითად: **ქვევიდან ზევით** (ა-, ამო-): **ა-ვა** _ yukarı çıkacak (ზევით ავა); **შიგნიდან გარეთ** (გა-, გამო-): **გა-ვა** _ dışarı çıkacak (გარეთ გავა); **ზევიდან ქვევით** (ჩა-, ჩამო-, და-): **ჩა-ვა** _ aşağı inecek (ქვემოთ ჩავა); **გარედან შიგნით** (შე-, შემო-): **შე-ვა** _ içeri girecek (შიგნით შევა); **დაბრკოლებათა გადალახვა** (გადა-, გადმო-): **გადა-ვა** _ karşıya geçecek (მოპირდაპირე მხარეზე გადავა), **გადმო-ვა** _ Bu tarafa geçecek (აქეთ გადმოვა) და ა.შ.

2. მომავალი დროის წარმოება. მომავალი დროის გამოხატვა თურქულში ხდება სპეციალური ნიშნებით. ესენია: **acak-, ecek-**. თურქული ენისათვის სულ ერთია, რომელი ფუძე იქნება, ნებისმიერ ფუძესთან იხმარება ეს ნიშნები. მაგალითად: **Yapmak** ნიშნავს “გაკეთებას”. ფუძე არის **yap-**, ამას ერთვის მომავალი დროის ნიშანი და შედეგად მიღებულია მომავალი დროის ფორმა: **Yapacak** ნიშნავს “გაკეთებს” და ა.შ.

3. სრული ასპექტის გამოხატვა: როგორც გრამატიკული კატეგორია, ასპექტი თურქულ ენას არ ახასიათებს, მაგრამ წარსული დროის შინაარსი იგივეა თურქულშიც. ამ შემთხვევაშიც დასრულებული მოქმედება არის გამოხატული. ქართულის სრული ასპექტის გამოხატვა ხდება წარსული დროით. საერთოდ, თურქულში ყველა დროს აქვს თავისი ნიშნები და ნებისმიერი ზმნის ფუძეზე ნიშნების დართვით ვღებულობთ სასურველ დროს. შესაბამისად, წარსულ დროსაც აქვს თავისი ნიშნები. ესენია: **dı-, di, du-, dü-**. მაგალითად: **Hazırlamak** _ გამზადება და **Hazırladı** _ გაამზადა.

ბ) სემანტიკური ფუნქციები:

ქართულში ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის წარმოება ზმნისწინის ერთ-ერთი ფუნქციაა, რაც თურქულში შინაარსობრივად გამოიხატება. მაგალითები: **Kurmak** _ ა-გება; **Anlamak** _ გა-გება; **Sermek** _ და-გება; **Kazanmak** _ მო-გება; **Kaybetmek** _ წა-გება...

ზმნისწინიან ფორმათა დამატებითი სემანტიკური ნიუანსების ამსახველი მასალის თურქული ენის მონაცემებთან შეპირისპირება კიდევ უფრო საინტერესო სურათს ქმნის. დამატებითი ფუნქციები მეტ-ნაკლებად ყველა ზმნისწინს აქვს, მაგრამ ხანდახან ისეთი ნიუანსიც იჩენს თავს, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთს ახასიათებს და დანარჩენებს _ არა.

ზმნისწინიან ფორმათა სემანტიკური ნიუანსები თურქულად გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით: ზმნიზედებით (ადგილის, ოდენობის...), განუსაზღვრელი სახელზმნის მასდართ (-**ma**, -**me**), ვითარების აბსოლუტივებით -**ıp** (-**ip**, -**up**, -**üp**), განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით (**Tamamen**, **hepsi**), რაოდენობითი რიცხვითი სახელებით (**İki**, **Üç**, **Dört...**), სივრცობრივი სახელებით (**Yanında**, **Etrafında**), თანდებულებით (-**e kadar**, -**a kadar**), საურთიერთო მოქმედების ნიშნებითა (-**ş**, -**ı**, -**iş**, -**uş**, -**üş**) და დამხმარე სიტყვებით. მაგალითები:

ოდნაობა _ Miktar თურქულში მიიღება ოდენობის ზმნიზედებით: **გადა-უკითხავს** (Hemen okuyacak _ სახელდახელოდ წაუკითხავს); **მო-ასველებს** (Biraz ıslatacak _ ცოტათი დაასველებს); **მო-წვავს** (Biraz kızartacak _ ცოტათი შეწვავს); **შე-იაფდება** (Biraz ucuzlayacak _ ცოტათი გაიაფდება); **წა-კნასავს** (Çarçabuk yiyecek _ სახელდახელოდ შეჭამს); **წამო-იზრდება** (Biraz büyüyecek _ ცოტათი გაიზრდება)....

ზედ/ზედაპირზე _ Üstünde, üzerinde თურქულში გამოიხატება ადგილის ზმნიზედებით: **ა-აცლის** (ზედაპირზე ააძრობს _ üstünden koparacak); **გა-თლის** (თლით ზედაპირს გაასწორებს _ yontarak üst yüzeyi düzeltecek); **გადა-ადგამს** (Yukarıdan üzerine koyacak, üstünü kapatacak _ ზევიდან დაადგამს, _ გადაახურავს); **მი-ამატებს** (Üstüne ilave edecek _ ზედ დაურთავს, _ დაამატებს); **მო-ასწორებს** (Herhangi bir şeyin yüzeyini düzeltecek _ რისამე ზედაპირს სწორს გახდის); **შე-აწვება** (Üzerine yatacak, ağırca üzerine koyacak _ ზედ დააწვება, მძიმედ დაედება); **წამო-ადგამს** (Üstüne koyacak _ ზედ დაადგამს);

გარშემო, ირგვლივ _ Çevre, Etraf თურქულში გამოიხატება ადგილის ზმნიზედებით: **მო-ფენს** (Çevresini, etrafını serecek _ ირგვლივ, გარშემო დაფენს); **შე-იღობება** (Etrafına, çevresini çevirecek _ ირგვლივ, გარშემო მოიღობება); **შემო-ზომავს** (Etrafını ölçecek _ ირგვლივ გაზომავს)...

გვერდით, გასწვრივ მიმდინარე მოქმედება – **Yanında, Etrafında: მი-დებს** (Oraya veya yan tarafa koyacak, o tarafa birşeyin yakınına koyacak – იქით ან გვერდზე დადებს, იქით რამესთან ახლოს, დადებს); **გადმო-აწვენს** (Yan tarafa (bu tarafa) yatacağı; გვერდზე (აქეთ) დააწვენს)...

დაწყებითობა – Başlama გამოიხატება **-maya, -meye** მასდარისა და ზმნური ფორმის **başlayacak** მეშვეობით: **ა-ცურდება** (Yüzmeye başlayacak – ცურვას დაიწყებს რისამე ზედაპირზე); **გა-ეტირება** (Birinin gitmesiyle ağlamaya başlayacak – ვინმეს წასვლისას ტირილს დაიწყებს); **და-ბარბაცდება** (Sendelemeye başlayacak – ბარბაცს დაიწყებს); **შე-კანკალდება** (Titremeye başlayacak – კანკალს დაიწყებს); **გამო-ელაპარაკება** (Konuşmaya başlayacak – ლაპარაკს დაუწყებს); **შემო-იხედავს** (İçeri (bu tarafa) bakmaya başlayacak – შიგნით (აქეთ) გამოიხედავს, ყურებას დაიწყებს); **წამო-ბერავს** (Esmeye başlayacak – ბერვას დაიწყებს)...

ორმაგი (თანამდევით) მოქმედება – Zarf Fiil მიიღება პირველი ზმნის ფუძეზე **-ip, -ip, -up, -üp** ნიშნების დართვით, რომლებიც თურქულში ვითარების აბსოლუტივების ერთ-ერთი სახეობაა: **ა-იშლება** (Bir çoğu kalkacak ve dağılacak – მრავალი ადგება და გაიფანტება); **გა-ამტვრევს** ((İçeriden dışarı) vurarak kırıp ve çıkacak – (შიგნიდან გარეთ) დარტყმით გატეხს და გავა); **გადა-ალაგებს** (Bir yerden alıp başka yere koyacak – ერთი ადგილიდან აიღებს და სხვაგან დაალაგებს); **ამო-წურავს** (Çıkarıp sıkacak – ამოიღებს და გაწურავს); **გადმო-ასვენებს** (Buraya taşıyıp defnedecek – გადმოიტანს და დაასვენებს)... ე. კვანტალიანი და ნ. ჯანაშია მიუთითებენ, რომ ვითარების აბსოლუტივიანი მეორეხარისხოვანი მოქმედება გადმოსცემს მთავარი მოქმედების ვითარების გარემოებას (ე. კვანტალიანი, ნ. ჯანაშია 2009: 201).

საურთიერთო მოქმედება – İsteş Fiiller, Birbiriyle ve Birlikte თურქულში გამოიხატება თანდებულებით: **Berber** (ერთად), **birbiriyle** (ურთიერთ) და საურთიერთო მოქმედების გამოიხატველი სპეციალური ნიშნებით: **-ş, -ış, -iş, -uş, -üş**. მაგალითად: **შე-ამეგობრებს** (Birbiriyle arkadaş edecek – ერთმანეთის მეგობრად გახდის); **შე-არიგებს** (Barıştıracak – მთავრებს)...

მოულოდნელობა, შეუმჩნევლობა – Ansızın, aniden, beklemeksizin თურქულში ვითარების ზმნიზედების გამოყენებით გამოიხატება: *მი-ასწრებს* (Aniden karşısına çıkacak – შეუმჩნევლად, მოულოდნელად თავს წაადგება); *წა-ადგება* (Aniden birşeyin karşısında kalakalacak – უეცრად რისამე წინაშე დადგება, მოულოდნელად მიადგება (რასმე); *ამო-ტყვრება* (Aniden, beklemeksizin yukarı çıkacak, ortaya çıkacak – უეცრად, მოულოდნელად ამოვა, ამოჩნდება)...

ინტენსიობა (თითოობითობა – ა. შანიძე) – Birden fazla გამოიხატება ან რიცხვით სახელზე **Fazla** (მეტი) სიტყვის დართვით, რომელიც თურქულში დაწყებითი ბრუნვის თანდებულია ან მრავლობითი რიცხვის ნიშნებით **-lar, -ler**. მაგალითად: *დაზრდის* (Birçok kişiyi büyütecek – გაზრდის ბევრს); *და-რეცხავს* (Birden fazlasını yıkayacak – გარეცხავს ბევრს)... *და-აუთოებს* (Birden fazlasını ütülecek – დააუთოებს ბევრს; Elbiseleri ütülecekler – ტანსაცმელებს დაუუთოებენ);

მოჩვენებითობა – Olmadığı gibi göstermek თურქულში მიიღება სახელზე **-gibi** თანდებულისა “**Davranıyor**“ (მოიქცევა) ზმნური ფორმის დართვით (კვანტალიანი, ჯანაშია 2009: 93): *ჰმო-იავადმოფა თავი* (Hasta gibi davranıyor); *მო-ისულელა თავი* (Deli gibi davranıyor); *მო-ვიმძინარე თავი* (Uykulu gibi davranıyor)...

უნებლობა – İstmeden მიიღება ზმნურ ფუძეზე **-madan, -meden** ნიშნების დართვით, რომელიც თურქულში ვითარების აბსოლუტიზის სახელით არის ცნობილი. მაგალითად: *შემო-აკვდება* (İstemsiz olarak ölecek, elinde kalacak – უცაბედად, უნებურად ემსხვერპლება (ვინმე))...

მიწევნილობა – Ulaşmak (Varmak) თურქულში შინაარსობრივად გამოიხატება: *ჩა-ვა* (Belirli noktaya (yere) varacak – გარკვეული პუნქტამდე მივა, მიაღწევს); *ჩამო-ვა* (Bir yerden diğerine gelecek – ერთი პუნქტიდან მეორეში მოვა)...

რიგრიგობითობა – Sıralamak თურქულში გადმოიცემა **Sırayla** (რიგ-რიგობით) ვითარების ზმნიზედით: *ჩამო-ატარებს* (Sırayla her yere götürecek – ყველასთან მიიტანს რიგ-რიგობით); *ჩამო-ამწყრივებს* (Sırayla düzülecek, sırayalacak – მწყრივად ჩამოაწყობს – ჩამოარიგებს)...

დაუკონკრეტებელი მიმართულება – Belirsiz yön. ამ სემანტიკის გადმოსაცემად თურქულში სპეციალური ნიშანი არ არის. იგი შინაარსობრივად გამოიხატება მაგალითად: **და-ივლის** (Değişik yerlere (başka yerlere) gidecek (ve bakacak, gözden geçirecek) – სხვადასხვა ადგილას მივა (და ნახავს, დაათვალიერებს)); **და-ცოცავს** (Sürünerek hareket ediyor, değişik yerlere gidecek, sürünerek yer değiştirecek – ცოცვით მოძრაობს, დადის, ცოცვით ადგილს ინაცვლებს)...

ფინალობა (დასრულება) – Final Cümleleri თურქულში აღინიშნება **sonuna kadar** (ბოლომდე) სიტყვაზე ზმნური ფორმის დამატებით: **მო-იტირებს** (Ağlamayı bitecek – ტირილს მოათავებს); **ჩა-თავდება** (Sonuna kadar bitecek – ბოლომდე დამთავრდება); **ჩა-იკითხავს** (Sonuna kadar okuyacak – ბოლომდე წაიკითხავს; გადაიკითხავს)...

ხელმეორედ შესრულება – Tekrardan (Yeniden) Yapmak თურქულში გამოიხატება **Tekrardan** (ხელმეორედ), **Yeniden** (თავიდან) ზმნიზედებით: **გადა-ითამაშებს** (Yeniden oynayacak – ხელახლა ითამაშებს); **გადა-ზელს** (Yeniden yoğuracak; yoğurarak birbiriyle karıştıracak – ხელახლა აზელს; ზელით ერთმანეთში აურევს)...

სრულად, ერთიანად, მთლიანად – Tamamen, hepsi გამოიხატება განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით **Tamamen, hepsi**. მაგალითად: **გადა-აკეთებს** (Değişik şekilde yapacak, başka şekil verecek, tamamen değiştirecek – სხვაგვარად, სხვანაირად გააკეთებს, სხვა სახეს მისცემს, გარდაქმნის); **გადა-ჭკნება** (Tamamen solacak, tamamı solacak, kuruyacak – მთლად დაჭკნება, ერთიანად დაჭკნება, – გადახმება)....

ქართულ-თურქული მასალის შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ზმნისწინიან ფორმათა ნებისმიერი სემანტიკური ნიუანსის გადმოცემა, მართალია, განსხვავებული საშუალებებით, ზოგჯერ შინაარსობრივადაც, მაგრამ მაინც შესაძლებელია თურქულად.

უცხო ენათა მონაცემების გათვალისწინება, კერძოდ, ქართულ-თურქული მასალის შეპირისპირება მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიურად, ქართული ზმნისწინების დასაზუსტებლად. ეს არის თარგმანის გამოყენების აუცილებლობა ამოსავალი ენის გრამატიკულ-სემანტიკური მნიშვნელობების გამოსავლენად. ამას იშვიათად

მიმართავენ ხოლმე. აუცილებელია სხვა ენათა მონაცემების გამოყენება გარკვეული ანალიზის საშუალებით. ეს უბრალო შედარება არ არის. ეს ხანდახან ერთადერთი საშუალებაა საკუთარი ენის შიდა საზრისის გამოსავლენად და გასააზრებლად. თურქული ზმნიზედები ავლენენ ქართული ზმნისწინების სემანტიკას, რაც ქართველისთვის დაფარულია, ქვეცნობიერია (მ. მაჭავარიანი).

ჩვენ მიერ მოპოვებული ახალი სალექსიკონო მასალა, რომელიც არ დასტურდება ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონებში, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მომავალ ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში და უნდა გახდეს მისაწვდომი დაინტერესებული მკითხველისთვის. ქართულ ენაში არსებული ორგანული წარმოების ყველა ზმნისწინიანი ფორმა უნდა შევიდეს სხვა ენათა, მათ შორის, თურქული ენის, ლექსიკონებშიც.

დასკვნითი დებულებები:

1. ქართული ზმნის თავისებურებასა და მრავალფეროვნებას მის პოლიპერსონალიზმთან ერთად განაპირობებს ზმნისწინთა არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ფუნქციური სიმდიდრეც.
2. სხვა ზმნისწინებთან შედარებით უფრო მეტი საერთო სემანტიკური ნიუანსი (ოდნაობა, დაწყებითობა, საზედაო...) აქვს **შე**-სა და **წა**-ს.
3. როგორც **შე**-, ისე **წა**- ზმნისწინთან გამოიყოფა 11 სემანტიკური ველი.
4. ომონიმურ ზმნებში ყველა ფორმას თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს ანუ თავსდება სხვადასხვა სემანტიკურ ველში. **შე**- ზმნისწინიან ზმნათა სინონიმები კი ყოველთვის ერთი ველის ფარგლებში თავსდება. ამაში ჩანს ენის მიდრეკილება იმისკენ, რომ სინონიმი იმავე ზმნისწინით გამოიხატოს (*შებრალება – შეცოდება, შეწყალება...*). ეს ასე არის ზოგჯერ სხვადასხვა ზმნისწინისა და ფუძის მქონე სინონიმებთანაც (*შეგულიანება – წაქეზება...*).

5. ზოგი ნასახელარი ფუძე ან საერთოდ არ ირთავს ზმნისწინს (*გუნდაობს*, *დარაჯობს*), ან დაირთავს სხვადასხვა ზმნისწინს: *ბურთაობს* (გა-), *ამაყობს* (გა-); *პოეტობს* _ (მო-, წა-), *ყოჩაღობს* _ (მო-, წა-)...

6. შე- და წა- ზმნისწინთა და ზმნის ფუძის შინაარსეული საქცევები სხვადასხვა სემანტიკურ ველში სამგვარ ურთიერთმიმართებას წარმოაჩენენ: ა) ზმნისწინისა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს ემთხვევა; ბ) ზმნისწინისა და ფუძის სემანტიკური მახასიათებლები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ კარგად ეხამება; გ) ზმნისწინისა და საქცევების მახასიათებლები ერთმანეთს არ ეხამება.

7. ა- მაქცევრიანი ზმნისწინიანი ფორმა ფუნქციურად საკმაოდ მდიდარია: ა) ა-ს დართვა ორმაგ საზედაო სემანტიკას გამოხატავს (*და-ღებს* _ *და-ა-ღებს*); ბ) ა-ს ზმნაში კაუზატივის სემანტიკა შეაქვს, ახდენს სუბიექტის დემონსტრირებას (*გამო-კიდებს* _ *გამო-ა-კიდებს*); გ) ა- მთლიანად ცვლის სემანტიკას (*გადა-ა-ცლის* _ *გადა-ცლის*)...

8. მაქცევართაგან ზმნის სემანტიკას უმეტესად ცვლის ა-. საინტერესო სურათი იქმნება ზმნის ერთი და იმავე ფუძის ფარგლებში სხვადასხვა ზმნისწინებისა და მაქცევრების (ა-, ი-, უ-ს) დართვისას. ყველა შემთხვევაში, ძირითადად აღინიშნება პირთა მიმართება, კორელაცია, ხოლო სემანტიკური თვალსაზრისით ა- განხვავდება სხვა მაქცევართაგან.

9. ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთან შე- და წა- ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს როგორც მსგავს (*შე-ზიდავს* _ *წა-ზიდავს*), ისე განსხვავებულ სემანტიკას (*შე-ა-სვენებს* _ *წა-ა-სვენებს*). ერთი და იმავე სემანტიკის ფარგლებში გამოხატულია მიმართულება.

10. ახალ სალიტერატურო ქართულში ყველაზე მეტ ფუძეს (525-ს) დაერთვის მხოლოდ და- ზმნისწინი, ხოლო ყველაზე ცოტას (ერთ ფუძეს) _ მხოლოდ გადმო- (მაგალითად, *კუჭუჭ-*) და შემო- (მაგალითად, *გარს-*); ყველა ზმნისწინს დაირთავს მხოლოდ 23 ზმნური ფუძე.

11. ერთი ფუძის ფარგლებში გამოიყოფა როგორც მსგავსი (ზევიდან ქვევით: *ჩა-იღებს* _ *ჩამო-იღებს*; შიგნიდან გარეთ: *გა-იღებს* _ *გამო-იღებს*...), ისე განსხვავებული სემანტიკის მქონე ზმნისწინიანი ფორმები: *ა-იღებს* _ *გადა-იღებს* _ *გადმო-იღებს*...).

12. სხვადასხვა ფუძის ფარგლებში გამოიყოფა საერთო სემანტიკის გამომხატველი ზმნისწინები:

ა) ოდნაობა: **გადა-**, **მი-**, **მო-**, **შე-**, **ჩა-**, **წა-**, **გამო-**, **შემო-**, **ჩამო-**, **წამო-**;

ბ) დაწყებითობა (ინხოატივი): **ა-**, **გა-**, **და-**, **მო-**, **შე-**, **წა-**, **გამო...** (სამეცნიერო ლიტერატურაში არსად არ არის მითითებული **შემო-**-სა და **ჩამო-**-ს ოდნაობის სემანტიკა, აგრეთვე **შე-** და **წა-** ზმნისწინთა დაწყებითობის სემანტიკა);

გ) ორმაგ (თანამდევ) მოქმედებას გადმოსცემს აბსოლუტურად ყველა ზმნისწინი;

დ) ზედაპირისადმი განხორციელებული მოქმედების გამომხატველად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია **გადა-**, **მო-**, **შე-**, **წა-**, **წამო-** ზმნისწინები. ჩვენი სალექსიკონო მასალის მიხედვით ამ რიცხვს უნდა დაემატოს **ა-**, **გა-**, **და-**, **მი-**, **ჩამო-** ზმნისწინები;

ე) საურთიერთო სემანტიკის გამომხატველად მიჩნეულ **შე-**, **შემო-** ზმნისწინებს უნდა დაემატოს **გა-**, **გადა-**, **და-**, **მი-**, **ჩა-**;

ვ) ნეიტრალური ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ **გა-** და **და-** ზმნისწინებს, არამედ – ყველა ზმნისწინს;

ზ) ირგვლივ, გარშემო მოქმედების სემანტიკას გადმოსცემს არა მარტო **შემო-** ზმნისწინი, არამედ **და-**, **მო-**, **შე-**, **ჩამო-**ც;

თ) **ჩამო-** გამოხატავს **გვერდით**, **გასწვრივ** მიმდინარე მოქმედებების სემანტიკურ ნიუანსსაც. ამ ფუნქციას გადმოსცემს აგრეთვე **გადმო-** და **მი-**ც;

ი) ხმის დადაბლება-დაწვეის სემანტიკა **წა-**-ს გარდა შეიმჩნევა **წამო-** ზმნისწინთანაც;

კ) ზევიდან ქვევით მიმართული მოქმედების გამომხატველია **და-**, **ჩა-** და **ჩამო-** ზმნისწინები. ამ ფუნქციას ზოგ შემთხვევაში ასრულებს აგრეთვე **გადა-** და **გადმო-**;

ლ) მოქმედების სრულად, ერთიანად, მთლიანად შესრულების სემანტიკას **გადა-** ზმნისწინთან ერთად გამოხატავს აგრეთვე **გამო-**.

13. ქართული ენისაგან განსხვავებით თურქულში არ მოიპოვება ზმნისწინები. ქართული ზმნისწინის გრამატიკული და სემანტიკური ნიუანსები თურქულად გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით: ზმნიზედებით (ადგილის, ოდენობის...),

განუსაზღვრელი სახელზმნის მასდართ (-**ma**, **-me**), ვითარების აბსოლუტივებით **-ip** (**-ip**, **-up**, **-üp**), განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით (**Tamamen**, **hepsi**), რაოდენობითი რიცხვითი სახელებით (**İki**, **Üç**, **Dört**...)...

14. თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონები ზმნურ ფორმათა გამოხატვის თვალსაზრისით არ ჰგავს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებს. შესადარებელ ენათა შორის განსხვავება ასეთია:

ა) ქართული ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – მიმართულების აღნიშვნა თურქულში გამოიხატება სხვადასხვა ზმნიზედების მეშვეობით: *yukarı çıkacak* (ზევით ავა); *dışarı çıkacak* (გარეთ გავა); *aşağı inecek* (ქვემოთ ჩავა)...

ბ) ასპექტი თურქულ ენას არ ახასიათებს. მომავალი დრო თურქულში გამოიხატება სპეციალური ნიშნებით: **acak-**, **ecek-**. თურქულ ენაში ნებისმიერ ფუძესთან იხმარება ეს ნიშნები: **Yapmak** = გაკეთება. თურქულში წარსული დრო მიიღება ნებისმიერი ზმნის ფუძეზე ნიშნების **di-**, **di**, **du-**, **dü-** დართვით: **Hazırlamak** – გამზადება და **Hazırladı** – გაამზადა.

ლიტერატურა:

91. არაბული ა. *ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის*. თ. გამყრელიძე (რედ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი: გამომცემლობა “თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი”, 1992.

92. არაბული ა. *ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში*. ენათმეცნიერების საკითხები I. თბილისი: 1999.

93. აფრიდონიძე შ. *გან- და და- ზმნისწინები ანტონიმებში*. არნ. ჩიქოზავა (რედ.). იკე-ს წელიწდეული VII. თბილისი: “საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1980.

94. აფრიდონიძე შ. *ურთიერთობის გამომხატველი ზმნები, მათი ოპოზიციური ფორმები*. თსუ შრომები. ი. ქავთარაძე “ენათმეცნიერება”, ტ. 262, 1: 9. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1985.

95. ბაბუნაშვილი ე. კვლავ ზმნისწინის ე.წ. “ნეიტრალური” ფუნქციისათვის ქართულში. გ. გოგოლაშვილი (რედ). საენათმეცნიერო ძიებანი X. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 2000.
96. გაბუნია კ. ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993.
97. გიგინეიშვილი ივ. პრევერბის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.
98. გოგოლაშვილი გ. ქართული ზმნის უღვლილების სისტემა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.
99. გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ. ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1989.
100. დათუკიშვილის ქ. ზმნური კატეგორიების კლასიფიკაცია უღლების სისტემასთან მიმართებით. გ. გოგოლაშვილი (რედ.). საენათმეცნიერო ძიებანი VII. თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენა”, 1998.
101. დამენია მ. ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1982.
102. ვაჩნაძე ნ. რუსულ *no-* პრევერბიან ზმნათა ქართულად გადმოცემის საშუალებანი. ი. გიგინეიშვილი (რედ.). ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1979.
103. ვეშაპიძე ირ. ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის. ვ. კუპრაძე (რედ.). თსუ შრომები, ტ. 67. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1957.
104. - - -. ზმნისწინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ვ. თოფურია (რედ.) თსუ შრომები, ტ. 93. თბილისი: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1960.
105. - - -. ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ალ. ბარამიძე (რედ.). თსუ შრომები. ტ. 96. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1963.
106. - - -. ზმნისწინი ძველ ქართულში. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1967.
107. თაყაიშვილი ა. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1961.
108. თურქულ-ქართული, ქართულ-თურქული ლექსიკონი, ორჰან მემიში. თბილისი. 1999.
109. თურქულ-ქართული ლექსიკონი. ლია ჩლაიძის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. სტამბოლი: “Livane Matbaacılık Ltd. Şti”, 2001.
110. იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. ზმნა ძველ ქართულში, I ნაწილი. მაინის ფრანკფურტი: 1996.

111. კვანტალიანი ე, ჯანაშია ნ. *საურთიერთო მოქმედება*, თურქული ენის სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა “ეგრისი”, 1999.
112. კვანტალიანი ც. *ზმნისწინისა და ქცევის ფორმათა წარმოების საკითხები*. გ. გოგოლაშვილი (რედ.), საენათმეცნიერო ძიებანი, VIII. თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენა”, 1999.
113. - - -. *და- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება*. გ. გოგოლაშვილი (რედ.), საენათმეცნიერო ძიებანი XVII. თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენა”, 2004.
114. - - -. *ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ერთი და იმავე ზმნური ძირის ზმნურ და სახელზმნურ ფორმებში*. გ. გოგოლაშვილი (რედ.). საენათმეცნიერო ძიებანი IX. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა”, 1999.
115. - - -. *ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ახალ ქართულში* (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი. 2001.
116. - - -. *მი- და მო- ზმნისწინთა ერთი მნიშვნელობისათვის ქართულში*: გ. გოგოლაშვილი (რედ.). საენათმეცნიერო ძიებანი X. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა”, 2000.
117. - - -. *შე- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება*: კრებ. “ბესარიონ ჯორბენაძეს”, გოგოლაშვილი გ. (რედ.). თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა”, 2003.
118. კვაჭაძე ლ. *ქართული ენა*, ნაწილი I. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1981.
119. ლოლაძე ნ. *ზმნისწინიან ფორმათა მოტივაციის ზოგიერთი საკითხისათვის*: გ. გოგოლაშვილი (რედ.). საენათმეცნიერო ძიებანი VIII. თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენა”, 1999.
120. - - -. *ზმნისწინის პოლიფუნქციურობა დინამიკაში და ზმნის მოდელირების პრობლემები*. ტ. ფუტკარაძე (რედ.). ქართველური მემკვიდრეობა IV. ქუთაისი: გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 2000.
121. - - -. *ზმნისწინის პოლიფუნქციურობა და ზმნის მოდელირების პრობლემა*. ტ. ფუტკარაძე, ზ. კიკნაძე, რ. თოფჩიშვილი (რედაქტორები), ქუთაისური საუბრები VI სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი: გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 1999.
122. მანჯგალაძე მ. *გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები ახალ ქართულში*: საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 1999.
123. - - -. *გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები ახალ ქართულში*. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი. 1999.
124. - - -. *ზმნისწინთა განაწილებისათვის ქართულში*. ტ. ფუტკარაძე, ზ. კიკნაძე, რ. თოფჩიშვილი (რედაქტორები), ქუთაისური საუბრები VI სიმპოზიუმის მასალები. ქუთაისი: გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 1999.
125. - - -. *ზმნისწინთა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში*. ბურჭულაძე გ., გოგოლაშვილი გ. (რედ.). საენათმეცნიერო ძიებანი V. თბილისი: გამომცემლობა “ქართული ენა”, 1996.
126. მარტიროსოვი არ. *თანდებულები ქართულში*. ვ. თოფურია (რედ.), იკვ. I. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1946.

127. - - -. *ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის*. იკე, XII. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1960.
128. - - -. *ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში*: იკე, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. კრებული, V. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1953.
129. - - -. *წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში*, იკე, VIII. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1956.
130. მაჭავარიანი მ. *ქცევის კატეგორიის საკითხისათვის*. ქ. ლომთათიძე (რედ.). იკე, XXII. თბილისი: გამომცემლობა “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი”, 1980.
131. - - -. *თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები VI*. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1981.
132. - - -. *ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა*. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1987.
133. მელიქიშვილი დ....*ქართული ზმნის უღლების სისტემა*. თბილისი: გამომცემლობა “ლოგოს პრესი”, 2001.
134. მონასელიძე მ. *შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, წა-, წამო-* ზმნისწინები სტატკურ ზმნებთან. ლ. გეგუჩაძე (რედ.) თსუ ახალგაზრდა მეცნიერებათა შრომები მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების დაბადების 110 წლისთავისადმი. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1997.
135. - - -. *ზმნისწინები და სიტყვაწარმოება ქართულ ზმნებში*, თსუ ახალგაზრდა მეცნიერებათა შრომები, წიგნი IV, მიძღვნილი გ. ლეონიძის დაბადების 100 წლისთავისადმი. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2000.
136. - - -. *ზმნისწინი საშუალო გვარის ზმნებთან*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2001.
137. - - -. *ოდნობის გამოხატვა ქართულ ზმნაში*. ლ. გეგუჩაძე (რედ.) თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი II, მიძღვნილი არნ. ჩიქოვას დაბადების 100 წლისთავისადმი. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1998.
138. ნებიერიძე გ. *ქცევის კატეგორია ქართულში (ტრანსფორმაციული ანალიზი)*, თსუ შრომები, “მაცნე”, 1: 4. თბილისი. 1976.
139. ნეიმანი ა. *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1978.
140. სარჯველაძე ზ. *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1984.
141. სალინაძე რ. *ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები)*. თბილისი: გამომცემლობა “საქართველოს მაცნე”, 2008.
142. უთურგაიძე თ. *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში*. თბილისი: გამომცემლობა “უნივერსალი”, 2002.

143. ფარტენაძე ნ. *ზმნისწინი საშუალო ქართულში* (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი. 2002.
144. - - -. *ზმნისწინი საშუალო ქართულში*. ბათუმი: გამომცემლობა “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 2009.
145. - - -. *ზმნისწინისა და ქცევის ურთიერთმომართების საკითხი და– ზმნისწინიან დინამიკურ ზმნებში*. „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი: “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 2009.
146. ფეიქრიშვილი ჟ. *ქართული ენის მორფოლოგია*. ქუთაისი: “სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა”, 1992.
147. ფოჩხუა ბ. *სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია*. იკე, XV. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1966.
148. ფოცხიშვილი ა. *ქართული ენა*. თბილისი: “სულან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1995.
149. ფუტყარაძე ტ. *ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის*. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII. ქუთაისი: “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2006.
150. ქავთარაძე ი. *ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში*. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1954.E
151. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. I-III. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1950-1953.
152. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. V. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1958.
153. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. ტ. VII-VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1962-1964.
154. ღლონტი აღ. *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1988.
155. შავთვალაძე ნ. *ქართულში თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიის კლასიფიკაციის კონსტრუქციისა და სწავლების საკითხები*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1999.
156. შანიძე ა. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1973.
157. შანიძე ა. *თხზულებანი ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1980.
158. ჩიქობავა არნ. *წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში*. ს. ჯანაშია (რედ.), ენიკის მოამბე, I. თბილისი: “სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა”, 1937.

159. - - -. *ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში*. იკე, XI. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1959.
160. - - -. *რა თავისებურება ახასიათებს ქართულ ზმნის აგებულებას*. თბილისი: გამომცემლობა “სკოლა”, 1998.
161. ციხელაშვილი ლ. *ა- პრეფიქსის რაობისათვის კაუზატიურ ზმნებში*. გ. გოგოლაშვილი (რედ). საენათმეცნიერო ძიებანი VI. თბილისი: “ბესარიონ ჯორბენაძის გამომცემლობა”, 1997.
162. ცქიტიშვილი თ. *ტმესი ძველ ქართულში*. მაცნე 1: 5. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1966.
163. წიბახაშვილი გ. *ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები*. კომუნისტური აღზრდისათვის № 6. თბილისი: 1960.
164. ჭუმბურიძე ზ. *ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართების გამოხატვა ქართულში*. ი. იმნაიშვილი, ა. ოქროშაძე (რედაქტორები), ორიონი. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1967.
165. ჭუმბურიძე ზ. *მყოფადი ქართველურ ენებში*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1986.
166. ჯანაშია ნ. *ზმნა თანამედროვე თურქულ ენაში*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1998.¹
167. ჯაჯანიძე პ. *ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები*, IX. ქუთაისი: 1953.
168. ჯორბენაძე ბ. *ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1980.
169. - - -. *ზმნურ ფუძეთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხისათვის ზმნისწინთა ფონეტიკურ ვარიანტებთან დაკავშირებით*. არნ. ჩიქოზავა (რედ.). იკე-ს წელიწდეული VII. თბილისი: “საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1980.
170. - - -. *ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში*. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1983.
171. - - -. *მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში*. ა. შანიძის 100. საიუბილეო კრებული. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1987.
